

ს. კაკაბაძე

ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია

ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“ წ. II, 1925 წ.

ტფილისი
1925 წ.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტ. შიკვ. № 1812.

ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია.

ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს მე-16—17 ს-ნის საქართველოს ისტორიისას. ეს შრომა, რომლის ტექსტი მთლიანად ქვემოთ იბეჭდება, არ შეიძლება ჩაითვალოს თავისი დროისთვისაც წმინდა საისტორიო ხასიათის დამუშავებულ ნაწარმოებათ. ავტორს ჰქონია ფრიად ს-ლი ალღო ისტორიულ ფაქტების გაგებისა და უფრო მეტი კიდევ სიყვარული თავისი ქვეყნის წარსულისადმი. ამით აიხსნება, რომ ფარსადანს განუზრახავს საქართველოს ისტორიის, უკეთ მართინის დაწერა დაწვეული უძველეს დროიდან. მაგრამ სათანადო თვით მის დროინდელ ლიტერატურულ შკოლის გაუფლგლობის გამო ამ ამოცანისთვის ვერ უძღვევია და ამიტომ მისი ისტორიის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ნაწილებში, სადაც ჭირსადანი რამოდენადმე სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით თვინებურს და ადგილობრივ გადმოცემათა მიხედვით შესაძლებელ გაშუქებას აძლევს ისტორიულ მოვლენებს (მე-16 ს-ნის თხრობა) ანდა დამოუკიდებელი აწარმოებს ისტორიულ ფაქტების გადმოცემას (მე-17 ს-ნის თხრობა). ცალკე დგას კიდევ თხრობა თემურლენგის შემოსევის შესახებ, რომელიც სპარსულ წყაროს მიხედვით არის შედგენილი თავისებური და, როგორც დავინახავთ, ზოგან შემცდარი გაშუქებით.

კრიტიკული აპარატი ფარსადანისა ამგვარად მოისუსტებს, უკეთ ვთქვათ ასეთი აპარატი მას სრულებით არა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა მის ნაწარმოებს მაინც აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ყოველს შემთხვევაში ავტორი ცდილობდა ობიექტივობის დაცვას. „ფარსადან ვიტყვი ამასა—ამბოჭს თვით ავტორი, ვიმოწმებ ღმერთსა მართალსა, ათის წლისას სამოცდა ათს წლამდისინ რაც გარდაამხდომია და ან ღირსა წინგნთა შიგან დასაწერათ, მართალი ეს არის“ (ქვემოდ, გვ. 89). მართლაც, რაც შეეხება ფარსადანის შრომის ემ, ასე ვთქვათ, მემორიალურ ნაწილს, მისი მალალი ღირსება, ექვს გარეშეა. ცოცხალი გადმოცემა ფაქტების, ობიექტივიზმი, რომელიც გამოსჭევივის თვით ავტორის პირად ცხოვრებასთან გადამხულ ფაქტების გაშუქებაში, თვით ისტორიულ თხრობაში ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მომენტებისათვის ერთგვარი ადგილის მიჩენა—ყველაფერი ეს წარმოადგენს ფარსადანის შრომის დიდ ღირსებას.

ფარსადანის შრომა ჩვენ ვიცით ჯერჯერობით მხოლოდ ორი ხელნაწერით. და ორივე პეტერბურგის კოლექციებში ირიცხებოდა. ერთი, უფრო ძველი, თვით ავტორის დროინდელი, დაცული იყო პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში და ამ ჟამად ამ კოლექციის ერთი ნაწილის ტფილისში გადმოცემის შემდეგ იწყობება საქართვე. საიტ.-საეთნ. მუზეუმში ტფილისის (ჩაწერილია № 2140-ით). ეს ხელნაწერი დაწერილია, ხელის მიხედვით, 1696—1700 წლის ახლო ხანებში. ლამაზად და უღდა წარმომდინარეობდეს უშუალოდ თვით ფარსადანის ხელნაწერიდან. შესაძლებელია ისიც (ჩვენ უფრო ამ აზრისა ვართ), რომ ხელნაწერი შესრულებულია თვით ფარსადანის მიერ. ეს ის ხელნაწერი უნდა იყოს, რო-

მელიც ალ. იოსელიანის აღმოჩენია 1841 წ. საქართველოში და რომელიც ხელთ-
ჰქონია ბროსესა¹⁾. როგორც სჩანს, ეს ხელნაწერი, პ. იოსელიანის საქონ ზოგ
სხვა ხელნაწერებთან ერთად მოყოლილა იოანე გრუზინისკის კოლექციაში და
აქედან უკვე პეტერბ. საჯარო ბიბლიოთეკაში. სამწუხაროდ ხელნაწერს თავი
აკლია და შიგა და შიგ ზოგი ფურცლებიც. ხელნაწერი შემდეგ აუკინძიათ და
ყდაში ჩაუსვამთ და ყდაში ჩასმისას ადგილ-ადგილ ფურცლები გადაურევიათ.
ხელნაწერს პავინაცია არა აქვს და ამის გამო ფურცლების არეულ მდგომარეო-
ბის აღნუსხვას აქ ვერ შევუღლებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხელნაწერი, რო-
გორც სჩანს, საგვებით იცავს ფარსადანის როგორც სტილს—ეს თავისთავად
გასაგებია,—ისე ორთოგრაფიას. ბოლოში ხელნაწერს აქვს სხვა ხელთ შემ-
დეგი მინაწერი 1710 წლისა (ნიშნად ორი წერტილი იხმარება):

„ქ. თვესა მაის კახი ბატონი მეფის ეუკლესძე მეფე იმამყულა ხან მა-
ტყოფს მობრძანდა და მარტყოფილამ დაიწყო სიარული და ქალაქს აბანოშა
შევიდა და ქართველის ბატონის შვილს ვალხტანგს (sic), მაშინ ქართლის ჯა-
ნიშინი იყო, და ამისი ჩასვლა რომ შეიტყო, დიად ეწყინა და კაცები მიუვი-
და ვახტანგს, რომ კახა ბატონი ჩამოვიდაო და ქალაქის ტახტზე დაჯ[დაო].
იმათში შეიქნა ერთი ტირილი, მეოკეთ მოსვლა, მაგრამ კახა ბატონი იმ გზით
არ ჩასულა და არცა რა ამის გუნებაში ქაროლის დაქუა სდომებია იმ ხანათ²⁾,
მაგრამ იმათ ეგონათ. ამათში ცოტა რამ ლაპაჰაკი მოხდა. კახმა ბატონმან იმამ
ყული ხან იმ ლაპარაკს ყური არ მიუგდო. ეს დაიწერა მაისის გასულს ქქსა
ტუც. ღმერთო კელი მოუმატეთ კახს ბატონს და კახეთი დღეგრძელობასა და
გამარჯვებაში აკმა³⁾“.

ამ მინაწერიდან, რომელიც დ. ჩუბინაშვილს შეცდომით ფარ ადანის
ტექსტის გაგრძელებად ჰქონდა დაბეჭდილი⁴⁾, ირკვევა, რომ ჩვენი ხელნა-
წერი მე-18 ს-ნის პირველ წლებშივე კახეთში მოყოლილა: მინაწერის ავტორი,
ცხადად სჩანს, კახელი არის. მინაწერი ყოველს შემთხვევაში ცხად ჰყოფს, რომ
თვით ხელნაწერი 1710 წელზე ადრე არის შესრულებული და, როგორც ზემო-
თაც მოვიხსენიეთ, დახლოებით 1700 წლის ახლოს, შესაძლებელია 1696—1700.
წლებში, შრომის შესრულებისთანავე, იყოს შესრულებული.

მეორე ხელნაწერი ფარსადანის ისტორიის დატული იყო (და ეხლაც და-
ტულია) რუსეთის (აწ საკავშირო) სამეცნიერო აკადემიის ახიურ მუზეუმში. ეს
ხელნაწერი (№ 6) წარმოადგენს, როგორც თავის დროზე შედარებიდან ჩვენ
დაგწმუნდით, პირს პირველი ხელნაწერისას და შესრულებულია უკვე პეტერ-
ბუგში ერთ-ერთ ქართველ ბატონიშვილს დავალებით სვიმონ ტაბიძის მიერ,
რომელიც თავის თავს იხსენიებს ხელნაწერის შესავალში. სამწუხაროდ ამ ხელ-
ნაწერის მოკლე აღწერილობა, რომელიც ჩვენ დავამზადეთ 1907 წ., არ აღმო-
ჩნდა ჩვენს ქალაქებში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხელნაწერი შესრულებულ
უნდა იყოს სვიმონ ტაბიძის მიერ საკმაოდ გვ ან მე-19 საუკუნეში, რამდენა-
დაც მახსოვს მე-1830 წლებში. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ სვიმონ ტაბ-
ძე იმეორებს ზემოდ მოყვანილ მინაწერსაც კახთ მეფის 1710 წ. ტფილისში
მოსვლის შესახებ, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ტაბიძეს ფარსადანის
ისტორია გადმოწერილი აქვს დასახელებულ 1696—1700 წლის ხელნაწერიდან.

ფარსადან გორგოჯანიძის ისტორიის ჩვენ ყურადღება მივაქციეთ პეტერ-
ბურგში მყოფობისას 1907 წ. და ის ნაწილი, რომელიც უცნობი იყო ქარ-

¹⁾ Brosset, Hist. de la Gé. t. II, livr. 1, 509.

²⁾ ეს ორი სიტყვა იმავე ხელთ მაგრამ სხვა დრო მიმატებულია.

³⁾ ქ. ცხოვრ. II, 569

ათ ის-ც ხოვრების დ. ჩუბინაშვილის გამოცემით, მაშინვე აღმოვეჩინეთ 1696—1700 წლის ძირითად მნიშვნელობის მქონე ხელნაწიდან და შევუდარეთ მის შემდეგ დროინდელ პირს—აზიურ მუზეუმის ხელნაწერს. ტექსტის შესწავლისას მაშინვე გამოჩვეულ იქნა ფარსადანის ძირითადი წყარო მე-16 ს. ნის თხრობისათვის, სახელდობრ სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში და ასეთივე წყარო თემურლენგის შემოსევათა შესახებ, სახელდობრ სპარსელივე ისტორიკოსი შერეფ-ედდინ-ალი-იეზდი. პირველი წყარო (ისკანდერ მუნში) ცნობილია აკად. დორნის გერმანული თარგმანით, მეორე კიდევ—Petis de la Croix-ის ცნობილი თარგმანით. ორივე ამ თარგმანებთან კიდევ სათანადო ექსტერპტები მოყვანილი ჰქონდა აკად. ბროსეს თავის Additions et éclairc. à l'Hist. de la Géorgie. ვინაიდან ფარსადანის ისტორიის ის ნაწილი, რომელი დ. ჩუბინაშვილს ჰქონდა გამოცემული¹⁾, ჩვენ მაშინ აღმოვეჩინეთ არ გვექონდა, ამიტომ ტექსტი²⁾ გამოცემა აქამდის არ მოხერხდა და მხოლოდ ეხლა, როდესაც ფარსადანის ისტორიის საუკეთესო ხელნაწერი ტფილისში არის დაცული, შესაძლებელი შეიქნა დიდი ხნის განზრახვის შესრულება.

ფარსადანს თავისი ისტორია დაწყებული აქვს უძველეს დროიდან, მაგრამ რადგან ხელნაწერს თავი აკლია, ამიტომ ამ დასაწყისის ხასიათის წარმოდგენა საძნელო ხდება. ხელნაწერის თავში შენახულია დეფექტიანი თხრობა ვახტანგ გორგასალის შესახებ. თხრობა საინტერესოა და ამიტომ ის აქვე მოგვყავს. თავი მას აკლია და რაც დარჩენილია ცალკე ფურცლებზე, ის იკითხება შემდეგნაირად.

„--- უჯარმას გასწყობოდა და თვითანვე ქალაქათ აეგო და ზამთრითი იქ დადგის ნადირობისათვის, რომ ყველგნით ახლო აქონდა კარგნი სანადირონი: ყარაიაზი, მტკვრის პირი, იორს გაღმართ გამოღმართნი, მთა და ბარი. ზაფხულთ თრიალეთს ავიდის და მოყვრობით ერანის კემწიფეს ემსახურებოდის. ორჯელ ერანის კემწიფეს ულაშქრა, ერთკელ ინდოეთს ზედან, მეორეთ მ(ი)სრეთს ზედან. ერანელნი მამაცობისათვის გურგასლანს ეძახდენ. გურგ მგელსა ჰქვიან და ასლან ლომსა. გულათა და მამაცობით როსტომისათვის შეუდრიათ. ნაქმრათ და შვენებით ყოვლის მამაცისათვის უჯობნებიათ. ამას უწინ თურქთ სახელი საქართველოში არ გავონებულყო. ამის დროში გაჩნდა დაშტი ყ(ი)ბჩალითა, დარუბანდის გზით გამოვიდნენ დიდის ლაშქრითა და ულუსითა. უწინ იზამთრეს თერგით შაბრანამდისინ ბათქუ და მისნი გარეშემონი. მეორეს ზამთარს მოვიდნეს მტკვარსა და იორსა და ალაზნის გაღმართ გამოღმართნი აიგსნეს და იზამთრეს და არბევდენ და აოხრებდენ შ(ი)რვანისა და არანის ქვეყანასა და მრავალჯერ შეება ვახტანგ გორგასალი თურქთა. ვისაც მისწვდა, ცოცხალი ველარ მოუჩრა. თურქნი შეჯერდენ ვახტანგის ომსა, თითონი და გინდა ორორნი ველარ შემოებმოდენ, მაგრა ბევრნი ბაჰადურებნი თურქთა ერთგან შეიყრებოდენ. რა იცნიან, რომ ვახტანგ მეფ(ე) არის, ერთ პირათ მოუხდებოდენ. და ისარს დააყრიდენ ვითაც წვიმასა და ჯაჰქვს ვერ გაუტეხდიან და ვიზედაც³⁾ მიმართის, თუარ ცხენის სიფიცხითა ცოცხალი ვერ მოუჩრებოდენ და ვახტანგის შიშით დავით გარეჯას ველარ ასცილდებოდენ. ნადირობაში ვახტანგ მეფის მეაბჯრე უკან დაეარდნილიყო. მიფარულთ თურქთ დაეპირათ მოდარა-

¹⁾ ქართლ. ცხ-ბა II, 517—569.

²⁾ დედანში: ვიზიეც.

ჯეთა და მეფის ასრე მამაცობა და უშიშრათ ომს მისელა შეუპოვრათ გამკითხეს, რისაგან არისო. იმას ასრე ეთქვა: თავად ნამეტნავად კელძრეილი ასო და ფიცხელი და ჩაუქი ცქვიტი არისო და გუნება აქეს გაბედულიო. მათაცობაში მეომართაგან გაულრეკელი არისო, ქვე(ი)თათ და გინდა ცხენს ზედ მოლაღვა არ იცისო. მერმე ჯაქვის იმედიცა აქესო, ამით უფრო შეპბედავსო. მერმე თურქთ გამოჰკითხეს: ამდენს ისარს რომ დავ(ა)ყრით და ჯაქვს. ვერ გაუტეხთო, რისაგან აქეს ამრიგი სიმაგრეო. მან ასრე უპასუხ(ა): ქართველნიც გაკვირებულანო იმ ჯაქვის სიმაგრესაო, მიგრა ვერა გაუგიათ რაო. გინდა ის ჯაქვი წყალში იღვას, გინდა ტალახშიგანო სამულამოთ ეგდოსო, არც ჟანგი ნოეკიდებისო და არცა ფერს იცვლისო და არცა სული აქეს რკინისაო, მაგრამეო მეფის მრავალჯერ ჩაცმისაგანო ორგნით ილღაიებოო ოფლს წაუხდენიაო, მეფესაც იქილამენ ერიდებისო. თურქთ იამა მებაჯრის თქმულნი სიტყვანი და გუნებაში დაიმსხოვნეს თურქის ბაძღურებმან და შეჰკრეს ასრე პირობა: რა მეფე ვახტანგ ომს მოსრული ნახონ, ყველანი ერთგან მიუხდენ ქამანდარნი და მარჯვეთ მსროლელნი, ისარნი ილღიას დააყარონ. რა თურქთ ეს პირობა ერთმანერთს აუთქვეს, გაბედულნი გულოვანნი შეიქნეს და მოდარაჯენი დავით გარეჯას ასცილდნენ, მეფე ნახეს ცოტას კაცით იორის პირს ნადირობს. ეს ანბავი სწრაფათ მოდარაჯეთ თურქთ ბაჰანდურთ შეატყობინეს, ამათაც ომშიგან ნაცადნი კაცი გამოააზრევეს, უეკვოს გზით მეფეს მიუხდნეს მსწრაფათ. ნახა მეფემ, მღგომბარმან ნახა თურქნი მაზედ ჰოტეველნი, წინ გარდეეგება მეფე უშიშრათ და შეიქნა ძრეილი ომი და ძალიანად კმლის ცემა. მეფემან მართომან მრავალნი თურქნი ცხენისაგან გარდმოჰყარა, ზოგნი დახოცა, ზოგნი ვაიციქნეს. მეფეს ეს აღარ ეგონა, თუ აქ სადმე კიდევ თურქი დარჩომილა თუ არა. მეფე გამარჯვებული დაბრუნებაშიგან უკანიდამ კიდევ თურქნი წამოეწივნეს. მეფე დაუბრუნდა, შეიქნა ომი და მეფემ სამნი თურქნი მოაკედინა, მიწევაში მეფეს ილღიას ორი ისარი ჰკრეს და ჯაქვი გაუტეხეს, ძალსზედ დაჰკოდეს და ისარს მკერელნი თურქნი მეფის ყმებმან დახოცეს და მეფე დაჰკრილი უჯარქას მივიდა და მრავალს ეკადნეს და ისარის პირი ამოართვეს და მრავალი წანალიც უყვეს, მაგრამე ურგები იყო წამალი და ამ დაკოდლობით მიიცივალა და კემწიფურის წესითა ცხეთას თავის აგებულს მონასტერში საფლავს მიიღეს ჯარგის წესითა.

როგორც ამ თხრობიდან სჩანს, ფარსადანი იცნობდა უსახელო შრომას ქართლის გაქრისტიანებისა და ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ რომელიც შედგენილი უნდა იყოს მე-8—9 ს-ნის მიჯნაზე¹⁾, რადგანაც მხოლოდ ამ შრომაშია ვახტანგის ჯაქვის განახების შესახებ მოთხრობილი, როგორც ეს რამოდენადმე უფრო განვრცელებით გადმოცემული აქვს ფარსადანს. საზოგადოდ ძველი ხანის შესახებ ქართული წყარო, გარდა ამ ცნობისა, ფარსადანს ხელთ არ უნდა ჰქონოდა, ქართლის ცხოვრებას ის ყოველს შემთხვევაში არ იცნობდა და ამის გამო საქართველოს უძველესი ისტორია მას ფანტასტიურად აქვს წარმოდგენილი. მხოლოდ თამარ მეფის მამის გიორგი მეფის ეპოქის აღწერილობიდან ის დგება მკვიდრ ნიადაგზე. ის აქ სიტყვა სიტყვით მისდევს თამარ მეფის პირველ და მეორე ისტორიკოსს (პირობით კიანბერად ჩვენ მიერ აღიარებულს) და ვინმე ვაოძიელ ბერს²⁾ და აგრეთვე მონგოლთა ეპოქის ჟამთა აღმწერელს. ამ-

¹⁾ ს. კ. ა. ბ. ა. ძ. ე. ს. ი. თ. ძ. ძ. 170 - 175. შედ. თ. ე. ო. რ. დ., ქრონიკ. I.
²⁾ ამის შესახებ ჯერჯერობით იხ. ს. ა. ი. თ. ძ. ძ. I, 24 წ., 283—291.

გვარად ფარსადანს ხელთ ჰქონია ქართლის-ცხოვრების მხოლოდ ერთი და ისიც ბოლო ნაწილი, დაწყებული თამარის მამის გიორგის მეფობიდან ვიდრე გიორგი ბრწყინვალემდე. მაგრამ ამ ნაწილშიც მას ჰქონია ფრიად დამახინჯებულად გადაწერილი ხელნაწერი, რომლის გარჩევისთვის და ტექსტის აღდგენისთვის ფარსადანს თავა არ აუტკივებია. შესაძლებელია თვით ხელნაწერი იყო საკმაოდ ძველი, ხევეული მხედრულით დაწერილი და ფარსადანს მისი გარჩევა ვერ მოუხერხებია. ყოველს შემთხვევაში ეს ნაწილი ფარსადანის შრომისა სავსეა მრავალი შეცდომებით, რომელიც გამომდინარეობს ავტორის მიერ მისი წყაროს ვერ გაგებისა და ან ვერწაკითხვისაგან და ამიტომ ფარსადანის შრომის ეს ნაწილიც მნიშვნელობა მოკლებულად უნდა ჩაითვალოს. საერთოდ კი ფარსადანის შრომის ხასიათის გასაგებად აქვე მოგვყავს მის შრომის ტექსტის შინაგანი სათაურები, რომლის მიხედვით შესაძლებელია დაახლოვებით მაინც აზრის შედგენა ფარსადანის შრომის ამ ნაწილის შესახებ.

რაც ამბავი ბაგრატიონთა რომ სომეხთა ცხოვრებაში სწერია, მათი მოსვლა.

ამბავი ერანის კემწიფებისა და ცოტას რასმე საკვლებს ზეით ვახსენებთ და გათავებით მათს ანბავსა და ნაქმართა და საკვლებსა თავ თავიანთ ადგილს დაესწეროთ.

დაკარგვა ლორიდამენ შაბდიზის ცხენით შირინისა ტრდათ კემწიფის შეილის სომეხთ კემწიფის ხოსროვის ქალისა და გლოვა და ტირილი მამიდისა და ძმების.

აქ შირინის მისვლა მადანს და ხოსროვის მოსვლა მულამს ერთმანერთის საძებნელად.

აქა ხოსროვ კემწიფის ცნობა მაჰბანუ დედოფლისაგან და აშიყობა მისი და შირინისა და ერთმანერთის მოძებარნი მულამში შეიყარნეს.

აქა ქორწილი ხოსროვ ერ.(ან)ის კემწიფისა სომეხთ კემწიფის ხოსროვ ტრდადის შეილის ქალს შირინს თანა და მადანს მიყვანა.

აქა გაძრიელდა ქვეყანათა ზედან სულთან მელიქ შაჰა კემწიფე.

აქა მეფის ბაგრატიანსაგან თავისის შეილის გიორგისა თბილის ქალაქში მეფეთ კურთხევა და თვითან დიდის ჯარითა და მორთულობით სულთან მელიქ შაჰსთან წასვლა.

აქა ბაგრატი მეფისაგან თავისის უფროსის შეილის გიორგის მეფეთ კურთხევა.

მეფე ბაგრატი მიიცვალა და მეფე გიორგი კემწიფობდა.

აქა სიკვდილი მეფის გიორგისა და გახ(ე)მწიფება მამის ალაგზედ მეფის დემეტრესი.

ამის შემდეგ ფარსადანი, თავისი თხოვრებათა საყვებით მისდევს თამარის პირველ და მეორე მემატანეს და აგრეთვე მონგოლების ხანის ჟამთა აღმწერელს ვიდრე გიორგი ბრწყინვალის ეპოქამდის.

გიორგი ბრწყინვალის საბოლოოდ გამეფებიდან, (1317 წლიდან) ფარსადანს პირველად, როდესაც მუშაობა დაუწყია, არაერთი წყარო არ ჰქონია. ამიტომ თავისი ისტორია მას პირდაპირ შაჰ ისმაილის დროიდან დაუწყია (მე-16—17 ს-ნე). ეს არის ფარსადანის სწორედ ძირითადი შრომა, რომლითაც მისი სახელი შერჩა ქართულ ისტორიოგრაფიას. ლიტერატურულ წყაროთ მე-16 ს-ნის თხრობის შესახებ ფარსადანს, როგორც სჩანს, ჰქონდა სპარსული ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის შრომა. მაგ., თხრობა შაჰ-თამაზის შემოსევათა შესახებ, ეკრძოდ ვარძიის მონასტრის აღწერილობა ექვს გარეშეა ისკანდერ მუნშის თხზულების ზედგავლენით არის დაწერილი¹⁾, მაგრამ ფარსადანი ამასთანავე ადგილობრივი გადმოცემებითაც სარგებლობდა. ხოლო მე 17 ს-ნის თხრობა გიორგი სააკაძის ეპოქიდან მას უკვე დამოუკიდებელი აქვს შედგენილი.

თავის შრომის წერისას ფარსადანს საჭიროდ დაუნახავს მე-14—15 ს-ნეთა თხრობის ხარვეზი ნაწილობრივ მაინც შეეცაო შერეფ-ედდინ-ალი-იეზდის თხზულებიდან ამოღებული ცნობებით თემურ-ლენგის საქართველოზე ლაშქრობის შესახებ და ეს თხრობა ჩაუკერებია უადგილო ადგილას სახელდობრ ტექსტში შემდეგ თავისა: აქა მეფის დავითის მისვლა კონთქარს თანა... (ქვემოთ გვ. 12—13) ასეთი შენიშვნით: „აქ არ უნდოდა ლანგ თემურის ანბავი, უფრო ხეით უნდოდა დაწერა, მაგრა ეს სხვა ანბავი აქ ითქვას, ჯარას დაუშლის“²⁾. ამაჲ შემდეგ მიყვება თხრობა ლანგთემურის შემოსევათა შესახებ, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვბეჭდავთ გამოყოფით მეორე დამატებად.

ლანგ-თემურის შემოსევათა შესახებ ფარსადანი მართალია შერეფ-ედდინ-ალი-იეზდის ემყარება, მაგრამ ზოგიერთი ადგილების თავისებური განმარტებით³⁾, მაგ., გიორგი მეფეს ბაგრატის ძეს ის იმერეთის მეფეთ სთვლის, რაც ცხადი შეცდომაა (შერეფ-ედდინიც გიორგის იმერეთის მეფედ არა სთვლის). ფარსადანის შრომის ამ ნაწილს მნიშვნელობა აქვს; სხვათაშორის, საკუთარ სახელების სწორი წაკითხვის აღსადგენათ, რადგან ფარსადანს ხელთ ჰქონდა შერეფ-ედდინის შრომის საკმაოდ ძველი (შესაძლებელია თავის დროისთვისაც საკმაოდ ძველი) ხელნაწერი.

სხვა ადგილას კიდევ, სახელდობრ თხრობაში თავისი შვილის დავითის შესახებ (ქვემოთ გვ. 77 და 108) ავტორს მოულოდნელად გადაეყვარათ სხვა თემანი—იწყება თხრობა თვალდამწერიანთა შესახებ („აქა ამბავი თვალდამწერიანთა“). ეს თავიც უადგილო ადგილას არის ჩაწერილი და ამიტომ ის ქვემოთ იბეჭდება ცალკე გამოყოფით პირველ დამატებათ.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ავტორი თავისს ნაშრომს, როგორც ეტყობა, სწერდა არა აჩქარებით, მაგრამ მთლიან სისტემის დაცვისთვის ნაკლებ ყურადღების მიპყრობით. ამით აიხსნება, რომ ავტორს შიგა და შიგ ისტორიულ თხრობასთან გადამბული აქვს ცნობები თავისი და თავისიანების

¹⁾ შეად. ფარსადანის ისტორიის სათანადო ადგილები (გვ. ქვემოთ, გვ. 3—7) ისკანდერ მუნშის ცნობებს (ბ. დო რ ი ს გერმ. თარგმანი Beiträge zur Geschichte der Kauk. Länder und Völker...; Erster Beitrag zur Geschichte der Georgier (Mém. de l' Acad. Imp. d. sciences de S.-Pét. IV sér. 392—399).

²⁾ შეად. შერეფ-ედდინის შრომის თარგმანი Petis de la Croix-ის Paris 1722. ბტი.დე-ლა-კრუის თარგმანიდან ექსცერატები (რაც საქართველოს შეეხება) შეტანილი აქვს მ. ბროსეს თავის Additions et éclairc. à l' Hist. de la Géorgie, p. 386—397. შედარება ცხად ყოფს, რომ შერეფ-ედდინ-ალი-იეზდის ნაშრომით სარგებლობდა როგორც ფარსადანი ისე აგრეთვე ქ. ც-ბის გაგრძელების შემდგენელი, რომელსაც ფარსადანისაგან დამოუკიდებელი აქვს შემუშავებული თხრობა თემურლენგის საქართველოზე გალაშქრებების შესახებ. სარგებლობდა ფარსადანი შერეფ-ედდინის თხზულებით უშუალოთ, თუ სხვა სპარსულ კომპილიატორ ავტორზე დამყარებით, ამის გამოჩვენება მომავლის საქმეა.

ფარსადანის დამოკიდებულება შერეფ-ედდინზე და აგრეთვე მე-16 ს-ნის თხრობაში ისკანდერ მუნშზე აღნიშნული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილსაც—ძველი ქართ. საისტ. მწერლობა, პირვ. გამოც. ტფ. 1916 წ., გვ. 235—251.

პირადი ცხოვრებიდან. ერთს ადგილას კიდევ ფარსადანს მოჰყავს დარიგება თავისი შვილის დავითისადმი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს თვით ფარსადანის პიროვნების დასახასიათებლად. ეს დარიგება ქვემოთ იბეჭდება დანართად.

ფარსადანი, გვარათ გიორგიჯანიძე, უნდა ყოფილიყო გორელ ვაჭრის ოჯახიდან. რომ ფარსადანი გორელი იყო, ამას ის თვითონ ამბობს ჯამი-აბასის წინასიტყვაობაში. ჯამი-აბასი—მუსურმანთ სარჯულო წიგნი, ფარსადანს გადაუთარგმნია. ამავე წიგნის წინასიტყვაობაში ის თავის თავს ქართველს უწოდებს¹).

როდესაც ფარსადანი სპარსეთიდან საქართველოში მოდის ყაენის დავალებით როსტომ მეფის მეფობის უკანასკნელ ხანში, მას ათი დღის შვებულებას აძლევენ სახლში წასასვლელად და ფარსადანიც ამბობს—„გორს ჩემსა მოველ, რომე სიღამდისინ მეფის ბრძანება მოვიდოდეს, იქ ვიყო“ (გვ. 60). გიორგი სააკაძის მიერ ტფილისის ციხისთვის ალყის შემორტყმის თხრობაში ფარსადანი იხსენიებს გორელ გიორგი გორგიჯანაშვილს, რომელიც ლალატში იქნა შეჩნეული (ქვემოთ, გვ. 25—26). ბსენებულ გორგიჯანაშვილს იცნობდა ქ. ტფილისში საელჩო საქმისთვის ჩამოსული ქუთათელი, რომელმაც ის იპატივა კიდევ. ცხადია, გორგიჯანაშვილი ქუთათელითან გატეობილი იქნებოდა იმერეთში მიმოსვლის დროს ალბად საეპქრო საქმეების გამო. ის გარემოება, რომ ფარსადანი საქიროდ სთელის ამ გორგიჯანაშვილის მოქმედებაზე შეჩერებას, რამდენადმე უნდა გვიჩვენებდეს ავტორის რაღაც ნათესაურ დაკავშირებას ბსენებულ პირთან. შესაძლებელია ის იყო ფარსადანის მამა და აქედან წარმოსდგა ფარსადანის წოდებულება—გიორგიჯანიძე. ყოველს შემთხვევაში ყოველ ამ ცნობების მიხედვით საკმაოდ ცხადი ხდება, რომ ფარსადანი უნდა ყოფილიყო გორელი ვაჭრის ოჯახიდან.

ფარსადანს შემდეგ რჯულიც გამოუცვლია. ისკანდერ მუნში, გადმოგვცემს ცნობას მისი გამაჰმადიანების შესახებ. რუსტემ ხანს (როსტომ მეფეს), როგორც ისპაჰანის ტარულას (მოურავის), ამბობს ისკანდერ მუნში,—თავის წარმომადგენლად (ისპაჰანში) ყავდა ვინმე მირ-ქასემი. ყაენი მირ-ქასემით უქმეყოფილო გახდა და ის გადაყენებულ იქმნა ადგილიდან. რუსტემ ხანს დავეჯალა თავის ადგილას სხვა პირი გამოეგზავნა. ქართლის მმართველმა (როსტომმა) დანიშნა ქართველი ფარსადან-ბეგი და მისი (კანდიტატურა) წამოაყენა. მაგრამ ყაენმა ამაზე განაცხადა, რომ (ეს კანდიდატი) სამართლიანობის მის შეგნებას სრულებით არ შეეფერება და არც არის დასაშვები, რომ ურწმუნოს მიეცეს უპირატესობა მართლმორწმუნეებთან შედარებით და ამიტომ რუსტემ-ხანის უშამდგომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაქმეყოფილებულ იქმნას, უკეთუ ფარსადან-ბეგი ისლამს მიიღებსო. ფარსადანი დასთანხმდა ამ მოთხოვნილებას და შეუდგა თანამდებობის ასრულებას. მაგრამ მალე ისპაჰანის მცხოვრებთაგან მასზე იმდენი საჩივარი შემოვიდა, რომ შაჰმა ის გადააყენა და რუსტემ-ხანს ბრძანება გაუგზავნა ამ თანამდებობაზე სხვა დაესახელებინა“²),

¹) Brosset, Hist. de la Gé. II, 1 livr., p. 513. ჯამი-აბასის გადათარგმნა ფარსადანს განუზრახავს როსტომ მეფის ბრძანებით. ისპაჰანის მოურავად დანიშნისას (1653 წ.) ყაენს ფარსადანისთვის ბოქალთუბუცესობა მიუტია. შემდეგ (ალბად თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ) ფარსადანს 6 წელი დაუყვია არაბისტანში ქ. შუსტერს. თარგმნის დამთავრებისას ფარსადანი 40 წლ. იყო. მაშასადამე თარგმანი დას დაუმთავრებია 1666 წ. (ფარსად. დობადა 1626 წ.). ჯამი-აბასი ფარსადანს გადაუთარგმნია არაბულიდან. ეს ცნობები მოთავსებულია ჯამი-აბასის ხელნაწყო—ავტოგრაფში, რომელიც რუსეთის, აწ საკავშირო სამეც. აკად. კვლევების ბროსე, დასახელ. ადგილას).

²) B. Dorn, Beiträge sur Geschichte der Kauk. Länder und Völker aus morgenl. Quellen, Mémoires de l'Ac. Imp. des Scienc. VI sér., 431.

ეს ამბავი ფარსადანს სხვა დეტალებით აქვს გადმოცემული. თავისს გამაჰმადიანებაზე ის არაფერს ლაპარაკობს, მასზე მომჩივართათვის (ზოგისთვის ყოველს შემთხვევაში) შაჰს თვალები დაუთხრევენებია, ხოლო ფარსადანისათვის (ალბად ისპაჰანის მოურაობიდან გადაყენების გამო) ეშიკალასობა უბოძებია (ქვემოთ, გვ. 59) ფარსადანის გაგზავნა ისპაჰანის მოურავის თანამდებობაზე მომხდარა 1656 წ., მისი გამაჰმადიანებაც მაშასადამე ამ წელს მოხდებოდა. რადგანაც ფარსადანი 1626 წელს ყოფილა დაბადებული¹⁾, ამიტომ ისპაჰანის მოურავად დანიშნის დრო²⁾ ის 30 წლის იქნებოდა. ასეთი ახალგაზრდა კაცისთვის და ისიც ქართველისთვის სპარსეთში ეს, ექვს გარეშეა, დიდ კარიერად უნდა ჩათვლილიყო.

საზოგადოდ ფარსადანს, როგორც სჩანს, ახალგაზრდობაშივე საქმიანი სერიოზული და ჭკვიანი კაცის სახელის ჰქონდა მოპოებული, ფარსადანი თვით გადმოგვცემს, რომ როდესაც ოდიშის მთავარს ლევან დადიანს მოუყვდა მისი ვეზირი და მისივე მარჯვენა ხელი პაატა წულუკიძე, მან თავისი სიძეს როსტომ მეფეს მიმართა თხოვნით ფარსადანის მასთან გაგზავნის შესახებ ვეზირის თანამდებობაზე. ეს მომხდარა დაახლოებით ორი წლის წინად ისპაჰანის მოურავად ფარსადანის დანიშნამდის, დაახლ. მაშასადამე 1654 წელს. ამ დროს 28 წლის ფარსადანი იმდენად სახელმძღვანელო პიროვნება ყოფილა, რომ სამეგრელოს მთავარი ოდიშის ვეზირად მისი დანიშნებას თხოულობდა. მაგრამ ფარსადანი სპარსული ორიენტაციის კაცი იყო, მიყრუებულ სამეგრელოში თუნდაც პირველ ადგილზე. ყოფნა არაფრად ეპიტნავენებოდა და ზაალ არაგვის ერისთავს შეხვედროდა, — მომიხერხეთ ამ წინადადებისაგან განთავისუფლება, თორემ ჩემის ხელით თავს მოვიკლავო (ქვემოთ, გვ. 90).

საზოგადოდ სპარსული მიდრეკილება ფარსადანისა კარგად გამოსკვივის მის მიერ დაწერილ ისტორიის ფურცლებიდანაც. ეს მიდრეკილება იყო არა მარტო პოლიტიკური ხასიათის, არამედ კულტურულიც. ხანგრძლივად სპარსეთში ყოფნამ მას ყოველი მხრივ დალი დააჩნია და თუ ახალგაზრდობაში მას როსტომ მეფის კარის წრეებში მელექსედაც კი სთვლიდნენ (შეად. ქვემოთ გვ. 20) — როგორც სჩანს, კარის მელექსესაგან ამ დროს მელექსობის დიდ ნიქს არ მოითხოვდნენ — შემდეგ ის საკმაოდ შორდება მწერლობითი ქართულ ენას, იმდენად რომ თავისთავადაც ლიტერატურული ენის სუსტი მცოდნე და ქართულ მწერლობაში, როგორც სჩანს, სუსტად ნაკითხი, თავისი სიცოცხლის ბოლოს, როდესაც ის ისტორიის დაწერას შეუდგება, სწერს სპარსიზმებით გააზივირებული პირდაპირ ქართულ ხალხურ კილოზე. მისი ნაკითხაობა თვით ქართულ საისტორიო მწერლობაში იმდენად სუსტია, რომ მან, შეიძლება ითქვას, თითქმის არაფერი იცის საქართველოს ისტორიის შესახებ გარდა მირიან მეფის და ვახტანგ გორგასლის სახელებისა ვიდრე მე-12 საუკუნემდის. მართალია ფარსადანი თავის ისტორიას უფრო სპარსეთში სწერდა და იქ მას, როგორც სჩანს, ხელთ არ ჰქონია ქართლის-ცხოვრების სრული ტექსტი, მაგრამ მაინც ქართულ საისტორიო მწერლობაში მისი ნაკითხაობის სისუსტე ცხადი ხდება. საზოგადოდ ფარსადანი როგორც მოღვაწე, თავისი სპარსული კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციით, ქართული ენის ნაკლებ-კარგად ცოდნით და სპარსულში საკმაოდ კარგად გააფთვით, ფარსადანი გამაჰმადიანებული, ფარსადანი

¹⁾ „ჯამი-აბასის“ გადაწერა ფარსადანს, როგორც მის მიერვე იქვე მიცემულ ცნობიდან სჩანს, დაუმთავრებია 379 ჯორნიკონს (=1691 წ.), როდესაც ის 66 წლისა ყოფილა. ამისდა (შეივდგით ფარსადანის დაბადების თარიღად მოდის 1626 წ. (Brosset, Hist. de la Gé. I, 518

სპარსეთის სამსახურში დიდად დაწინაურებული და შაჰის სამსახურის უმაღლეს საფეხურამდის აღწეული წარმოადგენს ფრიად საინტერესო პიროვნებას მე-17 ს-ნის ქართლის ცხოვრების ქარგაზე თვით ამ ქარგის არსებითად დასახსიათებლად.

როგორც თავისი დროის შვილს და სპარსეთის პარობებში მოქმედ პიროვნებას, ფარსადანს შემუშავებული ჰქონდა მოქმედების თავისი საკუთარა ხაზი, ერთგვარი ტაქტიკა, ფრიად მოქნილი, და თავისებური მორალური შეხედულება ადამიანის პირად და საზოგადო ცხოვრებაზე, რაც თავისი ნაშანდობლივი თვისებით ფრიად დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს მისი დროისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა მისივე შვილის დავითისადმი მიმართული მისი „ქუქის სწავლება“, რომელიც ქვემოთ (გვ. 107—108) დანართად იბეჭდება.

თავისი ისტორია ფარსადან გიორგიჯანიძეს უწერია საქმოდ ხანგრძლივად და დროგამოშვებით. თემურლენგის შემოსევათა ამბავი, რომელიც ავტორს ჩართული აქვს მე-16 ს-ნის ამბების შესახებ თხრობაში (მაშასადამე ისტორიის ორიგინალურ ნაწილის დასაწყისში), დაწერილი ყოფილა 377 ქორონიკონს (ქვემოთ გვ. 106), მაშასადამე 1659 წელს. თვით ისტორიის დაწყება მაშასადამე ამ წელზე უფრო ადრინდელ ხანას უნდა მიეწეროს, მაგრამ როდის, ჯერჯერობით არ სჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ ფარსადანი საერთოდ ნელა მუშაობდა, ალბათ მოუცლევლობის გამო, რადგან ამ ხანებში ის სპარსეთში ცხოვრობდა და იქ სამსახურში ითვლებოდა. თუ როდის დაამთავრა ფარსადანმა თავისი შრომა, ამის შესახებ ცნობა ავტორს დაჩვენილი აქვს თავისი ნაწარმოების ბოლოში. „ფარსადან ვიტყვი ამასა, ამბობს ის, ვიმოწმებ ღმერთსა მართალსა, ათის წლისას სამოცდაათწლამდისინ რაც გარდამხდომია და ან ღირსა წიგნთა შიგან დასაწერათ, მართალი ეს არის“ (ქვემოთ გვ. 89). რადგანაც ფარსადანი (ზემოთ გვ. X), დაიბადა 1626 წ., ამიტომ ცხადია, რომ ფარსადანს თავისი ისტორია მისივე თქმით (1626+70=) 1696 წლამდის მოუყვანია. თავისი შრომის ბოლოშივე ფარი ადანი კიდევ ამბობს, რომ როდესაც მას ჟარი უთქვამს ოდიშის მთავრის ლევან დიდიანის ვეზირად დამდგარიყო, ის გილანს გაისტუმრეს და შემდეგ სპარსეთის სატახტო ქალაქის ისპაჰანის მოურავათ დანიშნეს. „ისპაჰანის სამოვრავოთ გამაგზავნეს და ის ახბიები რა იქნა და როგო მოხდა, ზემორე სწერია და მას უკან ორმოცს წელიწადს შაჰ აბას და მის შვილს შაჰ სულემანს ვემსახურე“ (ქვემოთ, გვ. 90). ფარსადანის დანიშვნა ისპაჰანის მოურავად მოხდა 1656 წელს (გვ. 59). აქაც მაშასადამე ფარსადანის შრომის დამთავრების თარიღად გამოდის (1656+40=) 1696 წელი. მე-16 ს-ის მეორე ნახევრის და მე-17 ს-ნის ამბების შესახებ თხრობა ფარსადანს ამგვარად 1689—1696 წლებში დაუწერია. უმცლარი არ იქნება ამიტომ თუ მივიღებთ, რომ მთელი თავისი შრომა ფარსადანს (იგულისხმება მთელი ისტორია თავიდან დაწყებული) შესრულებული უნდა ჰქონდეს დაახლ. 1685—1696 წლებში.

ფარსადანის შრომას, როგორც სჩანს, მაშინვე არ მოუპოვებია პოპულიარობა საქართველოში (ქართლ-კახეთში). ეს სჩანს იქიდან, რომ ვახტანგ ქართლის გამგებელის ვერედ წოდებულ სწავლულთა კომისია ამ შრომას არ იცნობდა. ეს კომისია ქართლის-ცხოვრების გავრძელების შედგენისას არა თუ არ სარგებლობს ფარსადანის მდიდარი მასალებით შესახებ მე-16—17 ს-ნისა, არამედ თემურლენგის შემოსევათა თხრობის შედგენის დროს იმავე შერიფ-უდდინ ალი-იხვანის ნაწარმოებზე დამყარებით იძულებულია თითონ გადმოიღოს სათანა-

ლო ცნობები სპარსულიდან. კომისია თავისი შრომის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ რედაქციაში თითონვე ადასტურებს თემურლენგის შემოსევათა შესახებ თბრობის გადმოღებას სპარსულ წყაროდან (უნდა ვიგულოსხმით შერიფ-ედდინ ალ-იხზი). ჰქმნა მრავალი საქმენი ღიდაღნი ლანგთემურ, რომლისა ცხოვრება მისი ვრცლად წერილ არს ცხოვრებასა შინა სპარსთასა, ხოლო ჩვენ აღესწერეთ ყოველივე მოსულა მისი ქართლად¹⁾. ის გარემოება, რომ კომისია დამოუკიდებელივ სარგებლობს თუნდაც ამ ნაწილში სპარსული წყაროთი, ამტკიცებს, რომ კომისიას ხელთ არ ჰქონდა ფარსადანის შრომა, რაც მტკიცდება ინი-თაც, რომ კომისია არ სარგებლობს ფარსადანის შრომით მე-16—17 ს-ნის ამბებშიც²⁾. დასახელებული სპარსული წყაროთი კომისიის მიერ დამოუკი-დებელივ ფარსადანისაგან სარგებლობით აიხსნება, სხვათა შორის, ზოგიერთი სხვაობა საკუთარ სახელებში. შიგ., ბირთვისის ციხისთავად კომისიის დასახე-ლებული ყავს ნაზალი³⁾, ხოლო ფარსადანს, რომელიც ციხის სახელს არ იხ-სენიებს, თარა (ქვემოთ, გვ. 100). ეს სახელების სხვაობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ სპარსულ დამწერლობის ნიადაგზე ანბანის დამახასიათებელ პუნქტი-რების არევით (تر, ترز).

ქართლის-ცხოვრების გაგრძელების საბოლოოდ შემდგენელი⁴⁾, რომელიც, ამ ნაწილში, გარდა სპარსულიდან გადმოღებულ მასალისა, სარგებლობდა სომხური წყაროთი და ქართული მასალითაც. ეს ქართული მასალა არის „ძეგლი ერისთავთა“. სომხური მასალით სარგებლობა (ეს მასალა რამოდენადმე უნდა იყოს თომა მეწობლის ისტორიული შრომა) დასახელებულია თვით ტექსტში⁵⁾, ხოლო სპარსული მასალით გაგრძელების ავტორი შესაძლებელია სარგებლობდა არა უშუალოდ, არამედ უკვე ვახტანგის კომისიის მიერ გადმოკეთებულ თბრობის მიხედვით. ამ საკითხებზე ჩვენ ამ ეამად აქ ადგილის უქონლობის გამო არ ვერდებოდით. ეს საკითხები ვრცლად განხილულია ამ თორ-მეტრიოდე წლის წინად დამზადებულს ერთს ჩვენ შრომაში, რომელიც ჯერ დაბე-ჭდილი არ არის, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენის აზრით ვგრ. წოდებული ქ.-ცბის გაგრძელება (მ. ბროსეს და დ. ჩუბინაშვი. გამ., ქ. ცხ. I, 457—472; II, 252—306, ე. თაყაიშვი. გამ., მარ. ვარ., 850—972) შედგენილია არა ვახ-ტანგ-ქართლის გამგებელის და შემდეგ მეფის—დროს, არამედ მისი რუსეთში გადასვლის შემდეგ, შედგენილია ადგილობრივ, ქართლში, მე-1730 წლების ახლოს, ისე რომ ეს შრომა უცნობი დარჩა ვახუშტი ბატონიშვილისთვის. და რომ ვახუშტი ამ შრომას არ იცნობს, ეს ცხადი ხდება მისი ისტორიის სათანადო ნაწილების შედარებით ქ. ცბის გაგრძელებასთან⁶⁾.

¹⁾ ნაშრომი, მ. ჯანაშვილის ტფ. 1907 წ., 85. აქვეა (გვ. 16—34) მოთავსებული შერიფ-ედდინ ალი-იხზის ცნობებზე აგებული თბრობა თემურ-ლენგის შემოსევათა შესახებ ვახტანგის კომისიის მიერ შედგენილი.

²⁾ შეად. ტექსტი, ნაშრომი, მ. ჯანაშვი. ტფ. 1907 წ., 48—54.

³⁾ ნაშრომი მ. ჯანაშვილისა, ტფ. 1907, გვ. 81.

⁴⁾ ქ. ცბის გაგრძელება, დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის მიერ (ქ. ცბ. II, 259—306) შეად. ე. თაყაიშვილის გამ. მარ. ვარ., მწს—897.

⁵⁾ „ვრცლად ცხოვრება მისი (ლანგ-თემურისა) წიგნთა შინა სპარსთასა განმარტებით. წერილ არს და სომეხთაგა სხვებრ რადმე აღუწერიათ“ (ქ. ცხ. I, 452; მარ. ვარ. 856).

⁶⁾ ვახტანგის კომისიის შედგენილი ჰქონდა როგორც თემურ-ლენგის შემოსევათა შესახებ თბრობა, ისე აგრეთვე მე-15—17 ს-ნის ისტორია. მე-15 ს-ნის მეორე ნახევარის ბაგრატი და კოსტანტინეს მეფობის შესახებ თბრობა ამ შრომაში შეტანილი იყო მზამზარეულად უფრო ძველი ნაშრომიდან (შეად. ტექსტები, ნაშრომი მ. ჯანაშვი. გვ. 36—44, ე. თაყაიშვი. (Истор. публ. отст. прим. II, 126—123) თბრობა მე-16—17 ს-ნის შესახებ დაწერილი იყო დაიკრულივლივ, განსაკუთრებით როსტომ მეფის შემდეგ დროინდელი თბრობა (1658 წლიდან) შედგენილი ყოფილა „თვით თვალთა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან“ დამოწმებით (ნაშრ. მ. ჯანაშვი. 18; ОИИ. р. 1, 121). მე-16—17 ს-ნის ისტორიული თბრობის ეს პირვანდელი რედაქცია მოწვენილია მხოლოდ მცირე ნაწყვეტებად. როგორც ვახუშტი, ისე მე-1730 წლების ახლოს ქ.-ცბის გაგრძელების ავტორი სარგებლობდნენ ვახტანგის კომისიის შრომით, როგორც კრიტიკულად ეპყრობოდა კომისიის ნაშრომს, ავსებდა მას ახალი ცნობებით და კომისიის ნაშრომის მასალასაც თავისი კონკრეტით გარდა-თქვამდა (კრძოდ ეს მტკიცება ლანგ-თემურის შემოსევათა შესახებ თბრობასაც). ვახუშტიც აგრეთვე კრიტიკულად ეპყრობოდა კომისიის მასალებს, როდესაც მათი გამოყენებას ცდი-ლობდა.

სამაგიეროდ ფარსადანის ისტორიით ცხადად სარგებლობდა ცხოვრება და საქართველომას-ს (ეგრ. წოდ. პარიზის ქრონიკის) ავტორი, რომელიც მე-18 ს-ნის დასაწყისში სწერდა. ეს ცხადად სჩანს მე-ს-ნის ამბების შესახებ თხრობაში სათანადო ტექსტების შედარე ისაიან. აღს.ნიშნავია ამასთანავე, რომ „ცხოვრება და საქართ“-ის ავტორი სარგებლობდა ფარსადანის უკვე დღევანდელ ხელნაწერით, დაახლოებით იმავე ნაკლულევან ადგილებით, როგორც ეს ქვემოთ ჩვენს ტექსტში აღნიშნული. მაგ., თხრობა თეიმურაზ კახატონის და როსტომ მეფის ერთმანეთთან აშლის შესახებ „ცნ. საქ“-ს ავტორს ამოღებული აქვს ფარსადანის შრომიდან, მაგრამ რადგან აქ ფარსადანის ზრახვა უკვე ნაკლულევანად ყოფილა წარმოდგენილი, ამიტომ ნაკლი მის მიერ შევსებული იქნა როსტომ მეფის მცხეთის ტაძრისადმი მიკემულ 1648 წლის სიგელის ციხედვით (ქვემოთ, გვ. 47). მეორე ადგილს კიდევ როსტომ მეფის მეფობის უცანასკნელ ეპიზოდის და როსტომის სიკვდილის შესახებ „ცნ. საქ“-სათვის ავსებს ნაკლულევან ადგილს: ფარსადანის ტექსტი აქაც მის დროსვე ნაკლულევანი ყოფილა (ქვ., გვ. 61). ანალოგიურს შემთხვევას ვხვდებით ადგილასაც (ქვ., გვ. 72—73).

ჩვენს ძირითად ხელნაწერში ტექსტის ნაკლულევანი ადგილები აღნიშნულია სამჯერ (ქვემოთ, გვ. 77, 78, 87). ერთს ადგილას თვით ხელნაწერში დღევანდელი არ სჩანს, მაგრამ ტექსტს ცხადად ეტყობა ნაკლულევანება (გვ. 65). ეს გარეობა იმისი მ ჩვენებელიც უნდა იყოს, რომ ხელნაწერი არ წარმოადგენს ფარსადანის შრომის პირველ დედანა, თუნდც რომ ის ფარსადანის ხელმძღვანელობით იყოს შესრულებული ან თვით მის მიერვე გადაწერილი.

გარდა ისტორიისა ფარსადანის შრომათაგან ცნობილია შემოთ(გვ. X) მოხსენებული „ჯამი-აბასი“, რომელიც ფარსადანს გადაუთარგმნია არაბულიდან. ათათურათ ფარსადანი მას ეპახის „მესურმანთ სარჯულო წიგნს“¹⁾. ფარსადანსაც ეკუთვნის ქართულ-არაბულ-სპარსული მოკლე ლექსიკონი, დაბეჭდილი მ. ჯანაშვილის მიერ²⁾. მისივე შედგენილია მოკლე „ანბანი ოსპან ჯუფის ნათესავისა“, რომელშიც მოყვანილია მოკლე ცნობები ოსმალეთის სულთანების შესახებ.

ფარსადანის ისტორიის ტექსტი იბეჭდება უცვლელად მართლწერის დაცვით, რადგან თვით ეს მართლწერაც ფარსადანის, როგორც მწერლის თვის, ფრიად დამახასიათებელია. ავტორს ახასიათებს, სხვათა შორის, ხმოვან ასოების გამოტოვება უფრო საკუთარ სახელებში, რაც სპარსულის გავლენას უნდა მიეწეროს. ზოგჯერ ნაკლულევანი ასოები ფრჩხილებშია აღდგენილი.

ავტორს განსაკუთრებით ახასიათებს ხ-ს და კ-ს ხმარების აღრეკა, რაც რამოდენადმე საერთოდ დამახასიათებელია მე-17 ს-ნისთვის. ჩვენ ავტორის მართლწერა აქაც უცვლელად დავტოვეთ.

ხელნაწერში ზოგჯერ გვხვდება დამწერლობითი ხასიათის შეცდომები, რომელიც ჩვენ შენიშვნაში ხვეულკან არ აღგვინიშნავს. მაგ., ჩენი გამოცემის გვ. 36, სტრ. 40 საიმოდო (საინოდო-ს მაიერ); გვ. 37, სტრ. 9 გარდვიდნეს (გარდვიდნეს); გვ. 39, სტრ. 5 ქნილობა (ქილობა) და სხვა.

¹⁾ Brosset Hist. de la Gé. I livr. p. 518; მ. ჯანაშვილი, ფარს. გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, 79.

²⁾ ფარს. გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, 29—68.

³⁾ მ. ჯანაშ., ფარს. გორგ. და მისნი შრ., 72—78. უკანასკნელად აქ მოხსენებულია სულთან სულეიმან II-ის (1687-1691) ტახტზე ასედა 1089 წ. ჰიჯრისას (უნდა იყოს 1094 წ.). ეს ნაწარმი ამიტომ შესრულებული უნდა იყოს 1687-1691 წლებში.

ქ. საკვლითა და შეწეწებითა მღთისათა ერანის კემწიფების ანბავი ის-
მინეთ. ზოგი წინგნებში წაწითხულია და ზოგი ნახულია, ზოგი გაგონილია, შეგ-
რობებულია და ისპანში დაწერილია და ამის წერაში შ(ა)ხ¹⁾ სეფის ნათესაგ-
თაგან რვას კემწიფობა უქნია. უწინ შაჰ ისმეილ, მეორე მისი შვილი შაჰ თა-
მაზ, მესამე ამისი შვილი შაჰ ისმეილ, მეოთხე ამისი შვილი შაჰ ხუდაბანდა, მეხუთე
ამისი შვილი შაჰ აბაზ, მეექვსე ამისი შვილი შაჰ სეფი, მეშვიდე ამისი შვილი შაჰ
აბას, მერვე ამისი შვილი შაჰ სულეიმან ამის წერაში კემწიფობდა, მაგრა კარგად
ყური მოუგდევით რომ ყოვლს კაცს მართებს წესაზედ გაფრთხილება. უფროსი ერ-
თის კემწიფობა თავის ყმათ წაურთმევეია. მაშ ბატონმან ყმა ასრე უნდა არ
გაძირიელოს რომ პატრონის წახდენა შეეძლოს. აბა თუ ბატონი დიჩაგრა, ყმა
გაძირელდების და ბატონობას მოინდომებს და ადვილათაც წართავს, ამისთვის
რომ ზოგნი მეყვისნი და მოყვარენი ეყოლებს და ზოგს კარგს ყმობაში თვითან
მოიმადლებს და მოიყენებს. ზოგნი შემწურნობის ჯავრითა კემწიფესზედ აე-
გულნი შეიქნებიან, მიუვლენ და კიდევ ასრე იქნება ვითაც თავრიზს იქნა ჯან-
შა კემწიფის საქმე და თავისის ყმის უზუნ ჰასანისა. ინდოეთით იელუსალემამ-
დის ჯანშა კემწიფობდა. თვითან თავრიზს იჯდა. გრძელი ჰასანბეგ რომ უზუნ
ჰასანს ეძახიან ჯანშას ყმა იყო და მისად შეუკითხავად არას იქმოდა, მიცემაც
იმის კელთ იყო და წართმევეცა. კემწიფის კარის უფროსნი და ნაპირის ბატო-
ნებნი ან მისნი ნათესავნი იყვნენ ან მისგან ნაშოვნი აქოდათ. ამის ჯავრით
ლაშქარი და ქვეყანანი კემწიფეს გაავებოდეს და დიარბეჭირის ბეგლარბეგობა
უზუნ ჰასანს მისცა და ბაღდადის ბატონობა მის ბიძაშვილსა და ჯანშა (sic)
თავრიზს იყო. ერანისა და თურქმანის უფროსთ ერთგან პირობა შეჰკრეს და
და ასრე თქვეს: მაშინც ჯანშამან კემწიფობა ჰასანბეგს დანებაო და ქვეყანაც
მისს კერძს კაცებს უქირავსო და მისს უნებურს არასა იქსო, ბარემ ყველანი
იმას ვებირნეთო და აქ თავრიზს საკემწიფოთ მოვიყვანოთო და რა დიარბეჭი-
რით აქეთ გამოდგესო, ჯანშას ვაცნოთო, ან ჯანშას ის მოჰკლავსო და ან უზუნ
ჰასანს ჯანშა მოაკვლევინებსო, ამაშიგ ერთსადა მოვრჩებითო. რა ერანელთა და
თურქმანთაგან ეს წინგნი ჰასანბეგს მიუვიდა, ისიც ბევრის სალაროთა და დიდის
ლაშქრით წამოვიდა და ეს ანბავი ჯანშას მოახსენეს. იმას კიდევ შემწურნობა
ეგონა და არ დაუჯერა, სიღამდისინ თავრიზს ახლო არ მოვიდა. რა მოვიდა,
ერთს დღეს ჯარს ველარსით შემ(ო)იყრიდა, ღონე გაუწყდა ჯანშასა, შამი ყა-
ზანის გზით ჰუზუნ ჰასან შემოვიდა თავრიზს. უჯანის გზით თავრიზიღამ ჯანშა
გაეცალა ცარიელი, სალარო და სიმდიდრე მისი თავრიზს დარჩა და ჯანშა
უჯანის მთაში ავიდა და უზუნ ჰასან(ს) აღარ დააცალა რომ ან წავიდეს საღმე და
ან ჯარი სითმე მოიშველოს. მეორეს (sic) ასან მიუხდა, არც ჯარი ახლდა რომ
შემოჰბმობდა და არც წასასვლელი გსა (sic) ჰქონდა რომ გაქცეოდა. დაიჭირა მისგან
ნამეტნავად გაკეთებულმან ყმამან უზუნ ჰასან თავისი გამკეთებელი ბატონი და
მოკლა, მისი ცოლი შვირთო და ნაპირის ბატონები ამისგან დასხმულნი იყვნეს
და კარისკაცნი ზოგნი მოყვარენი იყვნენ და ზოგნი ჯავრით ებირნენ. უომრათ

¹⁾ დედანში სწერია: შ

და გაურჯელად ერანსშიც გაკემწიფდა. სხვაც მრავალი ქნილა ამ რიგი საქმეები მეტადრე უფროსი ერთი ყმათაგან. გადიდებას უკან პატრონისათვის წაურთმე-
ვია და კიდევ მოუკლავს, ვითაც ლანგთემურს რომ თავის კემწიფე შაჰამი-
რან ბატონი მოკლა და თვითან გაკემწიფდა და ასრევე უზუნ ჰასანს დაემართა.
ამანც თავისი ქალი თავის ყმას შხსეფის ნათესავს სულთან ჰაიდრს მისცა და
დიდი პატივნი მი(ა)პყრა, ასრე რომე ვითაც კემწიფეს ისრევე სიძეს უჯერებ-
დეს და სიძე კევიანი კაცი იყო და რა ცოცხალ იყო, ყოვლის კაცის მოკმარე-
ბასა და მომადრიელებას უკან იყო, თვითან მიიცვალა და კემწიფის ქალთან
ორი ვაჟი დარჩა, შაჰ ისმეილ და ძმა მისი.

აქა უზუნ ჰასანს მიიცვალა და შვილი გაუკემწიფდა. ცოტას რასმესა
ხანში უზუნ ჰასანის შვილმან ქნა კემწიფობა და ისიც მიიცვალა და იმასაც
ერთი შვილი დარჩა, საკელათ ერქვა ალვანდ და ერთი ძმისწული ჰყვანდა,
იმას მურად ერქვა. კემწიფობასზედ შეიცილნეს მეფენი და თავნი კაცნი.
ზოგნი ამას მოუდგნენ, ზოგნი იმას, იმათი შერიგება ქნეს, ასრე რომ ყაზ-
მინს იქითი გილანით ბლდადს იქითი ალვანდს მისცეს და ჰამადანსა და
ყაზმინს აქეთი, არაყი და ფარსი და ქირმანი კორასანამდისინ მურადს მის-
ცეს. ამათის გაყრის საქმით მამიდას შვილებიც შემოეცილნეს. მამა პაპათ მო-
მადლებულნი კაცები შემოიყარხეს და ქვეყნის დაქირვა გაბედეს. ეს ანბავი თავ-
რიზს ალვად კემწიფეს მოახსენეს, ჯარი გაუძახეს და შაჰ ისმეილს ძმა მოუკ-
ლეს. თვითან გილანს გარდებევწა და ლაიჯნის ბატონმან დამლა და კემწი-
ფემ კაცი გაუგზავნა და ძალსზედ შაჰ ისმეილ სთხოვა ლაიჯნის ბატონსა. იმათ
ზაბილში ჩასვეს და ხილამ ჩამოჰკიდეს და კემწიფის გამოგზავნილს
ყმას ასრე შეჰძვიცის, რომ ჩვენს მიწაში არ არისო და სამს წლამდისინ დამალ-
ვით ინახვიდეს. ამასობაში ალვად კემწიფე და მურად კემწიფე ბიძასშვილე-
ბი გარდიკიდნეს და ნაპირის ბატონებიც უკუდგნეს, თემი და ქვეყანან(ი) აირვა
გილანის ბატონების მოკმარებით შაჰ ისმეილ ცოტა რაზე ლაშქარი შეეყარა,
უწინ რაშტს მივიდა, დაიქირა, გასკრის ბატონი და ასტარის ბატონი მურად
სულთან თალიშის ლაშქრითა თავიანთ ნებით მოუვიდნეს და ასტარით შირვას-
ზედ წაუძღვეს და ადვილად ბაქუს¹⁾ ციხე აიღეს და შ(ი)რვან შამახია დაიქირეს,
იქილამ ყარაბაღში გამოვიდნეს და იჭაურნი თავადნი და ლაშქრის პატრონნი
უომრათ მოუვიდნეს. იქილამ ნახჩვანს მივიდა და იჭაური ლაშქარიც თან წაი-
ტანა, წავიდა თავრიზსზე და ეს ანბავი ალვად კემწიფეს მოახსენეს და იმანც
ლაშქარი (sic) და თავრიზით გადგა წინ მისაგებლად საომრად. შაჰ ისმე(ი)ლ
აჩქარდა, არამც ქურთის ლაშქარი შემოეყაროსო და საქმე გაგვიქირდესო.
ჯულფის ბოლოს არაზში ფონათ გავიდა და მესამეს დღეს იანგედუგს მივიდა.
ალვანდ კემწიფე სოფიანს იდგა და ქურთის ლაშქარს ელოდა და ჯერ არ მოსვ-
ლოდა და აღარ დაცალა, შაჰ ისმეილ მიუხდა და

აქა უწინ ოში შაჰ ისმეილსა და ალვად კემწიფის გაქცევა ხოფანით.
რა შაჰ ისმეილი სოფიანს მიახლოვდა, ალვადშა თავისის ლაშქრით წინ გაეგება
და შეიქნა ომი და ძალზედ ცემა და ერთმანერთის კიდაობა და გაიმარჯვა შაჰ
ისმეილ და გაიქცა ალვანდ კემწიფე, ქურთისტნის გზით ურუმში წავიდა და
თავისი სალარო და მორკმა სიმდიდრე თავრიზს დარჩა და შაჰ ისმეილ შევიდა

¹⁾ დედანში: ბაქუს

თავრიზს და შხას დახვდა სალარო და საკემწიფო ყოვლი მორთულობა და გაურჯელად გაურიგდა და დაეპატრონა შაჰ ისმეილ და ალვანდ მივიდა ხონთ-ქარს თანა და ხონთქარმან თავისი ვეზირ აზამი დიდის ლაშქრით ალვანდს თან გამოატანეს და ბაღდადის გზით ჰამადანს მოვიდა. მურად კემწიფე ისპანიდა-მენ არაყისა და სპარსეთის ლაშქრით ჰამადანს მივიდა თავისის ბიძას შვილის ალვანდ კემწიფის მისაშველებლათ და ორნივე ბიძაშვილები და ურუმის ვეზირ აზამი დიდის ლაშქრით იღვნეს. შაჰ ისმე(ი)ლს მოახსენეს— შენზედ მოდიანო. თავ-რიზიღამ გამოდგა და ასრე თქვა: შარშან ის იყო კემწიფეო და ახლა თუ ქვეყანაში შემოუშვაო, ყველანი იმას მიუვლენო და ხოტქრის ვეზირ აზამი და ლაშქარი თან ახლავსო, ჩემი საქმე წახდებისო და იმათ იციანო, ჯერ მაგდენი შეძლება არა მაქვსო, რომ ორს კემწიფებსა და ურუმთ ვეზირს შევებო. ნებიერათ და უშიშრათ ყაზმინს მოვლენო, მე ამის მეტი ფიქრი არა მაქვსო, აქედამენ ილღარსა ვიქო, ნაცადთა და გამორჩეულის კაცთ თან წავასხამო და ჰამადანს თავს დავესხმიო. თუ გავიმარჯვეო, ისპაჰ(ან)ს ჩავალ და კემწიფეთ ვ(ე)კურთხებიო. თუ ვერ გავიმარჯვეო, შევაკვდებიო.

ილღარი შაჰ ისმეილისა თავრიზით, მერვეს დღეს ჰამადანს მისვლა მო-ულღინელის მტრისა. ურუმის ვეზირ აზამს მოახსენეს, მოულოდინელი რამე ლაშქარნი გამოჩნდაო. მანამდისინ ცხენს შესხდებოდეს, ფიცხლაჟა ომი შეიქნა და დაუშინეს ერთმანერთს და ორგნითვე ძალმიცემით იცემებოდნენ და ზოგმან ურუმის ლაშქ(ა)რმან ცხენს შეჯდომა ვერ დასწრეს და ვერც რაზმის დაწყობა დასწრეს და ვერც თოფხანა წაიშდვანეს და შაჰ ისმეილ და ლაშქარი მისი ვითაც მგელი ცხვართა შიგან გარეული, ისრევე ესენი გაერივნეს და გაიმარჯვეს და გაიქცა ვეზირ აზამი და ლაშქარი მათი და ალვანდ კემწიფე ისრევე ურუმ-ში წავიდა და მურად კემწიფე უანბვით დაიკარგა, რომ იმისი ღღევანდლამ-დისინ ვერა გაიგეს რა. შაჰისმეილ ჰამადანით ისპანს მივიდა და კემწიფეთ ეკურთხა და ყველგან თავის საკელზედ თეთრის დაღი გაგზავნა. ამ გამარჯ-ვებამ დაჭირვინა სპარსეთი, ქირმანი და არაბისტანი, ლორისტანი და ქურთის-ტანი, მაზანდარა, გილანი და ყოველი ქვეყანანი და მადგ(ან) ძღვენი და ბეგარა მოართვეს, ურჩნი და თავგამზიდაენი დახოცეს და მათი სალაროები თავისთვის დაიჭირა და თავის ერთგულთ დაუყო და გაკეთა და დამდიდრა. მრავალგვა-რად ეცადა და მრავალჯერ გაიმარჯვა და ბევრი ანბებები და მრავალი ომი და ცდა და საქმით საქმობა და ტკუით გაბედულობა და კელით გამამავლობა, ბევ-რი და გრძელი საქმე აქ მოკლეთ დავსწერე და თოთხმეტს წელიწადს იკემ-წიფთა და არდაველს მამა ჰაჰათ საფლავში მიასვენეს კემწიფურის წესითა.

აქა გაკემწიფდა შაჰ ისმეილის შვილი შაჰ თამაზ მამას უკან ქკას რ ფ. შაჰ ტამაზ ყაენის¹⁾ მისვლა ყარაბაღშია, ზოგის ბატონობის გამოცელა და ზოგს-ზე ბეგარა და კარჯა დადვა, თავის საკელსზედ თეთრი მოაქრვინა ქართველთ მესხთა და კახთა და შამახელთა, მაგრამე ქართველნი შირვანს ძალს ატანდეს და ყოველთვის არბეიდეს და შეძლების ღონით ხან ისინიკ შემოებ(მ)ოდეს და ქართველთაგან ყაენსთან ჩიოდეს და შაქისელთ აბრალბდეს ქართველთ მოკ-დომასა. შაჰ ტამაზ ყაენი შაქის ჩაუდგა, შაქელნი გაეცალნეს, ზოგნი ლეკში ჩა-ვიდნეს, ზოგნი კახეთში შეიხიზნეს და ბატონს ლევანს შეეხვეწნეს და შაქის

¹⁾ დედანში აქ მიმტებულია: ყაენის

უფროსნი თავნი ბატონები გელასან გორასანის ც(ი)ხეშიგ შევიდნეს და ციხე გა-
იმ(ა)გრეს. შაჰ ტამაზ ყაენი ციხეს შემოადგა და საქმე გაუქირდა ციხიანთა, ღონე
და მშველი არსით ყვანდა. შაქისის პატრონი ციხით გაეპარა, სხვებმან ციხე მოს-
ცეს და ბატონი ლევან მრავლის ძღვნითა და ბევრის ფეშქაშით შაქისს ყაენს
იახლა და კემწიფემ კარგის თვალით ნახა და დიდი პატივი მიაპყრო. იმანც
ყმობა და სამს(ა)ხური იყისრა და შაქელნიც ბატონს ლევანს აპატიო და შაქისის
თავგამზიდაენი, რომელიც კელში ჩაუვარდათ, მოკლეს და შაქისს სხვა ბატონი
და მცველი დაუყენა. ყაენი შაქისს (sic) იყო რომ ქაიხოსროვ ათაბაგი ყორყორეს
შვილი მესხთ ბატონი დიდის ძღვნით ყაენსთან მოვიდა და კემწიფეს იამა
და დფდი პატივნი სცა და ისიც ერთგულათ იმს(ა)ხურებოდა. მაგრამ ქართლის
ერისთავი და მეფე ლვარსაზ და იმერელთ მეფე ბაგრატ, მამია დადიანი ურ-
ჩობდეს და იწყინებოდეს, ნაპირის ალაგს არბევდეს ნაპირის ალაგსა, ნამეტნა-
ვად სამცხის ქვეყანას და გაიხოსროვ (sic) მათის კელისაგან ჩიოდეს და ყაენმან
ლაშქარი მიაშველა ქაიხოსროვ ათაბაგსა და იმერეთს ჩაუდგა. რიონს გაღმართი,
იმერეთი და ოდიში წახდინა და მრავალი ტყვე წაასხეს და ყაენს გაუგზავნეს.
ამაზედ ბაგრატ მეფემან და დადიანმან ყაენს ძღვენი მოართვეს და შემოებევწ-
ნეს. მაგრამ ლვარსაზ მეფე ქართლისა არც დაწყნარდა და არც ძღვენი მოარ-
თვა და განჯასა, ერეფ(ა)ნსა და შირვანს არბევდა და ნამეტნავად სამცხესა და
მისის კელით ყაენს საჩივარსა სწერდენ.

აქა შაჰ ტამაზ ყაენისაგან უწინ გალაშქრება ქართლის მეფეს ლვარსაზსზე-
და ქრონიკონს ახ ოთხმოცდა რვასა. შაჰ ტამაზ ყაენი ყარაბაღში მივიდა და
ლაშქრის სანი ნახა, ომნახულნი მამაცი და კელ გამამავ(ა)ლნი ვაჟკაცი დარჩივა,
თორმეტი ათასი ცხენკეთილი შეუტყობლათ მეფეს ლვარსაზს გაუძაბა ბნელსა
ლამეს, დანდობილს თბილის ქალაქს შიგ თავს დაეხსნეს და მეფე იქ არ დახვდა.
ქალაქს ცეცხლი მოუდევს და მრავალი სული დაკოცეს და ზოგნი თავიანთ
კოლშვილს ზედ ძალმიცემით და თავგამომეტებით იბრძოდეს. ზოგმან კოლშვილ-
ნი გარდახვეწეს და ზოგთ ციხეში შეასწარეს. თვითანც ბევრნი დაიხოცნეს,
ყიზილბაშოც მრავალი ამოსწყვიტეს. ამისთვის გამარჯვება ყიზილბაშთ დარჩა რომ
მეფე და ლაშქარი ზემო ქართლს იყვნეს და მოქალაქეთ ეს მოლოდინი არა ჰქონ-
დათ და მერმე ლამითაც დაეხსნეს და იძახდეს—ყაენი მოვიდაო. მოქალაქენი
ერთგან ველარ შეგროვდეს და ყველაკანი თავისას კოლშვილის მორჩენას ცდი-
ლობდეს. მაგრამ მამინც მრავალი დაატყვევეს. გულბად რომე მეფის ლვარსა-
ზისაგან დაყენებული ქალაქის ციხისთავი და მოვრავი იყო და ან სხვა ვინც
მორჩნენ, ქალაქის ციხეში შეიხვეწნეს და ყიზილბაშის ლაშქარნი ციხეს შემო-
ადგნეს. ვითაც ლაშქრის მოლოდინი არსით ჰქონდათ და ციხეში საქმელი და
ნუზლი არა ჰქონდათ და ვერც გარ ე)დამ შეუგზავნეს და შიმშილმან ნამეტნავად
ძალი უყო და არც მშველი გაუჩნდა, ღონე გაუწყდა და უვნებლობის ფიცი გა-
მოართვეს და ციხე მისცეს და მას აქეთ ქალაქის ციხე ქართველთ ველარ იშოვ-
ნეს და საბარათიანოს თავადნი და აზნაურ და თავნი კაცი ბირთვისის ციხე
გაიმაგრეს და საბარათიანო მამიგ შევიდნეს და გამაგრდნეს და ყაენის ლაშქა-
რნი გარს შემოადგნენ. ომითა და ძალით ის ციხე არ აიღებოდა. დაუწყეს მო-
ციქულობა. ზოგნი ციხის მცველნი ქადებით დაატყვევეს და შიგ მყოფნი გარ-
დიკიდნენ და ერთმანერთის ჯავრითა ბარათიანთ ციხე მოსცეს და მრავალს
წყალობას ელოდნენ და მაგიერათ ვინც არ გათათრდა, თავები დააყრვეინეს

და ცოლშვილი ტყვეთ წაუსხეს. მეფე ლვარსაბ ქვათახევეს ზეით მთაში იდგა და ყაენის ბრძანებით იქიცი ყიზილბაშნი მიუხდნეს და ვერა ქნეს რა და მრავალი ყიზილბაშნი დახოცა. იქილამენ საჯავახიანოს თავში მაგარს მთაში მივიდა. მრავალ გვართ ცდაში იყო ყაენი, რომ ლვარსაბ მეფე ან მოკლას, ან დაიჭიროს, ან შეირიგოს. არ იქნა და ყიზილბაშიც მეფეს უკან დევნით შეჯერდეს, ამისთვის რომ ცოტას შეებმოდა, ბევრს უკუეცლებოდა და გზებს შეუტყვევდა, ლამით თავს დაესხმოდა. ყაენი დაბრუნდა, თბილის ქალაქს შევიდა და ციხის თავი და მცველი გაუწინა, თვით ყარაბაღში მივიდა.

მეორეთ შაჰ თამაზ ყაენის მოხვლა საქართველოში. აღხაზ მირზა ყაენის შვილი შირვანში ბატონობდა და აკაკობდა, ამისთვის ყაენი უწყურებოდა. რა ყაენის წამოსვლა შეიტყო, თავისი დედა სახვეწარათ კემწიფეს წინ მიაგება. ყაენი შირვანს მივიდა, იქაური საქმეები გაარიგა და თავ გამზიდავნი ამოსწყვიტა. იქილამ იანვრისსიციევიშვიგ რომ მტკვარი ასრე გაეყინა, რომ ლაშქარი მაზედ გალიოდგამოდიოდა, ანისის გზით შორეკალს მივიდა, იქილამ სამცხეს მივიდა. კახეთის ბატონი ლევან და იმერეთის მეფე ბაგრატ ძღენითა და კარგის ფეშქაშით ყაენსთან მოვიდნენ. ის ლაშქრობა ერთგულათ იმს(ა)ხურეს. თოვლს საქართველო ასრე გაეკადა, რომ მთა და ბარი გასწორებული ჩნდა. იმ დროს ჯავახეთს თავს დაესხა. მრავალი სული დაატყვევეს, იქილამენ ქართლსზედ ჩაიარეს, საბარათიანოს გზითა იქიცი თარეში გაუშვეს, ალაგალაგ სახიზრები გასტეხეს და ბევრი ტყვე წაასხეს, მაგრა მრავალნი ყიზილბაშნი ამოსწყვიტეს. იქილამ ბარდას მივიდნენ და გზილამ მეფე ბაგრატ გაისტუმრეს იმერეთს და ოცდა ათის ათასის მარჩილის ხალათი და სხვა საჩუქარი მიართვეს თავადთა და აზნაურშვილთ გარდაის რომ იმათაც ხალათები და შეკაზმული ბედაური ცხენები უბოძა, კმლი და ქული. ახალციხ(ი)ს გზით იმერეთს გარდვიდა, მაგრა ბატონმან ლევან ცოტას ხანს კემწიფესთან დაჰყო. რა განჯას მივიდა, როგორც მეფე ბაგრატ, ისევე ბატონი ლევან. გაისტუმრა მრავლის საჩუქრითა, კმლით, გვირგვინითა, ბედაურის ცხენები მურასა ლავამ უნავიროთა, თვითან მასაცა და მისს თავად აზნაურებსაცა. ნაშოვრით საესენი კახეთს მივიდნენ. თვითან შაჰტამაზ კემწიფემ ბარდას იზამთრა თავისის ლაშქრით.

ქრონიკონსა ხლე მესამეთ შაჰ ტამაზ ყაენი საქართველოს წავიდა. უწინ შაქის მივიდა, დაიჭირა, იქაური ციხეები აილო, თავგამზიდავნი ამოსწყვიტა და შაქისს სხვა ბატონი უწინა. იქვე შაქისს იყო რომ ქაიხოსროვ ათაბაგს არზა მოეწერა და მეფის ლვარსაბისაგან ეჩივლა და ლორის ბატონების შერმაზანისა და ვახუშტისაგ(ა)ნ ეჩივლათ, რომე ზოგი რამე ჩემი ქვეყანებისაგან დაიჭირესო და ჩემს თემს არბევნო და აზრუმის ბეგლარბეგი სკანდარფაშა ჩემზედ წამოსრულაო და არტანუჯის ციხეს გარე შემოსდგომიაო. ვითაც ყაენის ერთგული და ნამსაკური იყო, კემწიფემ თვითან შაქისით ილლარი ქნა და დიდის ლაშქრით სამცხეს მივიდა. მესხთ თავადები, ქაიხოსროვ ყორყორეს შვილის ურჩნი და მეფის ლვარსაბის მიმდენი აიყარნეს და ციხეთა და ქვაბთა შიგან დაიხ(ი)ზნეს. ამებზე კემწიფემ ლაშქარი გაუძახა. ყველგან ქართველნი თავიანთ ხიზანს ზედან ძალ მიციემით და თავ გამომეტებით შემოებნენ და ზოგნი ციხეები აილეს და კაცნი დაიხოცნეს და ზოგნი ციხეები ვერ აილეს და მრავალი ყიზილბაშნი ამოსწყვიდენ. ის ქვეყანა დარბივეს და მრავალი ნაშორ (sic) ქნეს და ტყვენი

წასხეს და ზოგნი მესხთ თავადები ზარზმის¹⁾ ციხეში შევიდნენ და გამაგრეს. იმ ციხის შვაგულს ალაგს ერთის ქვისაგან ერთი სალდარი გამოჭრილი სიმაღლით იალბუზის მთას უდრიდა და სიმაგრით ცასა და იმაში შესრულიყვნენ. ყაენმან უბრძანა ზიადლოლის შავერდი სულთანს ნადრხან უსტაჯარლუსა, მრავლის ლაშქრითა ზარზმის¹⁾ ციხეს გაუძახა, გარშემოადგნენ. შიგნიდამ ქართველნი, გარედამ თათარნი ძალმიცემით იბძოდეს, მრავალი ყიზიბაშნი დახოცეს, მაგრა ციხეს ერთს კერძოს ყიზილბაშნი შეუვიდნენ. შიგნით ძრიელი ომი შეიქნა. ციხეს გარეთ მებრძოლთ ყიზილბაშთ საომარათ კაცი აღარ უჩინეს. ისინი ციხეში შეუვიდნენ და ქართველნი ცოლშვილ(ის) მორჩინას ცდილობდნენ. მაგრა ვერც ცოლშვილი მოარჩინეს და თვითანც დაიხოცნეს და ციხე აიღეს და კაცი დახოცეს და ცოლშვილნი ტყვეთ წაუსხეს. სალდარი რომ იმ ციხეში იყო, მღთისაგან გაკეთებულად გაჩენილიყო და ჰქვიანთ მისი ანაგებულობა ეძნელებოდა და არც საქონლის სიბევრით და არცა კემწიფის ძალით ის იმგვარათ არ აშენდებოდა. იმ ციხის შვაგულას ათი ადგი ქვა ოთხკუთხით მოგძე ერთის ქვისაგან გათლილი და შიგნით გარეთ ამისი კედელი ოქროთა და ლაჯვარდით სახენი კაცისა და ანგელოზისა დახატულნი. ამასთან მეორე სახლი იყო შიგ დახატული ტრაპეზით მოკაზმული. ერთი ოქროს ხატი კაცის სახითა აგებული იმ ტახტს ზედან აყუდებული მურასათ მოქედილი, მრავალი ძვირფასის (sic) თვალმარგალიტი მახედ მსხდომარე რომე ჯუჰაირ(ის) მცნეთ თითო ორმოცდათ თუმნათ დაფასეს. იმ საყდრის გვერდსზედან გზა იპოვეს კლდეს გამოჭრილი, ნამეტნავად ვიწრო და დაბალი. ასორმოცდაათს ადღს კლდეში მალაა შეიგლიდა, იქ სამალავი აქონდა, მას თავში ორი კოშკი აქონდა. გარედამ იმ სალდარს ორი ფოლადის კარი ება და ერთი ოქროსა კარი შიგნით ება. შაჰ ტამაზ ყაენი ციხეში ამოვიდა, ამისთვის რომ ამ სალდარისა მრავალი ქება მოახსენეს. რა ნახა ნაშენი და ნაქმრობა მისი, გაგონებულს უმეტესი იყო და სამალავით ოცი ბერი და მღრდელი გამოიყვანეს. ვითაც იმ ციხის აღებაში მრავალი ყიზბაში ამოსწყდა, მისთვის ის ბერები დახოცეს. იმ სალდარს საჩეკელი ეკიდა ჩამოსხმული, სამოცდაათი ლიტრა დამტვრივეს, ოქროსა და ფოლადის კარები ჩამოსხნეს და სხვა მურასა და ოქრო ვერცხლით მოკაზმულობა მურასა ხატები, კანდილები და სასანთლები, შესამსიგლნი, ილორი და ოფორები (sic), წინგნები და სას(ა)კმეველ და მოფენილობა. სხვაც მრავალი სალარონი გაზიდეს და ყაენის სალაროშიგან მიზიდეს. ციხეს საცა კაცთგან აშენებულობა აქონდა, დაქცივეს, თავადი შეილნი რომ მიმალულიყვნეს ამოან და შერმაზან და ავალი და ან სხვანი მოვიდნენ კემწიფეს წინაშენ, მიწას აკოცეს. ქახოსროვ ათაბაგს¹⁾ ყაენის მისვლით სკანდარფაშა გაეცალა. თავ გამზიდაენი და ურჩინი მისნი ამოსწყდნენ და თემი დაუმშვიდა. ყაენის კარს მოდგა და მრავალი ფეშქაში მოართვა და კემწიფემანც მრავალი დ(ა) სიდიდე და პატიენი და წყალობანი დამართა. შერმაზან აღჯუს რომ ლეარსაბს მეფეს ლორი ფანბაგის ბატონი იყვნენ შაჰ ტამაზ ყაენმან დაახოცინა, მათი ალაგი ლორი ფანბაგი და აღჯა ყალა ყორყორეს შეიღს ათაბაგ ქაინოსროვს მისცა ყაენმან, სამცხით ქართლსზედ ჩამოიარა და თარეში გაუშვა და ზოგი

¹⁾ უნდა იყოს: ვიძიას.

²⁾ დედანში: ათაბაგი.

ალაგი დარბივა. ლვარსაბ მეფის კერძი ვინც ნახა, მოკლა, იმათაც საცა მოიკელეს ყიზილბაში, მოკლეს და ყარაბაღში მოვიდნენ და კემწიფემ. ის ზამთარი იქ ეშლალი ქნეს და

მეოთხეთ შამ ტამაზ ყანის (sic) მოხვლა საქართველოზედან ქკ³ სლკ. შამ ტამაზ ყანემან მეფეს ლვარსაბზედ გამოილაშქრა, სულთან სულეიმან კონთქარსა შერიგდა და საქართველოს მეფებთ უნებურათ და შეუკითხავათ საქარველო გაიყვეს. ვითაც კონთქარი და ყანეი მაჰმ(ა)დის რჯულზედ იყვენენ, დიდრონი მრავალი ქვეყანან(ი) მამულათ აქონდათ და ორთავ მრავალი მეფენი ყმათა ჰყვანდათ და საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლათ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშნი მტერნი, ერთმანეთისა მარბეენი და მაწყინარნი და იესოს ქრისტეს რჯული ეჭირათ. ამისთვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაში (sic) და ამისთანას ორს დიდს კემწიფებს შვაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს კმალი და იქით და მრავალი ნაენებეც ქნეს, მაგრა არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნეს. კონთქარმან და ყანემან საქართველო შვა გაიყვეს. სამცხე და ქართლი და კახეთი ყანესა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა კონთქარსა. ამ გაყოფას სრულ საქართველო(ს) ბატონები დასჯერდეს. მაგრამ მეფე ლვარსაბ არ სჯერიყო და კიდევ თავილობდა, ამითვის უფრო ურჩობდა და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს. გარეშე ქვეყნის თავადნი მეფეზე ერთგულათ იყვენენ. ყანეი დიდის ლაშქრით მაზედ წამოვიდა. რა საბარათიანოში მოაწია, ქვეყანა აიყარა და სიმაგრებში დაიხიზნა და ყანემან სახიზრებზედ ლაშქარნი გაუძახა. საცა ყიზილბაში მიუხდა, ქართველნი შემოებნეს და ორგნითვე მრავალი დაიხოცეს. სახიზრები წართვეს და ცოლ შვილნი ტყვეთ (sic) წაუსხეს და მეფე ლვარსაბ სიმაგრეში იდგა და საბარათიანო ყანემან დაიჭირა და იქიდან ქართლს გარდვიდა, გორს დადგა. ქართველნი სიმაგრეებში დაიხიზნეს და ყანემან ყოველგან ციხებსა და სახიზრებსზედ ლაშქარი გაუძახა და რომელი ნებით ციხეს მოსცემდის, არას აწყენდიან, არც არას წართვემდიან. მაგრა რომელსაც ციხეს ძალათ აიღებდიან, თვითანც ამოსწყედებოდიან და მრავალს ყიზილბაშს ამოსწყევტდიან, ძალათ აღებულს ციხეში მყოფთ ტყვეთ წასხემდიან. წედისის ციხე ძალათ აიღეს და ვერის ციხე ნებით მოსცეს, ფარსადან ციხთან(ი) უვნებელად მოარჩინა.

ყანეის მოხვლა ატენის ციხესზედა. ლაშქარნი დაბალს დადგა და ციხე მაღალს კლდეს ზედ ნაგები იყო და გასაკვირვებელი სიმაგრე აქონდა და ქეთიქირით ნაშენები იყო და მეფის ლვარსაბ(ის) დედა მრავლის თავადებისა და აზნაურშვილების ჯალაბნი მასთან იყვენენ და გარედამ ლაშქარი შემოეხვივა და შიგნიდან ქართველნი. შეიქნა შულღი და ცემა და მრავალი ყიზილბაშინი ამოსწყვიტეს. ციხის აღება გაძნელდა, ამისთვის რომ არც სიბა მიიტანებოდა, არც შეეთკრებოდა და არც სითმე ზარბაზანი მიუდგებოდა. თათართ ერთი ატენელი კაცი დაიჭირეს, სიკვდილის შიშით იმან უთქრა: თუ არ მამკლავთო, ციხეს ავალბინებო. ამათაც ფიცი მიცეს უვნებლობისა. იმან ეს ანბავი მოახსენა, ქისა და აბაბრების (sic) წყალი დაეღიაო და ჩრდილოეთისაკენო მომცრო წყარო გამოსდისო და იმის¹⁾ წყლით რჩებიანო და იმას მისაპარავი გზა აქუსო, იმას გასწავლიო და ის უქუპირეთო და ღონე გაუწყედების, ციხეს მოაკეშენო.

¹⁾ დედანში: გამოსდისო და იმისს.

წინ წაუძღვა და იმ წყლის გზა ასწავლა და ყიზილბაშთ ის წყალიც უკუუბრუნა და ციხოვანთ მშველი აღარ გაუჩნდა, უწყლობამაც ძალი უყო და მრავალი ყიზილბაშნი და ქართველნი იმ ციხის აღებაში დაიხოცნეს და ციხე აიღეს. მეფის ლვარსაბის დედა დედოფალი და ოცდა ათი ათასი რყვე გამოასხეს. მეფე ლვარსაბ აჩაბეთის სიმაგრეში იდგა, ყაენი გორიდან იყარა და ყარაბაღისაკენ წავიდა. მეფე ლვარსაბ უკან აედევნა და მოეიწია (sic). ვისაც მორევას შეატყობდა, დახოცდა და იმათს ქონებას ქართველთ ლაშქარს დაუყოფდა და ვისიც მორევნა არ შეძლო, არ გამოუჩინებოდა.

ხანსა და დროს უკან კიდევ ყიზილბაშის ლაშქარი მოუხდა და მეფემ ლვარსაბ სიზმარი ნახა. ლვარსაბ მეფე მამაცობაზედ ნაქებია ყოვლს საქართველოს მეფეთა და თავადთ ზედან ძველით ახალგაზღვრისინ. თავით კარგი სარდარი იყო და მერმე გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმველ მკმეველი, სამართლიანი, ყმა მორჩილი, ცხენოსან ცეროსანი, ომში კობტა და უშიშარი, მაგარი ქრისტიანი(ე). ურუმთა და ყიზილბაშთ ნამეტნავად მისგან ეშინოდათ. მეზობელნი ვითაც ყმანი ემსახურებოდენ და თვითან სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა. ამისის ჯავრით ხუთჯერ შაჰტამაზ ყაენმან იმაზედ ილ(ა)შქრა და ვერას საქმითა ვერც მოამშვიდა და ვერც მოკლა და ვერც დაიჭირა და ვერც შეიხვეწია, ამისთვის რომ ცოტას შემოებმოდდა და ამოსწყვეტდა, ბევრს უკუ ეცლებოდა, უფროსი ერთთ ღამით დაესხმოდა, ზოგთ უკან წაეწეოდა და ზოგთ ვიწროში დახვდებოდა. ამ რიგის საქმეებით მრავალს ნავენებს იქმოდა. რა ყაენი მეოთხესზედ ქართლით დაბრუნდა, ყოვლს ლაშქრობას უმეტესი აობრება ქნა, მეფის დედა წაიყვანა. ამისის ჯავრით თავის ლომურს გუნებას ველარ გაუძლო, შეიყარა ლაშქარი და ყაენის მამულს რბევა დაუწყო. ასრე უთხრა ქართველთა: მამაცმან კაცმანო უნდა თავის თავი მგელს ამგზავსო და მტრის ლაშქარი ცხვარი ეგონოსო. როგორც მგელი ცხვარს, ისრე მტერთ უნდა მიუჯდესო და გამარჯვება ძლთვისა არისო. სიღამდისინ. ცოცხალ იყო, მანც ასე ქნა.

ქკს ხმ მეფე ლვარსაბ გორიდან იყარა და გარის კარსუნას მივიდა. შავერთი სულთან განჯის ბატონი ყაენისაგან იმ ნაპირის მცველათ დაეყენებინა. რა მეფის ლვარსაბის ლაშქარის შეყრა გაიგონა, იმანც არაზს აქეთი ლაშქარი შემოიყარა და მეფესზედ წამოვიდა. იმ ღამეს მეფეს ლვარსაბს სიზმარი ენახა. მეორეს დილას კათალიკოზი და საქართველოს თავადნი და თავის შვილები მოიხმო და ასრე უთქრა: წუხელის სიზმარი ენახეო, მართალი და ქეშმარიტი დასაჯერებელიო, რომ უსაცილოთ ჩვენ გაგვემარჯვებისო და ყიზილბაშნი გაგვექცევინანო და ამ ომში მე მამკლენო და ჩემს მკვლელს ქართველნი მოჰკვლენო და თავის უფროსს შვილს მეფეს სვიმონს კელი მოჰკიდა და ქართველთ უბძანა: ჩემი კემწიფობა ამ ჩემის უფროსის შვილისათვის მიმიციაო და თვითანც ღირსიც არისო და შვილებსაც უანდერძა—უფროს ძმას უმ(ო)რჩილეთ და მკარი მოაბითო და ყველას უბძანა, ფეკთ აკოცეს და მეფეთ აკურთხეს და ასრე დაარია: ჩემის სიკვდილის კმას ნუ დაჰყრითო და ნურც ლაშქრობისაგან მოიშლებითო, თორადა თუ ყიზილბაშთ ჩემი სიკვდილი სცნანო, უფრო გაგულოვნდებიანო. მაშ მღთის ძალითაო, რა ყიზილბაშზედ გაიმარჯვითო, მას უკან ცხეთასა მიწას მიმიღევით, ჩემს გლოვას დაეხსენითო და ქვეყნის შენახვას გაუფრთხილდით. რა ეს სიზმარი მეფისაგან გაიგონეს, ყველანი ასტირდნენ და ასრე მოახსენეს: რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავსო, ამ გზობით ნუ შევებმითო,

უკუშეცალენთო. ეს სიტყვა მეფემ(მ) შორს დაუჭირა და ასრე უთხრა: დღე-
ვანდლამდისინო კონთქარსა და ყანს პირი არ დავრიდო. რით იქნებდისო, რომ
ახლა ერთს ყაჯარს პირი პირი (sic) შემოვაქციოთო. ქართველნი მრავალს ეხ-
ვეწნეს, მაგრა მეფემ ძრახვას სიკვდილი არჩივა და რა შავერდი სულთან რაზმ-
წყობით მოახლოვდა, მეფე, თავადნი და აზნაურშვილნი საომრად წინ მიეგებ-
ნეს. რაგინდ ქართველნი ცოტანი იყვნენ და ყიზილბაშნი ბევრნი, უწინ ქართ-
ველნი მიეტივნეს, ვითაც მგლები ცხვარსა. აგრევე მათაც შეძლებით წამოუშო-
ნეს, მაგრა ქართველების ომს ვერ გაუძლეს და ყიზილბაშნი მალე გაიქცნენ და
ქართველნი ხოცით უკან მისდევდეს. თუ არ ცხენ კეთილი კაცი, თორადა სხვა-
ნი ძვირათ მოურჩნეს და მრავალი ყიზილბაშნი ამოსწყდეს და მრავალი იშოვ-
ნეს და შავერდი სულთან გაიქცა და მეფე გამარჯვებული ცოტას კაცითა იღდა
და მღვეართ დაბრუნებას ელოდა, რომ ცოტა რამ ჯარი გაქცეულის ყიზილბა-
შისა ტყეში მიმალულიყვნეს და ტყილამ ცოტა რამე კაცი ნახეს მდგომარნი
და მეფე მათში არ ეგონა. ასრე არჩივეს—რა ცოტანი არიან შეუტითოთ, ეგების
გაქცევის გზა ვიშოვხოთო, თუ არა და ესენი მეფეს აცნობენო და ცოცხალი
ველარ მოურჩებითო. პირობა ერთი ქნეს და თავ გამომეტებით შემოუტყვეს და
რა მეფემ თათარნი დაინახა, შეაბჯრეს შუბი გამოართვა და წინ მიეგება და ცხენს
დაუძრა. გაქნებულს ცხენს ფეხი ხერგელსში ჩაუვარდა, ცხენი კისერსზედ დაეცა
მეფე ქვეშ მოიმწყყდია, თათართ წაქცეულს მეფეს ისარი დააყარეს და მეფე
იმათის ისრით მოკვდა.

**მოკვდა ყიზილბაშთაგან მეფის ღვარსაბიხა რომ თვითან იწინათწარმე-
ტყვლობა ქნა.** რა ქართველთ ნახეს—მეფე ცხენ წაქცეულს ყიზილბაშთ ისარი
დააყარეს—რა გინდ ქართველნი ცოტანი იყვნეს, მაშინც შეუტოეს და ბერებმან
ლახტებს კელი წაიკრეს და ქართველთ კმლებით წაუშინეს. მეფის მკვლელიცა
და სხვანიც სრულ დახოცეს. იმათგან ერთი ყიზილბაშნი მეფის ცხენს წამოაიხტა და
სხვა ცხენი იმას ვერ მიეწოდა და ამისთვის წაუვიდა და მეფე ღვარსაბ თავის
მამაპაპათ საფლავს ცხეთას მიასვენეს და მისი უფროსი შვილი სვიმონ მეფეთ აკურ-
თხეს. გორს მივიდნენ და ყველგნით იქ მოვიდნეს, კემწიფების წესით იგლოვეს.
აქა მეფე სვიმონ თავისის მამის ღვარსაბიხის ალაგს მეფეთ აკურთხეს.
ამ დროს ქალაქი ყიზილბაშთ ექირა და ცხეთით გორს მივიდნენ და გარეშემოს
კაცი მეფეს სვიმონს ემსაკურებოდენ. ოთხს წელიწადს უკან საქართველოს ლაშ-
ქარი შეიყარა, კახის ბატონის ლევანის შვილი გიორგი თავის სიძეს მეფეს სვი-
მონს მოშველებ(ი)ა და კახეთის ლაშქრითა რომ ქალაქის ციხე აიღოს. ეს ანბავი
ყარაბაღის ბატონს მიუვიდა. იმანც არაზს აქეთი ლაშქარი შემოიყარა, ქალაქის
მოსაშველებლათ წამოვიდა. ქართველთ კანდაგი გაეთკარა, ამისთვის რომ
არამც მიპარვით ყიზილბაშნი თავს დაესხას. ყიზილბაშნი იმ კანდაგსთან
ჩამოხტნენ და კანდაგი გასწორეს და აქეთ ქართველთა და იქით ყიზილ-
ბაშთა რაზმი გააწყვეს და ყიზილბაშთ მეწინაეში და ქართველთ ლაშქარში
ცემა და ომი გახშირდა. ქართველნი ძალმიცემითა და თავგამომეტებით იბრ-
ძოლეს და მრავალი ყიზილბაშნი დახოცეს. რა განჯის ხანმან ასრე თავ გამომეტე-
ბით ქართველთ ომი ნახა, ყიზილბაშთ ასრე უთხრა: გზა შორი გვაქესო და რომ
გაიქცეთ ვერსად გააწეთო, უკან დაგვეწევიანო და ყველას ამოგვეწყეტენო. ბა-
რამ მუხანათობით სიკვდილსაო ისე ვაჯობინოთო, რომ ძალ მიცემით ომი აუ-
ტეხოთო და ამათვე შევაკვდეთო. ყველამ თქვა—კარგი არისო და ერთ პირათ

ალაპ ალაპ დაიძახეს და შეუტყვეს კმალ დაწვდილთა. იქიდამენ ქართველთ წა-
მოუშინეს და ორგნითვე კარგად იყვნეს, მაგრა ყიზილბაში უფრო ბევრი მოკე-
და და გაქცევასაც აპირებდეს. კახეთის ჯარმან ხმა მალლა შექნეს ტირილი და
თავს ცემა რომ ბატონისშვილი გიორგი მოეკლათ. ომისა და დამარცხებისა აღარა
ინალღვდეს რა, მკვდარი საომრის ადგილით გაიტანეს და ომი გაუშვეს. ამაზედ
ყიზილბაშთ დრო დაიცეს და მოშლილთა და მტირალთ ლაშქართ კიდევ შეუ-
ტყვეს და ყიზილბაშთ გაიმარჯვეს და იმავე ლამეს შავერდი სულთან ქალაქში
შევიდა. მეფე სვიმონ თავის ლაშქრით გორს მივიდა. კახის ბატონისშვილი გიორგი
მოკლული მამას მიუტანეს. შვილისათვის შექნა ბატონმან ლევან თავს ცემა და
ტირილი კახთა და გლოვა, გაცემა. ნამეტნავად გორს დარეჯან დედოფალს სა-
ყვარლის ძმის გიორგის ბატონისშვილისა მოკვლა გაუმელავენეს და საქართვე-
ლოს ჯარი იქ მოკრფა და მოუტირეს და იგლოვეს და შავით შეიმოსნეს. ორმოცს
ზედან ბატონი დარეჯან დედოფალი ქართლის თავადების ჯალაბითა კახეთს
წავიდა მამის მისის შვილის მისატირებლათ. ძმისათვის ძაძა ცმული ალავერდს
მივიდა. იქიკ ორმოცამდისინ მამასთან დაჰყო, იტირა, იგლოვა, მრავალი გაუცა,
ყველგან მეორმოცე დაუყენა და მამამ დედოფალს შავის გამოსაცვლელათ მრ-
ვალი მორათვა და ისევ ქართლს გაისტუმრა.

აქა ბატონი დავით თავის ძმას მეფის სიმონისაგან შემამწყრალი
შაპ ტამაზ ყაენსთან წავიდა ყაზმინს. ქართველთ ქრონიკონსა ორას ორმოცსა
ყაენი ყაზმინს იყო და ბატონისშვილის დავითის მოსელა ყაენს მ.რახსენეს, ნამეტ-
ნავად იამა და ერანელთაგან ვი(ნ)ც კარზედ იყვნეს, ყველა წინ მიაგებეს და უფ-
როსი ერთნი ბარათიანი თან ახლდნენ. ვითაც მეფის სვიმონისაგან შემამწყრა-
ლი იყო, ამისთვის უფრო დიდი პატივნი დასდევს და შვილობის რაყამი უბო-
ძეს. მეჯლისშიგანც ყაენმან ახლოს მოისვა და ვითაც კემწიფეს ქვეშ მოუფი-
ნეს და სასთაული დაუდევს და მისი თავადნი მეჯლისშიგ მსხლდომთ ალაგ ალაგ
შვა და შვა ჩაუხსეს. ცოტას ხანს უკან დაათათრეს და საკემწიფო იარალი
ყოვლის რისიმეთაგან უბოძეს სამეფო და მისს თავადებთა და აზნაურთა ცხენი,
იარალი, ხალათი და საკ(ა)რჯო უბოძეს, ბატონყმიანათ რაც მიეცათ ცხრა ათა-
სის თუმნისა ყოფილიყო. ქალაქი და სომხით საბარათიანოს მეფობაც მისცეს
და რაყამში შვილობა ჩაუწერეს და მესტუმრე გაატანეს და დიდის მორკმითა
და პატივით გაისტუმრეს. რა ქალაქს მივიდა, წელიწადში ერთს ხანს თავისის
ლაშქრით მეფის დავითის ქეშიკათ მოუყენებდეს. მაგრა მეფე სვიმონ არ ეხსნე-
ბოდა და არც აწყენარებდა, სომხით საბარათიანოს არბევდა და ქალაქის აღე-
ბას ცდილობდა, მაგრა ვერ აიღო. ქკს სნ კიდევ მეფემ სვიმონ ლაშქარი შეი-
ყარა, საქართველოს ცხენოსან ქვეითნი და ქალაქსზედ წამოვიდა და ეს ანბავნი
მეფეს დავითს მოახსენეს. იმანაც სომხით ბარათიანი და მოქალაქენი და თათარ-
ნი შეიყარა და საომრად ძმას წინ გარდუდგა. ნახა, რომ მეფის სვიმონის ლაშ-
ქარი ბევრია, აღარ შეება და ისრევე ქალაქს მივიდა, მაგრამე ყარამანლუს კალი-
ფა რომ ყიზილბაშის სარდარი იყო ჭკუა ნაკლები და ამაყი კაცი იყო, მეფეს
დავითს არ დაუჯერა და მარტოკა სახელის გულსისათვის მეფეს სვიმონს შეება
და ძალ მიცემით გაქირებით იომა და მრავალი ნაგნებიცა ქნა და თვითანც
მოკლეს და ლაშქარიც ამოუწყვიტეს. ეს ანბავი მეფემ დავით ყაენს მისწერა და
ლაშქარი სთხოვა და ყაენის ბძანება იქნა და პასანბეგ ყარამანლუ სარდრათ
უჩინეს, დიდის ლაშქრით მეფეს დავითს მიაშველეს და მანც თავისი ლაშქარი

შეიყარა და მეფეს სვიმონზედა გაილაშქრა და შეიბნეს და მრავალი კაცი ამოსწყდნეს. მეფემ სვიმონ გაიმარჯვა, მეფე დავით და ყიზილბაშნი დამარცხებულნი ქალაქში შემოვიდნენ და მეფემ სვიმონ თან მოატანა და ქალაქის ციხეს შემოადგა და ესეც ეგონა—მოქალაქენი ნამივლენო და ყაენის შიშით მოქალაქენი ვერ მოუვიდნენ და ცოლი და შვილი იმათაც ციხეში შეასხეს და ციხიდან შექნეს ბრძოლა და თოფისა და ზარბაზნის სროლა. აღარც ბარათიანი მოუვიდნენ და ციხიდან კაცები დაუხოცეს და ისრევე გორს მივიდა. ეს ანბავი მეფემ დავით კიდევ ყაენს მისწერა. კიდევ ყაენის ბრძანება იქნა, რომ ჩერქვეზი შაქისის სულთანი სარდრათ უჩინეს და ადრბეჯანის ლაშქარი მაზედ შეიყარა და მეფეს დავიას მიეშველა და კემწიფის ბრძანება გაათავა და მეორეს იზაეეს დროს შაქის სულთან ადრბეჯანის ლაშქრით მეფეს დავითსთან მოვიდნეს და ეს ანბავი მეფეს სვიმონს მოახსენეს, რომ მრავალი ლაშქარა მოსრულაო და აჩქარება არა გემართებსო, სიმაგრეს დაედგეთო. ისიც ლაშქრით სიმაგრეს დადგა. მეფე დავით ყიზილბაშის ლაშქრის სიახლოვას მივიდა და ყიზილბაშნი გარეშემოს არბედა. ეს მეფეს სვიმონს ეჯავრებოდა და საომრათ წინ მოეგება. მეფე სვიმონ შუბი კელთ თავისებურათ ამაყურათ, მამაცობით, კისკასებით, კობტაურად, დაკა აი ამათა ძახილითა თათართ ლაშქარში გამოერია. ქართველნი ვინც მეფეს სვიმონს იცნობდა, უკუემალგოდა, შუბით მრავალი თათარი გარდმოჰყარა და ქართველნიც მოეტევენ და შეიქნა შუბთა ძგერება, ლახტისა და კმლის ტაკა ტაკუცი. ზოგნი ქვეითათ რკენასა და ქიდებაშიც იყვნენ. ბარათიანი და ყიზილბაშებიცა ძალ მიცემით იბრძოდნენ. მეფეს შუბი გაუტყდა. ვინცალა მეფეს სვიმონს შუბი შესცა და ცხენით გარდმოსეა და შუბის შემცემან თავი აღარ გააცხადა თუ ვინ იყო, ქართველთაგან თქვეს და რა ყიზილბაშთ მეფე სვიმონ გარდავარდნილი ნახეს, ზედ მოეტევენეს, ზოგნი ზედ დაეოცნეს და ზოგნი გაიქცნეს და ზოგნი მეფეს სვიმონსთან დაირჩინეს.

აქა დარჩენა მეფის სვიმონისა და გამარჯვება მეფის დავითისა. დაირჩინეს მეფე სვიმონ და საქართველოს ზოგნი საბატიოს კაცის შვილები თბილის ქალაქს მოასხეს და დიდის პატივით ყაენსთან გაისტუმრეს ყაზმინს. დიდს ხანობამდისინ შაჰ ტამაზ ყაენი დიდის პატივით ინახევდა მისის მამაცობის გული-სათვის და მისი გათათრება უნდოდა და მეფე სვიმონ არ გათათრდა. ამისთვის აღამუდის ციხეში გაგზავნეს. სიღამდისინ შაჰ ტამაზ ყაენი ცოცხალ იყო, მეფე აღამუდის ციხეში იყო და რა ყაენი მიცვალა და მისი შვილი შაჰ ისმიელ გაკემწიფდა, იმან მეფე სვიმონ აღამუდით ყაზმ(ი)ნს მოაყვანიინა და კარგის პატივით ინახევდა და შაჰ ისმიელ საწამლავეთ მოაკვდინეს.

აქა მეორე შაჰ ისმიელ საწამლავეთ მოაკვდინეს დ მისი ძმა შაჰ ხუდაბან-და გაკემწიფეს. ამან მეფე სვიმონ გაათათრა და რაც მასთან დაჰირულნი თავადნი და აზნაურნი იყვნენ, მოუსხმევიინა და ყველას ცხენი იარაღი გაუკეთეს და ხალათი და საკარგო მისცეს და მეფეს სვიმონს საკემწიფო მოსახმარი ყოვლის იარაღისაგან გაურვიეს და ცხენი, აქლემი, ჯორი შეუკაზმეს, კარგები მოუფინეს და სალაროთ აუკიდეს და საქართველოს მეფობა მისცეს და რაყამი ძმობით მისწერეს და მეკმანდარი გაატანეს და ყველგან ფიშეაზი უყვეს და დიდის პატივითა და მირთმევითა და კარგად დახედომით ქართლს მივიდა და ყველანი წინ მოეგებნენ და ამილაკორსა და ქსნის ერისთავს ბატონს დედოფალსზედა და ბატონისშვილს გიორგისზედ ორგულობა გააცხადებოდა. ამისთვის ქართლში ვეღარ დადგ-

ნენ, ჯალაბობით გაეც(ა)ლნეს და კახს ბატონს შეეხვეწნეს და მეფემ სვიმონ იმა-
თი ალფი და სოფლები საუფატიოთ (sic) ბატონს დედოფალს მიართვა და
ზოგი თავის ძმას ბატონის შვილს ვახტანგს მისცა და ყაენის კარის უფროსნი
მეფენი და მოკლენი და ვაქილნი და ვაზირნი ორათ გაიყენეს და სულთან
მაჰმად კონთქარმან შაჰ ხუდაბანდა დაჩაგრა და მეფე დავით კონთქარსთან წა-
ვიდა და ხონთქარმან მრავალი წყალობა უყო და დიდი პატივი დასდვა. დიდის
ლაშქრით ლალაფაშა გამოუძახა. ვითაც ერანის კემწიფის კარი აშლით იყო და
ელისა და ომიხების ბატონები თავგამზიდგრობდეს და ალარვის ეპუ-
ებოდეს და სულთან ჰაიდარ მირზა ყაენის შვილი ყიზილბაშთ კაცის შეყენებით
მო(ა)კვლევინეს, ამისთვის სარდარი და ლაშქარი ვერ დახვედრეს, აღრბეიანი
ცარიელი იყო. კონთქარმან მამის ფიცი და წყობა შეშალ(ა).

აქა მეფის დავითის მისვლა ხონთქარსთანა და ლალაფაშის გამოძახება,
აღრბეიანის აღება ურუმთავან. მოვიდა დიდის ლაშქრით ლალაფაშა და აილო
აღრბეიანი, ქურთისტანი და ერვანი და ნახჩვანი და ყარაბალი და შრვანი,
ქალაქი და გორი, ლორე და ალჯაყალა და ახალციხე და ქვეყანა მესხთა და
ყოვლს ციხეში მცველი დაყენეს. მაგრამ მეფე სვიმონ არ მიუვიდა, დაუწყო
ბრძოლა და ქალაქისა და გორის ციხიდან კაცს აღარ გამოუშვებდა, გზები შე-
უკრა. თუ არ დიდის ლაშქრით ნუზლისა და საქმლისათვის კაცი ციხით ვერ
გამოვიდოდა და საცა ურუმს ნახველიან, მოკლევდიან. უწინ მეფე სვიმონ გო-
რის ციხეზედ (sic) ცდილობდა აღებასა და ხუთასი ურუმი გორის ციხიდან გამო-
ვიდნეს, გვერდის ძირის სოფლები დარბივეს და ნუზლი იზოვნეს და საქმლით
ხურჯინები გაიტენეს და მრავალი ძროხა და ცხვარი იზოვნეს და წინ წამო-
იყარეს რომ გორის ციხეში შეასხან. ბატონის შვილი გოჩა და ხუთასი დარ-
ჩეულის კაცითა წინ დახვდა. შეექნათ ომი ძრიელი და დაუწყეს ერთმანერთს
ძალზედ ცემა და ნამეტნავად თავგამომეტებულნი ურუმნი იცემებოდეს და უფრო-
სიერთნი ურუმთავა(ნ) დახოცეს. ზოგნი რომ მოურჩნეს, ხურჯინებით ნუზლი ცი-
ხეში აიტანეს და გოჩა განარჯვებულნი მეფეს სვიმონსთან მოვიდა. იამა და
გორის ციხეს შემოადგა, ცხრას თვეს ებრძოდა და ნამეტნავად კარგად ფრთხი-
ლათ იყვნენ ურუმნი. მეფე ლაშქარნი ციხით უკუეცალნეს დიდ მარხვის შენა-
ხვისათვის და ურუმთ იცოდეს, რომ დიდს მარხოში ქრისტიანნი(ი) ომსა და შულს
არ იქმენ. ამით ურუმნი დასტყუენდეს, აღარ ფრთხილობდეს და მეფეს ებძა-
ნებინა ფარსადან ციციშვილისა და სულხან თურმანიძისათვის, რომე თქვენს მა-
მულს შიგან მალვით მრავალნი კიბები გააკეთებინეთო და თქვენი ლაშქარი
მზათა გყვანდესო. როდისაც შეგატყობინო, მტკერისა და ლიეხვის შესართავის
ბოლოს ქალაში მზათ დამხვედითო მთვარის დაღვეის ყაშსა ბნელს ლამესაო.
ჰაემანზედ მეფეც იქ მოვიდა ლაშქრით და იმთაც ლაშქ(ა)რნი და კიბები მზათ
დახვედრეს. მტკერისაკენ მუნჯივით ემა გამოუღებელი ციხეს მიეპარნეს. სიდამ-
დისინ ჩაკრუქაძის. სალდარს არ ასცილდნენ, ურუმთ ციხეში მყოფთ ვერ
შესცილდენ, ვერა გაიგეს რა და რა შეიტყვეს მისვლა ლაშქრისა, შეიქნა
ციხეში ძახილი და მაშხლები აანთეს და ციხის კედლებს გარდაკიდებამ-
დისინ უფროსნი ერთნი ქართველნი კიბით გარდასულიყვნენ და შიგნით
იბრძოდეს და ზოგნი ჯერ ვერ გარდასულიყვნენ, კიბებსზედ იყო ბრძო-
ლა და ცემა და გარედამაც ძალი მიატანეს და ციხე აიღეს. ძახილისა და ყვი-
რილისა და ტაკატუქის ემა ამალ(ლ)და. გოჩა ბატონის შვილი თავისის ლაშ-

ქრით მიეშველა და გათენებამდისინ იბრძოდეს ურუმნი და მესხნი და კარგადაც იყვნენ. მაგრამე რა ნახეს ციხე ქართველებით ავისებულნი, უნებლობას შემოეხვეწნეს და ზოგნი მესხნი იგივე ციხეში ოქონის ხატს შეეხვეწნეს და მეფეს საფიცარი სთხოვეს. მეფემ შეიხვეწია და თავი(ს)ის ძმის ვახტანგის ბატონის შვილის კელით შანი გაუგზავნეს და ფიცი და პირი მისცეს და გამოინდგეს და შეიწყალეს და ყველას ცხენი და სახარჯო მისცეს და საგზალი და ჯარი თან გაატანეს რომ გზაზე არეინ არა აწყვინოს რამე. რაც ციხეში იყო, ზოგი ლაშქართ დაუყო და რაც ხონთქრისა იყო ციხეში, მეფემან თავის ძმას ვახტანგს უბძანა რომ სამეფოთ წაიღოს.

ქრონიკონსა დრას ჩვიდმეტსა (სიზ) შამ ტამაზ მიიცვალა და მიხი შვილი შამ ისმელილ გაკემწიფდა. მეფე ხვიმონ იმან აღაშუღის ციხით ყაზმინს მოიყვანა და საქართველოს მეფობა მისცა და გასტუმრებაში იყო. რომ შამ ისმელილ საწმლავეთ მოაკდინეს და მისი ძმა შამ ხულდაბანდა გაკემწიფეს და ამან მეფე სვიმონ გაათათრა და საცა მასთან დაქირაულნი თავადნი იყვნენ, ყაზმინს მოუსხმევირა და ყველას ცხენი, იარაღი და ბარგი და დასაკლისი რამეები გაუქეთეს და სახარჯო უბოძეს და მეფეს სიმონს საკემწიფო ყოვლის რისმესა და ქარხანებისაგან მოართვეს და აქლემი, ცხენი, ჯორი და კარგები მისის მოჴენილობითა და სხვა სალარო და სანდუხანა აუკიდეს, საქართველოს მეფობა მისცეს და რაყამში ძმობა ჩაუწერეს და მეჰმანდარი თან გაატანეს და გზებზედ დიდის პატივის ცემითა და კარგის მასპინძლობით ქართლში მივიდა და ყველანი წინ მოეგებნენ და ამილახორი და ქსნის ერისთავი ქართლში ვეღარ დადგნეს, ამისთვის რომ ბატონის დედოფლისათვის ორგულობა ექნათ და კახს ბატონს შეეხვეწნეს, ჯალაბობრივ იქ იყვნენ და მეფემ იმათი მამულეები ზოგი დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონის შვილს ვახტანგს მისცა. მაგრამ მეფის სვიმონის გამოსტუმრება რა მეფემ დავით გაიგონა, ფიცხლავ კონთქარს კაცი გაუგზავნა და ლაშქარი მოიშველია და საქართველოს ციხეები ურუმთ მისცა და თვითანც კონთქარის კარს მივიდა და კოსტანდილაველეს ხონთქარს იამა და პატივი დასდვა. დავით მეფის შვილები მამას არ გაჰყვნენ, ბაგრატ და ხოსროვ კახის ბატონის სახლში მივიდნენ და უკანის დროს ორნივე ქართლში გამეფდნენ. ბატონი სვიმონ ქართლში მეფობდა, მაგრა ციხეები ურუმთ ექირა. ამისთანას დროს ყიზილბაშთ უმ(ფ)როსმან კაცებმან შამ ხულდაბანდა ყაენი ასე დაჩაგრეს, რომე მზანდრის კემწიფის ქალი სელი და ნამუსიანი ჰკვიანი და კარგად მრჩეველი კემწიფეს დედოფლათ შინ უჯდა და შეუხდენ საჯალაბოს და მოუკლეს. კემწიფე ბევრს შეხვეწა, ნუ მამიკლავეთო, კემწიფობა არ მი(ნ)დაო. არ შეიხვეწიეს, მოუკლეს. ეს ურუმთ შეიტყვეს, რომ კემწიფე ასე დაუჩაგრავეთო. ვეზირ აზამი ლალაფაშა დიდის ლაშქრით გამოუძახეს, კახეთი, შრვანი, დალისტანი, განჯა და ადრბეჯანი, ქურთისტანი, ვანი და ნახჩვანი. სამცხე და ერევანი. მაგრა ქართლის ციხეები ურუმთ ექირა, მაგრა თქმი მეფეს სვიმონს ჰქონდა და მეფის შიშით ურუმნი ციხით ვერ გავიდოდნენ. ყველგან ადრბეჯანში და შირვანში მათი ფაშები იხდენ და განჯის ბეგლარბეგი ბატონმან ალექსანდრემ დაქირვინა და კელკუნდაიანი კონთქარს გაუგზავნა და დღევანდლამდისინ კახეთი ამისთვის ყიზილბაშთაგან ითხრება და მეფემ სვიმონ გარდასდვა თავი, კონთქრის გასაჯავრებლად და ყაენის საამლეზლად იქნია კმალი და მრავალი ურუმნი დახოცა და თავს (sic) საქართველოს ლაშქარს უთავა თავისი. ბიძას შვილი გოჩა

და მისის შიშით ციხიდან ურუმუ ვერ გამოვიდის და შემოდგა მეფე სვიმონ გორის ციხესა და ცხრას თვეს მრავალ გვარათ გარჯითა და ძალმიცემით იბრძოლეს და მტკვრისკენ მოპარვით როგორც აილეს ზემორე სწერია და შიგან მყოფნი უვნებელათ გაუშვეს და ეს ანბავი კონთქარს აცნობეს. გაჯავრდა და გარისხდა და თავრიზის ბეგლარბეგს ახტაჯაფარ ფაშას სარასკრობა უბძანეს და ასის ათასის კაცითა საქართველოს მეფეს სვიმონზედ გაგზავნეს. მეფემ რა გორის ციხე აიღო, იმერეთის დაქირვაც მოინდომა. აბაშიძენი და ჩხეიძენი და წერეთლები და ან ვინც წყალწითელას აქეთ საბატოისკაცის შვილინ ესახლნენ, ყველანი მეფეს სვიმონს მოუვიდნენ, დიდროანის ზარბაზნებით უომრათ ქუთათის მიიყვანეს და ცხენისწყალს აქეთნი თავადებნი ზოგნი მოუვიდნენ და ზოგნი არა, დადიანს მიუვიდნენ, მეფე სვიმონ შეუპოვრობით და ამყაობითა უფროსი ერთნი საქართველოს ლაშქარი და ჯარი დააბრუნა და თვითან დადიანზედ გაილაშქრა. და მეფეს დღეს ხვალობით ატყუებდენ—თუ დადიანი მოგივიაო და დადიანსა სწერდენ—თავს დაგვესხითო, არ შემოგებმითო.

აქა მეფეს ხვიმონს დადიანი თავს დაესხა ოფისკუტს და გაიშარჯვა. იმერთ, რომელთაც მეფის სვიმონისათვის ავნი იყვნენ, დადიანსა სწერდენ—თავს დაგვესხითო, არ შემოგებმითო, განგებ გაგექცევითო. ვინც მათი ეს რჩევა შეუტყო, მეფეს მოახსენა და არვის თქმული არ დაუჯერა და არც ეკვი ჰქონდა, თუ ვინმე ჩემზედ დასხმას გაბედავსო. დანდობილსა ანაზღათ თავს დაესხნეს და იმათ რომ მათთან სიტყვა ერთი ჰქონდათ, ტყეში უკუიფარნენ და ქართველნი ცოტანი შერჩომოდენ და ომი აღარ იქნებოდა. ვისიც ცხენს შეძლება ჰქონდა, მეფეს თან გაჰყვა. ვისაც არა, ზოგნი მიმალნენ ტყეში და ზოგნი მეგრელთ დარჩნეს და სალარო და ბარგი და ზარბაზნები დადიანს დარჩა და დანარჩომი კაცები ოდიშერთ გამოჰყიდეს და მეფე გორს მოვიდა და თავის სიძეს ათაბაგს კაცი გაუგზავნა და ასრე შესთავალა—იმერელთ მიმუხანათესო, მანდიდამენ დიდის ლაშქრით თქვენ ჩაუდევითო და აქედამ მე გარდმოვალო. იმას მოეწერა—რა დრო არისო, რომ აზრუმის ბეგლარბეგის ორმოცის ათასის კაცითაო ჩემის ბიძას შვილის ყორყორესათვის მოუშველებიაო და ჩემზედ მოუძღვისო და ასრე ათასის კაცითაო თავრიზის ბეგლარბეგი თქვენზედ გამოგზავნესო, ჯერ ამათი ფიქრი ჰქენითო, თორადა იმერეთისა როსაც იქნება აღვილი არისო. ეს ანბავი მეფეს ნამეტნავად ეწყინა, ამ რ(ი)გს დამარცხებულს დროს ამისთანა დიდის მტრის მოხდომა. დაღონდეს და დედოფალი მეჯვრისხევეს დააყენეს. ბატონისშვილი გიორგი დიდის ლაშქრით გორს დადგა რომ სითყენც ლაშქარ(ი) მოვიდეს, წინ ომი დახვედროს და მეფე სვიმონ საბარათიანოში გარდვიდა რომ იქაური ლაშქარი შემოიყაროს. ანბავი დაახვედრეს, რომ თავრიზის ბეგლარბეგი ახტაჯაფარ ფაშა საკაზს აქეთის ლაშქრით აღგეთსზედ ჩამოკლდო. ვითაც მეფე სვიმონ მამაცობაზედ ამყი და შეუპოვარი იყო, არც გაღმართი ბართიან(ი) მოიცადა და არ სომკითარნი და არც შვილი ქართლის ლაშქრით არ შემოიცადა და მერმე ძველითვე აღგეთსზედ ომი ქართველთათვის ავად დაცდენილია, მაგრა მეფე დაუჯერებელი იყო და კაციც ცოტა ახლდა. უბრძანა ჯარსა; აღარას უშველისო, რადგან ახალი მოსრულნი არიანო და ქალაქიც ურუმთ უქირავთო, ქალაქში შესვლას ნუ დაეცლითო, თორადა საქმე უფრო გაგვიქირდებისო. ვინც ომი დაუშალა, უწყინა და ასრე ბრძან(ა): თქვენ მეგლს ეგვანენითო და ისინი ცხვართ აგვანეთო და გაგულოვნდითო და

რაზმით თავსა და ბოლოს თვალსაც ვერ გაეაწედნენთო. მაშ საცა მიუხდლო, უკან მამდიეთო, მღთის წინაშენო ცოტა და ბევრი სწორი არისო. უარი ვე-
ლარვენ მოახსენა. წამოდგენ ქართველნი და წესითა რჯულისებრ გაენდვენ
მომღვართა და ინანეს ნაქმარნი ცოდვანი მათნი და ეხ(ი)არეს და ერთმანერთს
გამოესალმნეს.

აქა მეფე ხვიმონ ურუმთ შება აღგეთსზედა და დაირჩინეს და წაიყვა-
ნეს თავრიზს და იქიდამენ დიდის პატივით გაისტუმრეს კოხტადიპანდებს.
ქართველთ ანდერძი გათავეს და შეიკაზმნეს და ურუმთ ჯარიც ერთის თოფის
მისაწევზედ მოახლოდნენ. მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი შუბდაგრძე-
ლებულნი ცხენჭენებით მიეტივენეს ანაზდეულ, ვითაც ჩქაფის წვიმა სეტყვის
ღვარნი მთისგან გაჰეს რაზმი ურუმთა და გარდმოყარეს მრავალნი და გაიარეს
შივა ყველამ თავ გამომეტებით და ძალ მიცემით. ნამეტნავად კარგად იყვნენ და
ურუმნი გაკვირებულ იყვნენ ამათს მამაცობასა, რომ ვისაც გარდმოაგდებდენ,
გას(ი)ლდიან სხვაზედ და თითოს ქართველ(ს) ოთხი და ხუთი ურუმი ცხენიდამ
გარდმოგდო და მეფე კელშუბიანი რომელს თოყსა (sic) და დროშას შეუტყედის,
მოშლიდის და მათაც გზა მისციან. მაგრა იმათი ლაშქარი ასრე ბევრნი იყვნენ,
რომ კელიც არ გამოეღოთ რაც ქართველნი ომს იყენენ ათს დღესაც ვერ და-
ხოცდეს. ქართველნი ომის ქნით დაილაღნენ და კელ თოფითაც მრავალნი და-
ხოცეს ჯართ. მრავლის კვეწითა მეფე დაბრუნეს და რა ურუმთ სცნეს ქართ-
ველთ დაბრუნება, გაკარდნენ და უკან აედევნენ და ქართველთაც ცხენი გააჩქა-
რეს და მეფეს მიმავალსა საფლობიანს გზა ვიწროსა ვინცალა უნებურათ მეფის
ცხენს ცხენი შეაძგერა და მეფე ცხენს მჯდომი ტალახში დაეფლა. მრავალს
ეც(ა)დნეს, მაგრა ველარ გამოიყვანეს და ურუმთაც მოატანეს და მრავალი ქარ-
თველნი ზედ დაეკოცნენ, მაგრა მაშინც ვერა არგეს რა. მეფე მუკლის თავამდისინ
ტალახში ჩაფლული ისარს ისროდა და ახლოვერვინ ახლ(ო)ვერ (sic) მოუდგა.
ერთმან ბარათაშვილმან ფაშამან მეფე იცნა და ჯაფარფაშას მოახსენა: ლაშქარი
აღარეინ შერჩომია და ისრევე ამყად ტალახში ჩაფლობილი ისარს ისვრისო.
ფაშა წინ წადგა რომ მეფე ნახოს. რა ნახა, გაკვირებული შეიქნა და ასე
ბრძანა: ამის მეტის კაცისაგან ეს არა ქნილაო, რომ ხუთი ეამი ძალ მიცემით
გასაქირ ბრძოლა გარდებხდოსო და დამარცხებულსა და ლაშქარ ამოწყვეტილსა
და თვითცხენიან თალახში (sic) ჩაფლული კიდევ მშვილდს ეზიდებისო. ამისი
მოკვლა უღირსა კაცთათვისო, არეინ ისარი და თოფი არ ესროლოსო, ლაშქარი
უკუდგნენო და ბელდარები მოვიდნენო, ტალახი გასქრან და გზა გაუშრონო
და მეფე გამოიყვანონო. ისე ბარათაშვილი ფაშა მივიდა და ვეზირ აზამის მა-
გიარ მოახსენა: მაგდენი ცდა რალას გიშველისო, თქვენი ცოცხალი შეყრა გვინ-
დაო, თორა და თოფს გკვერნო და მოგკელენ და მეფემ გაჯაერებულმან უთხრა:
მამის შენის შვილი მე რასთვის სიკვდილს მაშინებო? მე სიკვდილისათვის გაჩე-
ნილ ვარო. ბარათაშვილმან კიდევ ტკბილი და სამებელი სიტყვები მოახსენა
მეფესა: რაც დღეს შენ ჰქენიო, არც როსტომს უქნია და არც ვახტანგ გორგა-
სალს არ უქნია. ეს კარგი სიტყვები მეფეს იამა და ასრე უბრძანა: მამის ჩემის
მზემანო, ცოცხალი ჯაფარფაშის მეტს კაცს არ დაერჩებო. წავიდა და ეს სიტყვა
ჯაფარფაშასა მოახსენა. სრულ ურუმნი გაკვირებულნი შეიქნეს. ამ მეფის ასრე
გალომება ჯაფარფაშას იამა და მეფე ტალახით გამოიყვანეს და ვეზირ აზამი წინ
მიიგება და მეფე გარდებხვია და გარდაჰკოცნა. მეფემ ასრე მოახსენა: ნეტაი დედა

თქვენსაო, რომ თქვენისთანა შვილი უშობიაო, რომ ჩემისთანა ნადირი ინადირეო. ფაშამ ასრე მოახსენა: დედაჩემი დიად მლოცავი იყო და ერთი ღამე არ ისო რომ ლეიღეთულ გეჯას ეძახიანო. ვინც იმ ღამეს მღთის წინაშე ხეცვნასა და აჯებას შეხედებისო, ნატრა გაუთავდებისო. წელიწადში ერთი ღამეაო. ის ღამეო დედას ჩემს ეპოვნაო და ჩემს გამარჯვებას შეხეცვნოდაო, ეს იმისგან მამეცაო ამ რიგი გამარჯვებო. შენს დარჩენას მე არ ღირს ვიყავო, მაგრა თქვენ ვითაც სონლული ტრედზედ გაქანებული ბადეს გაებენითო და სპარსულათ ლექსათაც ნათქვამიო: მურლი ზირ(ე)ქ ჩუნ ბედაონ ივთად თაჰმულ ბაითშ¹). მეფემ იცოდა, თუ რას იტყვის. მოახსენა: რომ არ მოვითმ(ი)ნო, კელით რა გამამივო. მეფეს დიდი პატივი მიიპყრეს და საემწიფო კარაგები დაუდგეს და ვისაც ქართველი დაერჩინა, მეფეს თან მოუსხმევ(ი)ნეს. ფაშას მოახსენეს, ამის შვილი გიორგი საქართველოს ლაშქრით შეყრილი გორსა დგასო და მისს მოშელების იმედი აქეთო. ერთმან საკრავის მკერელმან სიმღერით წამოსძალა: სიმონ ხანი ალგეთდა ალგეთდა.²) საქართველოს ლაშქრის შიშიც აქონდათ, აჩქარდნენ და იქილამ აიყარნენ და მეფე სვიმონ წაიყვანეს და წავიდნენ.

ქ¹ სპ. ბატონის შვილს გიორგის გორს ანბავი მოუვიდა, რომ გუშინ მამაშენი ალგეთის პირს ურუმთ შეება და ცოცხალი დაირჩინესო. ფიცხლავ ლაშქარს უბრძანეს, შვადლე გარდასულიყო, ბატონიშვილი გიორგი ცხენ ქეთილის კაცითა გორიდამენ ილლარი ქნა, ქვათახევის გზით გარდიარა და საცა ურმის ლაშქარი აყრილიყო, მეორეს დღეს იმავეს დროს იმათ ანაყარს ალაგს მოვიდნეს დალალულნი და რომელთაც ცხენებს შეძლების ღონე აქონდათ, იმავე ღამეს უკან გაადევნეს. ჯათარ ფაშას მეფე სვიმონ გოქჩის მთახედ გარდევყანა. ქართველნი უკან დავარდნილს ბარგს წასწეოდნენ, მრავალი ნაშოარი ექნათ და დაბრუნებულიყვნენ. მოვიდნენ ბატონის შვილს გიორგის თანა, სრულ ქართველნი მოვიდნენ და ბატონის შვილი გიორგი მეფეთ აკურთხეს და ქართველნი კარგად მოუდგნენ და ერთგულათ ემს(ა)ხურებოდნენ და მეფე სვიმონ ხონთქართან მიიყვანეს და ურუმთ ქართლი მეფის დავითისათვის უნდოდა, მაგრა მეფე დავით მიიცვალა და ქართველთ დაუწყეს კონთქარს ხეცვნა და მეფისსვიმონის გამოშეებას ეაჯნეს. მრავალი ძვირფასის თვალმარგალიტი და (sic) გაუგზავნეს და გიორგი მეფის შვილი დავით მძევლათ მიჰგვარეს რომ მეფე სვიმონ წამოიყვანონ.

ამ დროს ხონთქარს ანბავი მოუვიდა, რომ შაჰა ხუდაბანდასაო თავისმ(ა)ნ შვილმან შაჰ აბაზ კემწიფობა წაართვაო და მეფის სვიმონის ქალი შეერთო ფახრიჯჰან ბეგუმო ცოლათო და ურჩინი და ორგულნი და თავგამზიდავნი ამოსწყვიტაო და აღრბეჯანზედ წამოვიდაო. თავათ უწინევე მეფეს სვიმონს ხონთქარი ყაენის კერძობას სწამობდა. მერმე ეს ანბავიც მოუვიდა. ქართველთ სახსა(რ)მანც ცუდათ ჩაუარა და ბატონისშვილი დავითც დაჰკარგეს და მეფე სვიმონ დარჩა ურუმში და აიშალნენ ურუმნი და ყიზილბაშნი და შეიქნა ომი და ბრძოლა.

¹) عمرغ زرك جون. بام اخلا تحمل بايش : თუ მოხერხებული ჩიტი ბადეში მოყვა, უნდა მოთმინება იქონიოს.

²) თურქულად: სიმონ-ხანი ალგეთზეა.

გაკემწიფება შაჰ აბაზ ყანღისა. მეფე სვიმონ კოსტანდიპოლეს მიიკვალა და მისი სიკვდილი შაჰაბას ყანეს ეწყინა და აღრბეუანის ალება მოინდომა და თავრიზის უფროსნი კაცნი ვაჟრობის მიზეზით ზოგნი ისპაჰანს ყა(ე)ნს ახლდენ და ზოგნი თავრიზზე შეყენებულნი იყვნენ რომე როსაც ურუმთ ზედ მიხლდომის დრო იყოს, ყანეს შეატყობინონ. ახტა ჯაფარ ფაშა მამკვლარიყოდა სხვა ფაშა მოსრულიყო და ქურთის ბატონებს ურჩობა დაეწყო. თავრიზის ბეგლარბეგი აღრბეუანის ლაშქრით მათ მიხლდომოდა და მრავალი ნაენები ექნა და ფაშას თავრიზილამ ქურთებსზედ წასვლა თავრიზელთ სწრამათ (sic) ყანისთვის მიეწერა. ყანეს უწინვე არადვლის ბეგლარბეგის ზღფიყარ ხანისათვის ებრძანებინა: რადგან შენი გარეშემო ურუმთ უქირავსო, თხუთმეტი ათასი კაცი სამუდამოთ ჯამაგირით შეინახეო, შხათა გყვანდესო და როსაც ჩვენი ბძანება მოგივიდესო, ისე ჰქენ რაც გვებძანებინოსო.

ილღარი შაჰ აბაზ ყანისხაგან და მერვეს დღეს ისპაჰანით თავრიზს მიხვლა, შიბლის აქეთ ტბაზედ ზღფიყარ ყა(ე)ნის მიგებება დიდის ლაშქრითა. რა ყიზილბაშთ შორილამენ ზღფიყარ ხანის ლაშქარი დაინახეს, ყანეს მოახსენეს, დიდი ჯარი გამოჩნდა და ჩვენ ცოტანი ვართ და რა გ(ვ)მართებსო. ყა(ე)ნმან ასრე უბრძანა: ის ლაშქარი მურთუხალის ჩვენად მოსაშველელათ გამოუგზავნიაო და მისი კმალი ზღფიყარიც მათში არისო. ამ სიტყვებში იყვნენ რომ ზღფიყარ ხან მოვიდა და ყანეს ფეკსა აკოცა და კემწიფეს მისი მოსვლა იამა და კარგი ანბავიც დაახვედრა, მოახსენა: ჯერ ფაშა თავრიზს არ შემოსრულო, ქურთები დაურბევიო და ბევრი ნაშორი უქნიაო. ლაშქარისათვის რუხსათი მიუტყემაო, თავისას წასრულანო, თვითან ცოტას კაცით ტბაზედ სანადიროთ წასრულო. ყანემან უბრძანა: შენც კარგი კარო და შენი ანბავიც კარგი არისო და ჯარიც კარგი გახლავსო, მაგრა ეს გამოგვირჩიეო, თუ ახლა ჩვენ რა გემართებსო. იმან ასრე მოახსენა: მგზავრის მგზავსათ ცოტა კაცნი დავიწინაუროთო, იმათი მებაყენი დგანანო, ისინი დავიჭიროთო რომ თავრეს ანბავი არ მიიტანონო და კემწიფე ამალამ თავრიზს მივიდესო და თუ ფაშა მოსრულიყოს, სხვა ფიქრი ვქნაფო და თუ არ მოსრულიყოს, იმისი ფიქრი ვნახოთო. თქვენი საკელი დიდი და საშიშარი და ბედი ძრიელი არისო და გზა დაუჭიროთო და სითკენც მოვაო, მ'ლთის ძალით დავიჭერთო. რაც მან მოახსენა, ისრე ქნეს. მებაყენი დახოცეს, იმ ლამეს ყა(ე)ნი თავრიზს შევიდა და ზოგნი თავრიზის უფროსნი კაცნი ლამით მოვიდნეს და კემწიფეს ფებს ემთხვიეს და ფაშის არ მოსვლა მოახსენეს. იამა და იმავე ლამეს ნაცადნი და ცხენ კეთილნი კაცნი გამოარჩიეს და სითკენც გზა იყო შემოსასვლელი, იმ გზებსზედ დაუყენეს და ყანეც მოშორებით მივიდოდა. ა(ნ)ბავ გაუგონელმან ფაშამან შორილამ ჯარი დაინახა რომ თავს თეთრი არვის ახვევია. ქ(უ)რთი რომ დაერბია, იმათი ჯარი ეგონა, თუ წინ დაგვდგომიანო. ცხენი გამოიცვალა და ჯარს უბძანა: ცხენს მოს(ა)რთავნი გაუშინჯეთო და იარალი მოივარგეთო. მანამდისინ ესები გაარიგეს, ჯარიც მოახლოვდა და შეექნათ სროლა და კიკლაობა. იცნეს, რომ ყიზილბაშნი, მაგრა აღარას უშველიდა დარიდება. ცოტანი იყვნენ, მაგრა კაცურათ და მამ(ა)ცურათ ძალმიცემით და გაჭირებით ომი გარდობადეს და თავი არ დაიზოგეს და კარგადაც იყვნენ. სიღამდისინ შეძლება აქონდა, კმალი¹⁾ იქნიეს და

¹⁾ დედანში: კემალი.

მრავალნი ნავენებიცა ქნეს, მაგრამე კემწიფე და ყიზილბაშნი ფიქრნაქმარნი იყვნენ და ბევრნი და გამორჩეულნი და კემწიფე ბედ ძრიელი და კარგად იყვნენ და ფაშას ცხენი ქვეშ გამოუკლეს, ქვე(ო)თათ დაირჩინეს და მასთან მყოფნი ურუმნი ზოგნი შეიპყრეს, ზოგნი დაიხოცნეს, ზოგნი თავრიზის ციხეში შეასწრეს და ციხე გაიმაგრეს. თავრიზის ფაშა დარჩენილი ყაენის წინ მოიყვანეს და გამარჯვება მოულოცეს და ყაენმან ფაშას უბრძანა: ეს რა ჭკუა იყო, რომ აღრბეყანის ლაშქარი გაუშვიო, თავთავისას წაყიდნენო, შენ სამარტოთ სანადიროთ წახველო. ფაშამ ასრე მოახსენა: ჩემის ჭკუის ბრალი არ არისო, თქვენის ბედის ბრალი არისო, ამისთვისა რომ კემწიფის ბედი სუქებაშიგ არისო და ბევრს ჩემისთანას ფაშაებს დამკლობსო. ეს სიტყვა ყაენს იამა და დიდი პატივ(ი) დასდვა. მობრძანდა თავრიზს და ციხეს შემოადგა. თავრიზელთ ვისაც ურუმნი სიძეთა ჰყვანდა, თავები მოჰკვეთეს და კემწიფეს მორათვეს და თავრიზის ციხეც აიღეს და მრავალი ნაშორი ქნეს. ამ ჟამს ვითაც ურუმთ ფრანგნი ებძოდეს, აღრბეყანს ველარ მოეშველნეს. კემწიფე იმ ზამთარს თავრიზს დადგა, გაზაფხულს ერევნის ციხეს შემოადგა, მეფე გიორგი ქართლის ლაშქრით და ბატონი ალექსანდრე კახეთის ლაშქრითა.

მოშველება ერევანზე მეფის გიორგისა და ბატონის ალექსანდრეის ლაშქრითა. მეფე გიორგი ქართლის ლაშქრითა და ბატონი ალექსანდრე კახეთის ლაშქრით ერევანზედ მოეშველნეს და ციხეც აიღეს და ყაენმან ქართველთა და კახთ მრავალი უბოძა. დიდის პატივით გიორგი მეფე ქართლს გაისტუმრა და ასრე უბრძანა: ნაპირის ალაგიაო, მალ მიდი და კარგად შეინახეო და ბატონს ალექსანდრეს ასრე უბრძანა: თქვენი შვილი კოსტანტილეო ჩემგან გაზდილი პარისო და მეფობის ღირსი არისო, მეც ბევრს ლაშქარს გავატანო და თქვენც თქვენის ჯარით მიეშველენითო, რომ შრვანი დაიჭიროსო, მაგისთვის მიმიცემიაო. აქედამ მე კელს მოუმართავო და იქიდანმენ თქვენ ზურგი მოაბითო და გაძრიეღდებისო. მაგრა იტყოდენ—ყაენი ბატონს ალექსანდრესზედ აფეულად იყო, ამისთვისაო რომ განჯის ბეგლარბეგი იმან კელხუნდით ხონთქარს გაუგზავნაო და კოსტანტილესც დააბარაო: მე მამის შენისა დიდი ჯავრი მაქვსო. რა შირვანი დაიჭირო, მამა შენი მოკალო და კახეთიც შენთვის მამიციანო. რა მივიდნენ თათარნი და ქართველნი შირვანს ყაბალის ციხესა შემოადგნენ და შიგნიდანმენ ურუმნი და გარედამენ ქართველნი და ყიზილბაშნი, შეიქნა ძალმიცემით ცემა და ბრძოლა. ნამეტნავათ კარგად იყვნენ კახნი და კახტაურად იბრძოდეს. შიგნიდან ურუმთა და გარედამენ ყიზილბაშნი გაკვირებულნი შექნილიყვნენ ქართველთ გალომებასა და შეუპოვრად მკიარულად ომსა.

აიღეს ციხე ყაბალისა, დაიჭირეს შირვანი, გააბატონეს კოსტანტილე ბატონის ალექსანდრეს შვილი. გაუწყრა ღმერთი კოსტანტილეს, სწვალა მამა-შვილობა, მამაც მოკლა და ძმაცა. ეს კახთ ნამეტნავად იწყინეს და კოსტანტილეს მოსაკლავად შინ მიუხდნენ. თვითან გარდებეწა, ველარ იპოვენეს, მაგრა მისი სალარო და ქონება და მორთულობა კახთ აიკლეს და დაიფორაქეს და კოსტანტილე გარდებეწა და ბატონი ალექსანდრე და შვილი მისი დახოცილნი ქართულის წესით კახეთს ალავერდის სალდარს მიასვენეს და იქ მოკრფენ ქართველნი და კახნი. ყველამ თავისის შეფერებით გარდასაბურავი მიღეს და გამოიტირეს და რაც ქრისტიანთ წესი იყო, გარდიკადეს და კოსტანტილე არდაველს მივიდა და ეს ანბავი ყა(ე)ნს მისწერა. ყაენიდან ბძანება მოუვიდა და აღრბეყანის ლაშქარი შეიყარა და შხსეფის სალარო თან წაიღეო და

ზრვანი შენი არისო, მიუხედი კახთაო და რომელიც შენი ორგული იყოსო, მოპკალო და რომელიც შენი ერაგული იყოსო, გაამდიდრეო. მეხუთეს თვეს დიდის ლაშქრით იქივე შირვანს მივიდა და ზოგნი კახნი გვერც ახლდნენ და ზოგნი განგებ მოუფილდნენ და ქეთევან დედოფალი ქვრივ კახეთში ბატონობდა. თეიმურაზ ყმაწვილი ყაენსთან იყო. ანბავი მოვიდა, კოსტანტილე დიდის ლაშქრით წამოვიდაო, ქეთევან დედოფლის შერთვა უნდაო. ეს ანბავი დედოფალმან ქართლს მეფეს გიორგის მისწერა. იმან ფიცხლავ პაპუნა ამილახორი ზემო ქართლის ლაშქრით ქეთევან დედოფალს მიაშველეს და დედოფალმანც სრულ კახნი ჯაღლობობრივ საომარად მოასხა და ასრე შეიფიციცნეს, რომე ცოლშვილი დროშას ქვეშ დაეაყენოთ დედოფალსთან და ჩვენ წინ შევიბნათ და კიდეც ასრე ჰქნეს. ქართველნი და კახნი დროშას წინ წასცილდნენ და იქით კოსტანტილე ლაშქარს წინ წამოსცილდა. რომელიც კახნი ახლდნენ კოსტანტილეს, მოახსენეს: ქართველთ ლაშქრის სარდარი თქვენი ბიძა არისო და თქვენი ურჩევნიანო და დედოფალს შვილი არა ჰყავსო, კახნი ვისის გულისათვის თავის მემკვიდრეს ბატონს შემოვბმისო. ცოტას კაცით წინ წადექითო, რა კახნი გიცნობენო, სახკეწარათ კაცს გაახლებენო. მას უკან რომელიც აჯობინოთ, ისრე ჰქენითო. იმანც დაუჯერა და თავის ლაშქარს წამოსცილდა და კახთ ლაშქართ მოახლოვდა. უღალატეს და წინადამ და უკანადამ წაუშინეს. მოკლეს კოსტანტილე კახთა, მამის მოკვლას უკან ექვსი თვე იცოცხლა და ძველით სპარსულათ ლექსათ ნათქვამია: ფეილარი ქუშ ფაჩაბირა ნაშაათ აგერ შაპთ ბჯუზ შემ მია ნაფაიათ — მამის მკვლელი კემწიფობას ვერა იქსო; რომ კიდეც ქნასო, ექვსის თვის მეტი ვერა ქნასო. ძველი ნათქვამი იყო და აქაც ნათქვამივით გაცხადდა. ეს ანბავი შაპ აბაზ ყაენს მისწერეს და ნამეტნავად ეწყინა, მაგრამე სოფლის საფერისათ ასრე ბრძანა: კელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო. ამ ანბავზე ქართლიდამანც ჩაფარი მოვიდა, გიორგი მეფე მოკვდაო. ყაენი არდაველს იყო, მანანდარასა და გილანს წასვლა უნდოდა, აღარ წავიდა. მეფეს ლეურასაბს კალაით და კმალი და საკემწიფო აყაამში შეილობით ჩაუწერეს და გაუგზავნეს და კახეთი ბატონის შვილს თეიმურაზს უბოძა და ქართველთავით ტახტი შეუკვრევინა, ბატონი თეიმურაზ ზედ შესვეს, ბატონათ აკურთხეს. ყაენმან ოქროს დოსტოქანი ზედ გარდავდო და ყიზბაშთა და ქართველთაც უბძანა, ყველამ შეძლების ღონით ოქროსა და ვერცხლის თეთრი გარდააყარეს, კარგი მეჯლიში და ლხინი გარდინხადეს და ყოვლის ქარხანებისაგან საკემწიფო გაურიგეს, ოქროთა და ვერცხლით და მურასა თვალ მარგალიტით, კარვითა და მოფენილობით, ცხენჯორითა და აქლემითა და ყოვლის საბატონოს საქმითა და გაათავეს და გაამდიდრეს და მეჰმანდარი გაატანეს, კახეთს საბატონოთ გაგზავნეს. დიდი სიმკვიარულე შეექნათ ნამეტნავად კახთა, მეტადრე დედსა რომ ვითაც იოსებ დაკარგული იაკოფ მამამან კემწიფე მქნილი იპოვნა, ისრევე ბატონი თეიმურაზ ყმაწვილი დაკარგული ბატონათ ნაკურთხი დედას შინ მიუვიდა. შეიქნა კახეთში დიდი სიმკვიარულე და ლხინი და ნადირობა და შექცევა.

ქორწილი წინანდელი ბატონის თეიმურაზის გურიელის ქალსთან. აქა დედოფალმან და კახეთის ბერთა და ერთა და თავადთ და აზნაურშვილთა ბატონს თეიმურაზს ცოლის შერთვას შეეპატიჯნეს და მანც ნება დართო. ებისკოპოსნი და თავადები გამოარჩიეს, გურიელს გაუგზავნეს და კახეთის სადედოფლოთ ქალი სთხოვეს. მასაც იამა და მისცეს და კარგის ზითვითა და მორთულობით გამო-

ისტუმრეს. იმათაც დარჩეულნი ბერები და ეფისკაპოსნი (sic) და თავადნი და აზნაურნი ქკვიანნი და მკოდინარენ(ი) და ზნეობით გათავებულნი კარგნი კაცნი მაყრათ გამოატანეს და მაშინ კახეთი ნამეტნავად აშენებული იყო, გამოჩენებით კარგი და საკელოანი ქორწილი გარდიკადეს. სამს თვეს ლხინი, ბურთაობა და ნადირობას შექცნეს და ყველას კარგად დახედნენ და მრავალი საჩუქარი მიართვეს, ამდენი რომ გაკვირვებულნი წავიდნეს და ახლაც გურიაში მაყრების საჩუქრებისაგან რომ მიუტანიათ, სიბევრე გაკვირვებით იხსენების.

გურიელის ქალი დაორსულდა და დიად ქკვიანი და ნამეტნავად შლთის მოშიშარი ყოფილა, მლოცავი, სამართლიანი და გლახათა და ქვრივ ობოლთ მიცემით შემწყალებელი და მერჯულეთა და თავად აზნაურთ პატივის მდებელი, ტანად კარგი და შეენიერ, საკით ტურფა და ლამაზი, ზნე საქციელ კარგი, საქმით სათუთი და წმინდა სალდართა და მონასტერთ ამშენებელი და მრავლის შემწირავი, ბერთა და მოძღვართა და მღრდელთ მიმცემი, მრავალთ მომთმენა, არ გამჯ(ა)ვრებელი, ყველას ძმა შეილურად მიმპყრობელი, დედათ დედურათ გამწყო, დედამთის მორჩილი და ნამეტნავად მრშიშარი და ქრმის მოყვარული ყოფილა. ორი ვაჟი უშობია, ერთს საკელათ ლევან, მეორეს ალექსანდრე და ადრე მიცვალებულა. კახთ მაზედ დიდი ტირილი და გლოვა გარდუბნია და შვამთის სალდარი იმას გაუახლებია, დაქცეული აუშენებია დ(ა) ორმოცდახუთს წე(ლ)ს გასულს უკან ფარსადან გორგიჯანიძე შვამთას მოვიდა და ეს სალდარი ნახა და ეს ლექსი თქვა:

ხახულისა ყველა წმინდა დედოფალსა აუგია,
მისი ზითვის საქურტლენი სრულა მაზედ წაუგია,
დაუგდია აქ საკელი, საიქიო მოუგია,
და ეს საწუთრო არ სდომია, ვინც არ აქებს, აუგია.

მეორე ქორწილი ბატონის თეიმურაზისა და ხვარეშან დედოფლისა. რა გურიელის ქალი დედოფალი გამ(ო)იგლოვეს, ქართლის მეფეს ლვარსაბს და სთხოვეს კახეთის სადედოფლოთ. მაგრა ბატონის თეიმურაზის პაპა ბატონი ალექსანდრე და ხორეშან დედოფლის ბებია ნესტან დარეჯან დედოფალი დაძმანი იყვნენ, ბატონის ლევანის შვილები არიან და ქრისტიანობაში უმკდურნი ყოფილან და მერჯულენიც ნებას არ ყოფილან და არაგვის ერისთვის შვილისთვისაც ნაქადები ყოფილა და კრება უქნიათ ამაზედ, რომ დაძმათ შვილისშვილები ერთმანერთს ვით შერთონ. ასრე არჩივეს საქრისტიანოს გაერთებისა და გაძლიერებისათვის, მერჯულეთ ნება დართვეს და მეფეს გიორგის ორი ვაჟი დარჩა—ერთი ლვარსაბ მეფე და მეორე ბატონისშვილი დავით რომე მეფის სვიმონის სახსრათ კონთქრისათვის. გაეგზავნა. ველარც პაპა დაიხსნეს და ბატონისშვილი დავითც დაპარგეს და ორი ქალი ჰყვანდა, უფროსი ბატონისშვილი ლელა რომე ყაენმან სულთან ბეგუმ დარქვა და თვითან შვირთო და ხვარეშან დედოფალი ბატონს თეიმურაზს შერთეს. მაგრა ამათი დამოყრება და ქართლისა და კახეთის გაერთება ზოგთ ქართველთა და კახთ ეწყინათ და ყაენსთან ავგვარად შეაბეზლეს და ყაენმან იწყინა და გაავგულდა და საცადელათ ორთავ მაზანდარას სანადიროთ დაჰპატიჯა და იქიც მტრებმან დაციდნეს და მაზანდარას წასვლა დაუშალეს და იმავე დამშლელებმან უფრო შემობეზლეს და წინადელთ მობეზლართ სიტყვანი გაამართლეს და ვისაც მათი წახედნა უნდოდა, იმათ კიდევ უფრო დაფრთხეს და შეაშინეს და მეფეს ლვარ-

სახს საკადის მოვრავის და ნათხოვნის ჰყვანდა. ის ქართველთ გააშვებინეს და მოვრავის დაჭირვა მოინდომეს და მოვრავემან ეს შეიტყო და გარდახვეწილი თავის სიმაჰრის ნუგზარ ერისთვისას მივიდა და მეფემ თხოვნა დაუწყო. იმათ ასრე შემოსთვალეს, ჩვენ თქვენზედ არა დაგვიშავებია რაო, მაგრა მტრის ქნილობითაო ერთს ნაბომები ქალი წაგვართვითო და მეორეს ნათხოვნის ქალი დაგვიღვეითო. ვინც ეს გირჩიაო, ჩვენი წახლენა უნდაო, თორადა პატრონყმობაში ეს ჩვენგან დაითმობისო, მაგრა ესები დიად მტრის საბეზლარი მასალები არისო, ჩვენ უფიცრათ ველარ გენდობითო. გვეშინიანო: ამ ანბებმან ბატონები გააჯავრა ძალზედ, ქართლისა და კახეთის ლაშქარი შემოიყარეს და საერ(ი)ს-თოს შევიდნეს. იმათაც ჯალაბნი არშის ციხეში შეასხეს. ნუგზარ ერისთავი ერთის შეილითა და მოვრავი მისანდოთ მსახურებითა ღამით უგზოთ გარდაიარეს და ყაენთან ჩავიდნეს და ბატონები აგვვარათ შეაბეზლეს და ამისთანას დროს ქალაქის მინბაშისაგან არზა მოუვიდა ყაენსა, რომ არშის ციხე აიღესო და საერისთო აღათანგის მიაბარესო და კიდეც დარბივესო. ეს ანბავი ყაენმან იწყინა და ზოგნი კახეთის საბატოს კაცის შვილები ყაენის კარზედ იყვნენ ბატონის თეიმურაზისაგან მოჩივარნი და ისინიც მოვრავს გაუერთდენ და ქართლსა და კახეთსზედ გალაშქრება კემწიფეს გამოურჩივეს და კიდეც დააჯერეს და ბძანება იქნა და

გალაშქრება შაჰ აბაზ ყაენისა მეფეს ღვარსახბსა და ბატონს თეიმურაზსზედ, ღვარსახ მეთის წაყვანა და კახეთის აყრა და აოკრება ანბავი. დიდის რისხვიანობითა და მრავლის ლაშქრით ყაენი ყარაბაღში მოვიდა. რა ეს ანბავი ბატონმან თეიმურაზ გ(ა)იგონა, თავისი დედა ქეთევან დედოფალი და თავისი და ელენე და თავისი ორი შვილი ლევან და ალექსანდრე სხვას მრავლის ფეშქაშითა, სახეეწარი წიგნები ყაენს წინ მიაგება. ყაენს იამა და დაბრუნება მოინდომა და არც ყიზილბაშთ უნდოდა ეს ლაშქრობა, მაგრა ვინც ქართველნი და კახნი ყაენს ახლდნენ, დაუწყეს ყაენს ხვეწნა, რომ ჩვენი შვილნი და თავები აქ მზევლათ მოგვისხამსო, თუ შენს ლაშქარს დაუმარცხდეს რამეო, ყველას თავები დაგვაყრევიეთო; რადგან აქამდისნი მობძანებულკართო, საქართველო ინადირეთო და რომელიც გეპრიანების, ისრე გარიგეთო და მასუკან ნადირობითა და შექცევით დაბრუნდითო. კემწიფემაც მათი დაიჯერა, ბატონის თეიმურაზის დედა შირაზს გაგზავნა და უკანის დროს რჯულის არ დაგდებისათვის სარჯლით აწამეს და შვილები დაუხოჯავეს. ყაენი საქართველოში მიიყვანეს. ვითაც ქართლსა და კახეთში ორჯული კაცი ბევრნი იყვნენ, შებმა და ომი ველარ გაბედეს, აიყარნენ და იმერეთს გიორგი მეფეს შეჩიზნეს და ისიც კარგად დახვდა. ყაენი ნიქოზს მივიდა და იქილამ ჯარი გაუძახა და ოსეთი დარბევიდა და გიორგი მეფეს რისხვიანე წინგნი (sic) ჰისწერა: ჩვენი ყმანი თქვენთან მოსრულანო, გამოგვიგზავნეთო, თორადა ჯარს გამოგიძახებთო. იმას დაბალი სახეეწარი წინგნი მოეწერა: ყმას რომ ბატონისაგან ეშინოდესო, ერთგულობაში ჩაიგდებისო. ამათ თქვენგან ეშინიანო, მერმე კიდეც დავითხოვო, აფხაზეთს წავლენო და იმერეთი რომ კიდეც დარბიოთო, ღომის მეტს ვერას იშოვნინანო და ვისაც არ უჭამიაო ღომი, ჰამოსო, გაშუნინანდებიანო და ესენი თავიანთ ნებით თქვენი ნახვო არ შეუძლიათო. რა ეს ანბავი ყაენს მოჰვიდა, მეფეს ღვარსახს დისაგან საფიცრისა და მოსანდოს წინგნები გაუგზავნა, სარუხოჯას კელითა იმერეთს გაგზავნა და ერთი წინგნი მეფეს გიორგის მისწერა:

თუ მეფეს ლვარსაბს ჩვენი თავი არ უნდაო, არ(ც) ჩვენ ეგ გვინდაო. თქვენც ბაგრატიონი კართო, თქვენი შვილი ალექსანდრე გამოგვიგზავნეთო, ქართლის მეფობას მიესცემთო და სარუ ხოჯას ასრე დაბარა—ეს წინგნებო მალვით მეფეს ლვარსაბს აჩვენეთო; თუ წამოსვლა მოინდომოსო, იმ წინგს გიორგი მეფეს ნულარ აჩვენებო. რა სარუ ხოჯა ეშმაკისებრ მცდური ტკბილის ენითა მეფემ ლვარსაბ ნახა და თავისის დის წინგნები მიართვა, ნამეტნავად შეპყვარდა და ასრე მოახსენა: ერთს რასმე გაგენდობიო, თუ არ გამცემო და არც ცოცხალი გაგეყრებო. მეფემ სიმართლის გულთი ფრცი უბძანა: როგორ იქნების ჩემვან თქვენი გაცემო. აბა ამისთვის მოსრულვარო, რომ ბატონის შვილი ალექსანდრე წაიყვანო, რომ ყაენმან თქვენი სამეფო იმას მისცაო და უჩვენა—ეს მისი რაყამი არისო და ვღირს ვარო, მაგრა რა მინახვიკარ, ასრე შემეყვარებიკარო, მინდა შენთვის თავი ვაწამო. ახლა თუ ეს რაყამი გიორგი მეფეს მივართვა, არამც თქვენ დაგიკიროსო და თავის შვილს თან გაგატანოსო და არამც თქვენად უკადრისათ მიგიყვანონო. აწე თუ თქვენ ურუმში წასვლას გაპბედათო, მეც თქვენ გამოგყვებო და ამ რაყამს აღარ ვაჩვენებო. ყმაწვილი მეფემ ასრე უთხრა: ახლა რომ ჩვენ ურუმში წაივდეთო და შენ ეგ რაყამი არ მისცეო, ჩვენ რას გვარგებსო, მაგისი მამწერიო სხვასაც აღრე მოსწერსო. თუ სხვა რამ იცი ჩვენი მოს(ა)ხმარისიო, ის მიჩიეთო. იმან ასრე მოახსენა: რომელსაც თქვენ მიბძანებთ, იმას ვეცდებიო. მეფემ ბრძანა, მე ჩემს დას წინგს მივსწერო და შენ ბედნიერს ყაენს არზა მისწერეო რომ უენებლობის საფიცრის წინგნი გვიბოდოსო. მაშა პაპა ჩვენთ ბევრი უმსაკურებიო კემწითის ოჯახს ზედანო და არც არა მე დამიშავებიაო, მაგრა ჩემის ორგულის ყმების სიტყვით არ წამახდენს, წავალო. სარუხოჯას იამა და ფიცხლავ ეს ანბეები ყაენს მისწერა: რა ყაენს მოახსენეს, ფიცხლავ საფიცრები დაუწერეს და ამანც წონგნები მისწერა და ვითაც აღამ ეშმაკისაგან, ლვარსაბ მეფე სარუ ხოჯისაგან მოტყვებული შეიქნა და წავიდა ყაენსთან. ბატონი თეიმურაზ იქვე დადგა.

მოსვლა მეფის ლვარსაბისა იმერეთით ქართლს ყაენს თანა. რა მეფის ლვარსაბის მოსვლა ყაენს მოახსენეს, ბრძანება იქნა, რომ სოულ ყველანი წინ გაეგებნენო, დიდის პატივით ყაენსთან მოიყვანეს. ყაენმან შვილურათ პატივი სცა და მრავალი საიმედო სიტყვანი უბრძანა და იქილამე აიყარა და გორს მობრძანდა. იქილამ ქალაქს ჩავიდა, გაღმა გამოღმა ცხეთით ქალაქამდისინ ლაშქარი იდგა. კახეთს გაუძახეს და ოთხმოცი ათასი კობლი (sic) ქართველი, სომეხი და ურია, თავადი და აზნაურნი აპყარეს და მაზანდარას ჩასხეს და ზოგნი სხვას ქეყანას დაჰქანტეს და კახეთი ალექსანდრეს შვილის შვილს იასეს მისცეს, დავით ასლანის შვილი ვექილათ მოუყენეს. ქართლი მეფის დავითის შვილს მეფეს ბაგრატს მისცეს და მეფე ლვარსაბ თავისის მხლებლებით პატივდებით წამოიყვანეს. მოვრავი ყაენისა კარგი ყმა შეიქნა და ყაენს ესრე მოახსენა: მაგდენს პატივს რომ მეფეს ლვარსაბსა ზღებო, მეფეს ბაგრატს აღარვინ მოუდგებისო, ამისივე იმედი აქეთო. კემწითემ მტრის სიტყვა დაიჯერა. თავისის ყმებით ლვარსაბ მეფე ასტრახათს გაგზავნეს და ერთი წელიწადი გამოიარა, კახელებმან ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანეს, ისახან გამოაგდეს. კიდევ მოვრავს ყაენისათვის მოეხსენებინა: რადგან კახთ ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანესო, ქართველნიც ეცდებიანო, რომ რუსები მოიყენონო და ხომალდი გამოუძახონო და მეფე ლვარსაბ ზღვით წაიყვანონო. ამ სიტყვით ყმანი მოაშორვეს, დაუფანტეს

და ბატონი ლვარსაბ გულაბის ციხეში ტყვეთ გაგზავნეს. ყაენი ისპაჰანს მივიდა და მეფის ბაგრატიის ჩაფარი მოვიდა—იმერელთ ზემო ქართლი დარბივესო და ჩვენც გვინდა იმერეთი დავარბივოთო, კემწიფის ბრძანება რა იქნებოსო. ეს ანბავი ყაენს მოახსენეს. მოვრავემან დრო დაიცადა და ყაენს ასრე მოახსენა: სიღამდისნი მეფე ლვარსაბ ცოცხალაო, საქართველო არ დაწყენარდებისო. კაცი გაუძახხეს, მეფე ლვარსაბ ციხეში დარჩეს და მეფის და ფათმა სულთან ბეგუმ იგირში დორღულ ფეიქარხანს მისცეს, კახეთს ბატონათ გაგზავნეს და ბატონი თეიმურაზ ურუმში წავიდა ხუთასის კაცითა, ხონთქარსთან კოსტანდილპაველს მივიდა, ხონთქარს ლაშქარი სთხოვა. იმან ასრე უბრძანა: ჩვენ და ყაენი ერთრჯული ვართ, იმათზედ ლაშქარს ვერ მოგცემთო.

აქა ხონთქარისა და ბატონის თეიმურაზის სიტყვეგზანი. ხონთქარმან ბატონს თეიმურაზს მოახსენა: ჩვენგნით ლაშქარს თხოულობ ყიზილბაშსხედანო, ჩვენ და ისინი ერთის რჯულისანი ვართო და შენ ქრისტიანი კარო, იმათზედ ლაშქრის მოკემასაო მერჯულენი დაგვიშლიანო და თუ მუსურმანი შეიქნებიო, მაშინ ისინიც ნებას დაგვრთვენო და ჩვენც ლაშქარს მოვაშველებთო. ბატონმან თეიმურაზ ასე მოახსენა: ამდენს ამისთვის ვირჯებო, რომ რჯული არ დავაგდოო და იმათი რჯული არ დავიჭიროო. ახლა რით იქნებოსო, რომე თქვენი რჯული დავიჭირო. ეს ბატონის (sic) ნათქვამი სიტყვები ხონთქარს ნამეტნავად ეწყინა და პარტივიც მოუკლეს და აღარც ინახენეს. ბატონი თეიმურაზ ხუთასის კაცით კოსტ(ა)დილპაველიდამე შემამწყრალი წამოსულიყო. მესამეს დღეს ხონთქარისათვის მოეხსენებინათ. ებძანებინა, ყველგან ჩაფრები გაგზავნეთ, გზები შეუქრანო და ნუ გაუშვებენო. საცა ჩაფრები მივიდნენ, გზები შეუქრეს და საც გზაზედ ჯარი დახვდომოდა, გაელახა და გაეარა და ცოლშვილი სამცხეს ციხეში ჰყოლებოდა. ერთს ერეენის ხანის თაბუნს სულთანს ყაენისაგან გამრეთხოვა, რომ ბატონის თეიმურაზის ცოლშვილის მოსხმა შემძლიაო. ყაენს ვახარებოდა და მრავალი წყალობა ექაღებინა.

სიზმრის ნახვა ხორეზან დედოფლისა და იმავე დღეს ახდენა. რომელსაც ციხეში ბატონი დედოფალი ბძანებულა, იმას ქვეშ ბალი ყოფილა. ვარდის ყვავილობი(ბ)ს დროს თავისის მხლებლებით ბალში ჩასრულა. იმ ღამეს სიზმარი უნახავს, რომ ბალი გველით აივსო. ყველაკანო ჩემზედ საკბენრად მოიზიდვედნო, მე ციხისაკენ წაუველო და გველები უკან ამედევენო. მე ციხეში შეუსწარო და აერით (sic) ორბნი მოვიდნენო და გველები დაიტაცესო. ადეკით, აქ ნულარ დგაკართო, ციხეში ავიდეთო. შვალამე გარდასულიყო, ციხის კარსზედ მისრულიყენენ, ციხონთ კარი არ გაელო ღამით. გათენებისას ყიზილბაშთ ლაშქარი იმ ბალს დასხმოდეს და ციხონთ შეტყო და ბატონი დედოფალი ოლთის ციხეში შეეყვანა და ზედამ თოფი და ზარბაზნი დაეშინა. კოსტანდილპაველით მამავალს ბატონს თეიმურაზს ზარბაზნის კმანი გაეგონათ, ასრე ჰგონებოდა, თუ ურუმთ წავგისხესო და წინ წავგისწრესო. უბრძანა: ვისაც ცხენს შეძლებდა ჰქონდესო, დაუძარიო. რა ციხეს ახლოს მოვიდნენ, შეიტყვეს, რომ ყიზილბაშნი არიან, შემოუტიეს და წაუშინეს ერთმანერთსა და ორგნითვე კარგად ძალ მიცემით და თავკამომეტებით იბრძოლეს; მაგრამ ყიზილბაშნი ამოსწყდნენ და ბატონმან თეიმურაზ გაიმარჯვა და დედოფლის სიზმარი ასრე მალ ახდა. ამ ჟამს კახეთით ბატონს თეიმურაზს ანბავი მოუვიდა, კახნი დანდობილი არაგვზე ამოსწყვიტესო, ყველას თავები დააყრვივინესო, მალე მოგვეშველ-

თო. ფიცხლავ აიყარა და ქართლი ჩაირბინა და კახეთს ჩავიდა. რა კახთ გაიგონეს ბატონის მისვლა, ყველანი მიუვიდნენ. ფეიქარ ხან ჭოგეთის ციხიდან გარდისხვეწა, ბარდას მივიდა და ეს ანბებები ყაენს მისწერა და ყაენთან ალიყული ხან შამლუ სარდრათ ქნა და დიდის ლაშქრით ბატონს თეიმურაზს გაუძახა, რომ ეგების დაიჭირონ. თავს მოუარეს და არაგვზედ ლაშქარი ჩამოხდა. ბატონი თეიმურაზ საგურამინში მოვიდა და სიმაგრეში დადგა. ალიყული ხანს გაცლის გზა სთხოვა, იმან გზა არ მისცა და ამან შესთვალა: ხვალ კმლით გავივლიო და ბაინდურ ერისთავი ქართლის მეფის ბაგრატის ალიყული ხანთან იყო და ყიზილბაშთ ან(ნ)ბავს ბატონს თეიმურაზს არ აკლებდა. რაც იქნის და იტყოდის, იმავე დღეს მისწერდის.

თმი არაგვზე ბატონის თეიმურაზისა და ალიყული ხანის შამლუსა, გამარჯვება ბატონის თეიმურაზისა. ალიყული ხანს მოახსენეს: ბატონს თეიმურაზს უბრძანებია, ხვალ კრმლით გავივლიო. ხანმან უბრძანა ყიზილბაშთა, ყველამ ცხენი და იარაღი მოიკარგეთო და საცა გამოსასვლელი ფონი იყოსო, მეთოფენი ჩასხითო და ეცადენით—არ წაგივიდესო. გაათენებამდინ გზები შეუნახეს და რა გათენდა, რაზმი დაწყვეს და ბატონს თეიმურაზს მოელოდეს და გვიან მოვიდა. ჯარი აჩვენეს, მაგრა წინ არ წამოდგნენ და ბატონს თეიმურაზს ერთი კაცი ბაინდურ ერისთავთან გამოეგზავნა, მამეკმარეო და ალიყული ხანს შემახვეწეო, რომ ყაენს ჩვენი სახვეწარი არზა მიგვიწეროსო, ამ ჩემს აოკრებულს მამულში დამაყენოსო, სხვათ კარე(ბ)ს ნუ მატარებსო. თუ არადა თქვენ ბევრნი და ჩვენ ცოტანიო, რაგინდ სხვაგანც წავიდეთო, მაშინც აქავ უნდა მოვიდეთო, აღარც გავეცლებიო და არც შემოგებშიო. ეს ანბავი ალიყული ხანს იამა და ბატონს თეიმურაზს კაცი გაუგზავნეს, ყაენსთან არზა სთხოვეს, რომ ჩაფრის კელთი გაგზავნონ და ლაშქარსაც ხათრჯამობით ჩამოხტომა უბრძანეს და ყველანი თავთავიანთ კარვებში ჩამოხდნენ და იარაღი შემოიხსნეს. ზოგნი ლოკვაზედ დადგნენ და ზოგნი ჭამად დასხდნენ. ზოგთ დაიძინეს. ამისთანას მოსვენებულს ღროს ყარაულთ დაიძახეს: უშველეთო, მოვიდა ლაშქარიო. შეიქნა ქარანის ძახილი და მოცხენ კაცის ყვირილი და სიღამდისინ ჯარი შეიყრებოდა, ქართველნი ყიზილბაშთ ლაშქარში გამოერივნენ და შეიქნა ძახ(ი)ლი დაჰკარ დაკარისა და ურუზბუ გიდილარი და ზოგან თოფის სროლაც შეიქნა. მაგრა ყიზილბაშთ თავი ველარ დაუჭირეს. საქონლისა და ბარგისა აღარა ინაღვლეს რა. ზოგნი ცხენით და ზოგნი ქვეითათ გაიქცნენ და თბილის ქალაქს შეიხვეწნენ და ზოგნი არაგვისა და მტკვარში ჩაირჩვენეს. ყიზილბაშთ ხანებისა და სულთნების კარვები და ბარგი და საქონელ(ი) ერთ პირათ ბატონს თეიმურაზს დარჩა. თითოს ხანისა და თითოს სულთნის კარავი და საქონელი თითოს თავადს უბოძა და თვითან ალიყული ხანის კარავში ჩამოხდა. საშოარი ასრე გაიაფდა, რომ სანახევროთ წამლები არ იშოვებოდა. აქლემი ერთ აბაზად გაისყიდა. ალიყული ხანისა რაც იყო, ყველა ბატონმან თავისთავი დაიჭირა. სხვა ყველა, ბძანა, ლაშქართ დაუყვეს და ასრე ითქვა,—რა ქვეყანა დარსებულაო, ქართველთ ამის უკეთესი გამარჯვება არ უქნიაო. ეს ანბავი ყაენს მისწერეს და ბატონი ბაგრატ ამ საქმეებში ნამეტნავად ავად იყო და ყაენს მირზა დაჟდ ჰაქიმო გამოეგზავნა, მაგრა ვერა არგო რა. რაც ცამალი (sic) მისცა, მოუხმარებელი იყო. ამისთანას ღროს რომ ალიყული ხანს და ყიზილბაშთ ამრიგი დიდი მარცხი დაემართა, ურდოს აკლება, ყიზბაშთ ამოწვეტა, ალიყული ხანის გამო-

ქცევა და მაზ(ე)დ ბაგრატიის სიკვდილი, ყველა ავი. და ავი ანბებები ერთგან ყანის მისწერეს და ჩაფარის კელით გაუგზავნეს.

სიკვდილი შეფის ბაგრატიისა და მეფობა მის სხვილს ხვიმონს უბოძა ყანმან და ყარჩალა ხან დილის ლაშქრით თან გამოატანეს. მოერაესა და ზურაბ ერისთავს ბატონის თეიმურაზის მტრობას სწაობდეს. ამისთვის მეფეს სვიმონს თან გამოატანეს და ყარჩილა ხანსაც უბძანეს, რომ რაც ცნას, იმით შეეკითხოს. მეფე სვიმონ ქალაქში გააბატონეს და ყარჩილა ხან ბატონს თეიმურაზს ზედ წაიყვანეს. გაუწყრა ღმერთი და ჰგმეს ყანისს პურმარილი, სწვალეს პატრონყმობა, მრავლის სიკეთის მაგიერად იმუხანათეს და ქვეშ ქვეშ დაუწყეს ბირება, ბატონს თეიმურაზს შეჰფიცეს და საფიცარი გამოართვეს და ასრე დაარიგეს: ამა და ამ დროს ლაშქრით მოგვიხეო და რა ცხენს შეჯდომა შეიქნებნისო, მე თვითან ყარჩილა ხანს შუბს შევცემო და მოვკლავო და მერმე რომელი გეპრიანებნისო, ისრე ჰქენითო. ეს ანბავი ბატონს თეიმურაზს მისწერეს. მეორეს დღეს ანაზდათ ყარაული დაიძახეს: ზედამენ ლაშქარი გამოჩნდაო: შეიქნა ცხენს შესდომა და ყარჩილა ხან ბრძანა: ცხენები მზათ დაიკირეთო და მოერაეს დაუძახეთო. ამის თქმაში მოერაევი შეკაზმული თავისის ჯარით ყარჩილა ხანის კარავს წინ მოვიდა, ცხენით ჩამოხტომა დაჰპატიჯეს. ამან თქვა: რა დრო არისო, ლაშქარმან მოატანაო, გამოვიდეს, ცხენს შეჯდესო საჩქაროთ ცხენი მოჰკეარეს. ყარჩილა ხან გამოვიდა შესაჯდომლათ, ფეხი აუქანდში ჩაჰყო შესაჯ(დ)ონლად, ამალდა. გაუწყრა ღმერთი მოერაეს, თავისის კელით შუბი გვერდში გასჩარა და მიწას დასცა და წაუშინეს და მამაცა და შეილიც მოკლეს ქართველთა და კახთ ლაშქარნი ურდოში შემოესივნეს. ზოგნი დახოცეს და ზოგნი გაიქცნეს. ურდო შეუძრავი და ყიზილბაშთა საქონელი, მორკმა ქონება ცხენჯორი, აქლენი და ბარგი ყველა ქართველთ დარჩა. მეფე სვიმონ ყანთან წავიდა, ქართლი ბატონმან თეიმურაზ დაიკირა და ქალაქის ციხეს შემოდგნენ, თაბორით თოფი დაუშინეს და დაბალი ციხე აიღეს. ნარინყალას ვერ შეუვიდნენ. ჰანოას შეიღს მოქალაქეს გარსოას ქალაქის მინბაშათვის ასრე შეეთვალა: როსაც ყანისს კარგი ვანბავი (sic) მოვაო, წითელს რასმეს წამოვისხამო, ციხისაკენ გადრმოვდგებო და მაგრად იყვენითო და ნარინყალას წყალი დაუწყვიტეს და უწყლობამ ციხონანთ ძალი უყო და ქალაქის მინბაშთა და გორელი გორეჯანაშვილი გიორგი ძმობილნი არიანო. მინბაშს იმასთან კაცი გამოეგზავნა, რომ კარგი დრო არისო, ყანისს ოჯახს ერთი ვალი დასდევო, უწყლობამ ნაჩეტნავად შეგვალონაო, წყლით რამე გვიღონეო. იმასაც იმავე ღამეს ერთის კაცით ასულიყო და ხას ლარები აღებული ისრევე თავის ალ(ა)გზედ დაეწყო და სარსარავის წყალი მიშვა (sic) და გათენებამდისინ ნარინყალაში ედინა და კები და აბ აბრები (sic) აეგსოთ. მეორეს დღეს შორიდამენ დაინახეს, რომ კლდით წყალი გარდმოდის, იწყინეს და კაცი აგზავნეს და წყალი ისრევე დაუწყვიტეს, მაგრა ჩამგდებელი ვერ იპოვნეს და ციხონანი იმ წყლის შოვნით გამ(ა)გრდნენ და ციხე აღარ მოსცეს და ციხიდამენ ორნი კაცი გამოიპარნეს და მოერაესთან მოვიდნენ და ციხის ანბავი გამოჰკითხა. მათ ასრე მოახსენეს: ციხე ამისთვის არ მოგცესო, რომ ე-თს მოქალაქეს გარსოა ჰქეიანო, იმა ა და მინბაშს შვანიშანი არისო—თუ ყანისსაგან კარგი ანბავი მოვაო, წითელს წამოისხამსო, ციხონანთ ეჩვენებნისო, ამისთვის გამაგრდებინაო და წყალიო გორელმან გორეჯანამ მოსცაო მინბაშის ძმობილისათვისო. რა ეს გაიგონეს, აღარ გაიკითხე

გარსოას თავი მოჰკეუთეს და გორგიჯანას კისრით ჩამოჰკიდეს და ქალაქი და ლაშქარი ჩამოატარეს და იმერეთით ქუთათელი ელჩათ მოსრულიყვნენ, იმათ კარზედ გატარებაში იცნეს და კელით გამოართვეს და იპატივეს. ამასობაში ანბავი მოვიდა, ისახან ყორჩიბაშიო სარდრათ ქნესო და მეფე სვიმონ დიდის ლაშქრით საქართველოს გამოუძახესო. ეს ანბავი ტაბახმელას¹⁾ მჯღდომს ბატონს თეიმურაზს მოახსენეს და ფიცხლავ ქართველნი მოიხმო და და კახნი შემოიფიცა თავის ერთგულობაზედ, ყიზილბაშის შებმაზე. იქნა რჩევა, მოიხმეს კაცნი ომში ნაცადნი. ზოგთ ასრე არჩ(ი)ვეს, ცხეთამდინ აუშვათო და ზოგმან მალლითა და ზოგმან ვაღმა გამოლმიდამ დაუშინოთო და სიმაგრე ჩვენ გვექნებისო და კელთოფით ამოესწყვეტოთო და მოვრავმა და ალათანგიმ ასრე თქვეს: თუ მაგას ვიქთო, ბარათიან(ნი) ჩვენ წაგვივლენო და იმათ მიუვლენო და გზები კარგად იციანო, დიდგორ(ი)ს გზით ლაშქარს წამოუძღვებიანო და წინა უქანას გვიზმენო და რადკან ბევრი ლაშქარი გვახლავსო, ესე სჯობსო, რომ მინდორში ჩავეგებნეთო და ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებნო, რა ერთხელ გატყდებიან, ველარ შემოგვბედვენო.

ომი ალგეთსზედა ისახან ყორჩიბაშისა და ბატონის თეიმ(ურ)აზისა ქქსა ტით მკედრულისასა. უწინ ქართველთ გაიმარჯვეს და ყიზილბაშნი გაიქცნენ, ნაშოვრის სიკარბისათვის იქნა ქართველთ დამარცხება და ამოწყვეტა. წამოვიდნენ სრულ ერანელნი მცირეს საქართველოს ზედან, დაწყვეს რაზმი მარჯვენ მარცხენანი და წაიყენეს წინ მეთოფენი. ადერბეიჯანის ბეგლარბეგი თავისის ლაშქრით მარჯვენას მკარეს დელეში მიფარული შეიქნა და აქეთ ქართველნი ომში ნაქებნი ცხენ კეთილნი კაცნი დარჩეულნი და სხვა ლაშქარიც უკახ აედევნეს, თოფის მოსაწვეამდისინ ნელად იარეს, მერმე ფარები დაიფარეს და შუბები წაიგრძელეს და ცხენქენებით მიუხდნენ და თორმეტმან ათასმან მეთოფემ თოფი დააყარეს. ბრძანებითა მლ^ათისათა ვერა ქნეს რა, მეთოფენი გაიქცნენ და ქართველნი ყიზილბაშის ლაშქარში გაერივნენ და შე(ი)ქნა შუბთა ძგერება, კმალთა და ლახტთა მუზარათზედ კეთიენება და თვითან ბატონი თეიმურ(ა)ზ ერევნის ბეგლარბეგს ამირგუნახანს შეხვდა, ბატონს შუბი შემოსცა და ცხენის გავას გარდასვა და ქართველნი მიეშველნეს, ამირგუნახანს შუბი გაუჭკეს, ბატონი ისრევე უნაგირში შეჯდა და გაჯავრებულმან ცხენ ძრიელად მიუხდა და ისიც მო(ე)გება, მაგრა ბატონი დიად ფიცხელი იყო და სწრა(ფად) შუბი შესცა და იმან ფარი დახუერა, ფარა გაუტეხა და კელნავიც გაუხეთქა და მკლავიც მოსტეხა, შუბიც შეამტვრია, ცხენ(ი)დამ გარდმოაგდო. ყაჯარნი მოეშველნენ და ქართველნი მიეტ(ე)ვნენ და მრავალი კაცნი დაიხოცნენ და კარგად ეცადნენ ყაჯარნი და ამირგუნა ხან საომართ გაიყუანეს, მაგრამ დიდხანობამდი იმავე დაკოდილობით მოკვდა და ზოგთა თქვეს—ბატონობის დომისათვისო შეილმან თამაზ ყულიხან მკლამაში მუში გარევიანო, იმაზედ მოკვდაო და ყორჩიბაში მალლობზედ დროშას ქვეშ იდგაო და ქართველთაო მრავალი მურასა, თაჯი და ჯილა და კმალი ხანჯალი და უნაგირი, რახტი და(ი)ნახეს, დამარცხებისა აღარა ინადვლეს რა, ნაშოვარს დახ(ა)რბდნენ და ზურაბ ერისთავი და ავთანდილ მოვრავის შვილი ურდოს ზავთის საქნელათ მივიდნეს, რომ სხვათ ნაშოარი არ დანებონ, ყველა თავიანთათვის უნდოდა. ამ რიგის ბევრის დომით აირივნენ და ომის გათავება და მტერსზედ გამარჯვება აღარ მოიც(ა)დეს და ადრბეიჯანის ბეგ-

¹⁾ დედანში: ტაბახმელიძს.

ლარბეგი შაჰბანდა ხან თვისის ლაშქრით გამოვიდა, ქანარის ძახილით, თეთრი დროშაც წინ გაშლილი მოუძღვოდა და მალალის კმით იძახდნენ, რომ შაჰა გელდი, შაჰ გელდო. ქართველის შეილებსაც აძახებდეს ტირილითა, რომ ბატონი თეიმურაზ მოკლესო. ერთგნით ყაენის მოსვლის შიშმან და მეორე ბატონის თეიმურაზის მოკვლის გაგონებამ ან ქართველთ გული გაუტეხა და ნაშოვარიც ბევრი ექნათ და თავიც ველარეინ დაუქირა. იარეს კოჟრისაკენ. რა ყორჩიბაშმან სცნა ქართველთ დაბრუნება, იამა და გაგულოვნდა, შაჰბანდა ხანის ომით¹⁾ გაქცეული ყიზილბაშნი მოაგროვა და ქართველთ კოცით უკან აედევნეს, ქართველთ ქვეითნი დაიღალნეს და სიარულისა და წასვლის ღონე აღარ შერჩომოდათ. ალაგალაგ ერთგან შეგროვდნენ და სიღამდისინ დაიხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს. ვისაც კელი მიაწვდ(ი)ნეს, მოუკლავი არ გაუშვეს და თვითანც დაიხოცნენ. ყორჩიბაშის ჯარიც წამოეწია, ნახეს, ქართველთ ქვეითთ წასვლის ღონე აღარა აქვთ. იმათ დასაკოცლათ მეტოფენი (sic) უჩინა და რომლის ყიზილბაშის ცხენს შეძლება ჰქონდა, ქართველთ უკან გაადევნა, კოჟრის ციხის ძირამდისინ მისდიეს და ღამემაც მოუსწრა. მეორეს დღეს ყიზბაშის ლაშქარ(ი)ც აიყარა და წინ წამოდგა და უწინ მოსვლასზედ ქართველთ მრავალი ყიზილბაშნი დახოცეს, მაგრა ბოლოს ნაშოვრის დომითა და ერთმანერთის არ დაჯერებითა ქართველნი გაიქცნენ და ხუთი ათასი თავადნი და აზნაურშვილნი, მსახურნი და გლეხნი დახოცეს და ვინც მორჩა, თავისას მივიდა. ქართლი და კახეთი აიყარა და იმერეთს გარდავიდნეს ოთხის გზითა, მაგრა ასეთი ჯრა იყო, რომ თუ არ ძრეილი კაცნი, ვერ გატანდა, ძლივას ოთხს დღეს გარდვიდნენ და ყიზილბაშის ლაშქარი უკან წაეწია და ოთხი ათასი ტყვე იშოვნეს სხვას საქონელსა და ნაშოვარს გარდაისათ. ქართლისა და კახეთის მოსავალი ყველა ყიზილბაშთ დარჩათ, საქართველო დასწვეს, დააქციეს და ყოველთვის საქართველოს აობრება ერთმანეთის დაუჯერებლობითა, საშორის დომით ქნილა, მაგრა მაშინც არ დაიშლიან.

იმანყული ხანის ქალი ანუ ყაფარ ამილახორის ჯალაბი არშის ციხეში იყო. ამილახორის და თამარი შაჰბანას ყაენს ცოლათ ჰყვანდა და ნამეტნავად უყვარდა. ყაენის ბძანება მოუვიდა, საერისთოში შედითო და იმანყული ხანის ქალი წამოიყვანეთო და ჩვენთან გამოგზავნეთო. ლაშქარი შეუძახეს. ზოგი ქსნის კვეითა და ზოგი არაგვითა, შესვლაზედ გზა დაანებეს. რა ციხეს ახლოს მივიდნეს, იმანყულის ხანის ქალი მოსცეს და დაბრუნებაში გზები ჩაუხერგეს და უკანდამენ წამოუშინეს. სიღამდისინ გზებს გახსნიდეს, სამს დღეს იომეს და ძლივას ხეები გზიდამენ გარდაყარეს, ზოგნი დაიხოცნეს და ზოგნი კახეთისაკენ გარდვიდნენ და ზოგთ ამილახორის ჯალაბები წაასხეს, შაჰბანდა ხანი მოკლეს და ყაზახან შირვანის ბატონი ცოცხალი დაირჩინეს და უკანის დროს გააპარეს. ამილახორის ჯალაბი ყაენთან გაგზავნეს და ა(ნ)დუყაფარ ამილახორი ქალაქის ციხით ჯარდავარდა და მოკვდა. ცოლშვილი ყაენს მიუსხეს და მეფეს სიმონს განჯის ხანი მ(ო)უყენეს და ქართლში გააბატონეს და რა ყიზილბაშის ლაშქარი საქართველოდამ დაბრუნდნენ, ბატონი თეიმურაზ და მოვრავი იმერეთით გარდმოვიდნენ და ქართლის ბატონობაზედ შეიცილნენ ამისის ძალითა, რომ ქსნის ერისთავი იასე და მუკრანის ბატონი თეიმურაზ მოვრავის სიძენი იყვნენ და არაგვის ერისთვის

¹⁾ დედანში: ომიც.

ქალი ედგა და ბატონს თეიმურაზს მუკრანი თავისის შვილის დათუნასათვის მიეცა. ზოგი ქართლი და კახეთი სრულ ეჭირა და ზურაბ ერისთავი მეფემ სვიმონ შემოირიგა და მუკრანი მას მისცა და ზოგზოგი საეხსტანგო სოფლებიც მას მისცა და მამობა უბძანა და შემოიფიცა და ბატონმან თეიმურაზ უომრათ ქართლი დაანება და კახეთს ჩავიდა და მოვრავი და მუკრანის ბატონი და ქსნის ერისთავი იმერეთს გარდვიდნენ. ბატონმან თეიმურაზ თავისგნივ გაქეთებული ერთი ჩერქეზი საკელათ გიორგი, სიძე იყო ზურაბ ერისთვისა და ის შეუყენეს ერისთავსა და მას ნაპირის ალაგს იორის პირს მამული მისცა და ზურაბ ერისთავს ქალის მიცემას და თიანეთის სამამულეთ მიცემას დაპირდნენ მეფის სვიმონის შოკვლისათვის. ჰგმეს პატრონყმობა და შესცვალეს ლმერთსზედ ფიცი. დიდმან დომამ არია და შეიცვალა ჭკუისაგან და ცხვილოსს ამილახორის მამულში თავისი მემკვიდრე ბატონი მეფე სვიმონ მინდობილი ზურაბ ერისთავმან მძინარე მოკლა. იქილამ დაიწყო სირბილი და წავეკის მყოფს დედოფალს ჯაჰანბანუ ბეგუმს ყაენის ქალს თავს დაესხა, რაც ჰქონდა, გაცარცვა და დიდის ვებით და კივილით დიღვამამდი წაიყვანა. ბატონის თეიმურაზის კაცი მოუვიდა: ერანის კემწიფის შვილისშვილი არისო, დედოფალს არა შესცოდოთ რამეო. ამაზედ დედოფალი გაცრცვილი თავისის მკლებლებით ქალაქში მიასხეს. ვაი ამისთანის დღის შემსწრებასა. ქმარ მოკლული, საკემწიფო წართმეული და თვითან უპატიოთ გაცრცვილი, პაპის შაჰბაზ ყაენის სიკვდილის გამგონე და ბიძაშვილის შაჰსეფის ყაენის გაკემწიფება და მამის ისახან ყორჩიბაშისა და თავისის ძმების დახოცა ყაენისაგან—ეს ყველა ავი და ძნელი და საზარელ საოცავი ანბეები ყველა ქალაქის ციხეში ერას დღეს გაუმელავნეს ბატონს დედოფალსა. ნურვისამც ყურს ნუ გაუგონია რომ ბატონმან დედოფალმან გაიგონა ამრიგი მოულოდინელი საქმე რომ ჯაჰანბანუ დედოფალს დაემართა.

ეს ანბავი მინბაშმან ქალაქისამან ყაენს მისწერა. შაჰსეფი ახალი კემწიფე იყო, ეს ანბავი მისწერეს და ბატონმან თეიმურაზ ქართლი დაიჭირა და გორს იდგა. იქილამენ ბატონმან თეიმურაზ თავისი ქალი დარეჯან ზურაბ ერისთავს მისცა, მაგრამე ხორეშან დედოფალს მიცემა არ უნდოდა, ამისთვის რომ თავის შამშობლოს (sic) ამოგდებას იმათგან იყო, მაგრამე ღონე არ იყო, ამისთვის რომ მოვრავი ქართლს ეცილებოდა. თუ ზურაბ ერისთვისათვის თავისი ქალი არ მიეცა, მოვრავს მიუდგებოდა და ქართლს იმას დააქირვინებდა.

ოში ბაზალეთს, ბატონის თეიმურაზისა და მოვრავის შებმა. ზურაბ ერისთავი ძალზედ ბატონს თეიმურაზს მოუდგა და საომარი ალაგი ბაზალეთს გაარიგეს, მოსასვლელს გზებზედ წყალი შეუგდეს რომ საფლობი შეიქნას, მაგრა მოვრავმან იქაურობა კარგად იცოდა, რაზმი ტალახს ააცილა და სხვიგნით მიიყვანა და მოვრავს ეთქვა: ოში ბატონს თეიმურაზს ვიახლებიო და იმის სიყმაწვილესაო, ჩემს სიბერკაცესაო მასთან გამოვციდიო. მეფის თეიმურაზისათვის შემოეთვალა: ამ ფერს ცხენს შეეჯდებიო, ამა და ამ ფერს კურტაკს ჩავეცვამო და ბატონმაც თავისი ნიშნები გვიბძანოსო. ბატონს მოახსენეს და ამანც შესთვალა და ისრეც შეიკაზმა და მოვრავზე მიტივას (sic) აპირებდა. ეს ზურაბ ერისთავმან იწყინა და ასრე მოახსენა: კემწიფე კემწიფეს უნდა შეეძასო, არათუ თავის უმცროს ყმასაო. რომელიც გიბძანებიაო, მაგავე ნიშნებითაო ერთი საპკაძის ამხანავი კაცი შეეკაზმითო და შევაბათო. ასევე ქნეს. ერთი ახალგაზდა კახი საბატონის კაცის შვილი შეკაზმეს და რა რაზმი გაეწყო, ვითაც

ელვა სიჩქარით მოვრავს მიუხდუნეს. მოვრავმან ფარი დახვედრა და შუბი შემტვრია და გასცილდა. მოვრავმან ცხენი დაიბრუნა და შუბი შესცა. ამანც ფარზედ შეამტვრია. იცნა მოვრავმან, რომ ბატონი თეიმურაზ არ არის, კიდევ ფიცხლათ მოუხდა მოვრავს, თავს კმალი სცა, მუზარათი გაუტეხა, მაგრამე გერში ვერ ააღებინა, მაგრამე ნამეტნავად შეალონა მოვრავი. მაგრა შეუძახა: ნეტაი იმ ყმასაო, რომ თავის პატრონს ენაცვალოსო. თქვა და ზედ მიუხდა. ვითაც იმ ყმაწვილს მუზარათი არ ებურა, თავს კმალი დაჰკრა და შვა გაუჩეხა და ცხენით გარდმოვარდა. მიეტივენენ ერთმანერთსა და შეიქნა ძრიელი ომი და იმ ყმაწვილის კმლის ცემას მოვრავი ულონო შეექნა. თვითან ომი ველარ შეიძლო და სხვათა ომთ უმზერდა. ორგნითვე ძალსზედ იბრძოდენ. ბოლოს გამარჯვება ბატონს თეიმურაზს დარჩა და ისინი გაიქენეს და უკან ლაშქარი გაადევნეს და მრავალი იმერელი დაირჩინეს და ბატონს თეიმურაზს მოუსხეს. ბრძანება იქნა, რომ ნურვის მოჰკვლენ და თითო ყური მოსჭრან და გაუშვან და მოვრავი, მუხრანის ბატონი, ქსნის ერისთავი და ზოგნი სხვა საბატოო კაცის-შვილნი თან გაიტანეს და ხონთქარსთან მივიდნეს. სამი ოთხი საფაშაო სარჩოთ გაუჩინეს, დიდი პატივნი დასდევს. ყენი და ხონთქარი შულლობდენ ბაღდადს ზედან და ხოსროვ ფაშა დიდის ლაშქრით ბაღდადსზედ გამოუძახეს. მოვრავი და ვინც მასთან ქართველნი იყვნენ, ხოსროვ ფაშას გამოატანეს და ბაღდადსზედ გაისტუმრეს. რა აზრუმს მოვიდნენ, აბაზა ფაშა ჯალალი შეიქნა და აზრუმის ციხე უკუ(ი)ჭირა. ხოსროვ ფაშა შემოადგა და მრავლის სარჯლით აიღეს და მოვრავი და ქართველნი ციხის აღებაზედ ნამეტნავად კარგად ყოფილიყვნენ. ხონთქარსაც ამათის ქების ანბავი მისელოდა და ასეც მოხსენებოდა: თუ მოვრავი არ ყოფილიყო, ციხეს ვერ აიღებდაო. ხონთქარის და ხოსროვ ფაშის ცოლი ყოფილა და ქრმისათვის მოუწერია: ვეზირ აზამი კარო და სარასქირიო, მოვრავის ქების ანბავი მოდის და თქვენი არაო. ამისთვის ხოსროვ ფაშამ მოვრავი, მისი შვილი, მუხრანის ბატონი და ან ვინც ახლდენ, ყველა დახოცა და ეს ანბავი ხონთქარს მიუვიდა, ნამეტნავად იწყინა, მაგრა სიღამდისინ ხოსროვ ფაშა ბაღდადით არ დაბრუნდა, არა თქვა რა. რა მოვიდა, ხონთქარმან ჰქითხა, სად არის მოვრავიო. იმან მოახსენა—რაფუზი იყო და მოვაკვლევიყო. ხონთქარმან ბძანა: ჯალათ გელსუნ. მისცეს კელთა და დიდის სარჯლით მოაკვლევინეს ხოსროვ ფაშა.

ქართლი და კახეთი ბატონს თეიმურაზს ეჭირა, მაგრა ქალაქი არა ჰქონდა და დედოფალი და ქართველნი და კახნი ზურაბ ერისთვისათვის ავნი იყვნენ და დედოფლის ნებართვით ზურაბ ერისთვის სიკვდილი გამოარჩივეს. ზურაბ ერისთავმან თავისი მემკვიდრე ბატონი მოკლაო, უსაცილოთ თქვენც მოგკლავსო და ქართლსა და კახეთს თვითან დაიქერსო და რა ხოსროვ ფაშა დაბრუნდებდისო, მეფის სვიმონის ბიძა ყენის ყულარალასიო და სისხლს არ შეგვარჩენსო. მაშ ასე სჯობსო, ზურაბ მოვკვლათო და თავი ყენს გაუგზავნათო და მეფის სვიმონის სიკვდილი იმას დავაბრალოთო და ქართლის მეფის სისხლი და ერანის კემწიფის რისხვა ამით ავიცდინოთო. დააჯერეს ბატონს თეიმურაზს და საფურცლეს დაჰპატიჯეს და უღალატეს და სუფრახე ერისთავი ზურაბ მოკლეს და საერისთოში შეეს(ი)ვენეს და ბატონისშვილი დარეჯანა გორს მიიყვანეს და იმერ(ე)თის მეფის გიორგის შვილს აღექსანდრეს მისცეს. ხოსროვ ფაშა ბაღდადსზედ წამოსრულიყო, ამისთვის მეფის სვიმონის სისხლის აღებას არ აჩქარდეს

და ეს ანბ(ა)ვიც მოვიდა—როსტომ ხან ხოსროვ ფაშაზედ გიიმარჯვო (sic) და ურუმის ლაშქარი დაბრუნდაო. გვიჯობსო, რომე ზურაბ ერისთვის თავი ყაენს გაუგზავნოთო და თავი ვიმართლოთო. ამით ეგების კემწიფე დაგვიტკბესო. დაუჯერა ბატონმან თეიმურაზ და ზურაბის თავი ყაენს გაუგზავნეს და ასრე არ-ზე მისწერეს, ვითაც მეფე სვიმონ ნათესავი იყო ჩვენო და კემწი(ფი)ს ბრძანებით თავის სამკვიდროზედ ბატონობდა. ამ თავისმან ყმაჲა უღალატა და მოკლა და ჩვენს გვართ წესია, რომ ერთმანერთის სისხლს მოვიკითხავთო, ამისთვის მოვკალით და თავი კემწიფე(ი)ს კარზედ გვიახლებიათო. ეს ყაენს იაჲა და ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მოსცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს. ეს რაყამი და კალათი ასეთს დროს მოუვიდა, რომ მეფის ალექსანდრეს ქორწილი აქონდა და შექნეს ნამეტნავად სიმკიარულე და ზოგთ ქართველთ ეწყინა ამ ანბავზედ. ბატონმან თეიმურაზ კარგი ფეშქაში მოიკარგა და ჩოლაცასშვილის რევაზ საკლის უხუცის კელით შაჰსეფის ყაენს გაუგზავნა, მაგრა კახნი ქართველთზედ ამაყობდეს და კმლით დაქირულს ეძახდეს, უპატოთაც ეპყრობოდეს¹⁾ ქართველთ გული გაავებოდა და ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ. გზასა და ლონეს რასმეს ეძებდენ და ბაღდადის ლაშქრობაც მოიშალა. ყაენი დაბრუნდა.

აჲა ანბავი როსტომ მეფისა, დავით მეფის შვილისა რომ უწინ ხოსროვ-შირზა ერქვა. მეფის ბაგრატის ძმა იყო და მეფე სვიმონ ბაგრატის შვილი იყო და მრავლის სამსახურითა კელ გამამავლობით ყაენმან ყულარალასობა მისცა და ისპაჰნის მოვრაობაც აქონდა. ქრონიკონსა სამასცამეტსა შაჰ აბაზ ყაენი მაზანდარას მიიცვალა და ისფ(ა)ჰ(ა)ნს როსტომ მეფის ცდით შაჰ სეფი ყაენი გაკემწიფედა და ქართველთ დრო დაიცეს და უპატრონობა თქვეს და ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხოდა. რადგან ხოსროვ ფაშა ერანზედ წამოვიდა, ძმისწულის მეფის სვიმონის სისხლი აღარ ახსენა და ასრე თქვა: იმას ველარ გავაცოცხლებო, ჯერ ხოსროვ ფაშა გავიცალოთო და მერმე სვიმონ მეფის სისხლ(ს) მოვიკითხავო. აღარ აჩქარდა და ბაღდადის ციხის მისაშველებლად წავიდნეს. იპრია-ნა ბრძანებამან მლ¹⁾თისამან, როსტომ მეფემ ხოსროვ ფაშაზედ გაიმარჯვა და ურუმის ლაშქარი დაბრუნდა და ყაენი ბაღდადს მიბძანდა და იმანყული ხანის ძმა დაუდ ხან ყარაბაღის ბეგლარბეგი უქკო და ამაყი კაცი იყო და ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის მეჯლიშიდამენ გაეგდებინა და ეს ჯავრი დაუდხანს ვერ მოეთმინა. ამისთვის დაუწყო თეიმურაზ მეფეს მოციქულობა დაუწყო (sic). შეიფიციენეს და აღრბეჟანის დაქირვა მოინდომეს. ასრე გაარიგეს, რომ უწინ ყაჯარის თავნი კაცი დახოცონ და მას უკან სხვათ კელი მიჰყონ. უწინ შვიდასს ყაჯარს თავი მოჰკვეთეს და ქართველთ, იმერელთა და კახთა განჯა, ბარდა და ყარაბაღი დარბივეს.

ბატონმან თეიმურაზ განჯა ყარაბაღი დარბივა. ბატონმან თეიმურაზ ყარაბაღის დარბევა მოინდომ(ა). ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერეთის ლაშქრით, მესხთ თავადნი და აზნაურნი, ქართველნი და კახნი სრულ შეიყარნეს და განჯა ყარაბაღი არ(ე)ზამდისინ დარბივეს და ააოხრეს. ბატონი თეიმურაზ ბარდას იჯდა და განძასარის სომეხთ კათალიკოზი დიდის ჯარით და ფეშქაშით ბატონს თეიმურაზს მოუვიდა და ასრე მოახსენა: კონ-

¹⁾ დედანში: ეპყრობოდეს.

თქარი და ყენი აშლით არიანო, დრო ამის უკეთესი აღარ იქნებოსო. შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გახლავსო, ორმოცს ათას მეთოფეს მე მოგისხამო, ამავე ფეხსზედ თავრიზს მიბძანდიო და შვიდს დღეს თავრიზი დაარბეინეთო და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქართ უანგარიშეთო და სიღამდისინ ყენი ლაშქარს შეყრიდესო, ადრბეიანის ბატონები გამოსცვალეთო, ყველგან თქვენი ყმანი დასხითო და მე კონთქარსთან გამგზავნეთო, იმისგან ლაშქარს მოვაშველებო. თუ ყენი წამოდგესო, შევებათო და ისინი ქართველთ ომს ვერ შესძლებენო, ამისთვისაო რომ ქართველთ გასაქცევი გზა შორ აქეთო, თუ გაიქცევიან, იციანო, რომ ვერ გაწევენო, გზაზედ დახოცენო. მაშ გაქცევის ფიქრი არეის ექნებოსო. ძალმიკემით დაიწყებენ ოქსა და ბრძოლასაო და გამარჯვება თქვენ დაგრჩებოსო და მთავარ კემწიფეთ გაკურთხებთო და საქრისტიანო შენით დაიხსნებისო და გაძრიელდებიანო.

ეს ბატონმან შორ დაუქირა და ასრე უპასუხა: ჯერ ყარაბალი დამიქირავსო და შირვანს ჩემის ყმის შვილი ბატონობსო. ამ ზამთარ ქართლს მივალო, კონთქარს ფეშქაშს გაუგზავნიო, ჯარს შევასვენებო და გაზაფხულსაო უფრო დიდის ლაშქრით წამოვალო. კათალიკოზმან შეატყო და თავისის ენით თქვა: კოკი გულეო (sic). ბატონმან შეუტყო, თუ რა თქვა, გაიცინა და ასრე უთხრა: შენცა და დაუთხანასაცაო თან წაგიყვანო, გორს მივალო. ლაშქარი საშოვრით სასტე თავისს მივლენო. კიდევ ბერმან გაცხადებით მოახსენა: ძროხა ცხვრისათვის დადიანი და იმერელი მეფე არ წამოგესხაო, ქართლსა და კახეთშიაც იშოვნდიო და ერანის კემწიფე აგდენს როდის გაცლისო, რომ შენ მეორეთ კიდევ ამრიგი ლაშქარი შეიყარო. დღეს ხვალობით ლაშქარს მოგიხდუნებენო და ცხვრისა და ძროხის მაგიერად ტყვეს წასხმენო. არ იქნა, ბერს არ დაუჯერა რა, განჯიღამ აიყარა და დაუდ ხან ცოლშვილითა და ყოვლის მისის ბარგითა და ქონებითა და სომეხთ კათალიკოზიც თავისის სალდრის მორთულობით გორს მოასხა. დადიანი და მეფე ალექსანდრე და მესხთ თავადნი ალხინა და ვარიანის ქალა და გორის ნეფის წყარო ანადირა და კარგად შეაქცია და ყველას მრავალი საჩუქარი მიართვა და გაისტუმრა და განჯის მოჩივარი ყენის კარს ჩავიდნეს. დაუთ ხანის ორგულობა, ყაჯართ ამოწყვეტა, ბატონის თეიმურაზისაგან განჯა ყარაბალის დარბევა და აოხრება, დაუდ ხანის ქართლში წაყვანა—ყველა შაჰ სეფი ყენს მოახსენეს. გარისხდა და იმანყულიხან დაუდ ხანის ძმა შირაზის ბატონი თავისის შვილებით მოახსმევეინა და ზოგი დახოცა, ზოგს თვალები დასწევს.

შაჰ სეფი ყენმან დაუდ ხანის ჯავრით მისი ძმა იმანყული ხან შვილებიანად დახოცა. დაუთ ხან იმანყული ხანის ძმა იყო, ყენს უმუხანათა, ყარაბალი დარბევეინა და თვითან ურუმში წავიდა. შაჰ სეფი ყენმან იმანყული ხან შვილებიანათ დახოცა და დაუდ ხანის შვილები დაახოჯაა. ვერც ურუმში იშოვნა პატივი(ო) თავისის ამაცობითა და უბრალოთ ძმის ოჯახი მოსთქარა. ძველითგან ნათქვამია—თავისის ბატონის ორგულს კარგი არ დაემართების, თუარ ბატონისაგან მრავალგვარად უსამართლოთ ძალ დატანებული არ იყოს და ბატონის თეიმურაზსაც გაუწყრა ყენი და საქართველო მეფეს როსტომს მისცა და საჰკაძე როსტომ ხან ერანის ლაშქრით თან გაატანეს და ქართველნი რომ ყენს ახლდენ, რომელიც სთხოვა, თან გაატანეს. უწინ ამილახ(ო)რ(ი) ბეყან, ქსნის ერისთავი ზალ, თვალდამწვრისშვილი დავით თავისის შვილებითა, ფანველის-

შვილი ბახუტა და როინ ჯაგლაგი, მაჩაბელი თამაზა, ციციშვილი პაპუნა, თურმანბეგ თურმანიძე, იმერეთის ბოქალუთ უხუცესი ჩხეიძე თეიმურაზ, ბარათაშვილი ჰსანბეგ და მელიქ სადათ, სომხითის მელიქი ათაბეგ თავისის ძმებითა, კახი ედრონიკაშვილი ოტია, კახაბერი, ელიზბარ სვიმონისშვილი, დემეტრე და როინ ფანველისშვილი წინ გაგზავნეს და სომხითის მელიქს საქართველოს თავადებთან წიგნი მიაწერინეს, ასრე რომ თქვენი საცქიერწარი არზა ბედნიერს ყაენს მივართვი, იამა და შეგიწირა და თქვენსაგ მემკვიდრეს ბატონს თავის ყულარალასს მეფეს როსტომს მიგცა და თავრიზის ბეგლარბეგი როსტომხან სპასალარი ერანის ლაშქრით თან გამოატანა და მლთისა შეწევნით საშემოდგომოთ ჩვენც მოსულნი ვართ. ბატონი თეიმურაზ დიღვამს იღვა. ასრე მოახდინეს, რომ წინგნები კელში ჩაუგდეს და ფანველის შვილს რომ წინგნები მოჰქონდა, გზაზედ დააპირვინეს და ბატონს მოჰგვარეს და წინგნები გამოართვეს და წაიკითხეს და ვისთანაც ეწერა ამ წინგნების ანბავი, კახთ ყველას შეატყობინეს, რომ ბატონს თეიმურაზს ამისთანა წინგნები კელშიდ ჩაუვარდაო. ამ წინგნებზედ ქართველნი დაფრთხენ და აღარვინ მოვიდა იოთამ ამილახორის მეტი და როსტომ მეფე ყარაბაღში შემოსულიყო. ომი აღარ მოკდა, დიღვამით აიყარა და გორს მივიდა. ქართლის ლაშქარი აღარც იქ შემოეყარა და იმერეთით მოშველებას ელოდნენ. დადიანი ჩამოსდგომოდა, ვეღარც ისინი მოეშველნენ. ამისთანაზეა ნათქვამი: ვისაც ბედი გაუადლებდისო, ფაფა კბილებს დაამტკრევსო. გორს ანბავი მოუვიდა, ერანის ლაშქარი აღჯაყალას შემოვიდაო და ბარათიანი სრულ მიუვიდნესო. ბატონი თეიმურაზ გორით აიყარა და ქვიშხეთს მივიდა. როსტომ მეფე ერანის ლაშქრით ქალაქში შემოვიდა და უფროსი ერთნი თავადნი მიეგებნენ და ბატონის თეიმურაზის ულაშქრობა მეფეს როსტომს მოახსენეს. ქალაქით ორი ათასი ცხენკეთილი კაცი დარჩივს და ქვიშხეთს გაუძახეს, რომ ბატონს თეიმურაზს დაესხან. იმათაც შეეტყო და ჯალაბნი და ბარგი წინ გაესტუმრებინა და თვითან სახმარის კაცებით უკან ასდევნოდეს და მდევართაც ზოგთ ცხენები დავარდოდათ. ცოტა ვინმე წამოსწეოდნენ და ომს დარიდებოდენ, უკან დაე(ა)რდნილის კაცისა და ბარგისაგან ეშოვნათ, გორს მეფეს მობრთვეს და ბატონი თეიმურაზ იმერეთს გარდვიდა და ქართლი ყიზილბაშით აივსო.

ქკს ტიზ გორის ციხე ააშენეს, ხაქართველო მეფეს როსტომს მიაბარეს. გორის ნაციხვარი ზომით ლაშქრით დაუყვეს და ოცს დღეზედ ააშენეს, გაათავეს და ნურის მინბაში მესხი მუსლიმბეგ მაზანდარის მეთოფებით მცველათ შეაყენეს და ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნენ და როსტომ მეფეს ფხვს აკოცეს ციციშვილის ფარსადანის მეტი და იმას სარდრისა ეშინოდა, ამისთვის რომ ძველით მტერობა აქონდათ. ეს სარდარმან იწყინა, საციციანოს ლაშქარი გაუძახა, დარბევიდა და მრავალი ტყვე მოასხეს. ეს როსტომ მეფემ იწყინა და სარდარს კაცი მიუგზავნა: თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე რისილა ბატონი ვიქნებიო. ამაზედ დამდურდნეს და ორთავ ყაენს არზა მისწერეს და ყაენისაგან ბრძანება მოუვიდა—სარდარი თავისის ლაშქრითაო ვანის ციხეზედ წავიდესო და შირვანის ბეგლარბეგი ყარაბაღის ლაშქრით როსტომ მეფის ქეშიქში დადგესო. რა სარდარი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ციციშვილი და ანსხვანი საცა დახიზნულიყვნენ, ყველანი მოვიდნენ. დაიწყეს აშენება, ხენა, თესვა.

მოხელენი გამოსცვალეს და თან მოყოლილი თავადთა და აზნაურთა თავიანთ მამული უბოძეს. შექნეს ვაზრობა(ა), დაიწყეს რჩევა, ეძებეს სამოყვროთ ლევან დადიანი და გაუგზავნეს მოციქულები და საქართველოს სადედლოფლოთ და მისი მარიამ, დედათა შიგან ნაქები. სათხოვნელათ მოციქულები წავიდნეს და იმათაჲ იამა და მოსცეს.

აჲა როსტომ მეფისაგან ლევან დადიანის დის მარიამის თხოვნა სადედლოფლოთ. რა თბილელი მივიდა, ლევან დადიანსთან დის მარიამის ქართლის სადედლოფლოთ სათხოვნელათ, ნამეტნავად იამათ. ნება დართვეს და ნიშანი მიირთმიეს და მოციქულნი მადრიელნი დაბრუნდეს და ეს ანბავი მეფეს როსტომს მოუტანეს და მეფემ ყანეს ჩაფარი გაუგზავნა და დადიანის მოყვრობა კემწიფეს გააშინჯუნა. მისგან ბრძანება და საქორწილო მოუვიდა, რომე კარგი გიქნიაო და შირვანის ბეგლარბეგი ფარუხან გორს მოვიდა, ყანის ნაბოძები საქორწილო ლევან დადიანს გაუგზავნეს და დრო და პაემანი სთხოვეს, რომ ქორწილი როდის უნდა იქნას. დადიანს პირობა მოეწერა—ამა და ამ დროსაო დიდის ლაშქრით იმერეთს მოვალო, თქვენც მანდილამენ ლაშქრით წამოძანდითო, საჩხეიძოშიგან ერთგან შევიყარნეთო. რა ეს ანბავი როსტომ მეფეს მოუვიდა, ყოველი რამე გაირიგა და დიდის ლაშქრით წავიდა. იქილამენ დადიანი მოვიდა დიდის ლაშქრითა. და თავისი და მარიამ დედოფალი უწინვე მთას გარდმოიყვანეს. მეფე სურამს იღგა. კაცი მოუვიდა—დადიან(ი) დიდის ლაშქრით საჩხეიძოში მოვიდაო და მეფე გიორგი ჯორჯედ მჯდომი ცოტას კაცით დადიანის ლაშქრის გასაშინჯავად მოვიდაო, რომ მალლით დახედოსო. ყმათ უმუხანათესო, გამოსცესო და ლევან დადიანს აცნესო და დადიანი ლაშქრით მზას დახვდაო, მეფე გიორგი დაიჭირაო და სხვანი წაუვიდნენო და ზოგნი მეფესთან დაირჩინესო. ეს ანბავი ბატონისშვილს ალექსანდრეს მოახსენესო და (ი)მერელნი მასთან შეიყარნესო და მეფეთ აკურთხესო და მეფე გიორგი ორს წელიწადს დადიანს ჰყვანდა. სახსრათ მისცეს მურასა გვირგვინი, მრავალი ოქროსა და ვერცხლის ქურკელი, თვალმარგალიტთ მურასა იარალი და ნაპირის ალაგნი ქილაძენი და მიქელაძენი და რაც ჩხარში ეპაქარი ესახლნეს სომხები, რომ დადიანმან რუხის ქალაქი იმაებით ააშენა, მეფე დაიხსნეს. ქუთათის მოვიდა. ასრე სუბუქათ მეფის თამაშად წასვლამ ლეხტიმერთი (sic) მოსთხარა. რა ლევან დადიანი ცოცხალი იყო, იმერელნი ამ საქმით დაჩაგრულნი იყენენ. ამისთვის უნდა დიდმან კაცმან მცირე და თავის უკადრისი საქმენი თავის ნებით არა ქნას.

იქივე როსტომ მეფის ქორწილის ანბავი დავიწყოთ სათქმელათ. აქეთგან ქართველნი წავიდნეს დიდის ლაშქრითა გამოჩვენებით და იქილამ დადიანი მოვიდა დიდის ლაშქრითა და მოკაზმულობით. იმერეთში ერთგან შეიყარნეს, ერთმანერთს მრავალი კარგი ლხინი აჩვენეს და მრავალი საჩუქარი მიართვეს და მოირთმიეს და ორმოცდაათი ათასი მარჩილი შაჰსფეი ყანეს გამოგზავნა ლევან დადიანისათვის. ის მიართვეს და (წე)ლიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა დადიანისათვის. ამებზ უმრავლეს როსტომ მეფემ მიართვა და დადიანსა და ოდიშერო ბერთა და მღრღელთა, თავადთა და აზნაურთა და კარის მოკელეთა და გამრიგეთა და მოსამსახურეთა, დიდთა და მცირეთა, ყველათ თავიანთ წესითა და შეფერებითა მიართვეს და იმათაც ასრე მოართვეს და კარგის წე-

სითა და კემწიფურის ზითითა და მორკმა სიმდიდრით კარგის თავადთა და და აზნაურ შვილების მხლებლებით, მს(ა)ხურით, გამღლებითა და მოახლებითა ყველანი(ი) დაკაზმულნი საკემწიფო გათავებულის იარაღითა და მოკაზმულობით მზე შავის ზღვით ამოსრული მარიამ დედოფალი ქართლისაჲკენ წამოაბძანეს. მაყრათ გამოატანეს ეფისკოპოსნი მათნის ქვეყნისანი, გურიელი მეფეთ თქმული მეყვისი თავისის თავადებითა და აზნაურ შვილებითა. უფროსნი და სახელდებულნი ოდიშერნი თავადნი თან იაკლნენ. დადიანი ოდიშს წაბრძანდა, მეფე გორს მიბძანდა. ექვსს თვეს ილხინეს და ნადირობას შეექცნენ. მიცემით გააკარეს და გორით ქალაქს ჩავიდნეს, იქიცი ალხინეს და ანადირეს. ხან მეფესთან იყენენ და ხან თავადნი დაჰპატიჯებდენ. ყველანი ძღვენსა სძღენიდეს და ფეშქაშს მიართმიდეს, აჩუქებდეს. გურიელმან და ან სხვამ მაყრებმან მეფეს კაცი მოუგზავნეს და დაეთხოვეს. მეფემ უბრძანა ყველას თავისი შესაფერისი ცხენი, იარაღი, მოფენილობა და შესამოსელი, კარვები, ოქროსა და ვერცხლის სუფრის იარაღი, მურასა კმალი და კანჯღები, ჯიღები და ოქროს უნაგირი და ლაგმები, საღვინე თუნგები ვერცხლისა და თასები ოქროთ მოქედილი. კულა, ძაბრი და ჰაზარფეშა, ნაქსოვები ფრანგული, ურუმული და ყიზილბაშური, დიბები და სარტყლები, ოქროქსოვილის დოღბანდები, ქამარი და დაშნა. გურიელს*) ოქროსი და სხვათ ვერცხლისა, თორმეტი ყათარი ჯორი, ოცდაშვიდი ბედაური ცხენი მიართვეს და მეფე თვითან ალამდისინ თან გაჰყვა და კოლბაურის გზით გაისტუმრეს. მეფე გორს შებრუნდა.

როსტომ მეფეს საქორწილოთ მიმავალს დათუნა ერისთავი სურამი(თ) დაუბრუნდა ამისის შიშით, რომ მისს ძმას ზურაბს მეფის როსტომის ძმისწული მეფე სვიმონ მოეკლა, წახდენასა და სიკვდილს მოელოდა და სისხლის მოკითხვასა ელოდა და ზოგს კაცს ქრისტიანობის რჯულისათვის ბატონი თეიმურაზ ერჩივნათ და თემის აშლას ცდილობდეს და დათუნა ერისთავს ასრე დაანახეს, მეფე ცოცხალს არ გაგიშვებსო და შეაშინეს. ლამით აიყარა და საერისთოში მივიდა და იქადამენ ბატონს თეიმურაზს კაცი უგზავნა და გარდმოსვლას შეეპატიჯა. ვითაც ამისი ძმა ზურაბ ერისთავი ბატონს თეიმურაზს მოეკლა, ამისთვის მოტყუება ეგონა და აღარ ენდო. ეს ანბავი როსტომ მეფეს მოახსენეს. დიდის ლაშქრით მეფე მუკრანსში მივიდა და დათუნა ერისთავს დაუწყო მოციქულობა და ფიცით მოინდო და უვნებლობა უბრძანა. მაგრა ყაენთან გაგზავნა(ს) და ისრევე პატივით მოყვანას დაჰპირდა. რა მოვიდა და მეფე ნახა, დიდი პატივი დასდვა, მაგრა მეჯლისშიგ მჯდომი კმალს არ შემოიხსნიდა. თავად არც მეფე ენდობოდა. მერმე ბატონს თეიმურაზსთან რომ კაცი გაეგზავნა, დაბრუნებაში ის კაცი დაეკირათ და ბატონის თეიმურაზის მონაწერი წინგნები კელში ჩაუვარდა და ეს დავით ერისთავმან შეიტყო და გაპარვა მოინდომ(ა). ესეც მეფეს მოახსენეს და აღარ დააკალეს და იარაღისა და კვლის შემოხსნას შეეპატიჯნეს. იმან შორ დაიკირა, არ შემოიხსნა. ძალათ წართმევა შეეკადრნეს. უწყინა და ხანჯარს კელი წაიკრა. ზოგი მოკლა, ზოგი დაჰკოდა. ეს მეფეს მოახსენეს. მეფემ უბრძანა — წაუშინეთო. დაუშინეს და დავით ერისთავი მუკრანში მოკლეს.

სიკვდილი დავით ერისთავისა მეფის როსტომის ბრძანებით მუკრანშია ქკს ტით. რა მუკრანში დათუნა ერისთავი მოკლეს, ლაშქარი საერისთოში

*) დედ. : ქურიგლს.

შეუძახეს. ღუშეთი, ბაზალეთი, საშაბურო, არაგვისპირი და გარეშე ამათი დას-
წვეს, დარბივეს. მეფე რვას დღეს ღუშეთს იღგა: საღამოთ გათენებამდისინ
ყოველგნით მოკდომა და ბრძოლა იყო. რა გათენდის, კაცს ვეღარსად იპოებ-
დიან. მოხდომაში რა ჯარი მიკრფის, ვითაც ეშმაქნი დაიკარგვიდეს და საერის-
თოს უფროსნი კაცნი შეკრფეს და ზალ გააერისთვეს. ბატონი თეიმურაზ იმე-
რეთს იყო და ქსნის ერისთავი იასე მას ახლდა და ზალ ერისთავს კაცი გაეგ-
ზავენა და საფიციკის წიგნებ(ი) მიერთმეფინა და ჩამოსვლას შეხვეწოდანა (sic) ეს
ანბავი იქივ საერისთოში მეფეს როსტომს მოახსენეს და ბატონის თეიმურაზის
მოსვლასაც იტყოდეს. მეფეს მოახსენეს—ეს ალაგიო ამათთვის კარგად დაც-
დენილი არისო, მოვრავზედ აქ გაიმარჯვესო და ჩვენს ლაშქარსაც იმათი ურ-
ჩეენიანო. აქედამ გავიდ(ე)თო, ან გორს მიდითო და ან ქალაქს ჩადითო. მეფე-
მანც დაუჯერა, აიყარა და ტინ(თ)ის გზით

აქა ტინთის გზაზე ზალ ერისთავი დახვდომ(ა), თავ(ი)ს ბატონს მეფეს
როსტომს წინ დახვდომა. მეფე აიყარა და ფიშხანა ტინთის გზით საბურღიანზე
წაე(ი)დნეს. რა ბაზალეთს გამოსცილდენ, რა ტყეში შემოვიდნეს, უფროსი ერ-
თის თავადების ბარგი ურმით ჰქონებიათ და საერისთოს ქვეითნი ტყეში და-
მალულნი ყოფილან. გამოსცინულან, ურმები ჩაუჩხებეს და გზა შეკრათ და ალაგ
ალაგ ტყით კელთოფი დაუშინეს და მანამდისინ გზას გახსნიდენ, მრავალი ნავ-
ნები ქნეს და ურმები გზიდამ გარდაყარეს. მეფე და ჯარი საბურღიანოს ჩამო-
ვიდნეს. ეს ანბავი მოუვიდა—ქსნის ერისთავი იასე ქურდობით მოჰპარვიო და
ზალ ქსნის ერისთავი მოუკლავსო და ისევ იასე იმერეთს გარდასულაო. მე-
ფემან წინგნი გასწერა და ყველგნით ლაშქარნი მოიხმო და იასე ერისთავი
მოსრულიყო კიდეც და ერისთავზედ გაუძახეს. სხვა ანბავიც მოვიდა, რომ ბატონ-
მან თეიმურაზ ქართლი ჩაიარა და კახეთს ჩავიდაო. მაგრა გზაზედან მუკრა-
ნის ბატონმან ბახ(უ)ტამან და იოთამ ამილახორმან ნახესო და საფურცლეს
წყალს გავიდაო, კახეთს ჩავიდაო. ამაზედ ლაშქრობა მოიშალა და ყაენს ჩაფა-
რი გაუგზავნეს და ეს ანბავი მისწერეს. ამ დროს სულთან შურად ხონლქარი
ერევანზედ წამოვიდა. ყაენი იმის ფიქრში იყო, როსტომ მეფეს ყური არ ათხოვეს.
ამ დროს კიდეც ანბავი მოვიდა: წუხელის ბატონი თეიმურაზ მუხრანში გასრულაო,
დღეს ქსნის ერისთავის მამულში მივაო. ეს ანბავიც ყაენს მისწერეს. კიდეც ან-
ბავი არ მოუვიდა. კიდეც გორ(ი)დამ ანბავი მოვიდა—წუხელის ბატონი თეი-
მურაზ გორს დაესხა და ნაპირის სახლები ციხის ძირს მოეასხითო და ბაზარს
ზეითი გზები შეუქართო და უბანსა და უბანსა თავისივე კაცებ(ი) უჩინეთო და
თავთავის უფროსმან კაცებმან ცოლშვილნი ციხეში შეპოასხესო. თავკაცათ დიად
კარგად იყვენო. ზეიდამ ჩვენ თოფები დაეყარეთო და ქვეით გორელებს ვერ
შემოუვიდნესო. რომლისაც გზით მოვიდნენო, დაუშინეთ და დაეაბრუნეთო, ვერა
დაგვაკლეს რაო და ვერცარა იშოვნესო და ჩვენ ხუთი კაცი მოუკალითო და ოც-
და შვიდი ცოცხ(ა)ლი დავირჩინეთო, გათენებამდისინ გვებრძოლესო და გიორგი
გორგიჯანაშვილი თავის სახლში დაიქ(ი)რესო და წაიყვანესო. ზედამენ თოფით
იციმებოდესო, იქ ვეღარ დადგნენო. იკორთას მივიდნესო და გზაზე რაც ძრო-
ხა და ცხვარი ნახეს, წასხესო. რა ეს ანბავები მინბაშსა და გორელებს მოეწერა,
ჩაფრის კელით ყაენს გაუგზავნეს და მეფემ სომხთისა და საბარათიანოს ლაშ-
ქარი შემოიყარა და გორს მივიდა და ქართლის ლაშქარი იხმო და იმათაც შე-
იტყვეს მეფის მოსვლა.

აქა ომი არცევისა, ბატონის თეიმურაზისა და მეფის ლაშქრისა. მეფის ლაშქარმან გაიმარჯვა; ბატონს თეიმურაზს იახლნენ კახნი, ორნივე ერისთეები, მუხრანის ბატონი, ამილახორი იოთამ, იკორთით არცევეს ჩამოვიდნეს. მეფე გორით არ დაიძრა და ლაშქარი გაუძახა. ისინ(ი)ც მზას იყვნეს, რაზმი გარიგეს. ესენიც რაზმწყობილნი მივიდნეს. შექნათ ძალზედ ომი, წაუშინეს ერთმანერთსა და შეიქნა ძგერება და ორგნითვე ძალმიცემით იბრძოლეს; ამისთვის რომ აქეთი ლაშქარი მეფის ერთგულნი იყვნეს და ორგული არვინ ერია და ასრევე იქით ლაშქარი ბატონის თეიმურაზის ერთგულნი იყვნენ. ამისთვის ორგნითვე თავგამომეტებით ომი გარდიხადეს. გამარჯვება როსტომ მეფის ჯარს დარჩა. იმათ იკორთის მთა გარდიარეს. უკანას გზით საერისთოს მივიდნენ და ბატონი თეიმურაზ კახეთს ჩავიდა და როსტომ მეფეჲ ლაშქრით საამილახორო ჩაიარა, მუხრანი დაარბივა და ქალაქს ჩავიდა. ამ დროს ყაენის ბრძანება მოვიდა როსტომ მეფესზედანი. რადგან კონთქარი (sic) წრეულ აღარ გამოილაშქარო, აღრბეჲანის ლაშქრისათვის გვიბრძანებიაო, თქვენ გიაკლონო. ვინც თქვენი ურჩი და თავგამზიდაენი იყვენო, ამოიღეთო. ყაენის ბძანება გაათავა, მრავალი ყიზილბაშისა და საქართველოს ლაშქარი შემოიყარა, კახეთსზედ გაილაშქრა. რა იმათ შეიტყვეს ყაენის გარისხება, მოციქულები გამოუგზავნეს და ხვეწნა შემოსთვალეს და წინგნიც ასრე მოეწოა: თავად ნათესავნი ვართო და მერმე ბატონი დედოფალი თქვენი ბიძასშვილი არისო და არც თქვენა გყავს შვილიო და ერთის მეტი არც მე მყავსო და დიდის მეფის ლევარსაბისაო რომ თათართ აწამესო თქვენის მეტი მისგან აღარვინ დარჩომილაო და ბატონის ლევეანისაგანო ჩემის მეტი აღარვინ არისო და ყიზილბაშთაგან მრავალი ძალი და უსამართლო მკირსო. თუ რომ კიდევ დამეშავებინოს რამეო, შიშით მიქნიაო და თქვენი თავადები რომელიც ჩვენთან არიანო, ფიცით შემოგარიგებთო და ჩემს თინათინს თქვენის ბრძანებით შაჰსეფი ყა(ე)ნს ვაახლებო და შვა შემოდითო. ჩემს აოკრებულს სამკვიდროს მამულზედ დაგვაყენონო. ეს ანბავი როსტომ მეფეს ნამეტნავად იამა და ყაენს არზა მისწერა და ლაშქრობა მოიშალა და კახმან ბატონმან ამისი თავადები გამოუგზავნა. ამანაც იმისის გულისათვის დიდი პატივი დასდვა.

ბატონმან თეიმურაზ თავისი ქალი თინათინ შაჰსეფი ყაენს გაუგზავნა. როსტომ მეფეს ეს წყალობა და შერიგება ნამეტნავად იამა. ქვეყნის დამშვიდების და ჩხუბიანთ დაწყნარებისათვის ყაენს მისწერა და იმათაც ეამებინა და ყაენის ასრე ბრძანება მოუვიდა—თქვენი შერიგება გვიამ(ა)ო, კარგი გიქნიათო და ბატონიშვილი თინათინო დიდის პატივით გამოისტუმრეთო. როსტომ მეფემ ვითაც თავისი ასული საკემწითოს მორთულობითა და მრავლის შეკახმულობით თავისი ვეზირი ალა მონა თან გაატანა და კახთავანც მდიდარნი თავადნი თან გაატანეს და ბატონისშვილი თინათინ შაჰსეფი ყაენს მიჰგვარეს და კემწითემ კარგის თვალთ ნახა და ღიდი პატივნი მიჰპყრო და მრავალი ძვირფასის თვალმარგალიტი უბოძა და ვინც თან გაჰყოლოდეს კახთა და როსტომ მეფის ვეზირისა, ყველას მრავალი უბოძეს და ბატონს თეიმურაზს ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმანის კალათი გაუგზავნეს და კარგი საიმედო რაყამი მისწერეს, ასე რომ რაც ამას წინათ შეგიცოდებიაო, ყველა შეგვიდღვიათო და ამას უკანო შენ და როსტომ მეფე შერ(ი)გდითო, ჩვენ გვიამებისო და ორთავ მრავალს წყალობას გიზამთო და ასრე კიდევ მეფის როსტომისათვის ებძანა.

მოსვლა სულთან მურად კონტარისა და ერევნის ციხის აღება ქკს ტკე. აილო კონტკ(ა)რმან ერევანი, მივიდა თავრიზს, დარბივა ადრბეჯანი და ქ(უ)რ-თისტანის გზით დაბრუნდა. მერვეს თვეს შაჰსეფი ყაენი მიუხდა და მრავლის ლაშქრითა და ბრძოლით ისრვე ერ(ე)ვანი აილო და მრავალი კაცი ამოსწყდა და ამისთანას დროს როსტომ მეფემ საქართველოს ლაშქარი გაუძახა და სამცხე და ჯავახეთი დარბევიანა. მრავალი ნაშოარ(ი) ქნეს. ეს ყაენს იამა და ორი ათასი თუმანი და ხალათი გაუგზავნა და ყაენი ადრბეჯანით ისპაჰს ჩავიდა. მეფე გორს იღვა და ნოდარ ციციშვილი და იასე ქსნის ერისთავი კარაღეთს-ზედ გარდვიდნეს და არაგვის ერისთავი ზალ ნოდარს მიუდგა და იო-თამ ამილახორი იასეს ერისთავს მიუდგა. ქსნის ერისთავი და ამილახორი ლაშქრით მოვიდნეს და გორს ზეით ქალაში დადგნენ და გორს ქვეით მტკვრის პირს ნოდარ იღვა თავისის ლაშქრითა და ჯერ არაგვის ერისთავის ლაშქარი არ მოსულიყვნენ. ამავების ლაშქრობა როსტომ მეფემ იწყინა და იასე ერისთავისა უწყინდელი ჯავრიც აქონდა და იასე ერისთავისა და იოთამ ამილახორის ცოლ-შვილი როსტომ მეფემ გორის ციხეში შეგზავნა. კარაღეთი როსტომ მეფემ ნო-დარს უბოძა და ერისთავისა და ამილახორის ჯალაბები გორს ციხეში შეუგზავ-ნა და ერისთავისა და ამილახორის დაქირვა მოინდომა. ეს იმათ შეუტყვეს, გორით აიყარნეს და ახალგორს მივიდნეს. მეფემანც ამილ(ა)კორობა ბეჯანს მისცა და ქსნის ერისთავობა ელიზბარს მისცა და იმათი ყმანი უფროსი ერთნი წამოუვიდნეს, ამათთან მოვიდნეს. მეფემანც მათზედ გაილაშქრა და რეხის ხეეს მივიდა. ისინი გაეც(ა)ლნეს, კახეთს ჩავიდნეს. მეფემ ცხვილოსის ციხე დაქცევა და ისრვე გორს მივიდა. ერისთავი და ამილახორი კახეთიდან ბატონს დე-დოფალს შემოეხვეწნეს — მეფესთან მოეკმაროს, რომ თავიანთ ცოლშვილი უბო-ძოს. ბატონმან დედოფალმან მოუხსენა და მეფემ აპატივა და კელი მოუწყვეს და თავიან(თ) აზნაურშვილითა და მსახურით ვითაც ბატონობაში ისრვე კახეთს გაისტუმრეს და ორნიც ბატონს თეიმურაზს ახლდნენ, დიდის პატივითა და კელშეწყ-ყობით ინახედდეს. ვითაც იოთამ ამილახორის დედა მეფის ბიძის ვახტანგის ქა-ლი იყო და იმერეთში ჩიჯავამეს ედგა, იქიდან კარგის ფეშქაშით მეფეს იახ-ლა და შვილის შემორიგებებს შემოეხვეწა. თავად მეფე ანაგებად გულმოწყალე კაცი იყო და ადრე შეუნდობდა ორგულთა და დამნაშავეთა: გაქირებულთა და შელონებულთ შველა იცოდა, მედიდურთ (sic) პატივის მღები იყო, ნამეტნავად მანდილოსანთა. ქერიე ობოლთა და გლახათ სარჩოს გაუჩენდა, ნამეტნავად თავი-სიანთა. ამისთვის ამილახორი თავის დედას ბატონისშვილს თამარს აპატიო და სამილახორიც მისცა. ვითაც იასეს ერისთავისა მრავალი ჯავრი ახსოყდა მეფესა და მესისსლეც იყო, თავად თავისი ძმა შანშე მოეკლა და შანშეს ცოლიცა რომ მეფის დისწული იყო და ზალ ქსნის ერისთავი მეფის როსტომის ბატონობაში მოეკლა, ამისთვის აღარ შემორიგა. იასესაც ღონე გაუწყდა და ყაენის კარს ჩავიდა კარგი პატივი დაიდვა, ულუფა გაუჩინეს და კემწიფის მეჯლის შიგ დასევეს. ვითაც ამ იასეს ერისთავს ამილახორი პაჰუნა მოეკლა, იმისი ორნი შვილ-ნი პატა და იოთამ ყაენს ახლდნეს და იყვნენ დროს მძეპნელნი რომ თავიანთ მამის მკვლელი იასე მოკლან. ამ დროს შაჰსეფი ყაენი მიიცივალა და იმისი შვილი შაჰბაზა (sic) გაეკემწიფდა ქკს ტლ. ყაენი ყაზმინს მივიდა. კემწიფე ყმაწვი-ლი იყო და ამილახორის შვილებმან დრო დაიცეს, ყაზმინს ყაენის სახლით მი-მავალს გზახედ დახედნენ და თოფი ჰკრეს და იასე ერისთავი მოკლეს და კემ-

წიფის საჯინიბოში¹⁾ (sic) შეიხვეწნეს. ყაენი გარისხდა და ამილახორის შვილების დახოცა ბძანა. კარის კაცი მ(ო)ეხმარნენ და კემწიფეს ასრე მოახსენეს: იმას ამათი მამა მოუკლავსო და ამათ სამართლით თავიანთ მესისხლე მოუკლავთო და მერჯულენი ამათს დახოცას არ იტყვიანო. მაშ ამათი სამართალი მერჯულეთ ზედ შეაგდეს. იმათ ასრე გაბრკვეს: თავად მამის მკვლელი მოუკლავსო და მერმე ესენი მუსორმანი და ის გაურიო, ვერვინ ვერას შეუელენო. აქამდისინ ითქვა და იასემ ცუდათ ჩაიარა და როინ ჯაეახისშვილი ყაზმინს იყო როსტომ მეფისაგან ყაენსთან გამოგზავნილი და იასე ქსნის ერისთავი იმან საქართველოში წაილო მკვდარი.

აქა იმერეთის ბატონისშვილის მამუკას ჩამოხვლა ახალციხით ქართლსა. მეფის გიორგის შვილი და მეფის ალექსანდრეს ძმა იყო, მამაცი და უხვი და უშურველი კაცი იყო. ლევან დადიანი ნამეტნავად გაძლიერებულყო და იმერეთი დაეჩაგრა. მამუკა ბატონისშვილს ჩხეიძის ბეჟიას ქალი ნათხოვნი ჰყვანდა და დადიანს თავისის ქალის მიცემა უნდოდა. ჩხეიძენი და მათნი კერძნი ბატონისშვილს უდგნეს მაგრამე დადიანის ძალით იმერეთით გაყრილნი იყვნენ და ბატონისშვილი მამუკა და ჩხეიძენი თავისს სიძე საფარ ფაშასთან იყვნენ ახალციხეს, ჩხეიძენიცა და სხვა მრავალი თავადის შვილებიც თან ახლდნენ, იმერეთსა და გურიას არბევდეს და ქართლის თავადნი მეფეს როსტომს შემოეხვეწნენ და მოციქული მიუგზავნეს: ამისთვის საქართველო არ წყნარდებისო, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესაენი არა გყვანანო და თქვენს საბოლოს ვერა კედვენო. ამისთვის მალე აიშლებიან და სხვას ბატონს ეძებნო. მამუკა ბატონისშვილის სიკეთე თქვენც მოგხსენებიაო, თავად ბაგრატონი და მერმე მეფის შვილი და თქვენი ნათესავი არისო, ახალციხით ჩამოაყვანიებითო, იშვილეთო და თქვენც მოისვენეთ და საქართველოც მოასვენეთო და ქვეყანა დაწყნარდებო. თუ ღმერთმან თქვენ ყმაშვილი (sic) მოგცესო, ეს თავისსამკვიდროზე გააბატონეთო. თუ თქვენ შვილი არ გაგიჩნდეს, სიღამდისინ ბრძანდებოდეთო, სურამის შესაველი საუფლისწულო უბოძეთო, იმერეთიც ზედ აბ(ი)აო და იქიდანმეც ეელს მ.ი.მართავსო და თქვენად შვილად აკურთხეთო და ღმერთმან დიდს ხანს გაცოცხლოსო, თქვენს უკან მაგას ვიბატონებთო. მოატყუეს მეფე როსტომ, მამუკა ბატონისშვილი ჩამოიყვანეს თავისის ჯართა და მეფე ნამეტნავად კარგად დახვდა და მრავალი კარჯი გარდიხადეს ბატონ(ებ)თა და ყმებს ზედან, თუ სასმელ საქმლითა, თუ მიცემითა. აწე შექნეს ეშმაკივით რჩევა და ღმერთი ჰგმეს და პატრონ ყმობა სწვალეს და მეფის როსტომის სიკვდილი გაჰბედეს და მამუკა ბატონის შვილის გამეფება მოინდომეს ქართლშია და მეფეს როსტომს ქალაქის სასახლის აბხანაში მოლალატები ჩაუსხეს, რომ როსაც მეფე შევიდეს, მოკლან და მამუკა გააბატონონ. იქნა სიმართლისათვის მეფე. როსტომ მლთისაგან და-ცულ დაფარული. ერთი მერიქიფეთ უხუცესის ყმა აბხანაში შევიდა, ბატონი ეგონა(თ), წამოუშინეს ღამით, დასკრეს. მაგრამე ხმით იცნეს, რომ მეფე არ იყო, მოკვლა აღარ მოიცადეს და მტკვარში გარდასცვიდეს და ცურვით გავიდნეს და დაკოდილი კაცი მეფეს მიჰგვარეს და მოახსენეს. მეფე მრავალგვარად ნაცადი და აუჩქარებელი, კეკიანი, მონახული ბატონი ბძანდებოდა, კეყენის აშლას და ჯარის არევას ერიდებოდა, თავად ყმათ დაფრთხოდა არ უნდოდა, დაკოდილ

¹⁾ ტექსტში: შაჯინიბოში.

კაცს მეფემ კუმრობა დაუწყო, ასრე უბძანა: ლამაზი ბიჭი შეგიმწყვდევიაო, ძალათ სააკაკოდ მოგინდომებიო, იმასაც დანა შემოუკრეშიაო და შიშით ეგ ტყუელები მოგიგონიაო და გარეთ გააგდებინა, უფრო გამკიარულდა. მისი ანბავი აღარც თვითან თქვა და არც სხვათ ათქმევინ(ა), მაგრა მეფემ თვით იცოდა, თუ ვისი ქნილობა არის და ან რა სწადიათ და ან მოლაღატე ვინ არის. ოცს დღემდისინ ამისი აღარა ითქვა, მასუკან მეფენ აუჩქარებელმან ათის ათასის მარჩილის საჩუქარი სომანეთის ქალაში მჯდომს მამუკა ბატონისშვილს გაუგზავნა და ასრე მისწერა: ყაენისაგან მერიდებისო, არამც კარზედ გიხმონო, ჩემგან საფიცარი გაქვთო, რომ თქვენი უნებური არა გკადრო რაო. თქვენც მოგეხსენებისო ყაენის უარის თქმა არ შეგვიძლიაო. ისრევე ახალციხეს მიბძანდითო და რაც კელით გამოგვივაო, აქიდამაც მოგიმართათო კელსაო. ბატონისშვილმან შეიტყო, თუ რა ანბავია და ცუდი და ეშმაკური რჩევა გაცხადებულა, მის ქართლში დგომა აღარას არგებს, აიყარა და ისრევე ახალციხეს მივიდა საფარ ფაშისასა. ჩხეიძენი და ზოგნი სხვა საბატოს კაცის შვილები ქართლს დადგნენ, ზოგი ციციისშვილის ნოღარისასა და ზოგნი სხვაგან. აწ სხვა ეშმაკობა და საქართველოს არევა მოინდომეს და თავადები შეიფიცნეს და ბატონს თვიმურაზს საფიცრები გაუგზავნეს, რომ თვითან ლაშქრით ცხეთას მობძანდეს და გაღმით ერისთავი და ამილახორი ლაშქრით მოვიდნენ და გაღმართი მკრის ლაშქარი ნოღარ შემოიყაროს, ჩხეიძენიც თან იახლოს და როსტომ მეფეს შტრობა გაუცხადონ და ძალათ ბატონობა წართვან.

ხოვლეთსა საჯავახიანოში ციციშვილი ნოღარ თავის ბატონს მეფეს როსტომს შეება და გაიქცა. ციციისშვილმან ნოღარ სამართო გამარჯვება მოინდომა, არც ბატონი თვიმურაზი მოიცადა და არც ერისთავი და არც ამილახორი. ვითაც ჩხეიძენი(ი) და სხვა იმერეთის საბატოს კაცის შვილები მასთან იყვნენ და ყველანი ომნაცადნი კაცი იყვნეს და საციციანოს მკრისაყენ თავისი და სხვის ლაშქარი შემოჰყროდა. მოვიდა, ხოვლეთს ჩამოკდა. თავისის კერძოს ლაშქარი ვინც არ შემოეყარა, მამულები (დაურბივა) და ეს ანბავი იორამ მოვრავისშვილს მეფისათვის მოეწერა: მალე წამობძანდიო, თოარადა გაღმა მკრის ლაშქარი შემოეყრებისო და საქმე გაქირდებისო. შვადლისა' ეს ანბავი ქალაქში მეფეს მოუვიდა, იმავე წამეს ისიე კაცი დააბრუნა და იორამს ასრე მისწერა, რომ რასაც წამეს ეს წინგნი მოგივიდესო, ფიცხლავ გზები. შეუკერევინეო, რომ აქითგნიე მიმავალი კაცი იქით არ გაუშვანო და მლთისა შეწვევით ამაღამ ერდგან შევიყრებითო და იმ მი'ულს კაცს ასრე უბძანა: ჩაფრად წადიო, ხვალ ამავეს დროსაო აქავ უნდა ანბავი მამიტანო. კაცმან მადლი გარდინადა და წავიდა. მეფემ ქალაქის მოვრავს უბძანა: ჯარჩი დააძახეო, ვინცა ვინ ქალაქში მზას იყენენო თათარნი, ქართველნი და სომეხნი, ვისაც ცხენი ჰყვანდესო, შესხდენო და რა ქარანის ემა გაიგონონო, სწრაფად წავიდნენო და ცხეთის საბაჟოსთან მხათ დაგვხდენო, იქ აღლუმს ვნახავო. მაგრა ესეც ვინცა ვინ ცხენის მყოლებელიო არ წავიდესო, თავი მოჰკვეთეთო და თავისივე ცხენით უკან მამწვიეთო. საღამოს ჟამს ქანარები დააძახეს და ჯარმ(ა) საჩქაროთ იარა და მეფე ცხენს შეჯდა და საჩქაროთ წაბძანდა. მეფის მისელამდისინ უფროსიერთი ჯარი მისრულიყვნენ, მეფემ უბძანა: ლამე არისო და უკანა ჯარიც არ მოგეწვეიანო და ისინიც მოვიდნენო, თქვენც ჩქარათ იარეთო და გათენებისას სანსა ვნახავო. იარა და შვალამისას კავთისკეეს მივიდა და მოვრავისშვილი იორამ იმ გარეშე-

მოს ლაშქრით კარგ გვარათ წინ მოეგება. მეფემ ელიზბარ ბოქაულთუხუცეს უბრძანა: ლაშქარს უკან ჩამოუდექო და ვისაც ცხენთ შეძლება ჰქონდესო, ჩქარათ წამოასხიო, რომ მღთისა შეწვევითო დილას ნოდარსთან გაეთიენებო. მიჯრის უამს დილისასა მეფე ხოვლეთის ბოლოს მივიდა, მარჯაფა გამოიცივალა და ჯარსაც უბრძანა: ცხენებს მოსართევებ(ი) უნახეთ და გაუქეთეთო და იარაღნი მოივარგეთო. რაზმი გაწყვეს და ქანარები დააძახეს და მეფეს ასრე მოახსენეს: შეუტყობლათ თავს დავესხათო. მეფემ თავსდასხმა არ იკადრა და ასრე ბრძანა: ქართველთ (sic) სამართლის ქნის გამართლებისათვისო ერთმანერთს შეებმინაო, მეც ჩემს ყმას სამართალსზედ შევებმიო. თუ იმაზედ მემტყუენებინოს, გამარჯვება იმასაო. ბედნიერს ყაენს გამოეპარაო და მთხოვა და არ მივეცო, ფარსადან მამამან მისმანო მრავალი მძღლიაო, რომ საციციანო მისის შვილისშვილის პაპუნა ყორჩიბაშისათვის მთხოვაო და არ მივეცო და მაგას უქრთამოთ მივეცო და ახლა ამდენის სიკეთის მაგიერათო ჩემთვის უმუხანათებიო და სხვას ბატონს ჰბირებია. ამაზედ მინდა მღთის სამართალი გაეშინჯო, თუ რომელი ვსტყუეთ. დაძახებინა ქანარები, ამდენი ხანი რაზმს მოაცდევინა, რომ იმათაც შეიტყვეს და საომრათ შეიკაზმნენ და ცხენს შესხდეს და რაზმი გაირიგეს და საომრათ წინ წამოდგნენ და შეიქნა სროლა, კიკლაობა. იქიდავენ ჩხეიძენი და სხვანი იმერელი წამოდგნენ. შეიქნა შუბთა ძგერება და კმალთა ელვარება, ლახტების ჯახაჯუხა, მუზარათთა ხეთქინება. დიდს ხანობამდისინ ჩხეიძებმან ძალმიცემით ომი გარდხადეს და საქმეც გაუქირეს, ლაშქარიც დააბალითეს და კარგადაც იყვნენ, მაგრა ნოდარ ომს არ მოსრულიყო და უწინვე ვერის ციხისაკენ წასულიყო და ჩხეიძებს ზურგი არ მოაბა და კიდევ დაიპირნეს, დაილაღნეს. მეფემანც თვითან ცხენს დაუძრა და ერთპირად ქართველნი მიეტ(ე)ვნეს და წაუშინეს. ბეკია ჩხეიძე მოვრავის შვილმან იორამ დაირჩინა და ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს, ზოგნი ელიზბარ ბოქაულთუხუცეს ყმებმან დაირჩინეს. ყველანი ორგნითვე კარგად იყვნენ და ძალმიცემით ომი გარდხადეს და მეფემ გაიმარჯვა. ნოდარ ვერის ციხეში შეხვეწა და ჩხეიძენი დაქირლნი და დარჩენილნი მეფეს წინ. მოასხეს მკარწყარულნი და გამარჯვება მოულოცეს. მეფემ ბძანა, ჩხეიძებს მკლავნი გაუხსნეს და გორს გაგზავნეს, რომ ტანისამოსი გამოუცვალონ და ქვეშაგები და ზედსაფენი გაუქეთონ და კარგის პატივით კელი შეუწყონ და ვისაც მამაცობა ექნა, ყველაკას ხალაიი და საჯილდოთ მამულები უბოძა. უფროსიერთთ საციციანო დაუყვეს და კაცები უჩინეს, რომ გაქცეულთ კაცთ უკან ნურვინ აედევნების და ვისაც საციციანოს კაცი დაეპიროს, გაუშვანო. იმ ღამეს იქვე ნაომარზედ დადგა და მეორეს დღეს გორს მიბძანდა და მეორეს დღეს გორიდან ქალაქს ჩაფარი გაგზავნეს და ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიპირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდან გარდმოავდეს და თქვეს—დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო და ამისი შვილები დააქირვინეს და გორის ციხეში დაატყვეს და მისი სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიანი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდხვეწა და კახეთს მივიდა და იოთამ ამილახორი ჯალაბობრივ საერ(ი)სთოში მივიდა. თვითან ბატონს თეიმურაზსთან მივიდნეს და ზამთარმანც მოატანა. ნოდარ ზოვრეთის ციხეში გამაგრდა. მეფემ გორიდან ლაშქარი გაუძახა და სკრას ზეითი საციციანო დარბევინა და ჩხეიძენი ელიზბარ ბოქაულთუხუცეს ელიზბარის ხელით ყაენთან გაგზავნა და არზა მისწერა: ქართველნი ჩემის უშვილობი-

სათვის და უნათესაობისათვის ურჩობენ და აკაცობენო, რომ ჩემს საბოლოს ვერა კედვენო, ჩემს ბიძასშვილს თეიმურაზ მირზას სამნი შვილნი ჰყვანანო და რომელსაც პაპის ჩემის ლვარსაბი საეელი ჰქვიანო, ის შვილათ გვიბოძეთო, რომ ჩვენს უკან ქართველთ საბატონოთ ვგულეობდეს. ესენი ყანთანა გაისტუმრა და თვითან გორის ციხილამ ზარბაზნები ჩამოიტანა და ზოვრეთის ციხეს შემოადგა. ზარბაზნებით დაუშინ(ა), მაგრა ქვიტირს ვერა ავნო რა. მალე მალე კმას დაგდებდეს, რომ ბატონი თეიმურაზ მოეშველებისო. მეფეს აშინებდეს, მაგრა მეფემ ასრე ბრძანა—ხონთქარიც მოეშველოსო, სილამდისინ ნოდარს ციხილამენ არ გამოვიყვანო, აქითგან არ დავიძვირო. წყალკურთხევამდისინ სრულ ქართველთ ლაშქარი ზოვრეთის ციხეს ადგნენ და ვერ აილეს და არც მშველი გაუჩნდა და ციხეს შიგნით ყმათ უმუხანათეს და ჰგმეს ბატონი და გაუორგულდნეს და ციხის გაცემას შეუდგნეს. ეს ნოდარ შეუტყო, რომ ყმანი ლალატს უპირებენ, ჩათრეულს ჩაყოლილი აჯობინა და თავისი დედა კახეთის ბატონისშვილი როსტომ მეფესთან სახვეწარათ გამოგზავნა. რა მოვიდა, ნამეტნავად მეფემ დიდი პატივი დასდვა და სახვეწარი დაუჯერა. გაცლის გზა სთხოვა. ვითაც ნათესავი იყო მეფისა და მერმე დედათა შიგან სიკეთებედ ნაქები იყო და საქართველოში ძველით წესათ იყო, რომ ვისაც გასპირებია შესახვეწრად, ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატიეს დასდებდიან. მეფემაც გაათავა ძველი წესი, ბატონისშვილს ფეშქაში მიართვა და უვნებლობის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისი მხლებლებითა და ქონებით არა უშავდესრა და ამდენი ცხენი, ჯორი ათხოეს ზოვრეთილამენ, რომე თავიანთ ქონებით ახალციხემდისინ მიასხან. მაგრა ბევრს შემოიხვეწნეს, რომ ნოდარ ინახეინოს. არ ინახეინა, მაგრა უზიანოთ სამცხეს მივიდნეს და ერისთავი ზაალ და ამილაკორი იოთამ ბატონს თეიმურაზსთან იყვიან. მაგრა გზებზედ იწყინებოდეს და ნაპირის ალაგებს ერთი მეორეს ურბევდეს. ვინც იმათ შემოსწყურებოდეს, ამათ მოუვიდის. ვინც ამათ შემოსწყურის, იმათ მიუვიდის და ამათის საქმით ქართლი და კახეთი მოუსვენებელი და არეულ აოკრებული იყო.

აქა მეფის როსტომის ილღარი ქალაქით, მზის ჩასვლისას ცხენს შეჯდა, გათენებინას შობის დღისას ახალგორს ერისთევბს თავს დაესხა და გაიძარჯვა მღთითა. ქალაქს შიგ მჯდომს მეფეს როსტომს ანბავი მოუვიდა, რომ ხვალ შობას ორნივე ერისთეები და იოთამ ამილახორი ახალგორს შობას ერთგან იქმონენო და იქ ლაშქარს შეიყრიანო და ბატონს თეიმურაზს საფურცლეს შემოეყრებიანო, იქილამენ ცხეთას მოვლენო და ვისაც მათთან პირობა აქეთო, იქ შეეყარებიან და შეჰვიცვენ. რა ეს მეფეს მოახსენეს, ფიცხლავ მუქრანის ბატონს ბახ(უ)ტას, რომ უკანას დროს თავისის ბატონის ადგილსზედ გამეფდა, წინგნი მისწერა—შენის ლაშქრითო მზას დამხვდიო, რომე მღთისა შეწვევითაო ამაღამ მანდ მოვალო. კაცი რომ გაისტუმრა, ჯარჩი დააძახეს: ვაი იმასაო, რომელსაც ცხენი ჰყვანდესო, მზის ჩასვლისას ცხეთას არ დამხვდენო, ავად მივეპყრობიო. ვითაც ახლო იყო, ყველანი მეფეს უწინ მივიდნენ. რა მეფემ ამდენი ჯარი ნახა, დიად იამა და მრავალი სამედლო სიტყვები ჯარს უბრძანა და მუქრანის ბატონს ჩაფარი გაუგზავნა, რომ ჩვენც კარგის ჯარით მოვლივართო და თქვენც თქვენის ჯარით მზათ დაგვხვდითო, რომ მღთის შეწვევითაო გაუთენებლივ თავს დავესხმითო. რა მეფე მუხრანს მივიდა, მუხრანის ბატონი კარგის ჯარით შემოეყარა და მეფეს იამა და აღარ შეისვენა და ჩქარათ იარეს, შობას დილას

ახალგორს ლოცვაზედან მდგომთ თავს დაეხსნეს და იმ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება იქვეს და ისინი შუტუცობარნი იყვნეს და თავსდასხმის ეკვიც არა ჰქონდა(თ). რა ძახილი შეიქნა, ცხენი და იარაღი ველარ მოისწვრეს და არც ამით დააცალეს. ანახდელი მოჟლოდინელი საქმე მოუვიდა. ისინი ზოგნი ცხენით გარდიხვეწა და ზოგნი ქვეითათ, აქეთ იქით გარდიხვეწნეს და იმათი მასპინძლობის საქმელი მეფის ლაშქარმან შექამა. მეფემანც სადილ ვახშამი იმათს სადგომს ჰამა და მეორეს დღეს, ვისაც დარჩენილი კაცი ჰყვანდა, მეფეს წინ მოუხსნეს. მეფემ ყველაქანი გააშვებინა და თვითან გორისაკენ წაბძანდა და იმ ზამთარს იქ დადგა. ელიზბარ დაეითისშვილი ყაენილამ მოვიდა და ხალათი და ბატონისშვილი ლვარსაბ მოიყვანა.

აქა ბატონისშვილის ლვარსაბის გამოგზავნა ყაენისაგან როსტომ მეფის შვილად. გორს ყაენის ხალათი ჩაიცვა და რაყამი წაიკითხეს. მოეწერა: შენის ბიძასშვილის თეიმურაზ მირზის შვილი ლვარსაბ შენთვის შვილად გეთხოვნაო, გამოგვიგზავნაო და ქართველთათვის გვიბძანებიაო, რომ უფლისწულათ და თქვენად შვილად მიაჩნდესო და თქვენს უკან ქართლის მეფობა მაგისტის მიგვიცემიაო. ეს ანბავი გოჩაშვილს გიორგის ეწყინა, ამისთვის რომ ბატონობას თვითან მოელოდა და ლვარსაბის მოყვანისათვის გავგულდა. ეს ანბავი ბატონს თეიმურაზსაც ეწყინა. ამაზედ კახმან ბატონმან ცალკე და ერისთავმან ცალკე დაუწყეს გოჩაშვილს ლაპარაკი, რომ შენ გაგაბატონებთო. დატყუეს და ქართველთა და ბარათიანთ წინგნი ჰსწერეს, დაუწყეს ბირება. დიასამიძე კათალიკოზი და რევაზ ბარათაშვილი და სომხითის მელიქი ყორხმაზბეგ მრავლის ქადეზითა დატყუებულნი იყვნენ და ეს სამნი საქმობდენ. მათი რჩევა და საწადელი ამათთან უმალავი იყო და გოჩასშვილს ატყუებდენ, თორადა ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისათვის უნდოდა. ასრე პირობა შეჰკრეს, რომ როსტომ მეფე ცოტას კაცი თეიმურაზს არისო და ბატონი თეიმურაზ ცხენკეთილის ჯარით ანახდათ მეტებს მოვიდესო. რა მეფე მისის ჯარის სიცოტავს ნახავსო, საომრად მოვალ და ომში მოვკლათო, რომ სამარტოთ არვის დავებრალოსო. სომხითის მელიქს ყაენისაგან შეშინდა და მათი საწადელი და მონაწერი წინგნები მეფეს მოართვა, ფიცის გატებისა და საფიცრის მიცემმოცემისა აღარა ინალვარა და იმ ღამეს, რომ ბატონი თეიმურაზ მეტებს მოვიდა, მეფე გორს მივიდა. ამათმა რჩევამ ცუდათ ჩაიარა და ბატონი თეიმურაზ ისრევე კახეთს ჩავიდა. ქართველნი გორს მივიდნეს უშიშრათ. ასრე ეგონათ, იმათი ქნილობა მეფემ არ იცისო. მეფემ კათალიკოზი და გოჩასშვილი გიორგი და ერისთავისშვილი ლარგველი დაჰირვინა. გოჩასშვილს თვალეზი დასთხარა, ლარგველი გორის ციხით გაეპარა, სპაკაძე ივანე კახეთს გარდიხვეწა და მის ძმას ზურაბს თვალეზი დასთხარეს. კათალიკოზი ქალაქის ციხეში ტყვეთ იყო თათრებში და ისიც დარჩევს და ციხილამ გარდმოაგდეს. ბარათაშვილი რევაზ კახეთს გარდიხვეწა და მეფე გორილამ ქალაქს ჩავიდა და ეს ანბავები ყაენს მისწერა და ყაენისაგან ხალათი და თაჯი და თომარი მოუვიდა და კმალი და ოქროთ შეკაზმული ბედაური ცხენი ებოძებინა და ადამ სულთან ენდონიქაშვილი (sic) როსტომ მეფის დისწული სარდრათ ექნა და ერანის ლაშქარი თან გამოეტანებინა და საქართველოსზედ გამოეძახათ, რომ ვი(ნ)ც როსტომ მეფის ურჩია და მაწყინარი, შვადამ ამოიღონ და ბატონი თეიმურაზ გაგდონ და მისს ალაგზედ კახეთში ადამ სულთან გააბატონონ.

აქა ადამ სულთნის სარდრობა საქართველოზედან ერანის ლაშქრით თავისის ბიძის როსტომ მეფის მოსაშეელებლად. ამ ლაშქრის მოსვლა ბატონმან თეიმურაზ შეიტყო და ახალციხით ბატონი ანახანუმ, ნოდარის და ზალ ერისთვის სიღდერი, მეფესთან სახვეწარათ მოვიდა და ძმისა და სიძის უენებლობის საფიცარი სთხოვა და მეფემ უბოძა და ნოდარის ომში ამისი მაზლი მისის შვილით ოტიათი და ორნი ანახანუმი(ს) შვილები გიორგი და ხუცია დაირჩინეს და ყაენსთან გაგზავნეს და ისპაჰს ტყვეთ იყვნეს. იმათ მოსხმასაც შემოეხვეწა, მეფემ შეიწყალა და ასრე უბრძანა: თუ ერისთავი ყაენის კარს წავა, შემოვირიგებო და ყაენის კარით ისრევე მალ მოვიყუანო, მაზლსა და შვილებსაც მოგისხმევინებო და საციციანოსაც ნოდარს მივსცემო, ერისთავსაც რაც ქართლში მამული ჰქონებია, იმსაც მივსცემო და ყაენისაგან კარგს სოფლებსაც უშ(ო)ვნიო. ამ რიგი საფიცარიც უბოძა, ვითაც როსტომ მეფე ფიცსა და პირობას არ გარდვიდოდა, არც უმტყუნებდა. ბატონმან ანახანუმ მეფის საფიცარი თავის სიძეს ზალ ერისთავს მიუტანა. რა სიღდერი მიუვიდა, ერისთავი მეფესთან ქალაქს ჩავიდა და ფეხს აკოცა და მეფემან კარგის თვალით ნახა და მრავალი უბოძა და რაც ქალაქში ვაჭრები ჰყოლებოდა, ისინიც მისცა და ისევე მალე საერისთოს გაისტუმრა და რა ნოდარს საფიცარი მიუვიდა, საფარ ფაშამ თავისი ქმეხა ოსმან აღა თან გამოატან(ა), ქართლი ჩამოიარა და ქალაქს მეფეს ფეხს აკოცა. შეიწყალა და საციციანო მისი ნაქონი მასვე უბოძა. ომარ აღასაც მრავალი მისცა და გაისტუმრა და ეს ანბეები ყაენს მისწერა და ჩხეიძე გიორგი და ოტია მოაყვანიინა და ბეჟია და ხუცია იქივ ყაენის კარს დარჩინეს და ადამ სულთან ერანის ლაშქრით ისრევე დააბრუნეს.

სიკვდილი მარიამ დედოფლის შვილის ოტიასი, რომ გურიელიხაგან ჰყვანდა. ამ ყმაწვილს როსტომ მეფე თავისთვის შვილათ ზდიდა და ზალ ერისთვის სიძე იყო. ამისმან სიკვდილმან ზალ ერისთვის ყაენთან წასვლა ცოტას ხანს უკუავდო. გორს მიიცივალა. შეიქნა დიდი გლოვა, ტირილი თორმეტს დღეს. იქივე გორს იყო ზარით ტირილი. ქართველნი ჯალაბობით, თავიანთ ჯარითა და შეძლებითა ზარის თქმით მოვიდიან, უწინ მკედართ მიმგზავსებულს, სახე დახეულ, თმა დაგლეჯილს, შეენება შეშლილს, ტანისამოს სისხლით გასერილი, მიწაზედ მჯდომს, ღონე იმედ დაკარგულს ბატონს დედოფალს მიუტარიან. მერმე გამდელსა და ჩარიგებით მათ მკლებლებსა, მერმე მეფესა და კირისუფლებსა, თავადთა და აზნაურთა და მს(ა)ხურთა და მოკელეთა. მერმე მცხედართა მიუტირებდენ და გარდასაბურავს გარდაჰფენდიან. ამას უკან იარაღსა და მორთულობასა, ტანისამოსსა, მურასა გვირგვინსა და ჯილასა და კმალსა და კანჯარსა, მუზარათსა და ჯაჰესა და კელნავებსა და ცხენსა და მისს შეკაზმულობასა, ყოვე(ე)ლს ნიშანს ცალკეცალკე მიუტირებდენ და ერთს წელიწადსაც არ გათავდებოდა. მეფემ ბძანა, ვითაც გზაზედ მიმავალთა, ისრევე ტირილში ერთმანერთს მოადვენონ. დილით შვადღემდისინ იტირებდენ და სამკრობით მზის ჩასვლამდისინ გამოიტირებდეს. მაგრა მაშიც ბევრს რიგი და ნობათი არ ერგო ამ თორმეტს დღეში. მერმე მეფემ ბრძანა—ვისაც აქ არ ეტიროსო, გზაზედ მოგვიტიროსო და ან ცხეთას იტირონო და რაც მკედარს თავს ადგენენ, კათალიკოზი, ეფისკაპოზნი (sic), ბერნი და მღრღელნი რომ სახარებასა და დავითნს კითხულობდენ, ასევე ბატონს დედოფალს ადგენენ მოლოზანნი და ჩოხოსანნი და ამ სოფლით გადგომილნი მღთის მონობაზედ მოწონებულნი დედანი და ქალწულნი, ცრემლის

ფქვევით სახარებას და დავითნს ჰქობთულობდეს. მაგრამე ბატონის დედოფლის შებრალებით ყველას ამდენი ეტირა, რომ მართლა ველარ ხედუდენ, ყოელს ნიშანსზედ ორმოცი ბერი და მღრდელნი ადგნენ, სახარებასა და დავითნს კითხულობდენ, რეასი მეორმოცე დაუყენეს და ქართველნი ძაძითა და შავით შეიმოსნენ, ლასტისჯინ დააწვენეინეს, ვითაც კუბონი და ბატონი დედოფალი ვითაც მკედარი მაშიგ მიილეს და ზედ შავი ზეწარი გარდაბურეს, ქვეშ თავადნი და მათნი ძმანი და შვილებნი შეუსხდნეს. ასრევე მცკედარსა ძვირფასის ოქროქსოვილები გარდაბურეს და ახლაგაზდილნი (sic) თავადნი შვილები შეუსხდნეს საკაცეს ქვეშა, საქართველოს ჯვარები ვითაც დროშები წინ წაიმძღვანეს და ამ ვაეებით სწორზედ გორიდამენ ცხეთას ჩავიდნენ და ბატონის დედოფლის შვილი ოტია საფლავს მიილეს და მეფე ნეორეს დღეს ქალაქს მიბძანდა და სალაპო ძროხა, ცხვარი და თევზი და ხიზილალა, ბანბა და მარლი, სანთელი და საკმეველი ამდენი მოატანინა, რომ ორმოცამდინ ცხეთას იდგნეს, სხნილის დღემში ასი ძროხა და ცხვარი დაიკლოდა, მარხვის დღეებში ათასი ხმელი თევზი გაიქრებოდა, ბანბასა და მარლსა და სანთელსა და საკმეველს გარდაისათ. ამ ორმოცს დღეს დედოფალს მარილიანი ვერ აკამეს, ქერის პურის მეტი მას არა უქანირა და რა ორმოცი ვათავდა, კიდევ ცხრაასი მეორმოცენი დაუყენეს. ბატონმან დედოფალმან თავისის შვილის ქონება ზოგი იელუსარემს გაგზავნა, ზოგი საყდართა და მონასტერთ შეწირა და შვილის საფლავი მოათენინა, სომხითში დარბაზის სოფელი სვეტისცხოველს შესწირა, მის განდელი თავისის მხლებლებით შვილის საფლავზედ დააყენა და სარჩო გაუჩინა. ტირილით საფლავს გამოეყარა და ქალაქს ჩაბძანდა. მოქალაქენი შეიყარნენ, კარს მოდგნენ, შეწ(ე)ვნისა და შეძლების ღონით გარდასაბურავნი მიართვეს და სამძიმარი მოახსენეს. ამათნი ჯალაბნი თვითოს დღეს თვითოს ღბნისანი მივიდინან და მიუტირებდენ. ვისაც შეძლება აქონდათ, ძღვენსა და გარდასაბურავს მიართმევდიან და ამდენი ხარჯი გარდიხადეს და ერთის შაურის ფასი თემს არა სთხოვეს რა მიცემის მეტი და ეს ამდენი ხარჯი მეფემ თავისის სალაროდამ გაიღო. ოცს წელიწადს ბატონმან დედოფალმან არც კორცი ჰაჰა და არც შავი გამოიკვალა და მისმეტი არც ვაჟი ჰყვანდა, და არც ქალი და არცა შობისა და მოლოდინის იმედი. აქ ამისთვის ბრალია ერთის პატრონი, მაგრამე ბრძანება მღთისა არვისგან შეიცვლების, ნება მღთისა არის. თუ უნდა ერთისაგან ვითაც აღამისაგან მრავალს მოაშენებს და თუ უნდა ნოვეს წარყვანასავით ყველას ერთს წამს გარდა(ა)ვლენს. კემწიფენი მის ბძანებას ვერა სცვლიან.

ზალ ერისთავი და იოთამ ამილახორი ყაენის კარს წავიდნეს. ზალ ერისთავი ყაენთან მივიდოდა, იოთამ ამილახორმან მეფეს კაცი მიუგზავნა: მე და ერისთავი ყაენსთან ერთგან გაგვისტუმროსო. ეს მეფესაც იამა და ორთავ მრავალი უბოძა და ჰამზაბეგ სუფრაჩი წინ წაუმძღვანეს და გაისტუმრეს და გზებზედ ყველგან სამასპინძლო მზათ დახვედრეს და საცა გზის პირს ხანი და სულთანნი იყვნენ, წინ მიეგებნენ და თავისას ჩამოახდუნეს. კარგად ისტუმრეს, ღბინი აჩვენეს და საჩუქარი მიართვეს და გაისტუმრეს და რასაც ქალაქში მივიდნენ, ქალაქის თავნი კაცნი წინ მიეგ(ე)ბნეს და კარგად დახვედნენ და რა ისპანა მიახლოვდნეს, მოვრავი ისპანისა მირ ყასუმბეგ როსტომ მეფის ყმა იყო, ჰამზაბეგის ბიძაშვილი იყო. რა ქაშანით გადგნენ, დღემში ორჯელ სამჯერ წინ ბარხანას მოაგებდინან. რა ისპანის ერთის დღის სავალზე მიახლოვდნენ ყაენს მოახსენეს ამათი

მოსვლა. მირზა თავი ეპტიმადოვლე და სიაოშ ხან ყულარალასისათვის ებრძანებინა: რაც მაგათი წესი და სამართალი იყოსო, ისრე დახედითო. ეპტიმადოვლეს ებრძანებინა ისპაჰანის ვეზირისა და ქალანთრისათვის და მოვრავისათვის(ის): თავნი უფროსნი კაცნი ისპაჰანისანიო კარგად მოკაზმულის ჯარით ფიშვაზი უყავ(ი)თ და წინ მიეგებენითო და ყულარალასმან ადამ სულთანს. უთხრა,—ყაენის ბრძანება არისო, ვინც ისპაჰანში ყულეებისაგან მზას იყვენო—ხანი და სულთანი, მინბაში და უზბაშნიო და თავადთა და აზნაურთშვილებისაგანო, ადამ სულთანს გვერც იახელითო და ერისთავსა და ამილახორს წინ მიეგებენითო და კარგის რიგით ლაყაფის კარს მოიყვანეთო, კარს აკოცნიეთო და იქილამ ჯულფას მიუძეხითო და ხოჯა საფარას სასახლეში ჩამოახტუნეთო. იმათაც ბრძანება გაათავეს და რვას დღეს ყაენის საკლით ოქროს ქურქლებითა დამზადებული სადილ ვახშამი მოუვიდის. მას უკან დღეში შვიდი თუმანი და სამოცი ლიტრა ლენო ზალ ერისთავს გაუჩინეს და ისრევე იოთამ ამილახორს გაუჩინეს და ყოველს დღეს ლხინში იყენეს, ხან აწვევდენ და ხან ეწვევოდენ მეყვისთა და მეცნიერთა. უწინ ბოძებაში კემწიფემ სამასი თუმანი თეთრი და ფარჩა ერისთავს მოსცეს და ასრევე ამილახორს მოსცეს და კემწიფემ მეჯლიში ქნა და მივიდნეს, ფეხს აკოცეს და ყაენმან როსტომ მეფის ანბავი მათ ჰკითხა და ამათაც დიდი ქება მოახსენეს და ნაზირს ქვეით დასხეს. ას ასის თუმნისა ეპტიმადოვლეს გამოეგზავნათ და ყაენმან ორთავეს ქართული ჩოგანი ათამაშა და ორთავ ოქროთ შეკაზმული ბედაური ცხენები უბოძა. ამისთანას დროს როსტომ მეფისაგან ჩაფარი მოვიდა, ყაენთან არზა მოეწერა—ერისთავი და ამილახორი მალე გამოისტუმრეთო.

ქკნს ტლბ ჯანი ხან ყორჩიბაშმა მირზა თავი ეპტიმადოვლა მოკლა და ყაენმან ჯანი ხანც მოაკვლევინა. ჯანი ხან ყორჩების თავი კაცნი და ან ხანი და ან სულთანნი ვინც კარზედ იყვნენ, შემოიფიცა და დილას ეპტიმადოვლეს მირზა თავის შინ მიუხდა და მოკლა ნამაზს ზედან უყაენის ბძანებოთ და მერვეს დღეს ეპტიმადოვლობა ხალიფა სულთანს მისცეს და ყაენს არცერთს შეეკითხნეს. ყაენი ყმაწვილი იყო, ბებია ჰყვანდა, ჩერქეზის ქალი იყო და ჰკვიანი მანდილოსანი ბძანდებოდა და მისი სიტყვა გადიოდა და ჯანი ხანს იმისი გამოგდება უნდოდა. მაგრამ სიაოშ ხან(ი)ს ყულარალასისა და ყულეებისა ჯანი ხანს ეშინოდა, მაგრამ დროს ეძებდა, რომ ყულარალასიც მოკლას და ყულეებიც ამოსწყვიტოს და მას უკან ყაენის საკლიდამენ ყაენის დედა გამოაგდოს. ყაენის დედა მცოდინარე ბატონი იყო, მალეით ყორჩიბაშობის რაყამი მურთუზა ყული ხანს ბეჯირლუს გაუგზავნა და ქოპქილუს ბეგლარბეგობის რაყამი სიაოშ ხანს გაუგზავნა და ორთავ ასრე მისწერა: რა იქნა თქვენი კაცობაო და ან სით მოსჩანს თქვენი ერთგულობაო ჩემს ოჯახს ზედანო, რომ ჯანი ხან თავისის ძალით ეპტიმადოვლა მიმიკლასო და თქვენ ეს დასთმობთ და არა თქვათ რაო. დღეს არის, თუ ხელეო თქვენც დაგზოცენო, მერმე შვილს მიმიკვლენო და თვითან გაკემწიფდებიისო. აწე თუ ჩენი ერთგულნი კართო, ჩენი ყულებიო რომ ლამით ჩვენს ქეშოკში მოვლენო, აღრიან თქვენც კარზედ მოდითო, და რა ჯანი ხან თავისის კერძის კაცით კარზე მოვიდესო, უბძანეთო, წაუშინონ, დახოცონო. ბრძანება გაათავეს და გაუთენებლივ კარზედ მოვიდნეს და ეს ანბავი ჯანი ხანისათვის ეთქვათ, რომ ბეგლარი აღრიან კემწიფის კარს მივიდნენო. ისიც აჩქარდა და კარზედ მივიდა. რა ჯანი ხან მაშაიას გახდა დაიწყო, რომ

ზეით ავიდეს, მურთუზა ყული ხან ბეჯირლუმ საყელოს კელი წასტაცა და შემოუძახა: შენ ხაინო და მუხანათო, კემწიფეს ეპტიმადოვლე რასთვის მოუკალო. შესცა მუც(ელ)ში ხანჯარი და მოკლა და დაუძახეს ყულებს—კემწიფის ბძანება არისო, დახოცეთ ეს მუხანათებიო. წაიკრეს კმალს კელი და ჩვიდმეტი ხანი და სულთანი მოკლეს და მათი მძოვრები თრევით მეიდანში ყაბახის ძირში დაჰყარეს და ცოლშვილი დაუწიოკეს და მათი ქონება საკემწიფოთ წამოიღეს. და ცოტას ხანს უკან ერისთავი და ამილახორი მორკმითა და მრავალის ბოძებით გაისტუმრეს. გასტუმრებაში ერისთავს უბოძეს ხუთასის თუმნის თეთრი და ხალათი და ოქროთ შეკაზმული ხალათის ცხენი, თხუთმეტი სოფელი ყაზმინის სიახლეს, ბოჭრუდი, ასრევე ხალათი, თეთრი, და ოქროთ შეკაზმული ცხენი ამილახორსა და ორმოცდაათი თუმ(ა)ნი ჯამაგირიც გაუჩინეს და რაც საქართველოს კაცი, იმერელი, ქართველი და კახნი ტყვეთ იყვნენ, ყველაჟამათ აპატივეს და ცხენი; იარაღი გაუკეთეს და სახარჯო უბოძეს და თან გატანეს. ყველას კალათი ჩააცვეს და კემწიფის კარს მიასხეს და ჰარმის კარი ყორული ქნეს და ორთავეს თავისი ქალები აჩვენეს და წასასვლელათ კემწიფეს ფეხს აკოცეს და კემწიფემ ორთავე ასრე უბძანა: რასაც როსტომ მეფეს აამებთ და ერთგულათ ემსახურებითო, ჩვენ გვიამებისო და იმისი მოწერილობით ჩვენგან წყალობა დაგემართებისო და ისრევე მისის მოწერილობითაო ჩვენგან რისხვასაც ელოდეთო. მეფეს როსტომს ამათის კელით ხალათი და ოქროთ შეკაზმული ცხენიც გაუგზავნეს და მეჰმანდარი გაატანეს და კემწიფისგან მრავალ წყალობა დამართებულნი, მორკმულნი საქონლითა და იარაღითა მორთულნი და მოკაზმულნი მგვიდნენ. ქალაქის სიახლეს მეფე და სრულ ქართველნი წინ მიეგებნენ. რა შორიდამენ მეფე დაინახეს ცხენით მამავალი, ამათ დაუქვეითეს, დიდი გზა ფეხ და ფეხ წაიარეს. მეფეს ცხენს მჯდომს აფეანდას აკოცეს. მეფე ცხენით გარდმოხდა, კემწიფის ნაბოძები კალათი ჩაიკვა, დიდის სიმკიარულითა და შადლუხის ქნით ქალაქში შებძანდა. ათს თორმეტს დღეს ქალაქში აღხინა და შესივინა. მერმე მეფემ უბძანა: „გზისაგან გარჯილნი კართო და შინაც გელიანო. წადით, ამ ზამთარ თქვენსას შეექეციეთო.“

რაც ზალ ერისთავს კახეთში მამული ჰქონდა, ბატონმან თეიმურაზ წართვა. ბატონს თეიმურაზს ასრე ებძანებინა: როსაც როსტომ მეფეს წამოუვიდაო და ჩვენ მოგვივდაო, ქართლში რაც მამული აქონდა მეფემ წაართვაო, იმისი მაგიერი მე კახეთში მივეციო, ახლა თავის ბატონსთან მისრულაო, ქართლის მამულებს ისრევე მისცემსო და ნამეტნავი წყალობა ყაენისაგანც დამართებიო, ის ჩვენთან ველარ მოვაო. თიანეთი და ან კახეთში სადმე ზაალ ერისთავს მამული ჰქონდა, ბატონმან თეიმურაზ წართვა, ერისთვის კაცი კახეთში ველარ გაივლიდა. ისევე შეიქნა მიხდომ მოხდომა, რბევა და ოხრება და გზებზედ ყაზახობა. ზალ ერისთავი ჯალაბობრივ ქალაქს ჩამოვიდა და კახეთში მამულების წართმევა მეფეს უჩივლა და მეფემ უბრძანა: მე მაგზედანო ბატონს თეიმურაზს ვერას შეუვალო, რომ თავისი სამკვიდრო მამული თქვენ არ მოგცესო, მაგიერი მე მამიცემიაო. ამ დროს რევაზ ბარათაშვილი თავის სიძეს როინს ჯავახისშვალს დაექრა და იმერეთს მიმავალი და მეფეს მოჰგვარა, საჩუბარი წინგნები უპოვნეს და რევაზს თვალები დასთხარეს. რა როინის ჯალაბმან ძმა ნახა თვალებ დათხრილი, ქმარი გაუშვა, ჩოხანი ჩაიკვა და რა ცოცხალ იყვნენ, ქმარი თვალით აღარ იხილა ძმის დაქირვის ჯავრითა და რა რევაზს ეს წინგნები

უპოვნეს, ბატონს თეიმურაზს მოციქულობა დაუწყეს: რასთვის არ დაწყნარდებითო და ჩვენც რასთვის არ დაგვაწყნარებო. ჩვენსა და თქვენს შუა მრავალი საქმენი ძენანო, ამას წინათ კახეთში სამი სოფელი დაგვიდევითო გაბრკობამდისინო. ახლა ორნივე უსაქმოდ ვართო და სიღამდისინ უნდა ჩვენსა და თქვენს შუა საქმენი გარდუწყვეტი არისო, ქართლი და კახეთი არ მოისვენებსო. დრო ამის უკეთესი არ იქნებოსო. ორიოდვე მცოდინარ(ი) ბერი და ერიო შენს სიძეს მეფეს აღექსანდრეს ვსთხოვოთო და ასრევე ლევან დადიანს ვსთხოვოთო, გურიელსა და ახალციხის ფაშასაც ვსთხოვოთო, გავიბრკნეთ და შევირგდეთო, ჩვენც მოვისვენოთო და ჩვენი ქვეყანანიც მოვასვენოთო. ეს ბატონს თეიმურაზს სწყენოდა, გაჯავრებულიყო და ის სოფლები რომ გაბრკობამდისინ მეფისათვის დაედვა, ისრევე წართვა და მოკლები გამოუყარა და მეფისათვის ასრე მოეწერა: შენის ძმისწულის მეფის სვიმონის მკვლელი ზურაბ ერისთავი იყო. და მე შოვქალო, თქვენ კიდევ უნდა დამიმადლოთო, თოარადა ჩემთან სხვა რა საბრკო გაქეთო. თქვენი მესისხლე ეგ არისო, რომ ყანთან გაგიგზავნია და მორკმული და გამდიდრებული მოგიყვანიაო. თუ სისხლს ჰკითხოვოთო, მესისხლის ძმებსა და სახლის კაცებს მოჰკითხეთო. აქამდისინ რომე ჩვენ გვახლდაო, იქნებოდაო რომ თქვენი მესისხლე გეთხოვნაო და ახლა თქვენ გახლავსო და თქვენი ყმაც ეგ არისო და მესისხლეთო. რომელიც გეპრიანებისო, ისრე ჰქენითო. მეორეს წლამდისინ ასრე იმოციქულეს. ამასობაში ჩოლაყაშვილები რევაზ სახლთუბუქეს(ი) და ბიძინა სუფრაჩი გარდიკიდნენ¹⁾---

¹⁾ აქ დედანს აკლია. როგორც ეტყობა, აკლია „ცხოვრებან საქართველოსასა შედგენის დროსაც, რადგან მასწილაც ეს ნაკლებლევანი ადგილი შეესებულა როსტომ მეფის 1618 წლის ერთი გუჯრიდან, რომელშიდაც მოთხრობილია როსტომის ბრძოლა თეიმურაზ კახატონთან. ჩვენც ტექსტის შესახებად მოგვეყავს აქ სათანადო ნაწყვეტი ხსენებულ გუჯრიდან (მართლწერა შეცვლილია მხედრულად დაწერილ ამ დროინდელ საბუთების მართლწერის მიხედვით): „იყო კახი ბატონი იმერეთს, ჩუხუბისა და ავის, საქმისგან თავი არ აიღო და არც დაწყნარდა. კახეთში ჩამოვიდა მთის გზადამე. მრავალს ადგილს იწენი თავს დასხმა და ღალატით მოინდომა და ჩვენც ვანადამც ბატონის (სვიმონის) სისხლსა ვსთხოვდით და ქვეყანას ურბადეთო და ბევრი ავი საქმე უყავით. ბოლოს შემოვიდნენ შუა კათალიკოზი, ბერები, ერისთავები და თავადები და დანდობის საქმეს გაზოგვეხუნეს, თუ ორს წელიწლამდი ერთმანერთი დაინდევითო, მას უკან გასამართლდითო და რაც სამართალმა გიჩინოს, ბატონის სვიმონის სისხლი იმგვართ მოკითხეთო. დაგვიდვა კახმა ბატონმა თეიმურაზ სანდოთ საფიცრით სოფელი გავაზი და სოფელი ქისისვერი, ჩვენის თავადისშვილებისა და გლეხებას მოცემის დავგვიპირდეს. ჩვენც რომელი საჟიკარი მივევით და ან პირობა დაუდევით, უველაყა გრუთავეთ და კახმა ბატონმა რაც პირობა და ფიცი მოგვეცა არც ერთი არ გაგვითავა. ამახედან ავიშაღენით. აქათ ჩვენ შევიყარენით და იქით კახი ბატონი. ქისიყისკენ თათრები უჩინეთ. კახი ბატონი თიანეთს მისულიყო და ჩვენ იქით წავედით. შემოგირათ სვეტო ცხოველო ღვთივ აღმართებულო, მოედით კარსა თქვენსა და ღალადესით შეგგან შეწყენა ვითხოვაუ. არაგვის პირისპირ შევიარეთ და თიანეთს მოუკედით. კურთხეულხარ მთიერო და უძლევლო ყოვლისა მყარბელო ღმერთო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცს დაანახვე. შევიბენით და გაიმარჯვეო, დროშა, ქანარა და ნაღარა გაგადდებინეთ. სახლისხუტევი რევაზ და მრავალი საბატოს კაცისშვილი სხვა მოუკალით და გაეპკით. უკან მივეყვით და გრემს მივედით, სრულად კახნი ჯალაბობრივ იქ იდგნენ. იქით ბატონის თეიმურაზის შვილი დავით და ჩვენგან გაგზავნილი თათრები შეყრილიყვნენ, შებმულიყვნენ ქისიყის ბოლოსა და თათრებს გამარჯვებოდა და ბატონისშვილი დავით მოუკლათ და მრავალი საბატოს კაცის შვილი დაეკოცათ, ჩვენ გრემს ვიდევითო. შევიქსეს დღეს ეს ამბავი მოგვივდა და კახნიც მოგვივიდუნს... (თ. კორდი, ქრონიკები II, 413—414).

---მეფემ და ქართველთ ბატონისშვილის მოკვლა გაიგონეს, ყველამ დაიწყო ტირილი და თავს ცემა და მალლის კმით მოთქმა და ჯამალ ხანს ასე მისწერეს: რომელიც მოგეკლასო, მაგათი თავები ქალაქს სიონის სალდარში მიიტანონო და ჩვენც კახეთს ჩამოვივლითო და თქვენც წინ დაგვებდითო.

აქა ბატონისშვილის დამარცხება, კახთ ამოწყვეტა და დატყვევება ქისიყის ჯარი და ბატონისშვილის ცოცხალი დარჩენა მეფეს როსტომსთან მიყვანა დიდის ვალებით დედამამს მოუხსენეს. სხვას იმ დღის შევიწროებით ანბავს რა გაცხადება უნდა და ან რა ქალაღდი დაიტეგს. თავად მტრისაგან გალახული, სახლთუხუცეს მოკლული, ჯარ წასრული, დროშა წართმეული, ქვეყანა და საბატონო სხვას დარჩომილი. ამაზე ეს ანბავი მოსვლოდეს, რომ ერთი შვილი გყვანდაო და ისიც მტერთ მოგიკლესო, რომ აღარც შექნის იმედი იყოს და აღარც შობისა. ეს შვილიც მოგიკლესო და მისი ჯარიც დახოცესო და ქვეიდამ თათრის ლაშქარი შემოგიკლენო და ზეიდამენ მეფე ჩამოვიდა საქართველოს ლაშქართაო და კახნი უფროსნი ერთნი მას მიუვიდნესო. თვითან ყველგნით კელდამოკლებული მრავლის მკლებლით მიფარულიყოს სადმე და უარესის მოლოდინი აქონდეს. მღთის მადლს, წამკითხველნო, კარგად გული დაჰყარეთ, რომ ამ რიგს აოკრებასა წარყენას აქეთ თუ ვისმე გაგეგონოს. მე ფარსადან გიორგიჯანიძე ვიტყვი ამასა, ღმერთი უტყუარია და ამ საქმეზედან მოჩანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო საკლი მოეთხაროს და მისის საქმით მრავალნი ტყვეთ წაესხას, მრავალნი უბრალოთ დახოცილიყვნენ, მრავალი დედანი(ი) ავტირებინოს და იესოს ნაბძანები სიტყვანი აქ გათავდება რომ უბძანებია,—რომლისა ც საწყაოთ მიუწყავო, იმავეთი მოგეწყვისო. ღმერთსაც ასრე უბძანებია, ათას და ერთი სახელი მქვიანო ყოვლის ენითაო, თავი საკელი ჩეი სამართალი არისო. არას კეწვიფეს, არას ძრიელს კაცსაო, არას ულონოსა და საბრალოს გლახას დაჩაგრულთ ნაძალადევესაო არ შევარჩენო. რა გინდ ვინმე ნამეტნავად მდიდარი იყოსო და ძრიელიო, ჩემთან სუსტი და ულონო და გალახულნი არიანო და ორსავეს სოფელს მოვჰკითხავო და რისხვით ვაზღვევინებო.

ხორეშან დედოფლის მოსვლა როსტომ მეფესთან შემოსახვეწრათ. ბატონს თეიმურაზს ყველგნით ღონე მოელო, აღარც სითმე მშველი და აღარც სახიზარი ალაგი, აღარც წასასეღელი გზა, არც ასაყრელათ ცხენი და ჯორი, აღარც მოკლე და მოსამსახურენი, კახნიც ქართველთ შისელოდეს და მეფეს როსტომს ბატონის თეიმურაზის დაქირვას ეპატიჯებოდნენ. ეს მეფემ უწყინა და ავად ჩამოართვა და ასე უბძანა—იმისი დაზდილნი კართო, იმას რა კარგი უყავითო, რომ ჩვენ გვიყოთო. დაქირვა შორს დაიქირა და კახნი უფროსნი ერთი მ(ე)ჯლი(ს)ში იხსდენ. მეფემ წამოთქ(ე)ა და ბრძანა: რა ქვეყანა დარსებულაო, ამრიგი მუხანათობა კახთ თავის ბატონზედ არ უქნიათო, რომ ახლა ბატონს თეიმურაზსზედ ქნესო. ეს მეფის ნაბძანები სიტყვები ვინცალა ბატონს თეიმურაზს მოახსენეს. იმან დედოფალს შვილისთვის მოუთმენელის ნაღვლიან და მტრიალი გულითა და თვალცრემლიანსა მოახსენეს: როსტომ მეფე თქვენი ბიძაშვილი არისო. მიდით, ნახეთო და თქვენის შვილისას შეეხვეწენითო, არ მოგიკლასო. ეგების ჩვენი შენაცოდებიც თქვენ გაპატიოსო და ამას უკან ვითაც სხვა თავადი, ჩვენც იმათავით გვიმსახუროსო. თუ ესები არა ქნასო, ამდენერთს ნათესაუობის პატივს მაშინც დაგდებსო, რომ ჩემი დათუნა ცოცხალი

ყაენსთან გაგზავნოსო და ჩვენ ამდენი ცხენი და ჯორი გვათხოვოსო, რომ იმერეთს მივაწიოთო. დედოფალმან ბატონის თეიმურაზის ნაბძანები სიტყვანი გაათავა.

აქა მობძანება ბატონის ხვარეშან დედოფლისა თავის ბიძას შვილს მეფეს როხტოშს თანა. მეფეს მოახსენეს: ბატონი დედოფალი მობძანებულაო თქვენთან სახვეწარათო. კათალიკოზს უბძანა: თქვენ და ბატონის შვილი ლვარსაბ და ებისკოპოზნი და თავადნი და საბატოოს კაცის შვილნი წინ მიეგებენითო და დიდის პატივითაო მობძანდესო. რა მოახლოვდებისო, მე თვითან მოვეგებებო. ის გაისტუმრა და ბრძანა, თავის კარვის სიახლეს ბატონის დედოფლისათვის კარვები დადგეს და მეფე ცხენს შეჯდა და გაეგება. რა მოახლოვდა, მეფე ცხენით გამოჩნდა. დედოფალს მოახსენეს, ისიც ცხენით ჩამოახლუნეს და მეფემანც დაუქვეითა და დედოფლის ერთი კელი კათალიკოზს ეპირა და მეორე კელი ბატონის შვილს ლვარსაბს. ჯარმაც დაუქვეითა. რა ახლოს შეიყარნენ, დედოფალი მეფეს ფეხს მოეხევიდა. მეფე(მ) არ დაუშეა, დაილითა, ერთმანერთს გარდებვივნეს და შეიქნა ტირილი და სრულ ლაშქარმან დაიწყეს კმა მალლა ტირილი და თავს ცემა. ჯერ თათართ ჯარი უფრო ტიროდეს. უწინვე მეფისაგან ყადაღანი ქნილიყო, რომ ბატონის შვილის დათუნას სიკვდილი არეინ თქვას. ბატონი დედოფალი მეფემ თავის კარავში ჩამოახტუნა, მაგრა იმ დღეს ტირილის მეტი არა თქმულა რა. დედოფალი თავის კარავში წაბძანდა და მეფემ ლორი ფანბაკისა და აღჯაყალის ბატონი ბოშჩალუ (sic) ისახან მოიხმო და იმას შეეკი(თხა), ასრე უბრძანა: ბატონი დედოფალიო ჩვენთან სახვეწრათ მოსულაო და ამისი პატივის დადება გემართებსო. თავთ ნათესავი არის ჩემიო, მერმე რომელსაც საქართველოს მეფეთ და მეპატრონეთ გასჭირებიათო, ან დედა შეუხვეწნიათო და ან დედოფლითაო და ბატონს თეიმურაზს საქართველოს წესი გაუთავებიაო და აწე ჩვენ რა გემართებსო და ან რას გამამირჩევთო. იმან ასრე მოახსენა: ერანელთაგან ასი ათასი კაცი ნამეტნავი ამ კახეთში ამოწყვეტილაო და კემწითენი მრავალს გარჯილანო, მაგრა ამ რიგი გამარჯვება რომ ღმერთმან თქვენ მოგცაო, არეის ღირსებია და რადგან თქვენმან სიმართლემანო ამ რიგი გამარჯვება მოგცაო, რომ აქ თქვენ მამაზედ გაიმარჯვეთო და ქვეით ლაშქარმან შვილი მოუკლაო და დედოფალი მოვიდა, ფეხს მოგეხევიდა, ყარაიაზის სანად(ი)როს ნებით მაგართმევსო და სხვა ისრევე დაანებეთო და დავბრუნდეთო. ეს ის(ა)ხანის რჩევა მეფემ მოიწონა და კიდევ ასრე უნდოდა მეფეს ექნა, მაგრამე ვინც ბატონის თეიმურაზის წახდენაში ერივნეს, იმათ მეფეს ასრე მოახსენეს: ამას წინათ ბატონის თეიმურაზის შვილი არ მოგეკლათო, არ მოგასვენათო. ახლა იმისთანა შვილი მოუკალითო, გალანმც აღარ მოგასვენებსო და ეგების შერიგება ყაენმაც გიწყინოსო და დედოფალი ამდენის პატივის დებას სჯერაო, რომ ამდენი ცხენი და ჯორი ათხოვო, რომ უვნებელად იმერეთს გარდვიდნენო და მეფის მოწყალე გუნება ამ სიტყვებით შეშალეს. იქითაც ბატონი დედოფალი დაატყუეს: ასრე შეეხვეწენით მეფესაო, რომ შვილი არ მოგიკვლევინოსო და თქვენ უზიანოთ იმერ(ე)თს მიგასხანო. მეორეს დღეს მეფე დედოფლის სანახავად წავიდა. დედოფალი ტირილით ფეხს მოეხევიდა და ასრე მოახსენა: კურთხეულის ბიძის თქვენის მეფის სვიმონისაგანო და ბატონის ლევანისაგანო ჩემის დათუნას მეტი არეინ დარჩომილაო, ჩემს შვილსაც დიად თქვენი გვერც კლება უნდოდაო. ვითაც მისმეტ(ი) შვილი არა გყანდაო, ჩვენ არ გა-

მოუშვითო. ვაი ამ ჩემს თავსაო, ახლა თათართ დაურჩენიაო და ყანესთან გაუგზავნიათ, კემწიფესთან მამეკმარენითო, რომ იმას უშველოთ რამეო. შეექნათ ტირილი. მეფემ იმ(ე)დი დაუღვა და ასრე მოახსენა: მ'ლთისა შეწვევითაო, რაც ჩვენის კელით გამოვავო, მოვეკმარებითო. ის ასეთი კარი არ არისო, რომ თქვენს შვილს სიკეთის მეტი არა დაკლდების რაო, მაგრამე თქვენ მებრალეობით, რომ შეყრამდისინ ტირილი და ნალველი შეგაწუხებსო. ამაების თქმაშინ ვითაც წვიმა ყველანი ცრემლსა ჰყრიდეს და ერთი ეს მოახსენა: მრავალი შეგცოდეთ, შეგვინდევითო. მგონივარ მაგიერი ჩვენც გარდაგვხდაო. თუ ამდენს შემინხვეწიებთო და პატივს დამდებო, რომ ამ სიბერის დროსაო ჩვენს საფლავს არ მოგვაშორებთო, ნაპირის ალაგი თქვენ იქონიეთო და ალავერდლის (sic) გარეშემოთაო ჩვენც დაგვარჩინოთო. თავად ღმერთი დაგიმადლებსო და მერმეო ქვეყანა მოგიწონებსო. მეფემ მოახსენა: ამაში ღმერთი მყავს მოწმათაო, რომ რასაც თქვენ ბრძანებთო, მე თქვენთვის არა მშურსო, მაგრა თქვენის შვილის დარჩენაო და თქვენი ამრიგი დამარცხებაო აქამდისინ ყანეს მოეხსენებოდაო და არამც კემწიფის ბძანება მოვიდესო და თქვენცა და ბატონი თეიმურა(ზი)ც კარზედ გითხოვონო, არ უფრო სამისდღეჩიოდ მოითხრებითო. ასტირდა დედოფალი და ასრე მოახსენა: მაშ ამდენი წყალობა მაშინც გვიყავითო, რომ აზდენი ცხენი და ჯორი გვათხოვეთო, რომ იმერეთს გარდაგვასხანო. მეფემ ხუთასის თუმნის ფეშქაში მიართვა და ხუთასი ცხენი და ჯორი ათხოვა და ქათალიკოზი თავისის ჯარით თან გაატანა და კახთ უბრძანა: ვისაც გინდათ ჯალაბობრივ თან გაჰყევითო და ვისაც გინდათ თავკაცათ თან გაჰყევითო, ჩვენ კიდევ გვიამებისო და დაგიმადლებთო. ისინიც ზოგნი ცოლშვილით და ზოგნი თავკაცათ თან წაჰყენენ და უფროსი ერთნი მეფეს მოუვიდნენ და ბატონი თეიმურაზ კახეთით აიყარა და ქართლი შეიარა და იმერეთს გარდვიდა და ეს ანბავი მეფეს ალექსანდრე(ს) ქუთათის მჯდომს მოახსენეს.

ეს ანბავი მეფემ ალექსანდრემ დარეჯან დედოფალს მოახსენა. მამა თქვენი კახეთით მეფეს როსტომს გამოუგდიაო და იმერეთს გარდმოსულაო. შეექნათ ტირილი და თავს ცემა. უწინ გენათელი და თავადები წინ მიიგებეს და ყველგან ნუზლი და სამასპინძლო მზას დაახვედრეს. მერმე მეფე წაბძანდა დიდის ჯარითა, მიეგება, ნახეს ერთმანერთი, შექნეს ტირილი და თავს ცემა და გენათელმან ბატონისშვილის დათუნას მოკვლა ძალით მეფეს ალექსანდრეს ასრე მოახსენა: იმერეთს ამდენი შეძლება არა აქვსო, რომ ორჯელ ცალკე ცალკე თემი შევჰყაროთო. ბარემ დედოფალი მობძანდესო და დედაშვილთ შეყრაში გაუტხადოთო. რა ზარი ამალდესო, მეფემანო თავსცემით ბატონისშვილის დათუნას წამება თათართაგან ქებით წამოსთქვასო. ამალდა ზარი და მეფე ალექსანდრე(მ) მკარჩხბდილი თავსცემით ბატონს თეიმურაზს წინ დაუჩოქა და ბატონისშვილის დათუნასი მამაცობითა და ქებით მოკვლა წამოსთქვა. ბატონი თეიმურაზ და ორნივე დედოფლები ვით უსულო მკვდარნი შეიქმნენ. გენათელი და ებისკაპოზნი წამოდგნეს და გულზედ წყლის დასხმით ძლივას სულს მოვიდნეს, სამ'ლოთო სიტყვანი უქადაგეს და განკითხვის დღის შიში დასდვეს და მლ'თის საწყენი საქმები დაარიდეს და ქირისუფალნი დასხეს, ორმოცამდისინ ტირილი და ზარი (იყო). იმერეთის თავადნი და აზნაურშვილნი დილას საღამოს მოუტირებდეს. ვისიც მამული ახლო იყო, ისინი უმალ მოვიდნენ, ვისიც შორ იყო, ისინი გვიან მოვიდნეს, მრავალი გარდასაბურავი მოიღეს. მეფემ გასაკვირვებუ-

ლი ხარჯი გარდხადა ცოცხალთა და მკვდართა ზედან. აბა თუ ამ გამჟღავნების დღის ანბავი თუ სრულ დაგვეწერა, ტირილისაგან კაცი ველარ წაიკითხევდა. ამისთვის მოკლებით დაიწერა, მაგრა ვინც ამათნი ცოცხალნი დარჩნენ, ორმოცდაათს წლამდისინ ამის გლოვასა და ტირილში იყვნენ და მეფემ ალექსანდრემ ბატონს თეიმურაზს და მისს თავადებსა და აზნაურთ ყველას ცალკე ცალკე სოფლები და სარჩო გაუჩინა და ბატონის თეიმურაზის კახეთით გაგდება და შვილის მოკვლა რუსეთის კემწიფეს მისწერეს და მეფემ ალექსანდრემ ამისთვის ბატონს თეიმურაზს ვერ მოეხმარა, რომ ლევან დადიანი ძრიელი ბატონი იყო და მეფეს როსტომს მისი და მარიამ დედოფალი ცოლათ ჰყვანდა. ყაენიც მწყალობელი და ლაშქრითა და სალაროთ მამხმარებელი ჰყვანდა და ყაენი ბატონს თეიმურაზს უწყობდოდა. თუ მეფე ალექსანდრე თუ იმერეთით დაიძვროდა, დადიანი იმერეთს ჩამოუდგებოდა. ბატონი თეიმურაზ დარჩა იმერეთს და მეფემ როსტომ ბატონის შვილის დათუნასი და მასთან დახოცილის თავად აზნაურთ თავები და ბახუტა სუფრაჩი და ბატონის თეიმურაზის დროშა ელიზბარ ბოქალთ უხუცის კელით ყაენს გაუგზავნა. ყაენს ყანდაპარის ასაღებლათ გაელაშქრებინა. ესეები ბასტამის ჩიმიანში წინ დაკვედრეს. ყაენმან ულურისათვის კარგ ნიშნად ბძანა და კახეთი როსტომ მეფეს მისცა და სამი სოფელი განჯაში ელიზბარს უბოძა და ხუთასი კალათი ქართველთ გაუგზავნეს და მეფეს როსტომს თაჯი, თომარი და მურასა კმალი ყაენის ფუში და ხალათი და ოქროს იარაღით შეკაზმული ბედაური ცხენი უბოძეს და ყაენი ყანდაპრზედ წავიდა და მრავლის ბრძოლითა და ომითა და ლაშქრის ამოწყვეტითა და სიბის მიტანითა და შეთხრა ციხეში შესვლით უწინ ყალაი ბისტი აიღეს და მაზიგან მყოფი ხანი და უფროსნი კაცნი კელხუნდით ყანდაპარის ციხეს ქვეშ გატარეს, რომ მაზიგ მყოფთ ყანებსა და სულთნებს შეშინდეს და ციხე მოსცეს.

ქრონიკა(6)სა სამას ოცდათხუთმეტსა შაჰბაზ ყაენმან ყანდაპარი აიღო მრავლის ბრძოლითა და ძალ მიცემითა და მრავალი კაცი დაიხოცნეს სიბასა და იერიშს ზედან, აიღეს და ყიზილბაში შიგნით შეეს(ი)ვენეს, ციხე ქალაქი დარბივეს და მრავალი იშოვნეს და ინდო(ე)თის კემწიფისაგან დასმული ხანი თავისის ყმებით ყაენს წინ მოასხეს. ხანი და თავნაჩენნი კაცნი თანწამოასხეს და სხვათ უვნებლობის ნიშანი უბოძეს, რომ საცა უნდოდეს, წავ(ი)დნენ და ყანდაპრი მერაბ ხანს მისცეს და ყაენი მაშათს წამოვიდა. მეორეს ზაფხულს ინდოეთი(ს) კემწიფის შვილი დიდის ლაშქრით ყანდაარს შემოადგა და ყოველგნით სიბები წინ წა(ი)ღეს და შიგნიდამენ და გარედამენ დაუშინეს თოფებსა და ზარბაზნებსა და გარედამენ ბანაკს ისროდეს და სიბები ხანდაგს მიაწია და ზოგი კიდე(ე) გასცილდა. შეიქნა იერიში კედელზედა და შიგნიდამ კარგად იყვნენ, ნამეტნავად ყიზილბაში, კაცის მძოვრით აივსო ხანდაგი და ინდოელთ გასაკვირვებელი ომი გარდხადეს და სიკვდილისათვის ნალველი და შეწყენა არ იცოდეს. მაგრა ციხე ვერ აიღეს და ქება ითქვა იმ დღეს ინდოთ მეომართა და კარგად იყვნენ და სამჯერ გასაქირი იერიში ქნეს და ციხე ვერ აიღეს. ამისთანას დროს მეტრაბ ხან ციხეში მამკვდარიყო. მკვდარი მიფარვით შეინახეს და მაშინც ციხე ვერ აიღეს და კემწიფის შვილი ბეტრს გაისარჯა და ციხე ვერ აიღო და გარჯილი და ლაშქარ ამოწყვეტილი დაბრუნდა და ყანდაპარი ყაენმან ოთარ ხანს მისცა და ინდოეთის კემწიფემან ოთარ ხანს ზედანც თავისი უფროსი შვილი დარაშუქუ მრავლის ლაშქრითა და თოფხანით გამოუძახა, ოთარ

ხანს ციხეში გარემოდაცვა და როსტომ ხან, დექენის ბატონი, ინდოეთის ლაშქრის სარდარი, ყალაი ბისტსხედ გამოგზავნა და შაჰაბაზ ყაენმან მურთუზა ყული ხან ბეჯირლუ ყორჩიბაშის სარდრობა უბოძა და ერანის ლაშქარი თან გამოატანა და ინდოეთის ლაშქარს გამოუძახა. ვითაც ინდოეთის კემწიფის შვილი ყანდაპარის ციხეს ადგა, სარდარი ყალაი ბისტსხედ გამოგზავნა და ლაშქარიც ცოტა ეგონათ და ყიზილბაშთ უკანა ლაშქარიც არ მოიცადეს.

აქა ომი ჭერმანდს ზედა ერანელთა და ინდოელთა ეს არის. მურთუზა ყული ხან ანაზდეულ ინდოეთის სარდარს დაესხა. იმათ რაზმი გარიგებული მზათ დახვედრეს. ვითაც ზღვა სავსე წყლითა, ისრევე ინდოთ რაზმი ათას კაცათ იდგნენ და ალაგ ალაგ ნელად სპილოს მოსდევდეს და ისარსა და ყუნბ(ა)რას მოისვროდეს. მსროლი ისროდის და უკუდგის და სხვა მსროლი წამოდგის. მაგრა ლაშქარს არვინ მოშორდის და ვერც ვინ ლაშქარში შეუვიდის და სითყენც ყიზილბაშნი შეუტევდიან, ისინი ისარსა და ყუნბარს დააყრიდიან ან გარდმოაგდიან და ან გაქცევდიან. ბოლოს ინდოელთ გაიმარჯვეს, და ყაენმა¹⁾ მურთუზა ყული ხან დააპირვინა და ვითაც ნამსახური კაცი იყო არ მოკლა და ყუმს ოთურალი უბძანა. მაგრა ინდოელთ მაშინც ყანდაპარი ვერ აიღეს. კემწიფის შვილი ლაშქარ ამოწყვეტილი დაბრუნდა და შაჰიჯჰან, ინდოეთის კემწიფეს, შვილები შეეცილნეს. ოთხნი ძმანი გარდიკიდნეს და რომელსაც ევრენგზიბ ერქვა, იმან ჭკუით ყველა დაატყუა და თვითან გაკემწიფდა, ძმები დახოცა, მამა ტყვეთ ჩაგდო და ქვეყანა დაიპირა და ძმისწულები წაუვიდნენ და ინდოეთის გარეშემო მემკვიდრეს ბატონებს შეეხვეწნენ და დაუწყეს ომი და ბრძოლა. ამისთვის ყანდაპარს აღარ მოვიდნეს, კალიფა სულაან ეპტიმადოლე მოკვდა და მისი ალაგი და ვაზირობა მ(ა)ჰმ(ა)დ ხანს ეპტიმადოვლეს მისცა ყაენმან.

რა მ(ა)ჰმ(ა)დ ხან ეპტიმადოვლე შეიქნა, ყაენი ყაზმინს მოვიდა. როსტომ მეფემ ბატონის შვილის ლვარსაბისათვის თავისის დისწულის ადამ სულთან ენდრონიკაშვილის ქალი თამარი ყაზმინით ქალაქს მიიყვანეს და ლვარსაბ თავისის ბიძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზას შვილი იყო და მეფემ უშვილობისათვის იშვილა და საუფლისწულოთ მიიყვანა, რომ მეფეს უკან ქართლი მისი იყოს და ადამ სულთანის ქალს თამარსთან გასაკვირებელი და საკელოანი ქორწილი უყო. ქართლი და კახეთი, ფუშტუქუ, ისპაჰნის მოვრაობა, ხუინი, სამასი თუმანი გილანით და ქალაქის ზარაბ(ი) და ხუთი ათასი კომლი²⁾ თათარი ელი და ომბაზი როსტომ მეფეს აქონდა და მტერი არსით ჰყვანდა. იყო საქართველო მოსვენებით, ლხინსა და წადირობაში და რა ბატონის შვილის ლვარსაბის ქორწილი ვათავდა, ვინც ჯალაბობრივ ქორწილს მოსრულიყვნენ, ყველას მრავალი საჩუქარი მიართვეს და გაისტუმრეს და მეორეს გაზაფხულს მეფე და საქართველოს უფროსნი, დედოფალი, თავადების ჯალაბებით კახეთის დასავლელად წავიდნეს. ქალაქით ლილოზედ მივიდნენ, იქ თოვლქუაჰმან ძალი ქნა, სამგორს მივიდნეს და ინადირეს და სათისქალაში დადგნენ, მანავის ბოლოს მივიდნენ და საგარეჯო ჩაინადირეს და ბეჟანბალს მივიდნენ, ისიც ინადირეს, იქით შირაქებში ჩავიდნენ და ორივე შირაქები³⁾ ინადირეს. ქისიყს მივიდნენ, მაღაროში დადგნენ და იქიდამენ

1) დედანში: ყაენი

2) დედანში: კონბლი

3) დედანში: შირაქეები

ოფადარს მიეცა)დნენ და იქ დადგნენ და ვარცლები და აღრიტლები ინადირეს და ალაზნის პირს გარდვიდა, ბაშინჯალს ზეით დადგა. სამს დღეს უკან აიყარა და მეოთხეს დღეს თოფყარაღაჯი ინადირა, მრავალი ირემი და ჯეირანი და სხვა ნადირიც მოიკლა და ფრინველთ ა(ნ)გარში არ იქნებოდა. იქილამენ წინა მინდორში მივიდნენ და ნახევარი ინადირეს და ათას ხუთასი ამ ნახევარს მინდორში ნადირი, რომე რაც მეფეს წინ მოიღეს, იმაგებს გარდაისათ რომ თავთავისთვის წაელო, კოკობსა და ფრინველთ გარდაის. იქილამენ აიყარა და ამავე წინა მინდვრის ნახევარი ინადირეს, ჯერ აქ უფრო ბევრი ამოსწყდა და აქით აბელის მონზედ მივიდნეს. მეფისათვის ჩაღურისახლები დაედგათ, იმაში დადგნენ ერთს კვირას და იქიკ მრავალი ღორი, ირემი და შველი და კოკობი ინადირეს. იქით აიყარნენ ნადირობით, ახლო ახლო ჩამოხტომით ალავერდს მივიდნენ. ალავერდის საყდარი ბატონის თეიმურაზის დროს დაქცეულიყო და აშლილობისაგან არ დასცალეზობდა, რომ აეშენებინა და მეფემ როსტომ მისი დაქცეულობა აუშენებინა (sic). ათს დღეს იქ დადგნენ, იქილამ ალონს გავიდნენ. მიცვალეზულთ მეპატრონეთათვის, რომ ალავერდს ემარხნენ, მარიამ დედოფალმან ეამი უწირვინა და ქამა .უყო და ალაპი გარდინადა და მეორმოცენი დაუყენა და ყველა ცალკე ცალკე გამოიტირა. რა იქ იყვნენ, წირვა-არდააკლო. ალაზნის წყალს გავიდნენ და ოცს დღეს ალონს დადგნენ. იმ ალონშიგ და მის გარეშემოსი მრავალ სხვა და სხვა ფერი ყვავილნი. იანი და ყაყაჩონი გაშლილ იყვნენ. იქით აიყარა და ორს დღესზედ გრემს მივიდა, იქ მრავალი კარგად ნაშენები სას(ა)ხლენი დაქცელ დანგრეულ ვნახეთ, უკარო და უქერო, ნადირთ სადგომ მქნილნი. რა როსტომ მეფემ ამ რიგი საკემწიფო სასაკლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანობლას (sic) შეუწყინდა და ფარსადან გორგიჯანიძეს უბრძანა: ამ სასახლის ასრე მინგრეულობისათვის ერთი მუნასიბი ლექსი გვითხარო. მანც ეს ლექსი მოახსენ(ა), ასე თქვა:

„მღთის მაცა (sic) ყური მათხოვეთ, გრემის სას(ა)ხლის ქებაო,
ვისაც გენახოს ეს ასრე, რად გული დაგედებაო.

ესე სოფელი ცუდია, არვის არ გასთავედებაო,

და ამის ამშენი რომ მოკედეს, თქვენ ცეცხლი მოგედებაო.“

ხიკვდილი იმერეთის მეფის ალექსანდრეს ძმის მამუკა ბატონისშვილისა. იმერეთის მეფეს ალექსანდრეს თავისის ძმის მამუკა ბატონისშვილის ნიშანი მეფეს როსტომსთან გამოეგზავნა, გასამელაენებელი და სატირალი წინგნი მოეწერა, უწინ ლევან დადიანისაგან ომშიგ დარჩენა, ტყეობაში ტანჯვით შენახვა და თვალების დაწვა, მრავლის საცადურით წამება და უპატიოთ მკედრის ყმაწვილობით სიკვდილამდისინ გაუკითხავაო, შეუსვენებლად, ათას რიგად უღირსსა და უკადრისის საქმით მოკედინება წინგნათ მოეწერა. და რა ნიშანი გაუშალეს და წინგნი ბატონს მარიამ დედოფალს წაუკითხეს, ვითაც თავის შვილს ოტიაზედ, ისრევე თმა გაშლით და მკლავ ჩაზლით, გულ მწუხარის ცრემლის ფრქვევითა მამუკა ბატონისშვილი მრავალის ქებით ტირილშიგან მოსთქვა და შავის ჩაცმით იგლოვა და სრულ ქართველნი თავადნი და დედანი და მანდილოსანნი, ვითაც საყვარელს შვილებსზედ, ისრე გულმწუხრათ გამოიტირეს. ნამეტნავად მრავლის სათანჯვის წამებისათვის ამას სტიროდეს და ლევან დადიანს სწყევლიდეს. მეფემ როსტომ ქართველთა და კახთ ჯარით, მკარ ჩახლითა და თავსცემით, გულმწუჟარათ გამოიტირეს, დადიანს სძრახვიდენ. აბა აქ გაშინჯეთ სა-

მართალი მდთისა, რომ მაგიერი ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილზე ლახტი თავს გარდიკრა და შვილ(ს) ზედ დაკვდა დაუმარხავს. მეფე ალექსანდრე ლაშქრით მიუხტა და მისი სალარო და საბატონო ყველა დაიპირა და დადიანი კარგის წესით დამარკა და ლიპარიტიანი (sic) ვამიყ დადიანათ დასვა და სალაროს ნახევარი მას მისცა და რა(ც) კარგი და უკეთესი იყო მეფემ წამოიღო და რა(ც) ლევან დადიანს მეფის გიორგის სახსარში უსამართლოთ წაეღო, მეფეს გიორგის შვილმან მეფემ ალექსანდრემ სამართლით წამოიღო და ღმერთმან დიდის რისხვით მამუქას ბატონის შვილის უდიერი ლევან დადიანს და მის შვილებს გარდახდევინა და თავისის კელით თავი მოიკლა და მისგან ნაძალ(ა)დევად შეგროვილი მრავალი ოქრო, ვერცხლი და მურასა და ძვირის ფასის თვალ მარგალიტი, რომ თავისთვის მოუხმარებელი სხვას დარჩა და თვითან უშვილოდ გარდავლინდა და ყველამ ასრე თქვეს: ლევან დადიანის უშვილოდ გარდავლენა მამუქა ბატონის შვილის უსამ(ა)რთლომ მოსთხარა, სახლიან შვილიან გარდავლინდა. აბა ეს ნიშნათ ყველას გეყოფა, აბა აქ გათავდება იესოს ქრისტეს ნაბძანები სიტყვანი: რომლისათ საწყაოთ მივიწყავსო, იმავე საწყა(ვ)ით მოვიწყვენო. აბა სამართალი აქ გათავდება და ნაძალადევი არვის შერჩების.

ვამიყ დადიანი მეფის ალექსანდრეს მორჩილი იყო. ამ ეამს ბატონი თეიმურაზ რაჭას იდგა და რუსეთს მიემზადებოდა. მეფემ წინგნი და კაცი(ი) მისწია: მღ-თისაგან ამ რიგი დიდი წყალობა დაგვემართაო, რუსეთს ნულარ წახვალო, გინდა ოდისშიგ გაბატონდიო, თუ გინდაო, ქართლსა კახეთის მეფეთ დაგსვამ(ო). არ დაუჯერა და რა ბატონი თეიმურაზ იმერეთს გარდვიდა, ქართლმან და კახეთმან მოისვენა, ლხინისა და ნადირობის მეტი სხვა საქმე აღარგის აქონდა და კიდევ ძველებურათ ჩხუბს თავი აუღეს და ასრე თქვეს: ჩვენი მეფე ბერი და უშვილო არისო და ლვარსაბ ბატონის შვილიო თავისთვის შვილად და ჩვენად საბატონოთ მოიყვანაო და საქართველოს თავადებსაო ყველას მაგისის პაპის ვახტანგის მამული გვიქირავსო და რა გაბატონდებაო, ყველას წავგვართვამსო და თავის შვილს საუფლისწულოთ მისცემსო, ამას მოუგვაროთ რამეო. როსტომ მეფე ბერიკაცი არისო, დიდს არას გამოეკიდებისო. რა ცოცხალი(ა), ვემსახურებითო და რა მიიცვალოსო, რომელიც ბატონათ გვინდოდესო, ყაენსა ესთხოვოთო. ეს ფიცი და პირი მალვით შეჰკრეს და შეიფიცნენ.

როსტომ მეფემ განჯის გზაზე გატეხილს ზეით დეზადეზე (sic) გუნბეთით ხიდი ააგო. სოფელი და ქარვანსარა ააშენა, რომ მეზაერი არ გაისარჯოს, სადგომი და საკმელი მზათ დახედეს. მეფე ქალაქით დედოფლითა და თავად აზნაურით იმ ხიდისა და ქარვანსარისა და სოფლის გასაშინჯავათ მივიდა და იქ დადგა. თავადის შვილებმან ბატონის შვილს ლვარსაბს მოახსენეს: მეფეო ხუთს ექვს დღეს აქ იქნებისო, თქვენ გალმა გაბძანდით, ჰალა ინადირეთო. ყმაწვილი კაცი იყო, იმასაც იამა და მეფეს დაეთხოვა. უწინ ნება არ მოსცა და კიდევ დაეთხოვა. მეფე(მა)ნც ბძანა, წავიდესო. გალმა გავიდნენ, რომ ჯერგით ჰალაში ირემი და ღორი ინადირონ. ჯერგა გარიგეს და ალაგ ალაგ ნადირის მოსასვლეთ კარები უჩინეს და მეთოფენი ჩაუსხეს და საბ(ა)ტიოს კაცის შვილები, თავადნი და აზნაურნი მშვილდ ისრით დაჰყვეს და თითოს კარს თითო თავადის შვილი თავათ უჩინეს და რა ჯერგამ ტყენი გამოირეკეს და კარებს მოახლოვდნენ, შეიქნა თოფისა და ისრის სროლა ღორებზედან. ამ ღროს ბა-

ბატონის შვილს ლვარსაბს ხელის თოფი ეცა და შეიქნა ტირილი და თავს ცემა. ნადირობა მოიშალა და მეფესთან ჩაფარი გაგზავნეს, ამ რიგი ვაების ანბავი მოახსენეს. მეფემ ნამეტნავად იწყინა და ელიზბარ ბოქაულთუხუცეს(ი), იმავე ბატონის შვილის დედის ძმა, გაგზავნეს და ჰაქიმი და ჯარა თან გაატანეს. თვითან მეფეც ჯარით მივიდა, ცოცხალს მიუსწრა. მაგრამე ყველგან ტირილი და თავს ცემა იყო. მეფე ჩამოხდა და საცა ბატონის შვილი თოფ ნაკრავი იწვა, იმ კარავში შევიდა. რა ბატონის შვილმან მეფე დაინახა, ფეხსზედა წამოდგომას ეცადა. მაგრამე ღონე აღარ შერჩომოდა, ვეღარ წამოდგა. მეფემ ქუდი მიწას დაახეთქა და შექნა თავს ცემა და ტირილი და ბატონის შვილს გვერც მოუჯდა და გამოჰკითხა, თუ თოფი სითკენ გეცაო და ან იქით ვინ და ვინ იდგნენო და ან გაიგნეთო, თუ ვისი თოფი გეცაო. ბატონის შვილმან ასრე მოახსენა: თუ მოვრჩებო, ჩემს მკერელს მე ვიპოვნო და თუ მოვჰკვდებო, თქვენ კარგად იყვენითო, რომელიც გიჯობდეს, ისრე ჰქენითო. მე(ო)რეს შვალამედისინ ცოცხალი იყო და მიიცვალა და ყოველს კარავში ტირილის ხმა და თავს ცემა ამოდდა. ვისაც უხაროდა, ის უფრო სტიროდა და თავს იცემდა აზრის არ მიკვდომისათვის.

რა დილა გათენდა, თათარნი (sic) თავიანთ წესით აღმები და დროშები გაშალეს და მოღებნი მუსაფის კითხვით კმანი აჯების მღთის წინაშენ ტირილით აამალღეს და ქართველნი და კახნი მკარ ჩაყლილნი ზარითა და თავს ცემითა და ქება მოთქმით მიუტირეს. ცხენები მრუნდათ დაჰკაზმეს და კუბოსა და მცხედარს ძვირფასის ნაქსოვები გარდაბურეს, სისხლიანი ტანისამოსი მხლებლებმან მკარს გარდიკიდეს და თავადთ შვილები მცხედარს ქვეშ შეუსხდნენ და პალეაბრის (sic) გზით ქალაქში მიასვენეს და ქალაქთა შიგან შეიქნა დიდი ტირილი და ვაება და ყოველნი ვინმენი თავიანთ რჯულის წესით მკუდრის საკაცეს წინ გაეგებნენ. ბატონის შვილის სასახლე პალეაბრის გზის პირდაპირ იყო. ბატონის შვილისათვის რომ თოფი ეკრათ, იმ ღამეს ბატონს თამარს, ბატონის შვილის ჯალაბს, სიზმარში ენახა, რომ თავი მამქრესო და იყო ამ სიზმრის ნახვისათვის შეღონებული. დაინახა, რომ პალეაბრის გზით მცხედარი მოაქვთ და ქვეყანა მას მოსდევს სრულ მკარ ჩახდილნი, ზარითა და თავს ცემითა. რა ბატონმან თამარმან ესები ნახა, თავის გუნებით ასრე ბძანა: ეს ამრიგი დრგაილის არ ვიზედ იქნებაო, თუ არ მეფესა ზედანო და ან ბატონის შვილს ზედანო. უსაცილოთო ჩემი ნახული სიზმარი ეს არისო, ან მეფე მამკვდომია და ან ბატონის შვილიო. თავი კედლისათვის ეკრა და ვითაც უსულო მკვდარი შექნილი იყო და წყლის სხმით მოესულიერებინათ. ქმარი თოფით მოკლული შინ მოუსვენეს და სრულ ქართველნი და კახნი ჯალაბობრივ ქალაქში მოვიდნენ და მეფე თვითან და მარიამ დედოფალი სწორამდისინ ბატონის შვილის სასახლეში პირისუფლათ ისხდენ და ყოვლმან კაცმან შეძლებითა და შეფერებითა თავიანთ წესით მიუტირეს და გარდასაბურავი მიართვეს. ქამა, ალაპი, გაცემა თათრისა და ქართველთ წესისა გარდიხადეს და მკვდარი არდაველს შხ სეფის საფლავეში მიასვენეს. რა არდაველს ერთის დღის სავალსზედ მოახლოვდენ, არდაველის ხანი და შე(ი)ხ სეფის მუთაველი შე(ი)ხ ალ ისლამი, ყაზი და ქალანთარი და მოლანი და თალიბელმნი (sic) და მუშტიდნი და მერჯულენი მუსაფის კითხვითა და დროშა აღმით წინ გაეგებენ და რა ქალაქს არდაველისას მოახლოვდეს, სრულ მოქალაქენი დიდნი და პატარანი გაეგებნენ და დიდის პატივით მოასვენეს და შე(ი)ხ სე-

ფის საფლავს ახლო მიწას მიიღეს და როსტომ მეფემ ეს ანბავი ყაენს მისწერა და ვითაც ყანდაპრსზედ ლაშქრობა იყო, თემის აშლილობისათვის მეფე ამის ძებნას აღარ გამოეკიდა. მაგრა ვითაც ბარათაშვილმან სიაოშ თუმანის შვილს ბაინდურს დასწამა და ასრე უთქრა: შენი ნასროლი თოფის ფინდიხი ეცაო,—ამისთვის სამართალსზედ ესენი შეაბეს.

ამ უამს ბარათაშვილი სიაოშ და თუმანისშვილი ბაინდურ სამართალსზედ შეაბეს. ვითაც ყოვლს რჯულში მართებულია, კემწიფეთ შეწყენისა და შემცოდლობის დარიდება, ნამეტნავად უკადრისობის შებ(ე)დვა და მათს სისხლში გარევა, ქართლში ქართველნი მრავალნი და ძრიელნი არიან და სომეხნიცოტანი და ულონონი და მათგან ამ რიგის საქმის თქმაც ძნელია, თორა დაქნა და ქართველთ უნდოდა ეს სისხლი სომეხთზედ დაეტება. ამისთვის ულონონი იქმნენ სომეხნი, რომ სხვა რიგად ფიცითა და ჯერით არ გარდასწყდებოდა და სიაოშ ბარათაშვილმან წამოსთქვა, რომ თუმანისშვილმან ბაინდურ ჰკრაო ბატონისშვილს თოფიო. იმან აშორო თქვა. ამისთვის სამართალსზედ შეაბეს და ბძანებითა მღთისათა სამართალი გაცხადდა. ორნივე თავიანთ რჯულის წესი გარდინხადეს. მეფე და თათარნი სომ(ე)ხთკენ მოდგნენ და დედოფალი ¹⁾ და ქართველნი სიაოშს მიუდგნენ. მეფეს მოახსენეს: ამ რიგი საქმენიო უხმლოთ არ გარდასწყდებისო. მეფე(მა)ნც ბძანება ქნა—თავიანთ რჯულში რაც მართებული იყოს, გარდინხადონო და პაემანი დაუღვან ერთმანერთსაო. შებმის დროს ჩვენს კარს მოვიდნენო. მეფის ბძანება ვათავეს, გაენდგნენ და ინანეს და თობა და თობა აუთქვეს, ანდერძები გაათავეს და ეზიარნენ და ზვის ნაქმარნი ინანე¹⁾ და ვისთვისა შეცოდებინა, შეებვეწნენ და შენდობა იმოვნეს და ვისაც რამე ემართა, გარდუხადეს. თავიანთ საღრებში დაიარეს და შესაწირავი მიართვეს და რაც შეეძლო(თ) გლახათა და ულონოთ მისცეს. ბარჯალსა და პაემანზედ თბილისს ქალაქს მოვიდნენ და მეფის სასახლის პირდაპირ მტკვარს გაღმა საომრის ალაგად უჩინეს, რომ ყველგნით დასკვრეტდეს. ორნივე საომრის იარაღით შეიმოსნეს და ცხენს შესხდნენ და გაღმა გავიდნენ და მეფემ ექვსი იასაული უჩინა საომრის ალაგზედან და ციხის კარები დაუგდეს, რომ არცვინ შეუშვან და არცვინ გამოუშვან და ერთმანერთის მოშორებით ცხენით იდგნენ. გამოღმიდამ დაუძახეს—ომისა და შეტევების დრო არისო. უწინ ცხენ ქენებით სიაოშ მოუხდა და შუბი შემოსცა და ზედ შეამტვრია, ჯაჭვი გაუტეხა და გვერდში გასჩარა, შუბის პირი შიგ შეარჩინა. ამას უკან ბაინდურ მიუხდა და შუბი შესცა და ბარკალშიგ შეამტვრია და გასცილდა. აწ სიაოშ წაეწია და ლახტი სცა და გასცილდა. აწ კიდევ ბაინდურ მიეწივა და(ა) ლახტი სცა, მაგრა ვითაც თავისის სისხლით კელი სოველი აქონდა, ლახტი გასხლტა და ცხენმან თავგაშვიდვარობა უყო და სიაოშ ლახტის ცემით მისდევდა. ბაინდურ კმალს კელი წაიკრა და უკან უკუ ქნია და სიაოშს საცხვირეში მოახვედრა და ფ(ი)ცხლავ ცხენით გარდმოვარდა და თათართა და სომეხთაგან შეიქნა კმა მალლა—ალაპ ალაპ—ძახილი. ბაინდურ მოსაკლავად სიაოშს მიუხდა. იასაულეზმან არ დანებეს, მაგრა ცხენი მაშინც მოუკლა. მეფემ ბძანა: სიაოშ ციხოვანთ ტყვეთ მიაბარეს და ბაინდურ ამ დოკოდილობით, ისრევე საომარ ცმული, თავისივე ცხენ იარაღით გამოღმა გამოვიდა და მეფეს თავყანი სცა და ასრე მოახსენა: თქვენს მტერს უნდოდა შეგებო-

¹⁾ ტექსტში: დქლოფაონი.

დითო, ორნივე უბრალონი ტყვილათ შევიხოცენითო და თავის სადგომს წავიდა. და მეფემ ჯარა და მომია გაუგზავნა, მრავლის სარჯლით შუბის პირი ამოართვეს, ორს წლამდისინ დაკოდილი ძლივს გაუმთელდა სიაოშს და ქართველთ იპატივეს და მისი ჯაჭვი და იარაღი მეფემ ბანდურს მისცა და ბატონისშვილმან ცუდათ ჩაიარა. ვითაც ბატონისშვილის ჯალაბი მეფის დისწულის ადამ სულთნის ქალი იყო, მეფემ ბრძანა: ბატონისშვილს ლვარსაბსაო ძმა ჰყავს, ვახტანგ საკელათ ურქეიანო, იმას ჩემად შვილად მოვაყვანინებო და ბატონისშვილის ჯალაბს იმას შევრთავო, თათართ წესით ერგებდისო, რადგან ორნივე მუსურმანი არიანო. ეს იწყინეს, მაგრა ვერა თქვეს რა.

აქა მეფემ როსტომ თურმან ყაენთან გაგზავნა და ვახტანგ ბატონისშვილი საუფლისწულათ (sic) სთხოვა. ყაენი მაზანდარანს ბძანდებოდა, თურმან მეფის არზები მიართვა და ვახტანგ თავისის ბძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზის შვილი ვახტანგ შვილათ სთხოვა და ვახტანგ კარზედ არ იყო, ყაზმინს მოვრავად იჯდა. ყაენმან ბატონისშვილს რაყამი მისწერა: როსტომ მეფეს შვილად უთხოვნიკარო, თურმან მანდ გიახლებდისო, შენი საქმე კარგად გაირიგეთო და ჩვენს კარზედ მოდიტო, ხალათი ჩაიცვითო და აქედამენ გაგისტუმრებთო. რა ეს რაყამი ყაზმინს ბატონისშვილს მოუვიდა, დედამ მისმან ასე თქვა: უფროსი შვილი წამგვარაო და მამიკლესო, ახლა შენც წაგიყვანოსო, მე შენის მეტი არსად არა გამაჩნია რამეო, მე შენ არსად გაგიშვებო და არც ვის მოგაკვლევინებო, მე თვითან ყაენთან წავალო, ან როსტომ მეფის სიცოცხლეში საქართველო შენ მოგცესო და ან საქართველოს სიახლოესაო ერთი ასეთი საბატონო მოგცესო, რომ როსტომ მეფის კელის შემკედავი არ იყოტო და ან როსტომ მეფეს უკან გაგისტუმროსო. აქ არის ნათქვამი: მწიფეს ესროდენო და მკუხე სციოდაო. ბატონისშვილმან ვახტანგ თავისი დედა ყაენსთან გაგზავნა, თურმანს უბძანა: შენ საქართველოში წადიო და როსაც წამოსასვლელი შევიქნებით, ჩაფარს გამოვგზავნიო და დაგიბარებო, წამობძანდიო და სწორათ წავიდეთო. თურმანს შეს(ა)ფერისი პატივი არ დასდვა, არც საჩუქარი მიართვა და გაისტუმრა. თურმან გულნაკლური და გაჯ(ა)ვრებული როსტომ მეფესთან მივიდა და მრავალი საწყინარი ანბები მოახსენა: თქვენ შვილად მოგყავსო და ის ძმის მოკვლას თქვენ გაბრალესო, მესისხლეს გეძახისო. მეფე ამაზედ გაავგულდა და ასრე ბრძანა: შვილათ მინდოდაო, თუ ღმერთს ჩემთვის შვილი სდომებოდაო, ის მამცემდაო. ახლა სიდამდისინ ცოცხალი ვარო, თვითან ვიბატონებო, ჩემს უკან ვისაც უნდა, მისცენო. და ბატონის შვილის დედა ყაენთან მისულიყო და შვილის არ გაგზავნას საქართველოში შეხვეწნოდა. ყაენს ებძანებინა: თუ წასელა არ უნდა შენს შვილსაო, ხუ წავაო.

ამ დროს ხალიფა სულთან ეპტიმადოვლე მაზანდარას მოკვდა და მისი ვაზირობა და ეპტიმადოვლობა მა(პ)მ(ა)დ ბეგს მისცეს და ყაენი ყაზმინს მოვიდა და მეფემ როსტომ ფარსადან გიორგიჯანიძის კელით ეპტიმადოვლობის მისალოცავი ფეშქაში გაუგზავნა. ეპტიმადოვლე კარგად დახვდომოდა, მრავალიც მოეცა და მეფის გამოგზავნილი ტყუები და ჩემი მირთმეულიც ყაენს მიართვეს და ჩვენი სახელი მოეხსენებინა და კარგ გვარად გაეშინჯებინა და ყაენს ებძანებინა: გამოჰკითხეთო, თუ რასთვის მეფემ ლვარსაბის მკვლელი არ იპოვნაო. ერთს ლაშქს ვეხმევ და ასრე მიბძანა: რასთვის მეფემ ლვარსაბის მკვლელი არ იპოვნაო. მერმე მე ასრე მოვახსენე: თუ ფათერაკათ სცემია ცუდის კაცისაგან, იმას

რალა ძებნა უნდა და თუ შეყენებით ჰკრავს, მაშ დიდის კაცის საქმე იქნება და კემწიფე ინდოეთსზედ ლაშქრობთ და თუ მოსძებნოს, არამც საქართველო აირიოს და თქვენი საწყენი იქნას რამე, თორა და მასთან მოძებნაცა და პოვნაც ადვილი არის. იმან ასრე მიბძანა, რომ ყაენს ასრე მოხსენებიაო—როსტომ მეფეს მოუკვლევინებია. მე ფიცი მოვახსენე, ამას მეტად არ გამიგონია მეთქი. იმ ლამეს ბატონისშვილი ვახტანგ იქ ყოფილიყო და მე ვერ ვიცნობდი. მეორეს დღეს ჩემად სანახავად მობძანდა. მითხრეს, ბატონისშვილი მოვაო. წინ გავეგებე, ვიცან, რომ წუხელის ეპტიმადოვლესთან იყო. როსტომ მეფის სიკეთის ანბავი მკითხა და მეც ტკბილად მამიკითხა და მადლი მოვახსენე და არ კლების ბოდში მოვსთხოვე და მეორეს დღეს სანახავად მიველ. აღარ გამამიშვა, კარგ(ა)დ დამხედა და მრავალი კვეიანური სიტყვა ბრძანა და რა ყაზმინს ვიყავ, მალე დამპატიჯის და რა გამისტუმრეს, მეფეს როსტომს არზა მისწერა და სამელი და თავდაბალი სიტყვები დამაბარა. მე იმ ზამთარს ლაჰიჯანს დამემყოვნა მეფის სამასის თუმნის ასალებლათ. ბატონისშვილის მინაწერი წინგნები და ან რაც ჩვენთვის ზეპირათ დაებარებინა, ისიც წინგნათ მივსწერეთ, მეფეს გაუგზავნეთ. რა ბატონისშვილის მინაწერი წინგნი მეფეს წაეკითხა, ჯილაგ ხანი თალიში ჩემთან ჩაფრათ ლაჰიჯანს გამოგზავნა, წინგნიც ებოძებინა და ასრე ებძანებინა: რასაც წამს ეს კაცი შენთან მოვიდესო, ფიცხლავ ყაენთან ჩაფრად წადიო და ჩვენი მინაწერი არზა მიართვითო, ბატონისშვილი ვახტანგ საუფლისწულოთ გვითხოვნიო. საცა ყაენს იახლოო, ბატონისშვილს გამოისტუმრებენო, შენ წინ წამოუძებო და დიდის პატივით მოიყვანეო. ლაჰიჯანიდამე მეხუთეს დღეს ყუმს ყა(ე)ნს ვიახელ და მეფის მონაწერი არზა კემწიფეს მივართვი და მე ეპტიმადოვლისას დამაყენეს და ასრე მიბძანეს,—ისპაჰნს ჩავალთო და იქილამ ვაგისტუმრებთო. რა ქაშანს მივედით, მეფის ჩაფარი მოვიდა, ყაენისთან ასრე არზა მოეწერა: თუ ბატონისშვილი ვახტანგ არ გამოგვსტუმრებინოსო, ნულარ გამოისტუმრებთო, მუკრანის ბატონი გამოგვიგზავნიო, ის წამოუძღვანეთო და ფარსადან ისრევე გილანს წავიდესო და თუ გამოგვსტუმრებინოსო, ნულარ მოაცდევინებთო, მალე წამოვიდნენო და ჩემთვისაც ასრე მოეწერა. ეს წიგნიცა და ჩაფარიც ქაშანს მოგვივიდა. ჩვენ ისევე გილანს წავედით და ყაენი ისპაჰნს მძებნდა და მუხრანის ბატონი ისპაჰნს ჩასრულიყო, ყაენი კარგად დახეიდროდა. ვახტანგ ბატონისშვილი ავად გამკდარიყო და მიცვალებულიყო. ეს ამბავი როსტომ მეფეს მოახსენეს, ნამეტნავად იწყინა და ხოსია ბარათაშვილი ყაენთან ჩაფრათ გაგზავნა და მუხრანის ბატონი ჯანიშინად ეთხოვნა. ყაენმას წყალობა უყო და მრავალი მისცა და გაისტუმრა. რა ქართლს მოვიდა, მეფემანც პატივი მოუმატა და ზოგზოგი სავახტანგო სოფლებიც მისცა, კემწიფის ნაბოძებს მამულის სიგლებში შვილობით დააწერინა. მუხრანის ბატონმან უფრო გაძრიელება მოინდომა და შიფარავით მეფის კარგნი ყმანი შემოიფიცა. ნოდარს ციცისშვილს თავის შვილის არჩილისათვის ქალი სთხოვა და ზალ ერისთვის შვილს ზურაბს თავისა ქალი მისცა და მარიამ დედოფალმაც საფიცარი უბოძა. კარისკაცთ მეფის მალვით პატრონ ყმობაზედ შეჰფიცეს, იმისთვის რომ მეფის როსტომის უშვილობისათვის ქართველნი უიმედოთ იყვნენ, თავად დიდის ხნის ბატონი ბძანდებოდა და სიბერეს დიად მოეტება და მერმე შვილი და ახლო ნათესავი არა ჰყვანდა. ამისთვის ნათქვამია—ყოვლს სიგლახესაო სიბერე უარესიაო და მრავალი საკემწიფო და სამეფო და სათავადო და ვაქართა და გლებ-

თა თავიანთ წესითა და შეძლებით უშვილობისაგან მოთხრილან და მათი ქონება, მორკმა, ტახტ გვირგვინი და სალარო, ქვეყანა და ლაშქარი სხვას დარჩომია.

ქკს ტმდ, ამ უამს მეფემ როსტომ ისპაჰნის მოვრავობა მე ფარსადანს მამცა. ყოვლის მორთვითა და გაწყობით ისპაჰნს ჩამოველ. ბედნიერმან შაჰბას ყაენმან კარგის თვალთ მნახა და დიდი პატივი დამდვა, ასე რომ უფროსი ერთს სადივანბეგოს სამსახურს მე მიბძანებდა. ესეგი დივანბეგს ეჯავრა და ისპაჰნის ლოთებს ასწავლა, ტყვილათ ამიჩივლა და მრავალი ტყვილი მოგონება ათქმევინა. ეს კემწიფემ შეუტყო, დაქირვინა, თვალეგი დასთხარა და რაც აქონდა, ყველაკა წართვა და მე ეშიკალასობა მიბოძა და ხუთი სოფელი გულფეიქანში სარჩოთ გამიჩინა. მე ყაენის კარს დავრჩი და ჩემი ჯალაბნი საქართველოში დარჩინე. ამასობაში სეხნია თურქისტანისშვილი საქართველოდამ ჩაფრათ მოვიდა, როსტომ მეფეს ყაენთან არზა მოეწერა: ლეევან დადიანი მოკვდაო და მისი ქვეყანა და სალარო მეფემ ალექსანდრემ დაიქირაო და ერთი დადიანის შორ ნათესავიო დადიანის ალაგზედ ვააბატონაო და მისი ძმა და ძმისწულეგი ჩვენთან არიანო და ოდიშელნი ამათ ითხოვენ თავიანთ საბატონოთო და ჩვენ შეძლების ღონე აღარა გვაქვსო. ერთი რაყამი მუხრანის ბატონს უბოძეთო, რომ ჩემს უკან მეფობა მისი იყოსო, რომ ჯარსა და ლაშქარს მისგან შიში აქონდესო, რომ მინდა სარდრათ ვქნაო და ოდიშს ვავგზავნო, რომ დადიანის ძმისწული თავის სამკვიდროზედ ვააბატონოსო.

ამ ანბაეს უკან ადრბეჯანის ვეზირისაგან ჩაფარი მოვიდა: როსტომ მეფე გორს მიიკვალაო და ადრბეჯანის ელი შემოფრთხა და არაზის წყალს გამოღვიდაო. ამ ანბაეს ელოდენ სხვიგნიდამ, აღარ მოვიდა. ყაენმან ჯილავდარი მ(ა)კმულბეგ საქართველოში ვავგზავნა, მართალი ანბაევი მოიტანოს. ერთს თვეს წავიდა და მოვიდა და ასრე ანბაევი მოიტანა: არ მამკვდარაო, მაგრა ავად ყოფილაო და ახლაც ავად არისო. ამის მოსვლაზე ზალ ერისთვის ჩაფარი მოვიდა, ყაენთან არზა მოეწერა: მეფე დიად შეძნელდაო და ეგ არზეგი, რომ სეხნიამ წამოილოო, მეფეს მაგისგან ანბაევი არა აქვსო, ბეკელი მოჰპარესო, ნუ დაუჯერებთო, სადამდისინ მართალი არ შეიტყვითო. ამ არზასზედ კემწიფემ ასრე მიბძანა. ფარსადანო, შენ იქაურობა კარგად იციოთ, ჩაფრად წადიო და მეფესა და მუხრანის ბატონსა და ზალ ერისთავს ხალათეგი მიუტანეთო და ამ არზეგისაც მართალი შეიტყვიო, თუ მეფის მოწერილი არისო, თუ არაო, იქაურ(ი) საქმე კარგად გაშინჯე და შეიტყვიო და მალე გამობრუნდიო. მამცეს კალათეგი და ასრე მიბძანა: აქამდისინ ერისთავიო მუხრანის ბატონის სიკეთესა მწერდაო და ახლა არ ვიციოთ, თუ რასთვის ვაავებულანო, ესეც კარგად შეიტყვიო, დ(ა) როსტომ მეფე თუ ცოცხალი იყოსო, მისევეს შეკითხულობითაო გუჰარმაზარი დაწერინო და საქართველოს თავადთა და უფროსს კაცებს დააბეჭდინეო. რომ როსტომ მეფეს უკან ბატონათ ვინ უნდათო. სესხნია თან გამამატნეს, ჩაფრათ წადიო და ისრევე მალე ჩაფრათ წამოდიო. კალათეგი ხურჯინებით დავიკარით, სამის ჩემის კაციოთ ისპაჰნით მეთორმეტეს დღეს ქალაქს მივედიო. მეფე ავად იყო და კალათი ლოგინში ჩაიკვა და ყაენის ნაბძანეგი სიტყვანი მეფეს მოვახსენე. იმან ასრე მიბძანა: ორნივე ლაშქრით სომანეთის ქალაში დგანანო, ჯერ ეგ კალათეგი მიუტანე, ჩაიკვანო და ათიოდე დღე შენს სახლში დაჰყავო და როსაც გვიპო, ჩამოდი და ვაგისტუმრებო და აქაურს საქმეს ყველას კემწიფეს მივსწერო. ქა-

ლაქით გორს მოვედით. ბატონი დედოფალი გორს ბძანდებოდა და ძმისწულები ოდიშის დასაჭირავათ გაეგზავნა. იქ ვნახეთ და ყაენის ანბავი გვკითხა და მოვახსენეთ. მეორეს დღეს სომანეთის ქალაში მივედით, სრულ ქართველნი და კახნი წინ მოგვეგებნენ, მუქრანის ბატონმან და ერისთავმან ყაენის ნაბოძები კალათები ჩაიცივეს და კემწიფე დალოცეს და მუქრანის ბატონის კარავში მივიდნეს და სადილი იქ ქამეს. მეორეს დღეს სადილათ ერისთავმან დაგვპატიჟა და მუქრანის ბატონისაგან და თავისის ს(ა)ხლის კაცებისაგან მრავალი საჩივარი ბძანა. მესამეს დღეს დავეთხოვე, გორს ჩემსა მოველ, რომე სიღამდისინ მეფის ბძანება მოვიდოდეს, იქ ვიყო. სომანეთს ანბავი მოსვლოდა: მეფემ ალექსანდრემ გაიმარჯვაო და დადიანის შვილები დახოცაო ამაზედ.

აქა ოში მეფის ალექსანდრესი და დადიანის ძმისწულის ლაპარის მოკლგა. ქართველთა და მესხთ ლაშქარი ლიპარს ახლდენ, მეფეს ალექსანდრეს შეებნენ დ(ა) მეფემ გაიმარჯვა და ქართველნი და მესხნი ზოგნი დაიხოცნენ და ზოგნი დაირჩინეს და ზოგნი გარდხვეწნეს და გამოქცეულნი სომანეთს მოვიდნეს და ზალ ერისთავი და ელიზბარ ერისთავი თავიანთ ლაშქრითა და კახნი ერთ პირათ წამოვიდნენ და ქალაქს მეფესთან მოვიდნენ, ჰალვაბარში დადგნენ. მეფე სიბერისაგან ავად იყო და ლოგინათ იწვა და ერისთავებმან ჯამალ ხან მეფეს მიუგზავნეს და მუხრანის ბატონიც ქალაქს ჩამოვიდა და ჯამალ ხანის პირით ასრე შესთვალეს მეფეს: რა თქვენ ცოცხალი ბძანდებითო, შენის მეტი პატრონი არ გვინდაო და თქვენს უკან სხვას საქართველოს ბატონს ჩვენ ყმობას არ უხმამთო, ჩვენი ბატონი ყაენი არისო. მეფემ ასრე შესთვალა: ჯერ ავად ვარო, ჩემი საქმე მოიცალეთო, ვნახოთ როგორ შევიქნებითო. თუ მოვიჯობინებ, ყველას მე გავარიგებო, თუარა და კახნი თქვენთან იყვენო, სხვას კელი არ ჰქონდესო და მუხრანის ბატონიც ქალაქში თავისთვის იყოსო. მაგრამე მუხრანის ბატონმან მეფეს ასრე მოახსენა: თუ ერისთავიო იმერეთს გარდამყოლოდაო, მეფე ჩვენზედ წამოვიდოდაო და დადიანის ძმისწული ლიპარი ოდიშს დაიჭერდაო. რაზდენჯერ გარდასულა მოვინდომეო, არც თვითან წამოვიდაო და არც ლაშქარი გამოუშვაო და რა ჩვენის ლაშქრის დამარცხების ანბავი მოვიდაო, ფიცხლავ აიყარა და ქსნის ერისთავი და კახნი თან წამოასხაო და ჰალვაბარში მოსრულაო. იმასაც მეფემ ასრე უპასუხა: ჯერ ავად ვარო და თუ მოვიჯობინებო, ორთავ გავარიგებო და თუ ვერ მოვრჩიო, მას უკან რომელიც გიჯობდეს, ისი ჰქენითო. რა მუხრანის ბატონმან მეფისაგან ეს სიტყვა გაიგონა, მეფის მსტოფი მ(ა)ჰმ(ა)დ ზამანა და თუმანისშვილი ბაინდლურა თან გამატანეს და ერისთავთან მიგვეგზავნეს და ასრე შესთვალა: თავდაპირველ შენ მოინდომეო ჩემი გაბატონებო, ახლა რა შეგცოდეთო, რომ აგრე გაავგულებულხართო. შენის შვილისათვის ქალი მიმიციაო და რასაც მამულს იტყვი, მოგართმევო. ესეები ერისთავს მოვახსენეთ. იმან ასრე ბძანა: როსაც მისი ბატონობა გამოვარჩიეთო და ჩემს ზურაბს ქალი მოსცაო, ნოდარის ქალი თავის შვილს არჩილს უთხოვაო. ჩვენს შვა დამხდლომი ნოდარ მამკვდარაო, მაგრა თურმან და თბილელი ცოცხალნი არიანო. ქართლის მეფობა მაგისტვის გვითქვამსო და კახეთის ბატონობა ჩემთვის ითქვაო, თორა და მაგასთანაც მრავალჯერ დამიფიცავსო, რომ როსტომ მეფეს უკან სხვას ქართლის მეფეს ყმობა არ უყოო, გინდა ეგ იყოსო, გინდა სხვაო. ეს ერისთვის ნათქვამი სიტყვები მუხრანის ბატონს ვახტანგს მოვახსენეთ. ამაზედ სხვა მოციქულები გაუგზავნა და იმათაც ესევე ანბავი მოუტანეს. მე ფარ-

სადანს ყაენის ბძანება მქონდა, რომ მუჯალა გავაკეთო და ქართველთ დავა-
ბექდინო და ყაენს მივართო--¹⁾

---[საქ]მელი და ტანს საცმელი იმით ჰქონდეს. გლახათა და ქვრივ ობოლ-
თა და მღრდელთა და მოლოზნათ სარჩო გაუჩინა. ასი წელიწადი იცოცხლა და
იმისის პირით გინება არ გამოსრულიყო. ისპაჰნის მოვრაი და ყ(ა)ენის ყულარ-
ალასი იყო და შ(ა)ჰაბაზ მაზანდარას მიიცივალა და როსტომ მეფემ ისპაჰ(ა)ნში
შაჰსეფი გააყენა და ჰამადანის ქვეყანაში ხონთქრის ვეზირ აზამს ხოსროვ
ფაშას შეება და გაიმარჯვა. მამაცობისათვის როსტომ დარქვეს თოარადა სა-
ხელათ ხოსროვ მირზა ერქვა და შრავალი სიკეთე და სამადლოთ შენობა ერ-
ანის ქვეყანაში ექნა და ოცდახუთმეტი წელიწადი იყო რომ მიცვალებულიყო და
კიდევ ქვეყანის ერნი დიდნი და პატარანი მისნი მაქებარნი და შენდობის
მთქმელნი იყვნენ²⁾.

¹⁾ აქ ხელნაწერს აკლია. შინაარსის შესავსებლად მოგვეყვს სათნალო ადგილი „სხოვრე-
ბაჲ საქართველოსა“--დან (ვერ. წოდ. პარაზ. ქრონ.):

„ერისთავებან ჩათარი გაუგზავნა (ყაენს?). ქართველთ(ა) რახანც ჯანიშნო-
ბა ჰქონდა და ყაენის რაყამი ხელთ ექირა, მუხრანის ბატონს ბახუტა ბეგს ბა-
ტონისშვილი დაუძახეს, სახელი გამოუცვალეს, ვახტანგ დაუწყეს ძახილი, გაუ-
მაზარი დაბექდეს ვახტანგ ბატონისშვილის გასაბატონებლად, მისცეს ჩათარსა,
მეფემაც არზა მისწერა: დაუძლურდიო, თუ მოვიჯობინეო, აქაურს ანბავეს ჩათრის
ხელით გააბლებო და გერმანოზისშვილი პაატა თან გაატანეს და ჩათრად გაი-
სტუმრეს. ჯამალ ხან უწინვე ქალაქის ციხეში იყო: ჩათარი რომ ყაენს გამოეგ-
ზავნა, ჩავიდა და გარმანოზისშვილი პაატა თან ჩაჰყუდა და აქაური ანბავეცა და
მეფისაც მოესხენებინა--ავად ყოფნას ძალი უქნია, მისი მორჩენა ძნელია(ო).
ბძანება ქნა: ჩათარი წავიდეს, ალაჰვერდი ხან ყარაბაღში მივიდესო და სეფი
ყული სულთან ქართლს მივიდესო, ზალ ერისთავს წამოუძღვეს, მოიყვანოსო და
მუხრანის ბატონის მეფობისა ებძანა--ვნახოთო, როსტომ მეფის საქმე როგორ
იქნებოსო“ (ფარსადან გორგიჯანიძის თხრობაში ამის შემდეგ როსტომ მეფის
მოკლე დახასიათება მოყვანილი):

²⁾ „სხოვრ. საქართვ.“-ში აქ ვკითხულობთ:

„ქრონიკონს ტმზ როსტომ მეფე მიიცივალა ტფილისს ქალაქსა. ტირილი დე-
დოფალს აღარც დასცალდა, აღარც ქართველთა საშეგბად, ერთი ორი დღე იტი-
რეს, როსტომ მეფე თათრებმა ციხეში შეიტანეს და იქიდან ყუმბა გაგზავნეს
დასამარხავათ. ჯამალხან უწინვე აქ მოსრულიყო და დედოფალს ყაენის რაყამი
შემოუგზავნა,--ხემწიფის ბძანება არისო, ციხეში შეიყვანა და ყაენთან უნდო-
დათ წაიყვანათ. დედოფალმან თეთრი თმა გაგზავნა, ყაენს შეუთვალა: მე ცი-
ხეში თქვენი ბძანება გაიათავეო, შემოველო ჩემის მხლებლებითაო, ერთი ბერი
დედაკაცი ვარო, ჩემს ქმარსაო და ძმასაო მაგათ ოჯახზე ბევრი უმსახურებიაო,
აქედამ ნუ დამძრავსო. თმაცა და წიგნიც ციციშვილს პაპუნა სარდალს მისცეს,
ჩათრად გაისტუმრეს. პაპუნა სარდალი ადრე ჩასულიყო. ყაენს სწყენოდა როს-
ტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა დიად ბევრა დედაკაცობა უანბო და თმა
თეთრი უჩვენა: როსტომ მეფე(მ) თავისი საბატონო ცოცხალმაც იმას მისცაო და
ანდერძათაც მუხრანის ბატონს უანდერძაო. მეფობაცა და დედოფალიც მუხ-
რანის ბატონს ვახტანგს მისცა და ქართლი და ან რაც როსტომ მეფის საქონე-
ლი იყო და ან რაც ერანში როსტომ მეფეს ჰქონდა, ყველას წყალობა უყო, სა-
ხელად შეჰ ნაფას ხან დაარქვა, მალე გამოისტუმრეს. პაპუნა სახალწლოდ მო-
ვიდა. სოთანლოუს მეფე ჩავიდა და ყაენის ხალათი ჩაიცვა, რაყამი თავზე დაირ-
ქვა, ისე შემოვიდა ქალაქში. მეფე გაათათრეს, ორმოც დღეს აქით ქორწილი
უყვეს შაჰნავას მეფეცა და მარიამ დედოფალსა. შეიქნა სიხარული, მეფობა და
დედოფლობა მიულოცეს“.

აქა მეორეთ ყაენთან მოხვლა ზაღ ერისთვისა და დიდის პატივის დადგმა. ყაენის ბძანება იქნა, ისპაჰნის მოვრავი, ვეზირი, ქალანთარი და ისპაჰნის უფროსნი და თავნი კაცნი და ყაენის ყულების უზბაშნი და მინბაშები და თავადის შვილები წინ მიაგებეს და მოვიდა, ყაენის ალაყაფის კარს ემთხვია და მირზა თაყი ეპტიმადოვლეს სახლში ჩამოახტუნეს და მეჰმანდარი უჩინეს და კემწიფემ კარგის თვალით ნახა და მრავალი პატივი მიაპყრო და მრავალი უბოძა და საზამთროთ მაზანდარის სანადიროთ წაიყვ(ა)ნა და დადიანის შვილი შამადავლე და ქსნის ერისთავი იასე იასეს შვილი ისპაჰნით საქართველოში გაისტუმრა და ერისთავი და ჩხეიძე გიორგი და კახნი მაზანდარს მიასხა, ანადირა, ალხინა, ჩრალვანები აჩვენა და ხუთასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა და კახეთის ნაპირის ალაგიც ერისთავს უბოძა და სხვა კახეთი განჯის ხანს მისცეს და ერისთავი მორკუმითა და ყოვლის რისიმეთი მორთული მაზანდარით საქართველოს გაისტუმრეს, კახეთის ბატონს მურთუზა ყული ხანს თაბუნათ მისცეს. ეს ამდენი ყაენის წყალობა ერისთვისათვის შეშურდათ და თავისივე მოყვრები უაზრობისათვის მოსატყუებლათ შეუყენეს და აქეს და აღიდეს და ასრე მოახსენეს: შენს დროშიაო რასთვის უნდა კახეთი თათრით აიესოსო. ასეთი რამე მოახდინეო, რომ საქრისტიანო არ წახდესო. ამაში ერისთავი ვერ ჩამოიყოლიეს. ასრე ითქვა—შეილი და სიძეო სიტყვით გაერივნესო და კახთ ერისთვის მტერობით თუშნი ერთმანერთს შეაფიცეს, ასრე რომე საცა კახეთში თათარი დაეს(ა)ხლებინოს, დაესხან და ყათლამი უყონ და ასრე ჰქნეს, დაესხნეს და საცა თათარი ნახეს, კმალქვეშ დავლეს და ალიყული ხან ქანგარლუ თვითან ციხეში გამაგრდა. ეს ყველა სხვათა ნაქმარი ერისთავს დააბრალებს და ყაენს მისწერეს. ყაენის ბძანება მოუვიდა, ეცადეთ ერისთავი დაიპიროთოო ცოცხალი. მისი დაქირვა ძნელი იყო, მისივე ძმისწულები დაატყუეს, მოლაღატეთ შეუყენეს და არხალუხით, ფარალათათ ჯდომს, უიარალოსა და უყმოს დროს წაუშინეს და ბიძა მოკლეს და ერისთვის შვილი ზურაბ და მისი სიძე ქსნის ერისთავის შვილი შალვა, ცოლის ძმა ჩხეიძე გიორგი თიანეთს ყოფილიყენენ და იქიღამენ გაპარვით თრიალეთ(ი)ს გზით ახალციხეს მიმავალნი თათართ ენახათ და ეცნათ და ცხენ ჰქენებით ცხირეთს მეფისათვის მოეხსენებინათ. მეფეს ჯარი გაეძახა და მისწეოდნენ და გიორგი ჩხეიძე მოეკლათ და ერისთვის შვილები მეფესთან მოასხეს და მეფემ ყაენს გაუგზავნა და ყაენმან უმცროსი ძმა შიგნით შეინახა და უფროსი ზურაბ ქირმანს გაგზავნეს და იქ თავისის დლით მიცვალებულყო და ერისთავობა ოთარს მისცეს. კახეთი განჯის ხანს ჰქონდა, ბიძინა სუფრაჩი და ელიზბარ ერისთავი და შალვა თავიანთ ნებით განჯის ხანთან მივიდნენ და იმან ყაენთან გაგზავნა და კახეთში თათართ ამოწყვეტა იმათ დაბრალებს. უწინ ბევრი პატივი დასდევს, მაგრა შიგნით გარეთ სხვათა მოკმარებისათვის დაუწყეს ბეზლობა, დააქირვინეს და განჯას გაგზავნეს და ვისიც კაცნი კახეთში დაეხოცათ, იმათ კელთ მისცეს და უბრალოთ დახოცეს სამნივე და ქართველი მეფე გაძრიელდა და

აქა დარეჯან დედოფლისაგან თავისის გერის ბაგრატ მეფის თვალების დაწვა. რა მეფე აღექსანდრე მოკვდა, დარეჯან დედოფალმან თავისი ძმის ქალი თავის გერს ბაგრატს შერთო და მეფეთ აკურთხა. მაგრა თვითან მეფეც იყო და დედოფალიცა. ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა და შეუ(ჯ)დნენ დედოფალს ეშმაკსავით მაცდურები და ასრე გამოურჩ(ი)ვეს: ბაგრატ მოკალო და

ქუქუნეის შვილი ვახტანგ ბაგრატიონი შეირთევო და მეფეთ აკურთხევო და სი-
დამდისინ ცოცხალი იყო, შენ იბატონევო და მანამდისინ რუსეთით ძმისწულიც
მოაყვანინევო და ის გააბატონეთო. და ბატონი თეიმურაზც რუსეთით ახალი
მოსრული იყო და ხორეშან დედოფალსზედ მგლოვი(ა)რეთ იყო, სკანდაში ციხე-
ში იყო. გაუწყრა ღმერთი მრჩეველსა, დარეჯან დედოფალმან ბაგრატ მეფე და-
ქირვინა და თვალეზი დაუთხრევინა და მეფობას თავის მამას შეეპატიჯა. მამამ
უჯავრა, რასთვის ჩემს სიძეს თვალეზი დასთხარაო. სკანდით ქუთათის არ ჩა-
ვიდა. დედოფ(ა)ლმანც მამის ჯავრით ვახტანგ მეფეთ აკურთხა და ქრძათ შეირ-
თო. რომელიც დედოცალის კერძნი არ იყვნენ, ქართლისაკენ თავადნი ქართ-
ლის მეფეს საყმით შემოეპატიჯნენ, იმერეთ(ს) გარდიყვანეს. ჩაღმა მკრის თავადნი
დადიანს საყმით შეეპატიჯნეს და ქუთათის მოიყვანეს. ორნივ იმერეთ ჩავიდ-
ნენ. დედოფალმა ქართლის მეფეს წინგნი მისწერა: თუ მამეშველებიო, ჩემს ქე-
თევანსაო თქვენს არჩილს მივსცემო და ლეხთ იმერთს (sic) მეფეთ ვაკურთ-
ხებო. მეფემაც სამასის მეთოფით კათალიკოზი მიაშველეს, ქუთათის ციხეში
შეგზავნა და ოტია ჩხეიძემ უმუხანათა და ვახტანგ ახალი მეფე ფიცით ციხე-
დამ გამოიტყუა და დადიანს დაქირვინა და თვალეზი დასთხარეს და გარეთ
მეფე და დადიანი ასრე შერიგდეს, რომ არგვეთს აქეთი ქართველს მეფესა და
იშას იქით დადიანსა და მასუკან დადიანმა თვისი ქალი მეუის შვილს არჩილს
მისცეს და იმერეთში გააბატონონ.

ამ დროს არაგვის ერისთავი უკუსდგომოდა და ბატონის თეიმურაზისათვის
სკანდის ციხეში კაცი და საფიცრის (წინგნი) გაეგზავნა, რომ ქართლსა და კა-
ხეთს თქვენის მეტი მემკვიდრე პატრონი არსად დარჩომილაო. მანდ ნუ დგა-
კარ, კახეთს ჩაბძანდითო, ქართლიც თქვენი იქნებისო. ბატონს თეიმურაზს ეს
ანბავი იამა და კიდევ ჩამოჰყვა და წამოსვლა დააპირა. ზოგ ზოგნი კახნი, რომ
ერისთავისთვის ავნი იყვნეს და შ(ა)ჰნავაზ მეფისათვის კარგნი, იმათ ბატონს თეი-
მურაზს ასრე მოახსენეს: რათ გინდათ ამისთანა სიცოცხლეო, რომ ზალ ერის-
თავსაო, თუნდა გაგადგებსო, უნდა გაგაბატონებსო. ახლო თუშთაო რაც კა-
ხეთში თათარი ყოფილაო, ამოუწყვეტიათო. ყაენს ერისთავისათვის დაუბრალე-
ბიაო, ახლა უნდა ილეთით ჩაგვასხასო და ჩვენ დაგვიბრალოსო. რომელიც თქვე-
ნი ყმანი ყაენთან ჩავიდნენო, ბატონობა იშოვნესო და დღეს ყაენი შაჰნავაზ
მეფის მწყალობელი არისო. რადგან არც თქვენს ქალს მიეშველეთო და არც
იმერეთი ინდომეთო, სხვა გზა აღარ არის ამის მეტიო, რომ შ(ა)ჰნავაზ მეფის
საქმითაო ყაენთან წაბძანდეთო. იმანც დაუჯერა და თავისი ს(ა)ხლთუხუცესი
ოთარი შ(ა)ჰნავაზ მეფეს მიუგზავნა და ასრე შესთვალა: თქვენის საქმით მინდა
ყაენსთან წავიდეო. ეს ნამეტნავად მეფეს იამა და ამილახორი გივი გაუგზავნა
და დიდის პატივით ქართლს გარდმოიყვანეს. კიდევ ზალ ერისთავის კაცი მო-
უვიდა—ცუდათ ნუ ჩაიკარგებიო, ჩემსა მობძანდითო, ქართლი და კახეთი ორივ
თქვენიო. კიდევ კახთ არ აქნევინეს და ასრე შესთვალა,—გინდა მამცემო და
გინდა წამართვამო, მე შენეული აღარა მინდა რაო.

აქა რევაზ ზალ ერისთავის ძმა ყაენთან შაჰნ(ა)ვაზ ხანს ჩაფრათ გამოეგ-
ზავნა და ასრე მოეწერა: იმერეთი დავიქირეთო და დადიანს შუა გაუყავითო
და ბატონი თეიმურაზ სკანდის ციხეში იყო და კემწიფის კარზე წამოსვლას
შემოგვეპატიჯაო და ჩვენც ამილახორი გივი გავგზავნეთო და დიდის პატივით
ქართლს მობძანდაო, კემწიფის ბრძანება რა იქნებისო. ყაენს იამა და სომხი-

თის მელიქის ძმა მ(ა)კმ(ა)დ სულთან მეკმანდრათ უჩინეს და ჩაფრათ გაგზავნეს, რომ ბატონს თეიმურაზს წინ წამოუძღვეს და დიდის პატივით ყაენთან მოვიდეს და ყველგან ფიშვაში უყვეს და ყოვლს მანზილსზედ, რაც მოუნდის სამას-პინქლო მზათ დაახვედრიან. რა ისტანის (sic) სიახლოვს მოვიდა, კემწიფის კარზედ ვინც მზათ იყვენ, ყოვლი მდიდარნი და მათი შვილნი და მოხელენი და ქალაქის უფროსნი წინ მიაგებეს, ხანი იყო თუ სულთანი ყველანი გაეგებნენ და ალაყაფის კარს მოვიდა, ემთხვია და წინ წაუძღვენეს და მირზა თაყის ეპტიმადოვლეს სასახლეში ჩანოახტუნეს და იმავე ღამეს ვახშამს უკან ყაენი თვითან მიბძანდა ბატონის თეიმურაზის სანახავათ, შეუტყობლათ. ბატონი თეიმურაზ ძილს იყო და კემწიფემ თვითან გაღვიძა. რა იცნა რომ კემწიფე არის, ფიცხლავ ფეხს მოხვრია და მოახსენა: მე მაგას რასა გიდრსვარო, კემწიფე გარჯილარო. ყაენი გამკიარულდა, იმ ღამეს მეორეს სადილობამდისინ იქ ლხინი ნახა და მეორეს დღეს ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმნის ფარჩა გაუგზავნა და კემწიფემ, ვითაც შვილმან მამას, იმ რიგათ პატივი უმატა, ალხინა, ანადირა, კარგა შეაქცია. დედოფალსზედ შავი ეცვა, გამოუცვალეს და ქართველს მეფეს გივი ამილახორი ბატონის თეიმურაზისათვის გამოეტანებინა და შევნიერობისათვის და კარგ საქციელობისათვის ყა(ე)ნმან მოიწონა და დიდი პატივნი სცა და მრავალი წყალობა დამართა და კემწიფემ ბატონს თეიმურაზს ასრე უბრძანა: შენის შვილის შვილი მამგვარეო, კახეთსაც მოგცემო და სხვას მრავალს წყალობასაც დაგმართებო. ამაზე ბატონმან თეიმურაზ გიორგი ჩერქეზი და ბებურის შვილი გაგზავნეს და ყაენმან აბასყულიბეგ თან გაატანა ერეკლე ბატონის შვილის მოსაყვანათ.

რა ესენი მივიდნეს, ბატონის შვილი თუშთ არ გამოუშვეს. ეს ანბავი ყაენს მოახსენეს, იწყინა და არ მოსვლა ბატონ თეიმურაზს დასწამა. გაუავდა და ბატონი თეიმურაზ ასტარაბათს გაგზავნა და ცოტას ხანს უკან იქ მოიცვალა და ანდერძი ექნა, რომ კახეთს თავის მამა პაპათ სას(ა)ფლავოში ალავერდის სალდარს მიიტანონ და როგორც ანდერძი ექნა, კემწიფეს მოახსენეს. ბრძანება ექნა—წაიღონო და მიიტ(ა)ნეს. მისი ყმანი მცხედარს გაატანეს და ზოგნი ხორასანს და ყანდაპრ(ს) გააბარეს.

ამ დროს ურუმთავან ჩაფარი მოვიდა: ჩვენსა და თქვენს შვა წყობა არისო, შაჰნავაზ ხანს იმერეთი რასთვის დაუჭირავსო, ოდიშსშიგ ცოლის ძმა დღიანათ დაუსვამსო და იმერეთში შვილი გაუბატონებიაო. არ ვიცითო, თქვენის ბძანებით უქნიაო, თუ თავისის ძალითაო. ამათ ასრე მისწერეს: დაუშავებიაო და ჩვენ გარდავახდევინებთო. ამირ ჰამზა ხან თალიში გაგზავნეს, იმერეთი დაუცალეს და მეფის შვილი არჩილი და გივი ამილახორი მაზანდარას ყაენთან მოვიდნენ, კარგად დახვდა და მრავალი წყალობა დამართა და ორნიც დაათათრა და კახეთი არჩილს უბოძა და შანაზარ ხან დაარქვა და ყოვლი სამეფო იარაღი და ქარხანები უბოძა და კახეთს გაგზავნა. ქართლში მამა მეფობდა და კახეთში შვილი ბატონობდა. კახთ ასრე მოახსენეს: თუ გინდაო რომ ეს ქვეყანა საბოლოთ თქვენ დაგრჩესო, ჩვენის ბატონის ქალი შეირთვეითო. ეს მეფემ ყაენის შიშით ვერ გაბედა და ამასობაში ბატონის შვილი ერეკლე თუშეთიდან კახეთში მამაშვილს ღამით თავს დაესხა და მრავალი კაცი მოიკლა, ზოგნი გაიქცნენ და ზოგნი შაჰნავაზ მეფესა და მის შვილს ბატონს არჩილსთან გათენებამდისინ იბრძოლეს და მეფე ადგილით ვერ დასძრეს. რა გათენდა, კარანები

დააძახეს, დაფანტული ლაშქარი მოგროვდა და ჯარი თუშთ უკან გაადვენეს და მიეწივნეს და მრავალი თუში მოკლეს და წანალები ნაშოარი გააყრევინეს და ბატონისშვილს ერეკლეს ვერ წაეწივნეს და მეფე და კახი ბატონი ქალაქს მოვიდნენ და თუშების თავები ყაენს გაუგზავნეს და მეორეს გაზაფხულს კიდევ ერეკლე ბატონისშვილ(ი) მარტყოფს მოუხდა ცოტას კაცითა. მეფემ ლაშქარი შეიყარა, თათრის ჯარიც მოიშველა და უჯარმის ბოლოს ომი აჰკიდეს და სი- ცოტავით ქართველთ ვეღარ გაუძლო და ისრევე თუშეთს წავიდა და დედა მისმან თორღის ციხე უკუ(ი)პირა და კახნი ზოგნი თან გაჰყენენ და ზოგნი ცი- ხეში შეჰყენენ. შეიღს თვეს მეფე ლაშქრით ციხეს გარ შემ(ო)ადგა და ვერ აიღო. მაგრა ციხოანნი შეგვრდნენ. ერთს ლამეს დედოფალმა თუშური ჩოხა ჩაიცვა და საფთვე მშვილდ ისარი შემოირტყა, ბოხობის თუშური ქუდი დაიბურა და ცი- ხილამ ჩამოვიდა და მეფის ლაშქარშიც გაიარა და თუშეთს მივიდა. მეორეს დღეს, რომელიც კახნი ციხეში იყვნენ, მეფეს შემოეხვეწნენ და უნებლობის სა- ფიცარი სთხოვეს. ამათაც მისცეს და იმათაც ციხე მოსცეს და თორღით მეფე აიყარა და ქალაქს მობძანდა და ბატონისშვილი ერეკლე დედიანათ იქივე თუშეთს იყვნენ და დარეჯან დედოფალი ახალციხეს იყო და თავისი ძმისწული ქეთე- ვან დედოფალი გვერცს იახლა და მრავალი მურასა იარალი და თვალ მარგა- ლიტ(ი) აქონდა, ფაშას ქრთამით მისცა და ბაგრატს იმერეთი წაარაგეს, დარე- ჯან დედოფალს მისცეს. ბაგრატ ლეჩხუმს გაეცალა, დედოფალმან თავის დარ- ბაისელთ უბრძანა: წადით თქვენს ადგილსაო. ცოტას ხანს თქვენს სახლში მო- ისვენეთო, დიდი ხანია ჩვენის გულისათვის ირჯებითო. დარბაისელნი თავისას წავიდნენ და დედოფალი და მისი თვალებ დათხრილი ქმარი ვახტანგ იქ დარ- ჩნენ, თავისთვის იყვნენ¹⁾ - -

---- მიუხდა დანდობილს, ფიცი გაუტეხა და წაუშინეს და მეფე დედოფალი ორნივე დახოცეს და მათი მკვლეელიც იმერელთ დახოცეს და ისრევე ბაგრატ მოიყვანეს და გააბატონეს და ქეთევან დედოფალი ახალციხეს ფაშის საკლში დარჩა, შვილივით ინახევდენ.

ქ¹ს ტნე, შაჰ აბაზ ყაენი მიიცივალა და. შაჰ ხულეიმან, შვილი მისი, გა- კემწიფდა. ვითაც ახალი კემწიფობა იყო, აღარვინ იკითხა რა და ნოდარ ცი- ციშვილი მიცვალებულიყო, იმისი ქალი ბატონისაგან არჩილისათვის ნათხოვნი იყო. იმ ქალის დაგდება და ქეთევან დედოფლის შერთვა უნდოდა და საბო- ლოთ ციცისშვილის სისხლს ერიდებოდა. ტყვილი ძრახვა თქვეს, უქადეს და გას- წირეს²⁾ სული და ჰგმეს ღმერთი და ის დაუგდეს, ახალციხის ფაშას ქეთევან დედოფალი სთხოვეს და მანც ვითაც თავისი ქალი, კარგის წესითა და ზითვით მოსცეს და ამათაც მრავალი მისაცემი გაუგზავნეს და საქებური ქორწილი გარ- დიხადეს. კახი ბატონი შაჰნაზარ ხან ახალ ნაქორწილვეი კახეთს მივიდა და კახთ ჩეულებით ისრევე დაიწყეს არეულობა და ასრე მოახსენეს: კახეთის ბატონს გეძახიანო და უფროსი ერთი კახეთი სხვათ უქირავსო, მაშ შენ რისი და ბატონი კარო. ეს სიტყვები კახმან ბატონმან თავის მამას შაჰნავაზ მეფეს მოახსენა. მამამ ასრე პასუხი უბრძანა: ჩვენგან არ მისცემიაო და არც წაერთმევაო, თუ არ მემკვიდრის ბატონებისაგანო. როგორც ჩვენ მოგვეცემიაო, ისრევე იმათ

¹⁾ აქ დედანს უნდა აკლდეს, თუბოა ჩვენს ხელნაწერში ტექსტი ვაჰმით არის წარმოლ- :გენილი.

²⁾ დედანში: გასწირეს.

მისცემიაო და შეილმან მეფეს ასრე მოახსენა: რაც საკახეთო არისო, ბედნიერ-
მან ყაენმან მე მიბოძაო და მე არვის არ დავანებებო. ერისთავი თქვენი ყმა
არისო და თუ მათთვის მისაცემი გინდაო, ქართლიდამენ უბოძეთო. ამაზედ მა-
მა და შეილი დამდურდნენ, მაგრა შეილი ვერ დასთმო და ერისთავით მოცი-
ქული გაგზავნეს და შესთვალეს: რაც საკახეთო მამული და ალაგი გექიროსო,
დაგვიდევითო. იმათ ასრე შემოეთვალა: ბედნიერმან ყაენმანო კახეთის ნახევარ-
ი ზალ ერისთავს მისცაო. ჩვენ თქვენის გულსათვისო იმისთანა საკელოანი და
შეილსა სამეფოში უ(ა)მხანავოთ ქებული და სწორ უპოარი ბიძა მოვჰკალითო.
და სრულ კახეთი თქვენ დაგანარჩუნეთო და საცა თქვენი მტერი გაჩნდა, ჩვენ
წაგინდინეთო, ჩვენ სხვას მრავალს წყალობას მოველითო და თავად ყაენისაგან
გვაქვს მოცემული და ვერც ვინ უყაენოთ წაგვართვამსო. ამაზედ მამა და შეილ-
მან რჩევა დაიწყეს და ასრე თქვეს: ამათ ამოუწყვეტლათ ეს მამული არ წაერ-
თმევისო, მაშ ესენი ამოვსწყვიტოთო და ქართლი და კახეთი მოისვენებსო.

ეს ანბავი ერისთავიანთათვის ეთქვა ვისმე, მაგრამ აღარ გამეკლავნდა და
ერისთავიანი დაუთხოვრად შინ წავიდნენ და ყაენს არზა მისწერეს და მისელას
შეპატიჯნეს, ყაენმან ჯილაგის ჯაბადარბაში ფსადბეგ, რომ უკანის შირვანის
ხანი შეიქნა, ის მეჰმანდრათ გამოეგზავნა და ერისთავი კარზედ ეხმოთ. ყაენის
კარს მოვიდა. ჯერ ყაენი არ ენახა, ჩათარი მოვიდა: ქართველი მეფე და კახი
ბატონიო თავიანთ დიდის ლაშქრითაო საერისთოს შეუხდნენო და ერისთვის
ძმა პაპო მოკლესო და საერისთო დარბივესო და რაც საკახეთო მამული ექი-
რათო, წაარ(თ)ვესო. ეს ანბავი ყაენს ეწყინა და ასრე ებძანებინა: ჩემს კარზედ
მოსვლისათვის უქნიაო. მანსურ ხან ყულარალასი ბარათაშვილი ყაენის კარგი
ყმა იყო და ქართველს მეფეს უდგა და ერისთავიანთი ავი იყო. ამან ყაენს ას-
რე მოახსენა: მისას დღეშიო საქართველო იმადგან აშლილი და აოკრებული არი-
სო და იმათი დაჩაგვრა კემწიფის დოვლათს უჯობსო. თუარა და ამათ სადა-
ვეს დანებებთო, დღეში ერთხელ ქართლსა და კახეთს ბატონი უნდა გამოუტყვა-
ლოთო. ამ სიტყვით ყაენი დაამშვიდა, ოთარ ერისთავს აღარა გაუგონეს რა,
ხალათი უბოძეს და იეგან სულთან ერისთავს თან გაატანეს და მეფეს წინგნი
მისწერეს: რაც ამათი წაგერთვას, ისრევე ამას მიეციითო. აღარ მისცეს და იე-
გან სულთანი მომდურავი გაისტუმრეს და ერთმან წელიწადმან შეაზედ გამო-
იარა, ოთარ ერისთავი და მისი ძმა ედიშერ დივანბეგი დაიხოცნენ და მოწამ-
ლვა ითქვა მათი. ერისთვობა მათს ბიძას რევაზს მისცეს. რევაზის ქალი მეფემ
თავის შეილს ლვარსაბს უთხოვა ვითაც რევაზ ერისთავი რაქის ერისთვის სი-
ძე იყო. იმის გამოღმით იმერეთის ბატონობა ლვარსაბ მონინდომა და ახალ-
ციხის ფაშასთან მივიდა და მრავალი ქრთამი მისცა, რომ ხონთქრისაგან იმე-
რეთის მეფობა მას უშოვნოს. ვითაც დიდი ხანი იყო არჩილი იმერეთის შოვ-
ნას ცდილობდა, ამისთვის ლვარსაბის წასვლა კახმან ბატონმან თავის მამას და-
ბრალა და გაუავგულდა და ცოლშვილი უკან აიღევნა.

აქა შაჰნვავ შეფის სახლის არევა და შეილების წასვლა ან(ა)ლციხის ფა-
შასთან. ცოლ შეილი უკან გაუშვა და ცოტას კაცით არჩილი იმერეთს გარდ-
ვადა და ვინც ჰპირებოდა, აღარც ისინი მოუვ(ი)დნენ და იქ ველარ დაღდა და
ისრევე აღს გარდმოვიდა და დედოფალი სურამს გაუშვა და თვითან ახალცი-
ხის ფაშასთან მივიდა და მრავალი ფეშქაში მთართვა და სხვასაც მრავალს დაჰ-
პირდა, რომ კონთქრისაგან იმერეთის მეფობა უშოვნოს. ისიც გამოჩრომის

გულისათვის ჩამოჰყვა და ასრე უთხრა: ერთი კაცი თქვენ გაგზავნეთ ხონთქრის კარზეო, ერთს კაცს მეც გავატანო, ვეზირ აზამს ფეშქაში გაუგზავნოთო. ამანც დაუჯერა და მამაც ბევრს უგზავნიდა იმერეთის შ(ო)ენის გულისათვის. გაუგზავნეს მრავალი ოქროსა და ვერცხლი(ს) იარაღი ვეზირ აზამს. კახეთი უპატრონოთ იღვა და ერისთავმან მისი ნაქონი სოფლები ისრევე დაიჭირა და არჩილს ასრე ეგონა: რა მე წავალო, კახეთს ერეკლეს მისცემენო. შ(ა)ჰნავაზ მეფემ ყაენს არზა მისწერა, რომ ჩემად უნებურად შვილები წამოვიდნენო, არამც მტერმან ჩემი თავი ტყვილათ შემოგაბეზღონო. ერთი კაცი გვიბოძეთო, რომ კემწიფის კარზედ გვინდათ ჩამოვიდეთო, ჩვენი თავი ვიმართლოთო.

მუსტაფა ყულიბეგ ყაჯარ ყორჩიბაშის შვილი შ(ა)ჰნავაზ მეფეს მეჰმანდრათ გაუგზავნეს და შეპატიჯება ინანა და სხვებს დაბრალა, მაგრამ წასვლის მეტი ღონე აღარ იყო. მაგრა კარგის მორთვითა და დიდის ჯარით წავიდა. ყველგან მებატონენი ხანნი და სულთანნი წინ მოეგებოდენ, დიდის პატივით მიჰყვანდათ და ბატონის შვილების გიორგისა და ლევანისათვის დაებარებინა: მე რომ ყაენის წინაშე წავიდეო, თქვენ იასე ერისთავს მიუყვდითო და რაც ავი იყოს, ის უყავითო. იმათაც მამის ბძანება გაათავეს, უწინ ყმანი გარდმობირეს, გაუორგულეს, დიდის ლაშქრით შესივნეს. წინადამ საქართველოს ლაშქარმა და უკანინდამენ თავისმან თოფი დააყარეს და ცოტას კაცით ველარ გაუძლო და ჯალაბები გაუშვა და ხუთის კაცით კახეთზედ ჩაიარა და ყაენის კარს ჩავიდა და სახლკარი აუკლეს და დედა და ცოლი და მკლებლები დაუტარცვეს. შაჰნავაზ მეფე ყაზმი(ნ)ს ჩასულიყო. იქ მოახსენეს — ქსნის ერისთავს იასეს ჩაუვლიაო და ყაენთან წასრულაო. თავად ავად იყო და მერმე ეს ანბავი დიად ეწყინა. ყაზმინით ავადმყოფი წავიდა და ხოშკარუს ქარვანსარაში ძლივას ჩაწვივა.

სიკვდილი შ(ა)ჰნავაზ მეფისა ხოშკარუს. ხოშკარუს ქარვანსარაში მიაწია და იქ მიიცვალა და ეს ანბავი ყაენს მისწერეს. მკვდარი თავ(ი)ს გამზღელ(ი)ს მეფის როსტომის სასაფლ(ა)ოვში (sic) მიიტანეს და ყაენს მეფის შვილის ალექსანდრესათვის ებძანებინა: კაცი გაგზავნეო და მამის შენის საქონელი ზავით აქნევიანეო და ქართველთ როგორც ულუფა აეღოსო, ისრევე მისცენ და კარზედ მოვიდნენო და ყაენს ბატონის შვილის ერეკლესათვის ებძანებინა: გათათრდიო, ქართლსა და კახეთს ორსავეს შენ მოგცემო. იმას თათრობის უარი მოეხსენებინა. ყაენს სწყენოდა და განჯის ხანის შვილი აბას ყულიბეგ ჩაფრათ ქართლს გაეგზავნა, გიორგი ბატონის შვილი სამეფოთ ჩამოეყვანა. ამის წამოსვლას უწინ შ(ა)ჰნავაზ მეფის სიკვდილი ახალციხის ფაშას გაეგონა და არჩილი დაეჭირვინებინა და ციხეში დაეტყუებინა და ფაშას ქართველთაგან მუქარის ანბავი მისვლოდა. ამისთვის იმათვე გამოეპარებინათ და სურამს მოვიდა. ლვარსაბ ძმა მისი საერისთოში მივიდა და მამა გაიმკლავნეს და თვისთვის იყვენენ, რომ განჯის ხანის შვილი აბას ყულიბეგ ჩაფრათ მოვიდა გიორგის წასაყვანათ. კარგად დახვდნენ და მრავალი საჩუქარი მიართვეს. წინ წაუძღვა და დიდის პატივცემით ყაენთან მიიყვანა. მანამდისინ გიორგი ჩავიდოდა, მის ძმას ალექსანდრეს კარი ქრთამით შე(ე)კრა და მეფობას თავის თავისთვის ცდილობდა. ამისთვის ცოტას ხანს გიორგის მეფობა უკუვარდა. ამ დროს ჩაფარი მოვიდა — ულურლუ ხან მოკვდაო. იმისი ალაგი მეფის გიორგის აბას ყული ხანს მეჰნა(ნ)დარს მისცეს განჯის ხანობა და ცოტას ხანს უკან კახეთის ბატონობაც მიეცა და გიორგის დიდი ქება ყაენს მოახსენ(ა) და მისის საქმით ქართლის მეფობა გიორგის მისცეს და კიდევ გაა-

თათრეს და საკემწიფო თაჯი, ხმალი და ხალათი და სხვა მორთულობა გაუ-
რიგეს და ორი ათასის თუმნის ნაღდი და ჯინსი ქართველთ უბოძა და ალექ-
სანდრემ მამის საქონლისაგან ძმას წილი არ მისცა. მაგრამ მლ^ა-თისაგან ნაბძანე-
ბია: ძალათა და უსამართლოთ მამისაგან შეგროვებული საქონ(ელი) შეიღოს სა-
კეთილოთ არ გამოადგება. ვითაც შაჰნავაზ მეფის ქონება სრულ სხვათაგან ძა-
ლათა და უსამართლოთ წართმეული იყო, ალექსანდრე მოკვდა და მისს დას
დარჩა. დამ შაველი ხან ლორის ბატონი ქრმათ შეირთო და თავისი ქონება
ქრმისას მიიტანა. შეეგზნა ცეცხლი და ქრმისა და ცოლის სალარო ორივე და-
ეწვათ და რაც მოურჩა, რომ ცეცხლი ვერ დასწვევდა, ყაენმან ქმარი მოუკლა და
რაც ებადათ ქრმისაცა და ცოლისაც სრულ საყენოთ წართვეს. ნაძალადევმან
ასრე იცის და ღმერთი კიშმარიტ ყოვლის ძრთელის გამაქარებელია.

აქა იქივე გიორგის მეფის ანბავს შივიდეთი, თუ რა იქნა და რა მოხდა.
ბედნიერმა ყაენმან მეფის შაჰნავაზის საბატონო მისავეს შეიღოს გიორგი მეფეს მის-
ცა და მუსტათა ყულიბეგ მექმანდრათ გაატანა. განჯას რომ მივიდა, განჯის ხანი
თავისი ნამეკმანდარელი აბას ყული ხან კარგად დახვდა, ხუთს დღეს განჯას შეინა-
ხა, წინ მოეგება და თანაც გაჰყვა და კარგი ფეშქაშიც მიაართვა და ქართლი-
საკენ გაისტუმრა. რა ქალაქს მიახლოვდა, საქართველოს ჯარი და სრულ მო-
ქალაქენი წინ მოეგებნეს, ციხოანთ შადლუხი ქნეს და ქართველთ მეფეთ აკურ-
თხეს და წესითა მათითა ფეკს აკოცეს და თემის შეშინებისათვის ჩითახაშვილს
ზალინას თავი გადღებინა. თავისი მექმანდარი ყაჯარის ყორჩიბაშის შვილი მუს-
ტათა ყულიბეგ(ს) საჩუქარი მიაართვა და გაისტუმრა. განჯას მიაწია და მოკვდა.
კიდევ შაჰნავაზ ხან იმერეთი დაიქირა, ბაგრატ გურიას გაეცალა და მისი ცო-
ლი დადიანის ნაყოლი ისრევე დადიანმან წაიყვანა. გურიელმან ბაგრატ აზრუმს
მიიყვანა. ფაშამ ეს ანბავი ხონთქარს მისწერა, იქით ბძანება მოვიდა: სავაზს
მანდეთი ლაშქარი შეიყარეთო, მიუხედითო, ან მოჰკალით, ან დაიქირეთო და
აქ გამამიგზავნეთო და თუ ყაენის ბძანებით მოსრულიყოსო, ჩვენ შეგვატყობი-
ნეთო. ეს ანბავები აზრუმის ფაშას შიხალი ხან ეპტიმადოვლესათვის მოეწერა.
ამან ასრე მისწერა: ჩვენ წაგვესლიაო და ჯალალი შექნილაო, თავის თავათ აქეთ
იქით ქვეყანას არბევსო. ჩვენც აქედამან ლაშქარს გაუძახებთო და თქვენც მან-
დედამ ლაშქარი გამოუძახეთო და ჰაჯი ალი ხან ეპტიმადოვლეს ძმისწული
გიორგი მეფეს ჩაფრათ გაუგზავნეს და ეს ანბავი შესთვალეს და იმას ასრე მო-
ეწერა: ჩვენი ლაშქარი მას არ ახლავსო, ისრევე იმერელნი მოსვლიან და იმათ
ჩაუყვანიათო. რა ჰაჯი ალიბეგ ქართლიდამ მოვიდა, სიტყვით თავისის შოვნი-
სათვის საქართველოს საქმე გაუადვილა და ასრე ეგონა—რასაც ენით იტყვის,
მისი ქნაც შეუძლიაო. და ეპტიმადოვლე ჰავადრათ (sic) ჰყვანდა და სარდრობა
და თ(ა)ვრიზის ხანობა იშოვნა და აღრბეყანს მივიდა და აზრუმის ფაშას მის-
წერეს: ჰაჯი ალი ხან თავრიზის ბეგლარბეგი სარდრათ დავაყენეთო, დიდის
ლაშქრით გამოგვიგზავნიაო. თუ ქართველნი არჩილს მიეშვილებიანო, ჩვენც
საქართველოს წასახდენათ ლაშქარს ჩაუყენებთო.

ამ ანბავის დაბრუნებამდისინ ურუმთ ბაგრატ ისევე იმერეთში ჩაიყვანეს,
გურიელი თან ახლდა და იმერელნი სრულ წინ მიეგებნენ. არჩილი რაქას უკუ
ეცალა, იქიც ჯარი გაუძახეს და რაქა, რომ მისდღეში არვისგან დარბეულიყო,
ურუმთ დარბივეს და მრავალი კაცი მოკლეს და ტყვე წამოასხეს. არჩილი ოსეთს
გაეცალა და ქუთათისის ციხეში იენგიჩარი დააყენეს და ბაგრატს მცველი გაუ-

ჩინეს ახალციხის ფაშას როსტომ ფაშას თავი მოჰკვეთეს და ხონთქარს გაუგზავნეს არჩილის მოკმარებისათვის და მრავლის ნამოვრითა და კარგის გამარჯვებით წავიდნეს და მეფემ ბაგრატ გურიელი იშვილა და თავისი ქალი შერთო, მეფობაც მისთვის უნდოდა და გურიელი დადიანზედ გაუძახა და რომ ცოლი წართვას და მეფეს მოჰგვაროს და ასრეც იყო—რომელიც გაძლიერდის, მისი იყვის.

ამასობაში დადიანი(ი) მოკვდა, მისი ცოლი ისრევე მეფეს მოჰგვარეს და ცოტას ხანს უკან ბაგრატ მეფეც მიიცივალა და გურიელმან სწვალა ღმერთი და ჰგმო თავისი რჯული და ნაქორწილელი ცოლი გაუშვა და თავისი სიღედრი ცოლათ შეერთო და ყოვლმან რჯულმან შვილის გზით დაკრულეს და დაიწყველა და ძალით მეფობა დაიჭი(რ)ა და მეათეს ოციეს ისიც მოკლეს და ცოლიც მოუკვდა და იმერეთის თავადთ გურიელის მეფობა ეთაილებოდა. ხონთქარის შიშით არჩილი ვერ ჩაიყვანეს, სხვას საბატონოს ეძებდეს და მამუკა დადიანის შვილი მეფის დისწული გურიელს სიძეთა ჰყვანდა. აქაც გაუწყრა ღმერთი და უფრო გააცხადა მღთის გმობა და იესოს რჯულის მწველებლობა. თავის უგუნურს ყმაწვილს მამუკას თოფი აკვრევინა და მოკლა ამისის ექვისათვის, რომ მეფის დისწული არისო, არამც იმერელთ მეფეთა ქნანო, ამასაც მოვკლავო და სხვა მემკვიდრე ბატონი არა ჰყავსო, სამკვიდროთ მე დამრჩებდისო. გაუწყრა ღმერთი გურიელს, საქაოს შერცხვა და საიქიოს წაწყმდა, რომე თავათ სიღედრი შეერთო და მერმე ფიცით მიბარებული ყმაწვილი სიძე უბრალოთ მოკლა. აბა გაშინჯეთ სამართალი მღთისა გურიელზე, რასა იქს. გაუწყრა ღმერთი გურიელს და იმერელთ მამუკა დადიანისშვილისა და მეფის დისწულის მოკვლა გურიელს უწყინეს და ახალციხის ფაშასთან მივიდნენ და ასრე მოახსენეს: ჩვენ გურიელის ამხანაგნი ვართო და იმის ყმობას არ ვიკადრებთო. ჩვენი ბატონისშვილი ქართლის მეფესა ჰყავსო და ლევან დადიანის შვილი თქვენა გყავსო, ესეები გაგვიბატონეთო. ფაშამ ამათი სიტყვა ხონთქარს მიაწერა. იქით ბძანება მოუვიდა: ქართველს მეფესაო ბაგრატის შვილი სთხოვეთო და იმერეთს მეფეთ დასვითო, დადიანის შვილი დადიანად დასვითო. ხონთქარის ბძანება გაათავეს, მაგრამ გურიელი კელშიგ ვერ ჩაიგდეს. ესენი გააბატონეს და ფაშები ისრევე ახალციხეს გარდვიდეს.

და ერანის სარდარი ყარაბაღში იოგა ლაშქრით. კახეთის ჯანიშნობა ბედნიერმან ყაენმან კახაბრის შვილს გორჯასპის უბოძა ფარსადან გორგიჯანიძის საქმითა. ამისთვის სხვას არ მისცეს, რომ რუსეთის კემწიფეს ელჩი და ფეშქაში გამოგვზავნა და შვა შემოსვლოდა, რომ კახეთი თავის მემკვიდრეს ბატონისშვილს ერეკლეს მისცენ. აქედამ ყაენმან რუსეთის კემწიფეს ასრე მისწერა, რომ გვმართებს თქვენის პატივის დადებაო და რომელიც გიბძანებია, კიდეც გავათავებთო. მაგრა თქვენ უკეთ მოგეხსენებდისო, ამისმან პაპამ მრავალი შეგვეცოდაო, არც დაწყნარდაო და არც დაგვაწყნარაო. ჩვენც ერეკლე კარზედ ამისთვის შევიწინებთო, რომ კახეთის ჯანიშნობა ყპას მიუეციოთო და მას ჩვენს ზნესა და საქციელს გავასწავლებთო და ამასაც ბატონათ გავისტუმრებთო. კახთ თავიანთ წესი გაახლეს, ზოგთ გორჯასპი უნდოდა. და ზოგთ არ უნდოდა აიშალნეს და გორჯასპის თოფი ჰკრეს, ვერ მოკლეს და სარდარსთან მოვიდნეს და განჯის ხანი ბატონათ ითხოეს. ეს ყაენს მოახსენეს და კახეთი განჯის ხანს მისცეს და

ერეკლეს საქმე უკუვარდა და კახთ საქმე საკიროთ გაუხდა. ყოველს დღეს წახდენას მოელოდეს. თავი(ს) მემკვიდრეს ბატონისშვილს საქმე წაუხდინეს და ყაენსთან დარჩა

ერეკლე ბატონიშვილი რომ მოვიდა, ხუთს წელს უკან დედა მოუვიდა შირვანს. ქკს ტნთ ერეკლეს მოსვლა რუსეთით. ხუთს წელიწადს უკან ბატონი დედა იმისი ზღვის გზით შირვანს გამოსვლა და მისის სიძის კახეთის ბატონის არჩილისა და ბატონის ქეთევან დედოფლის რუსეთს წასვლა ჩერქეზის გზით ერთგან მოხდა. ოცდაათის წლის გაყრილმან და ნახვის მონატრეთ ერთმანერთი ველარ ნახეს და ერეკლეს დედას მეჰმანდარბაში უსუფბეგ და კახაბაბერი გორჯასპი შირვანს წინ მიაგებ(ე)ს და დიდის პატივით ისპაჰნს მობძანდა, ქკს ტნიე და ოთხს წელიწადს ამას უკან მარიამ დედოფალი მიიცივალა და შაჰნვაზ მეფის საკლიც აიშალა. გიორგი მეფესა ყაენი უწყყრებოდა არჩილის საქმეზედა და მაშინც ძმა ვერ დასთმო და ყმანი გაუორგულდენ და მოყვარენი გაუავდენ და ამისთანას დროს ყაენს მოახსენეს: გურგინ ხანს ცოლი ავად ჰყვანდაო და დალ დასმულმან კუდიანმან, რომ ქართველნი მისანს ეძახიანო, იმათ ასრე მოახსენესო – შენი ჯალაბი მარიამ დედოფლისაგან ავად არისო. კაცი გაგსავენესო და ბარით საფლავში თავი მოსჭრესო და გვერდით ამოსდევსო, მაგრა მაშინც მოუკვდა ცოლიო. ყაენს ებძანებინა: მე მუსურმანი მეგონაო, ის ისრეე ქაფარი ყოფილაო, მკვდარს თუ შეძლება ჰქონდესო, თავის თავს უშველის. ჩემი და მამის ჩემის ერთგულიო და ქვეყნის დამწყყარებელი ბატონი მანდილოსანი იყო, რასთვეს აგრე ავი კაცი არისო, რომ თავის დედას აგრე აეკაცათ შეკადრაო. დასწყევლა მქნელი დ(ა) გაუავდა და აღარ დაუტკბა და იასონ ერისთავი განჯის ხანითა და სხვა სხვა გზით იბეზლებოდნენ და ესეც მ(ო)ეწერა: ერისთავობა მიბოძოსო, გურგენ მეფეს წაგახდენინებო. განჯის ხანის საქმით ერისთავობა იასონს მისცეს და მეფეს არ შეკითხნეს და ყაენთან იმერლის მეფის ალექსანდრეს კაცი ჩაფრათ მოვიდა, კემწიფისათვის არზა მოეწერა: ჩვენს მამაპაპათ კემწიფის ოჯახისათვის უმსახურებიო და ფეშქაში მოურთმევიო და ჩვენც. ამისი მოხვეწარნი ვართო, რომ ჩვენი თავი თქვენათ ყმათ გვამს(ა)კუროთო და ერთი ბძანების რაყამი გვიბოძოთო, რომ ქართლის მეფემ გზა დაგვანებოსო და ვითაც ამას წინათ მეფეებს როგორც თავისი კაცი გამოუტანებია და ფეშქაშს წამოსძლოლია და კემწიფის კარზედ ჩამოუყვანიაო, ამათაც მათებრ კელი მოგვიმართონო. ყაენს იამა და იმერელი მეფე კიდევ ებრალეზოდა, ერთი რაყამი გიორგი მეფეს მისწერეს: როსაც იმერლის მეფის ფეშქაში წამოვიდესო, როგორც სხვას ქართლის მეფებს ექნასო, თქვენც ისრე ჰქენითო და ჩვენს კარზედ მოიყვანონო, მესტუმრე და მეჰმანდარი წამოუძღვენეო, რომ ყოველგან სამასპინძლო და ცხენი და აქლემ(ი)შას და(ე)ე ურონო. იმერლის მეფის კაცმან ეს რაყამი ახალციხის გზით წაიღო, რომ იქილამ მეფემ გამოუგზავნოს. ეს გიორგი მეფეს ეწყინა და ახალციხის ფაშას ასრე მისწერა: იმერელი მეფეო ხონთქარს წაუვიდაო და ყაენს ებირაო და თუარ დამიჯერებო, აწადა ამ კაცს თქვენის მამულის გზით რაყმები მიაქეთო, უნახეთო. რა ეს წინგნი ფაშას მიუვიდა, იმერლის მეფის ყმა დააქირვინა და აღარ გაიკითხა და ჩამოარჩობინა. ესეც ყაენს მოსწერეს. ეს კიდევ უფრო ეწყინა. კიდევ ამ ანბავეზე ეს ანბავეი მოსწერეს: თქვენის ერთგულებისათვისო ზოგის თავები დაუკრევივინებიაო და სომხითის მელიქს თოფი აკვრევივინაო და ჰაჯი ალი ხანს თქვენთვისა კარგი

ტყეები სდომებიაო და მრავალი ნაქსოვი და ფარჩა და თეთრი გაუგზავნიაო, რომ იმერეთში კარგნი ტყეენი, ქალები და ვაჟები იყიდონო. გიორგი მეფეს გზაზედ კაცები დაუხვედრებიაო და ყველანი დაუხოციაო და რაც საქონელი ჰქონებიათო, გურგინ ხანისათვის მიუტანიაო. ეს ავი ანბეები ზედიზედ მოსწერეს და ყენი უფრო გაუწყრომეს.

აქა ერეკლე ბატონისშვილის წამოსვლა რუსეთით, შირვანს მოვიდა თუ-
შეთის გზითა. აქა მეფის თეიმურაზის შვილის, დავითის შვილის ანბავი ვსთქვათ ქკს ტნი, სამას სამოცსა. უწინ რუსეთით ბედნიერს კემწიფეს არზა მოსწერა, ასრე რომ თქვენს კარზე მოსვლა მინდაო და ამას მოველი თქვენის მლთიანის გუნების მოწყალებისაგანო, რომ ერთი საიმედო რაყამი მიბოძო, რომ თავზედ დავირქო და კენწიფის ფეკის სამთხვეველათ წამოვიდეო. ეს კემწიფეს იამა და ჯულფელის ხოჯა გრიქორას კელით ხმალი და კალათი და რომელიც რაყამი ეთხოვნა, გაუგზავნეს და ხალათი არ აჩვენეს. მაგრამ რა რაყამი მიუვიდა, რუსეთის კემწიფეს დაეთხოვა და დედა და შვილი იქ გაუშვა და წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთს ჩამოვიდა და შაჰნაზარ ხან კახეთში ბატონობდა და ერეკლეს და ქეთევან დედოფლობდა და ოცი წელიწადი იყო და ამათ ერთმანერთა არ ენახა. რა ნახეს, დიდი სიმხიარულე შეიქნა მათში და სრულ კახეთში და ლხინსა და ნადირობას შეექცევოდეს და წამს და არ მოშორდის და საქმელსა და ღვინოს უწინ ქმარს შია(რ)თვის და მერმე ძმასა. მაშაშთილისაგან მოწამლისა ეშინოდა და რაც აქონდათ მეფესა და დედოფალსა, უკეთესი და უბევრეს(ი) ძმას მისცეს და ყოვლის ფერით მოჰკაზმეს, ცხენები ოქროთ შეკაზმული და ზოგი ვერცხლითა და ოქროთა და ნაქსოვენაქედითა მასა და მისსა ყმებსა. სიძე ცალკე ცალკე აძლევდა და ცალკე ხოჯა გრიქორამ კახეთში სიძესა და დასთან კემწიფის კალათი მოართვა და ჩაიცვა და კიდევ უფრო გამკიარულდნენ და შეიქნა ღვინის სჰა და ლხინი და ჩანგთა კერა და მეჩანგეთ შუშპარი და სიმღერანი გაკვირეს.

ბატონისშვილმან ერეკლემ ყაენთა(ნ) წამოსვლას დაეთხოვა და და სიძე ტირილით გაეყარნენ. ვითაც კახეთის მემკვიდრე ბატონისშვილი იყო, თავადთა და აზნაურთ შვილებისაგან თან მრავალნი წაჰყენენ და რა შირვანს მივიდა, შირვანის ხანი მანუჩარ ენდრონიკას შვილი მკედარი დახვდა. ყაენის ბძანება იქნა შირვანის ხანზედან, ვ(ი)თაც ერეკლე ბატონისშვილი მთის გზით გარდმოსულაო, არამც აკლდეს რამეო, ათასი თუშანი მიართვითო და რაც აკლდეს, გაირიგოსო, წამოვიდესო. ჩვენის ნაზირის ძმა ხალაფ სულთან მეჰმანდრათ გამოგვიგზავნიაო, ყველგან ფიშვაზი უყონო ღ(ა) სამასპინძლო რაც მოინდომონ, მიართვანო და დიდის პატივით ყაზმინს ჩვენთან მოიყვანონო. მოვიდა ყაზმინის სიახლეს. კემწიფის ბრძანება იქნა: ვინცა ვინ ყაზმინს არიანო, ყველანი წინ გაეგებონო. საკურველი ბევრი ერი შეიყარა და აღბაბის სოფლით ყაზმინამდისინ კაცის ფიშვაზით სავსე იყო და ყაზმინის ქალაქში შემობძანდა. ხუთმან დღემ გაიარა, კიდევ ათასი თუშანი ნაღდი და ათასის თუშნისა სხვა მორთულობა და იარაღი შინ მიუტანეს და მეშვიდეს დღეს ყაზმინის ჩილ სუთუნსშიგ მეგლიში იქნა და ბატონისშვილს

(ერეკლე ბატონისშვილის მოსვლა ყაენსთან ყაზმინს და დიდის პატივის დება) ერეკლეს დაჰპატიუეს და თავისის ჯარით, ქართულათ მოკაზმულნი, ყველანი ახალგაზღა ვაჟაკნი, ტურფანი და შეენიერნი, ნამეტნავად ბატონის-

შვილს ერეკლეს წვერ უღვაში ახლა ეხვევოდა და ტანად ყველას უმაღლე იყო და ნაქმრათ ყველას აჯობინეს. რა ალაყაფის კარს მოვიდა, თაყვანი სცა და მიწას დაემხო და კარის ზღორუბს ემთხვივა. ზეინალ ხან ეშვიკალასიბაში კარამდისინ გაეგება და რა მეჯლისშიგ შემოვიდა, ბატონისშვილი(ს) სიტურფემან და შვენიარობამან და ტანადობის ნაქმრობამან ყველაკანი გაკვირვებულნი შეიქნეს. წადგა და კემწიფეს ფებს აკოცა და მარჯვნივ ყველას ზეით დასვეს და თორმეტი ყმანიც მეჯლისშიგ დაუსხეს. კემწიფემ სამჯერ წინ მიიხმო და უწინ რუსეთის კემ(წ)იფის ანბავი ჰკითხა და მერმე თავისი და რუსთ შექცევა და გაწყობა და მათი კაცობა გამოჰკითხა, მას უკან რომლის გზით მოსვლა და გარჯა. უწინ ნახვაზე კემწიფემ კარვის თვალით ნახა და შეიყვარა, თავად დიდ გვარის კაცობისათვის და მერმე შვენიარობისათვის და კარგად აგებულობა მოუწონა. წელიწადში ორი ათასი თუმანი თეთრი და დღეში თორმეტი ქიქა შირაზული ღვინო და ხუთასი თუმანი ხონსრის მალუჯაჰთი ღვინისა და მაზ(დ)ის ფასათ გაუჩინა. სხვებს წყალობებს გარდაის ამაებს ყოველს წელიწადს მოსცემდეს. ყაენი ყაზმინით ფირისქუს გზით მაზანდარას წაეიდა და ვითაც კემწიფეს ჯალაბნი და პარამნი!) - - -

1) აქ ხელნაწერს აკლია. ნაკლი, შინაარსის მხრივ, ნაწილობრივ შეიძლება შევხებულ იქნას „ცხოვრებაი ხაქართველო“-დან, რომელშიაც ვკითხულობთ:

ქკა ტავ, მოსვლა რუსეთით ელენე დედოფლისა, ზღვით შირვანს გამოსვლა ანბავი მათის მოსვლისა. შირვანის ბატონს სულიემან ყაენისათვის მოეწერა, ბძანება იქნა ხემწიფისა, უსუფბეგ მეჰმანდარბაში ჩაფრათ გაგზავნეს და ბატონი დედოფალი დიდის პატივითა ისპაჰანს მოაბძანეს და დღეში ას მარჩილი ულუფა გაუჩინეს და თავის შვილს ერეკლესთან დააყენეს და დიდი პატივი მიაპყრეს და ყოველს კარგს დღეში შიგნით დაჰპატიებდენ, დიდს პატივსა სცემდენ და მრავალს მოართმევდენ და თათრობას შეეპატიებოდენ. და დედოფალი უარს იტყოდა, არ იქნებოდა, აღარ გათათრეს და ქართლში გიორგი მეფობდა და კახეთში განჯის ხანი აბაზ ყული ხან ბატონობდა. ერეკლე და დედა მათი ყაენის კარზედ იყვნენ, და მღთის მეტი მშველი არსაით გაჩნდა, მაგრა ყაენი გურგინ ხანს უწყყრებოდა: ქართლის თავადები თავს არ უდებდენ და ურჩობდენ და არაგვის ერისთავი—თქვეს—წამლით მოაკვდინესო. და ამავ საწამლაის შიშითა იასონ ძმა მისი უკუ უდგა, საერისთო უკუ იქირა და ქვემ ქვემ განჯის ხანის საქმით ყაენს ბირება და ლაპარაკი დაუწყო, და სომხთის მელიქი ყაენმან კარზედ ითხოვა. ეს ანბავი ლუარსაბ თავის ძმას გიორგი მეფეს მისწერა და გაუკითხავათ კარავში მჯდომს თოფი აკვრევინეს, და ქამარბეგ მელიქი მოაკვდინეს. ეს ანბავი ყაენს დიად ეწყინა და იმერეთის მეფეს ალექსანდრეს პულეზაშვილს ხელით ყაენთან არზა მოეწერა, მამა პაპა ჩვენი ხემწიფის მოსამსახურენი ყოფილანო, ერთი რაყამი გვიბოძოსო, ჩვენი ფეშქაში ყაენის კარზედ მოუშონო. ერთი რაყამი ქართლის მეფესა და ერთი ერევნის ხანს მისწერეს—როსაც იმერელ მეფის ფეშქაში წამოვიდესო, მეჰმანდართ გამოატანეთ, კარზედ მოიყვანონ. იმერელ მეფის კაცი ახალციხის ფაშამ მოაკვდინა, ესეც გურგინ ხანს დაჰბრალდა. კაცი და წიგნი გურგინ ხანს რუსეთს თავის ძმასთან არჩილ ხანთან გა(ე)გზავნა, ისიები შამხალს დაეპირა და ყაენისთვის მოეწერა. ესეც იწყინა და გურგინ ხან თავის შვილს ბაგრაატს ჩერქეზის ქალი შერთო, და თვითან მიქელაძის ქალი შეირთო. ესეც ყაენმან უწყინა და ძმა და შვილი სთხოვა. და ყაფლანის შვილი გურგინ ხანს ბიძა ბართიანთ სარდარი თამაზბეგ რომ გიორგი მეფისაგან მრავალი სიკეთე და სიმდიდრე სქირდა, დის წულს წამოუვიდა, თავრიზს სარდართან მოვიდა და ყაენს არზა მოსწერა: განჯის ხანის თავს დასხმა და ნაპირის ხანების ამოწყვეტა,

---- გორს დააყენეს და ყველგან სამასპიძლო შეაწერეს და კარგად დახედნენ და ჩათვარი გაგზავნეს და ეს ანბავი და არჩილის იმერეთში გამეფება და და მეფის ალექსანდრეს გორს მოსვლა ბედნიერს ყაენს მოახსენეს. ყაენმან იმერეთის მიცემა იმათვის და ალექსანდრე მეფის გამოგდება იწყინა, ამისთვის რომ ყაენს შ(ა)ჰნავაზ მეფის შვილები ხონთქრის შეწყვენილობისათვის გარდევარა ბატონობითა და მეფეს ნაზარალი ხანს რაყამი მისწერეს: ალექსანდრე მეფეს კარგად კელი შეუწყევო და კარგად დახვდიო, სიამ ჩვენი ბძანება მოგივიდესო და მეფეს ალექსანდრესაც საიმედო რაყამი მისწერეს: რადგან ჩვენს მამულში მობძანებულხარო. გვირგვინი სამეფო და ოქროს ქამარი და ოქროთ შეკაზმული ცხენი და მრავალი ძვირფასის ნაქსოვები გაუგზავნეს და ერეკლე მეფე დიდის დიდებითა და მორთვითა და საქართველოს ჯარით მუკრანის გზით გორს წაბძანდა მეფის ალექსანდრეს სანახავათ და მეფე ალექსანდრე თავისის ჯარით ყვავის სალდრამდისინ წინ მიეგება და რა შეიყარენ, ვითაც მამა შვილი სიყარულით ერთმანერთს დიდი პატივი სცეს და მოვიდნენ გორსა და ერეკლე მეფის სადგომს ჩამოხტნეს და იმ დღეს დიდი ლხინი და გარდინადეს და მეორეს

და ყარაბაღის დარბევა ზოინდომაო, და ჩვენ ამისთვის წამოუვედით და ხემწითის ორგულობაში არ გავერივენიოთო და ღონე გაუწყდაო და ძმა და შვილი გამოგზავნაო. ამ ამბავზედ ლევანს და ბაგრატს არც არა პატივი დასდევს და არც ინახვიენს. ამავზედ ეს ანბავი მოვიდა—იასონ ერისთავი თავის სახლის კაცს მოაკვლევინეს, და გიორგი მეფე საერისთოში შეუხდაო და გამოაქციესო. ეს კიდევ უფრო უწყინეს და ბატონის შვილს ერეკლეს ქართლის მეფობა მისცეს და ნაზარალი ხან დაარქვეს და მისივე მოხმარებით არაგვის ერისთვობა გიორგის ოთარის შვილს მისცეს და აჰმად ბეგ მირაზ უზბაშის ხელით გურგი ხანს მისწერეს, — ქართლის მეფობა თეიმურაზ მეფის შვილის დაეითის შვილის ერეკლესათვის მიგვიციაო და შენ კარზედ წამოდიო და კოჯორზედ ეს ამ რივი რაყამი მიუვიდა. წაუკითხეს და ყაენს არზა მისწერეს—ბძანება ხემწითისა გათავდესო. შეჰმანდარი სთხოვეს და თვითან ჯალაბობრივ მანგლის მივიდნენ და ყაენისაგან შეჰმანდარი გამოუგზავნეს. შეჰმანდარის მოსვლამდისინ გურგინ ხან აიყარა და ახაბეთის ხეფში მივიდა. ამასობაში ნაზარალი ხან თბილისს ქალაქში მოვიდა და გიორგი მეფე ჯალაბობრივ რაქის ერისთავს შეეხიზნა. ქართველნი სრულ მოუვიდნენ პატრიარქის მეტი და ეს ანბავი ყაენს მოუვიდა, და ზოგი რამე იარალი მურასა გიორგი მეფისაგან დანარჩომი ხემწითისთვის გამოეგზავნა და ემწიფეს გიორგი მეფის ოაქას გარდასვლა და პატრიარქის არ მოსვლა დიად ეწყინა და ძმები და შვილი დაუქირვინა. ლევან და ბაგრატ ჰერათს გაგზავნეს, ლუარსაბ ქირმანს გაგზავნეს. კათალიკოზობა დიასაძიძეს რუსთველს იოვანეს უბოძეს და რაც გიორგი მეფისაგან დანარჩომი ან კარზედ გამოეგზავნა და ან ქართლში დარჩომილა საძრავი და უძრავი და ჯოგი და ცხვიარი და ძროხა და სხვა მორათლოდა, ხემწიფემ სრულ ნაზარალი ხანს უბოძა და აქ წყალობის რაყამები მეფის ერეკლესათვის ებოძებინათ და მეფის დედა ელენე დედოფალი და მეფის სახლი და ბატონიშვილები ყაენს ებძანებინა—დიდის პატივით ქართლს წავიდნენო. გასტუმრებაში ანბავი მოვიდა, არჩილ მეფე რუსეთით დედალეთს მოვიდაო. ამ ამბავზე, ვითაც არჩილ დედოფლის სიძე იყო, ამათი გაშვება მოიშალა. კიდევ სხვა ანბავი მოვიდა, რომ არჩილი და გიორგი რაქას შეიყარნენო და იმერეთის ექიდებთანო. ყაენის ბძანება იქნა, რომ ქართლისა და კახეთის ლაქარი იმერეთის მეფეს მიაშეღეთო და თუ გაქირდეს ჰადრიბეჟანის ლაშქარი მიეშველოსო. (ანალოგიურ შინაარსის თხრობის შემდეგ, ფარსადანის ტექსტში, როგორც სჩანს, ყოფილა თხრობას ალექსანდრე იმერეთის მეფის არჩილის მიერ გარდაცდებისა და ალექსანდრეს გორს მოსვლის შესახებ).

დღეს ერთი სამეფო მორთულობა ქურქველნი ოქრო ვერცხლის, ცხენები ბე-
დაურნი დაკაზმულნი ოქროსა და ვერცხლის უნაგირ ლაგმებითა, ტანის შე-
კაზმულობა ძვირფასის ნაქსოვებისა და სიასამურეზითა, ფლური და თეთრი მი-
ართვეს და მესამეს დღესაც ერთგან ლხინი გარდინადეს და მეოთხეს დღეს ნა-
ზარალი ხან ქალაქისაკენ წავიდნეს და მეფე ალექსანდრე გორს დარჩა დიდის
პატივითა. ამდენი ყაენის წყალობა და ერეკლე მეფის ქალაქით გორს მიგებება,
ასრე კარგად დახვდომა და ამდენის საჩუქრის მირთმევა რა იმერეთის თავადთა
და აზნაურთა სცნეს, გული გამოეცვალა(თ) და მეტადრე იმერეთის უბატონო-
ბაში ვისაც თავისის ძალით სხვათ მამული დაეპირა, რასაც დღეს არჩილი გა-
მეფდა, ყველას თავისი სამკვიდრო მამულები უბოძა. ეს იმათ იწყინეს და წა-
ვიდნეს და ალექსანდრე მეფეს გორს კაცი და გულის შესაჯერები საფიცრები
გაუგზავნეს და ეს ანბავი გორით მეფის ერეკლესათვის გაეგზავნა და მეფეს ერე-
კლეს ეს სდომებოდა, ეს ამბავი ყაენისათვის მიეწერა. მეორეს დღეს სხვა ან-
ბავი მოსვლოდა, თუ მეფემ ალექსანდრემ მთა გარდიარაო. ჩაფარი გაეგზავნა,
რომ მეფის ალექსანდრესაგან ამბავი მოეტანა, ქალატყეს მოსწვოდა, იმ დღეს
რომ იმეოელთ შეფიცათ და გული შეგჯერებინათ და იქით აყრილიყო და დი-
დის ლაშქრით სკანდას მისრულიყო და არჩილ მეფე ქუთაისს არისო და გიორ-
გი მეფე ახალციხეს არისო და ეს ანბავი ნაზარალი ხანს ბედნიერის კემწი-
ფისათვის წინგნათ მოეწერა და ჩაფრის კელით გამოეგზავნა. კემწიფეს ნამე-
ტ(ნა)ვად იამა, ამისთვის რომ იმერლის მეფის ალექსანდრესი ნამეტნავად მწყა-
ლობელი იყო და თავისას ეძახდა და ჩაფარი რასაც დღეს მოვიდა, მესამეს
დღეს თავ დაბეჭდილი რაყამი მისცეს და ისრევე ჩაფრათ გაისტუმრეს, რომ
კიდევ იქაური რაც ანბავი იქნებოდეს, მალე მალე მოგვეწერდენ.

ქქს ტპ, მკათათვის ა, სულეიმან ყაენმან თავისი ყორჩიბაში სარკუ ხან მურ-
თუზა ყული ხანის შვილი საჰნდლუ გათენებისას კარზედ იხმეს და როსტომზედ
მდივანზედ უბძანეს, გაუკითხავათ თავი მოჰკვეთეს და ტანი სამს დღეს შეი-
დანში ეგდო და გასაკვირებელი საქმე მისგან იქნა. ნამაზის ქნა დააცალეს და
თავის მოსაქრელათ კმალ დაწვდილნი თავს ადგნენ. არც ფერნი¹⁾ გამოეცვალა
და არც სიტყვა შეეცვალა, ნამეტნავად გულმაგრა და მკიარულათ კმალს ქვეშ
წაუწოქა და ასრე თქვა: ღმერთი არის ამაში მოწამეო, რომ ერთგულობისათვისა
მკვლენო, თორადა დანაშ(ა)ვებულობა არ ჩამაცნიაო. დოლბანდი გარდაგდო
და შემოჰკრეს კმალი²⁾ და სისხლი გულის პირზე ჩაედინა და აივსო თავისის
სისხლით ორივე მჯიღე და გარდისხა პირისახესზედ, შესაბა ღმერთსა: გევედ-
რებოდესო უბრალოთ წამებული სული ჩემიო. კიდევ კმალი სცეს, ვერ გააგ-
დებინეს და მცემელს უთხრეს: კელიმც მოგელდისო. მკრელი ხმალი ეციო.
ჰსცეს და მოკლეს და იქნა იმავე დღეს საქმე გასაკვირებელი. ზაფხულის შვას
გულს სიტყეში ასტყდა წვიმა და საზარელი ქარიშხალი. რომ ასის წლის ის-
პანში გზდილთ კაცთ ასრე თქვეს: ამისთანას დროშიგანო ამ რიგი წვიმა და
ქარიშხალი არც გვინახავსო და არცა გვ(ა)სმიაო. კაცი იყო ტანათ დიდი, სახით
შვენიერი, თავდაბალი, უხვ უშურველი, კარგად მრჩეველი, მძიმე და აუჩქა-
რებელი, ქრთამის არ ამღებ, ყოვლის კაცის პატივსმდებელი, დაპირებულთ

¹⁾ დედანში: მერნი

²⁾ დედანში: ხეზალი

მამკმარებელი, მლოც(ა)ვი და მარხული, მღთის მოშიშარი, ძველის ანბების კარგა მცოდნე. კარგად სამართლის მქნელი. ასე მშენიერი და ტანად სრული, რომ ამის დროში ერანელთაგან აჩვენ შედრებოდა და ასეც ითქვა: კემწითემ ნამეტნავად ინანაო და ამის მეტი ვერვინ რა სცნა, რომ ბედნიერმან კემწითემან ამ მოკლულის ყორჩიბაშის შვილს სმნანის ბატონს როსტომ მ(ა)ჰმ(ა)დ ხანს საიმედო რაყამი მისწერეს, რომ მამა თქვენო სიტყვით მაწყენინებდაო და ის მოვაკედინეო და შენ იმედოვნათ იყავო და შენს საბატონოს გაუფრთხილდით და შენი ლაშქარი კარგათ მორთევო და რაც საქმე გაქონდეს, მოგვწერდეთ და ჩვენგან დიდს იმედს ელოდეთ. ამის მეტი დანაშაუებულობა მისგან ვერვინ რა გაიგნო, სხვა ღმერთმან უკეთ იცის. იტყოდენ: ტყვილათ მტრისაგან შებეზლდაო და განკითხვა არ ეღირსაო. მაგრა ვინც რას დასთესავს, ის ამოუვა მთესავსა.

ამ დროს მაშათის ხანობა და მუთაველობა ნაჯაფ ყული ხან ნაზ(არ)ს მისცეს და ნაზირობის ჯანიშინობა იმის შვილს მ(ა)ჰმ(ა)დ ჰუსეინბეგს მისცეს. ამ დროს ასტარაბათის ხანობა ყაზა ხანის შვილს ჰაჯი ლუთე ალი ხანს მისცეს და დიდის პატივით გაისტუმრეს და ორს წელიწადს ამას წინათ შხალი ხან ეპტიმადოვლე მთიცვალა, ყოვლისფერით კარგი კაცი იყო. მისი სიკვდელი კემწითემ ნამეტნავათ იწყინა და ორს წელიწადს ვაზირი არ დააყენა და მას უკან ვაზირობა მირზა თაქრს ძველს ვალა ნვისს უბოძა და ერთს წელიწადს კემწითე თავის სასახლეში ლხინსა და შექცევას იყო, რომ ცხენს არ შეეჯდა და ასეთი ბედძრიელი იყო, რომ სითკენც მტერი გაუჩნდის უომრათ გარდავიდნის.

ფარსადან გიორგიჯანიძესა¹⁾ ნამეტნავად კემწითე სწყალობდა, იყო და ვაზირობასა და ქვეყნის სარჩევს საქმეს ჰკითხევდა და კარის უფროსს კაცთ შურდათ და გარდევინენ და მრავალი ტყვილი მოუგონეს და კემწითესთან შეაბეზლეს, ვითაც საკელო არა ჰქონდა და რასაც კემწითეს ბევრს არ მიართმიდა, არასა სთხოვდა და არცა ვისთან კელი აქონდა. ვინც გარდევინდის, წლამდისინ ვერ გაძლის. შვილი ჰყვანდა დავით სახელათ, ყმაწვილი კაცი იყო და თექვსმეტის წლისას ბედნიერმან ყაენმა ბოქაულთუხუცობა უბოძა და სიყმაწვილით ლხინის მოყვარული იყო და ამაყი და შეუპოვარი იყო. რაზდენჯერი კემწითე ცხენს შეეჯდის, იმდენჯერი მამის მისის მტერობით დააბეზლებდიან და კემწითე არ შეიბეზლებდა. აბულ ყასუმ ხანის შვილებს²⁾ ყაენის ყულისათვის (ყემა³⁾) დაეწყო. იმას დაეძახა: „დაუთბეგო, მიშველე თუარ მამკვლენო, შენც ყაენის ყული კარო. მიშველებოდა—რასთვის მოჰკლავთო, ყაენის ყული არისო. ამისთვისაც წამოეშინა. ისინი ოთხნი ძმანი ყოფილიყვენ და დავითბეგ მარტო. ამასაც ჯოხით ეცადა, ოთხთავეთათვის თავპირი დაემტ(ერ)ივით და მეჩიტში შეეხვეწნა და ყაენის ყული მოერჩინათ. ვითაც ძველით ყორჩნი ყაენის ყულების მტერნი არიან და დროს ეძებენ, რომ ყულები ამო(ა)გდონ და როგორც ძველით ხემწითის ოჯახისათვის უმუხანათებია(თ), ისრევე ქნან. მაგრა ყულების შიშით ვერ იქმენ. თვითან ამ აბულ ყასუმ ხანის მამამან ჯანი ხან ყორჩიბაშმან შემოიფიცა რაც ყორჩში ხანი, სულთანი, ბეგლარი და თავნი კაცნი იყვენ და დილის ნამაზის დროს მიუხდნეს მირზა თაყის ეპტიმადოვლეს, წაუშინეს და მოკლეს. იქით და-

¹⁾ დედანში: გიორგიჯანიძისა

²⁾ დედანში: შვილები

³⁾ დედანში: ცემა

ბრუნდნეს, რომ ყაენი მოკლან და თვითან გაკემწიფდენ. ანბაეი დაახვედრეს, რომ სიაოშ ხან ყულარაღასი შეყრილი კარზედ არისო. რაც ეწადათ, ის ვე-
ლარ ქნეს, ყაენის დედას არზა შეუგზავნეს, კემწიფის წახდენას უკან იყო
ექტიმადოვლელ—რომ თავისი ძმის წული მირზა ყასუმ გაკემწიფებინაო და ჩემი
ქალიც ამისთვის შერთო მირზა ყასუმსო და ა(მ) მუხანათობაში ჩვენც უნდოდა
გავერიეთო, ამისთვის მოვკალით, კემწიფის ბძანება რა იქნებისო. კემწიფის
ბებია ჩერქეზის ბატონის ქალი იყო და ნამეტნავად კკვიანი და მცოდინარე ბატონი
მანდილოსანი ბრძანდებოდა. შიგნიდამ მალრიელობის წინგნი და ხალათი უბოძეს
და ავაქილეს—ვინც გინდა ეჭამადოვლეთ დასვიო მესამე დღეს ხალიფა სულთან
ექტიმადოვლეთ დასვეს და ჩანი ხანს ასრე ეგონა: ამის ვეზირობით რასაც მინდა იმა-
სა ვიქო. მაგრა მიფარვით ყაენის ბებია ამათ ამოწყვეთას უკან იყო, ქართულათ
სიაოშ ხანთან წინგნი მოეწერა: ნულარ აგვიანებო, არამც კიდეე ამათ დაგასწ-
რანო. ვისაც ენდობოდე ქართველის შვილებსაო, უბძანეო, ყოველ ლამესაო ია-
რალით ქეშიკში მოვიდნენო და ვისაც ენდობოდეო, ყორჩის ბატონებსაც შე-
ატყობინეთო და ვინც ყორჩიბაშის კერძნი იყენენ, ცოცხალს ნუ გაუშეებო. ამ
რჩევას ფიცით ბიჯირლუს მურთუზა ყული ხანს და აღი ყუბათბეგს პარმიშ-
ეშიკ აღას გაუტყდენ და მეშვიდეს ღამეს ქართველთ საბატონოს კაცის შვილები
იარად შემორტყმული კემწიფის ქეშიკში მივ(ი)დნენ. მეორეს დილას ჯანი ხან
ყორჩებაში თავისის კერძის ხანითა და სულთნით წინადურათ ამაყათ და შეუ-
პოვრათ კარზედ მოვიდა. მაშაია რომ გაიხადა, მსხდომნი წინ წამოეგებნეს.
იმას ასრე ეგონა, პატივს მდებენო. მურთუზა ყული ხან ბიჯირლუმ ჯანი ხანს
ყორჩიბაშს საყელოში კელი წასტაცა და შეუძახა: მუხანათო, ვისის ბძანებით
კემწიფეს ვეზირი მოუკალო. ხანჯარი ჩასცა და წააქცია. ნაღდი ხან დაუძახა:
ყორჩებო, თავს (უ)შველეთ, გვიღალატესო. ამ დროს სიაოშ ხან ყულარაღასმან
ყულებს შეუძახა: რას უდგახართო, წაუშინეთო. ფიცხლავ წაუშინეს და ოცდა
ოთხი ხანი, სულთანი და ბეგლარი დახოცეს და ამათი მძოვრი მეიდანში გა-
ყარეს და საქონელი და სალარო და მორკმა ქონება მათი საკემწიფოთ წამო-
ილეს და ყორჩიბაშობა ბიჯირლუ მურთუზა ყული ხანს მისცეს და ნაღდი ხანი-
სა და თავისის შვილის ზეინალ ხანის ნაქონი ქოჰგილუს ბეგლარბეგობა სიაოშ
ხან ყულარაღას მისცეს და მანამდისინ შაჰბას კემწიფე ცოცხალი იყო. ამათი
სახელი მუხანათობით იხსენებ(ო)და და რა შაჰ სულეიმან გახემწიფდა, ორგუ-
ლობა აღარვის უხსენა და ჯანი ხანის შვილს აბულ ყასუმ ხანს პამადნის ბა-
ტონობა მისცა და იქიც მუხანათობისათვის დააქირვინეს და ისპაჰნს ჩამოასხეს
და ბევრი შვილები ჰყვანდათ და ყოველ დღით ბოზობასა და ავკაცობაზედ შულ-
ლობდენ და არც ვინ ახსენებდა. ვითაც ფარსადანის აენი იყენენ, აბულ ყასუმ
ხან ყაენს არზა შეუგზავნა, რომ ფარსადანის შვილს დავითს ჩემი ოთხი შვილი
დაუქრიაო. ყაენმან დივანბეგს უბძანა: სამართალი უყავო. ვითაც კმლით არ
დაქრილი არ იყენენ, დავით შულლის აშორო არა თქვა და დივანბეგს ამ(ა)ყათ
პასუხი მისცა, რომ ისინი ოთხნი მცემდენო და მე მარტოკა ვიყავო, მე უნდა
ვჩიოდეო. დივანბეგი გასწყრომოდა და ეთქვა, ბექებს ამოგართმევო. იმას ეთ-
ქვა: ყაენის თავი კარვად იყოსო, შენ მე ბექებს ვერ ამამართმევო. ამისის
ჯავრით მრავალ გვარათ შეაბეზლა და კემწიფემ დაქირვინა და ისპაჰნის მო-
ვრავს მიაბარეს და ვითაც შვილი მოვრავი იმ პატივით ინახედა და ისევე
მაბეზლართ კელმწიფისაგან იპატივეს და დასტური აართვეს და აღრბეყანისაკენ

გაისტუმრეს და კიდევ მამის მისის მტერებმან წინ კაცი გაგზავნეს, ყასუმ აბ(ა)დს შუღლი დაუწყეს. თვითან ცხენით გაეცალა, ყუმს მივიდა მხლებლები დაუპირეს და საქონელი აუკლეს და თვითან ყუმს წავიდა და იქაურს უფროებს მოახსენა და რაც ძალი და უსამართლო დამართებოდა, მუჯაალა დაწერინა. მანამდისინ მუჯაალა მოვიდოდეს, მტერებმან მრავალ გვარათ ტყვილათ შეაბეზლეს, იასაული გაუძახეს და კარზედ იხმეს და სამართალი უყვეს და ვერა დატეხეს რა და მობეზლარნი შეშინდნენ და ტყვილნი მოწამენი იქირავეს და სამართალში მოახსენეს და პრკენი და მოსამ(ა)რთლებ(მა) გასწირეს სული მათი და გმესა სამართალი მღთისა და მიუდგნენ მტყუნს მო(ბე)ზლარსა, ამისთვის რომე არამც კემწიფემ ტყვილის მოხსენებისათვის წახდინოსო და დავითის-მამა ხემწიფესთან კარგი ყმა არისო და თავის შვილს უშველისო. ყაენს მათი) ტყვილათ განაბრკობის წინგნი შეუგზავნეს.

აქ ტექსტს მიყობა ამავე თვალ დამწერიანთა, რომელიც კვემთ დამატებით იბეჭდება მას უდა მისდევდეს თხრობა ალექსანდრე იმერთა მეფის შესახებ, რომელიც ჩვენს ხელნაწე-ში სხვა ადგილს ცალკე ფურცელზეა მოთავსებული და თავიც აქლია (შეად. ზეოდ, გვ. 73--74)

--- წელიწადი ვაზირობა ქნა და ესეც დღით მოკვდა. ყარა მუსტაფა ჟაშას მისცეს ვაზირობა მეედრულს ქრონიკონს სამას სამოც და თხუთმეტამდისინ ორმოცდა სამი წელიწადი იკემწიფა. ამისმან ბევრმან ლაშქრობამან ყმანი და თემნი შეჯერდენ. მოიგონეს ძველებურათ ორგულობა და ფრანგთაც ღონე გაუწყდა. შვიდნი კემწიფენი გაერთდეს და შვიფიცნენ და მრავლის ლაშქრით მოუხდნენ და რაც ფრანგთგან ურუმთ წ(ა)ერთვა, ზოგი ისრევე მათ დაიპირეს. კონთქარმან ვეზირ აზამი მრავლის ლაშქრით გაუძახა და ისინიც მზას დახვდნენ და შემოგბნეს და ფრანგთ გაიმარჯვეს და ვეზირ აზამი მოკლეს და ფაშები დაირჩინეს და ურუმთ ლაშქარი ამოუწყვიტეს, თათარ ხანის კვეყანან(ი) დარბივეს და მათი ლაშქარიც დახოცეს და შვიდჯერ კონთქარმან ლაშქარი გაუძახა. ასრე ამოუწყვიტეს, რომ მეათედი აღარ დაბრუნდა. კონთქარს ლაშქარი გაუაგდა და აღარევი გაეძახა და ღონე გაუწყდა. შეიყარა იენგიჩარი და მერჯულეთ უფროსნი და სულთან მჰმდ კონთქარი თავისის შვილებით დაიპირეს, ისრევე კემწიფის სასახლეში დიდის პატივით ინახევედეს. ამისივ ძმა სულთან სულეიმან გააკლემწიფეს, ამისთვის რომ ეგების ფრა(ნ)გთ შეერიგდეთო. მაგრა შერიგება არ იქნა და ომი და მტერობა მათს შვა უფრო გაძრიელდა. ამის დაწერაში ორი წელიწადი იყო, სულთან სულეიმან კემწიფობდა, მაგრა რჩევა და კითხვა ისრევე ძმისა სულთან მაჰმადისა და მისს შეუკითხავს არას იქმოდა. ამან გარეშემოს ფაშების შეკითხულობით იმერეთი მეფეს ალექსანდრეს წართვეს და არჩილ მეფეს მისცეს და ალექსანდრე საქართველოში ყაენის შემოხვეწილი მოვიდა. ნაზარ ალი ხან კარგად დახედა და მრავალი მთართვა და თბილისის ქალაქითა გორს მიეგება, დიდი პატივი სცა და ისევე ალექსანდრე გორს დაგდო და ზემო ქართლის მოსავალი სამასპიძლოთ მთართვა და კარგად კელს უწყობდეს. ოდიშისა და იმერეთის თავადებისაგან საფიცარი მოსვლოდა—მალ წამოდიო, არჩილს გაეგდებო. ვითაც სიყმაწვილის სიჩქარე ახლდა, აღარც ყაენს აცნო და არც ქართლის მეფესა და გორიდანმენ ილლარი ქნა და ქუთაისის სიახლოეს არჩილ მეფეს შეეზნეს. უწინ კარგათაც იყვნენ, მაგრა ამყობით და ყმათა მუხანათობით მეფე ალექსანდრეს დაჟმარცხდა და იქივ გორს მოვიდა. ყაე-

ნის ბძანებით მეფე ალექსანდრე ქალაქს მობძანდა და ყაენმან განჯის ხანის შვილი ქალბალიბეგ მრავლის ძვირფასის ძღვნით კონთქართან ელჩ(ა)თ გაგზავნეს და მისწერეს: მამა პაპანი ჩვენი და თქვენნი ერთ რჯულობისათვის შერიგდენო რომ მუსსურმანთ ძალი არ დაემართოსო და ვითაც შ(ა)ჰნავაზ მეფის შვილებიო თქვენს მამულს ეკიდებოდნო, თქვენს გულისათვის ორთავ ბატონობა წავართვითო და ნაპირის ფაშებს ტყვილათ თქვენთვის მოუხსენებიაო და მემკვიდრე მეფე ალექსანდრე ჩვენს სახემწიფოში შემოხვეწილაო და იმერეთი არჩილ მეფისათვის გიბოძებიათო. სი(ნ)ამ ელჩი ერევანს მივიდოდა, სულთან სულეიმან ხონოქარ(ი) მიიცვალა დ(ა) მისი ძმა სულთან მუსტაფა გახემწიფდა. ელჩი ამასთან მივიდა. კემწი(ფი)ს წინგნი და ძღვენი ამას მიაართვეს. ნამეტნავად იამა და ელჩს კარგად დახვდა და დიდი პატივი სცა და კემწიფის დაბარებულობა ყველა გათავა. იმერეთი ისრევ მეფეს ალექსანდრეს მისცეს და ქალაქით ახალციხეს მიყვ(ა)ნეს და იქით იმერ(ე)თს ჩაიყვანეს და მეფეთ დასვეს და იერგიჩარი მცველათ დაუყენეს და გიორგი მეფე ახალციხეში დაპატიმრეს. ციხიდან წამოუვიდა. რა ქართლს მივიდა, ყველანი შემოეყარნენ, მეფის ალექსანდრეს ცოლ-შვილი კელში ჩაუტვირნდა. მეფე ნაზარ ალი ხან კოჯრით ქალაქის ციხეში მივიდა და რაც ამას უკან იქნება, ქვემო(თ) დაიწერების.

აკ თავდება ცალკე ფურცელზე მოთავსებული თხრობა ალექსანდრე იმერეთის მეფის შესახებ. ხელნაწერში თვალდამწერიათა ამბავის შემდეგ მოთავსებულია თხრობა იმავე ალექსანდრე მეფის შესახებ, მაგრამ სხვა ვარიაციით. სამწუხაროდ ხელნაწერს აქაც აკლია.

---- ეთებული ძვირფასის თვალ მარგალიტ, მურასა და ნაქსოვი, მრავალი ძვირფასისა და ცხენები ბედაური მურასაით შეკაზმული და ერთი სპილო ოქროს ტახტითა და სხვა იარაღით შეკაზმული, განჯის ბეგლარბეგის უღურლუ ხანის შვილს ქალბალი ბეგს მიაბარეს და მასაც მრავალი უბოძეს და დიდის მორთვითა და მოკაზმულობით გაისტუმრეს და დიდის ქებით წინგნი მისწერეს და ასრე ჩაუწერეს, რომე ჩვენი ყმანი შაჰნავაზ მეფის შვილები, შაჰნაზარ ხან კახეთის ბატონი თქვენს მამულს იმერეთს ეკიდებოდა და ქართლის მეფე გიორგი ძმას ეხმარებოდა და ზოგთ იმერეთის თავადთ თავიანთ მემკვიდრეს მეფეს ალექსანდრეს წასვლოდენ და შაჰნაზარ ხანს მოსვლოდენ. ვითაც ჩვენსა და ხონთქარს შვა წყობა იყო და ხონთქრის მამულს ეკიდებოდენ, ორთავ ძმათ ბატონობა წავართვით და ჩვენის საკემწიფოთ გაეჰყარეთ და რაქის ერისთავმან შეიხიზნა და უფროსი ერთნი თავადნი, თავიანთ მემკვიდრეს ბატონს გარდაბირეს და გიორგი მეფე ახალციხის ფაშისას მივიდა და ქრთამის მიცემით ხემწიფეს ტყვილათ გააშინჯვინეს და მემკვიდრე ბატონი წახდინეს და თქვენის შეწყენის გულისათვის ჩვენგან გამოგდებულს შაჰნაზარ ხანს უშოვნეს და მეფეს ალექსანდრეს თქვენს კარზე მოსვლის გზა შეუკრეს, ღონე გაუწყვიტეს და ჩვენ შემოგვეხვეწა. ახლა ამას მოველით კემწიფისაგან, რომ ვითაც საქართველოს ბატონებში უჩხუბარნი ყოფილან და მტრის სახლში არ მისულან, ჩვენი საკემწიფოც თქვენია და ამას მოველით, რომ იმერეთი თავის მემკვიდრეს ბატონს ალექსანდრეს უბოძეთ და ჩვენს გამოყრ(ი)ლს ყმებს თქვენს მამულში ნუ დააყენებთო.

მისვლა ქალბალიბეგისა და ხონთქრისაგან დიდის პატივის მიპყრობა. რა ყაენის ფეშქაში ხონთქარს მიაართვეს და წინგნი წაიკითხეს, იამა ხონთქარსა და ყაენის გულისათვის იმერეთი თავის მემკვიდრეს მეფეს ალექსანდრეს უბოძეს და

ხათიშარიფი ახალციხის ფაშას თავისის ქენხის კელით თბილისის ქალაქს მეფეს ალექსანდრეს მოუტანეს და ქართლის მეფემ ნაზარ ალი ხან საბატონო მოურთო და გაისტუმრა. ახალციხეს მიიყვანეს და ურუმის ლაშქარი შემოიყარა, იმერეთს ჩაიყვანეს და ქუთაის გააბატონეს და არჩილი გაეცალა და გიორგი მეფე ხონთქრის ბძანებით ახალციხის ფაშამ დაიჭირა და ციხეში აპატიმრეს და ციხიდან წამოუვიდა და არაგვის ერისთავი და ქსნის ერისთავი და გივი ამილახორი და თამაზ ბარათია(ნ)თ სარდარი გაერთდენ და სრულ ქართველნი მათის შიშით მიუვიდნენ და ნაზარ ალი ხან კოჯრით ქალაქის ციხეში შევიდა და ეს ანბავი ყაენს მისწერეს და აბას ყული ხანისათვის გიორგი მეფეს მოეწერა, რომე მე ყაენის ყული ვარო და კემწიფის კარზედ ჩავლო და დღეს ხვალობას უთვლიდა და თავისის ძალით ქართლი დაეჭირა, რის ქკუთ წამოვიდოდა. მაგრამე ერთმანერთს აბალითებდეს და აბას ყული ხანს მოეწერა: ერეკლე მეფესა და იმათი სიტყვა ერთი არისო, თორა და ქართლის მეფე ერთს გაგდებულს კაცს რასთვის უომრათ ციხეში შეხებწო. უწინც დაბეხლდა, რომ იმათი და ამისი საქმე ერთი არისო და არას კაცს მათთან მისელასა და სამსახურსა და მირთმევას არ უშლისო. ამისთვის იქნა, რომ ერეკლე მეფე ერთი ჰალალ მართალი კაცი იყო და ყოვლს კაცს დაუჯერის და ორგულისა და ერთგულის გარკვევა არ იყოდა და იმათი გაზდილი თათრის შვილი ივეზირა და ასრე შევიდა, რომ იმის უნებურათ მეფე წყალსაც ვერ დაღევდის და რაც ერთგული ყმა ჰყვანდა, გაუავეგულა და რაც შ(ა)ჰნავაზ მეფის შვილების კერძნი იყენენ, ისინი დაკეთეს და სახასოები ასრე გაცემინეს, რომ უფროსი ერთს ხანს სასმელ საქმელს ვერ იშოვნოდა და ხუთი ათასი თუმანი მოსავალი ასრე გაუცუდეს, რომ გამოსაცვლელს ტანს საცვამს ვერ იშოვებდა და გიორგი მეფესა და არჩილ მეფეს სამსახურს არვის დაუშლიდა და ყაენის ნაბოძები რაც აქონდა, ყველა ქართველთ დაუყო. მაგრა ვერვინ შეაშინ(ა) და ყველამ უღონობა დასწამა და ვისც რამე მისცა, იმათ ასრე თქვეს: ეშინიანო ჩვენგანაო და ქრთამათ გვაძლევსო და ამხანაგურათ დაუწყეს ხუმრობა და ენა შეაჩვიეს და შვილამ შიში აღგა და აღარვინ შეკუა და გურგინ მეფე ჩამოიყვანეს და ყველანი მიუვიდნენ და ერეკლე ქალაქის ციხეში იყო, გიორგი მეფე კოჯორზედ იღვა. იქილამ ჯარი გამაუშახა, ქალაქის ციხეს კელთოფი დაყარეს და ციხილამეც თოფი დაუშინეს და დააბრუნეს.

აბა ჰქვიანო და მცოდინარენო ყური მამიგდეთ და კარგად გაშინჯეთ, რომ საბოლოთ მარგებელია. ჰაჯი ალი ხან ზანგანა ხორციელი ეშმაკი იყო და ბიძა ეპტიმადოვლეთ ჰყ(ა)და. ყაენის ნაზირიკ მოიყენა და ქართლს ჩაფრათ წასვლით და მრავალის ტყვილის ანბვის მოტანით თავრიზის ბეგლარბეგობა და საქართველოზე სარდრობა იშოვნა და დიდის ლაშქრით ათს წელიწადს ხან იელახს ავიდის და ხან ყშლახს ჩამოვიდის და ქვეყანას ცრცვდის და აღარ ვისმე რამე შეარჩინ(ა) და კემწიფეს ტყვი(ი)ლის წერით ატყუებდის და გიორგი მეფემ შვილი და ძმა ყაენთან გამოგზავნა და თავის სამართ(ლ)ებელი არზები მოსწერა. ვითაც ეპტიმადოვლე შხალი ხან გიორგი მეფისა ავი იყო, აღარ გაიკითხეს, ქართლის მეფობა ბატონის თეიმურაზის შვილის შვილს მისცეს და ლევან და ბაგრატ ჰერათს გაგზავნეს და ლვარსაბ ქირმანს და გიორგი მეფეს საიმედო რაყამი მისწერეს, რომ თქვენი საბატონო ნაზარ ალი ხანს მივეციითო და თქვენ ჩვენს კარზედ ჩამოდიითო და ჩვენგან დიდი იმედი გაქონდესო. ვითაც სარდარს გიორ-

გი მეფის ჩამოსვლისა ეშინოდა, აჰმად ხან ბეგ მიქრის უზბაში გიორგი მეფეს-თან გაგზავნეს და ასრე მოახდინეს, რომ გიორგი მეფე აღარ მოვიდა და უომ-რათ გაეცალა და ნაზარ ალი ხან გაბატონდა და ყიასა სარდარმან ვეზირათ დააყენ(ა) და ასრე დაბარა, რომ განჯის ხანის წახდენასა და ნაზარ ალი ხანის დატყუებას-ეცადეო, რომ ჩემი ნამს(ა)ხური გამოჩნდესო. ნაზარ ალი ხანს ამით შეუვიდა, რომ არჩილის ქება და კერძობა დაანახა და იამა და თავისი სამეფო იმას მიიბარა და განჯის ხანი აბას ყული ხან კახეთის ბატონი ამით დაატყუა, რომ რა გინდ ცუდი ანბავი ყოფილიყო, ყიასა თვითან მივიდის და ისიც დაატ-ყუა და ერეკლესი ასრე მოახდინა, რომ მარტოკა ქალაქის ციხეში შეახვეწა, და აბას ყული ხანისა რაც მოხდება, ამას უკან დაიწერების და თავადები შე-მოიღიეცა და თვითან ნაზარ ალი ხანთან დადგა, რომ რაც ყაენით ანბავი მოუ-ვიდეს, გიორგი მეფეს გაუგზავნოს და თავადთ, რომელთაც ერეკლესაგან მრავალი წყალობა სჭირდა(თ), ისინი წაუვიდნენ და გიორგი მეფეს მიუვიდნენ და ამისთვის ხმა დაუდდეს, რომ ერეკლე მეფე იმათი კერძი არისო და ყიასას ვა-ზირობით ეს დაემართა, რომ ორგულობა და ულონობა და კელგამოუსელებლო-ბა დასწამეს და ასრე ბოლო მოულო და კიდევ მისს სიტყვას არ გარდვიდის და ასრე დამჯერ იყო მისის სიტყვისა, რომ საცა თავისი და ყაენის ერთგულ-ნი ჰყვანდა, ტყვილის ბეზლობით ყველაკანი შეიძულევა, ასრე რომე აღარსით ერთ-გული და მოკეთე აღარ ჰყვანდა, არც თავისი მემკვიდრე, არც მეყვისნი და არც ნათესაენი, არც მუსაიბნი და არც მეცნიერნი, ნამეტნავად ფარსადან გიორგიჯა-ნიძე ერთგულობაზედ მრავალ გვარათ ვალ დებული და ნამს(ა)ხური. ასე მოახ-დინეს, რომ წინგნის არ მიწერთა და საქმის შეწყენითა იმასაც გული გაუაქეს და არსით ერთგული და მომხმარე არ შეარჩინეს და მაშინც ვერ შეიტყო და ამ რიგათ გაურიგ(ა) კარგმან ვაზირმან სამეფო სახლი და საბატონო და ამას უკან რა მოხდების, ღმერთმან უკეთ იცის და მაშინც ვერ შეუტყო ვაზირს ორ-გულობა და კემწიფეს ასრე აცნო, რომ იმათი კერძი არისო და მერმე კე-ლით ბატონობა არ გამოუვო და უკადრისსა და კემწიფის საწყენს არზებს მია-წერინებდის. მაგრამე ფარსადანს ყაენისათვის მოეხსენებინა, რომ ნაზარ ალი ხანის ვაზირი ყიასა გიორგი მეფის გაზდილი არისო და იმისი ურჩეენიაო და ჰაჯი ალი ხან სარდარმანც ამისთვის ნაზარ ალი ხანს ვაზირათ დაუყენაო, რომ საქართველო არიოსო და კახეთის ბატონი აბას ყული ხან აცდინოსო და კახ-ნი დატყუოსო და ისინიც არიოსო, რომ სარდრის სამს(ა)ხური გამოჩნდესო და ნა-ზარ ალი ხანისათვის მოუხსენებიაო, რომ თქვენი ცოლშვილი ფარსადან არ გა-მოაშეგებინაო, ამისთვის წინგ(ნ)ს აღარ მამწერსო, მაგრა კემწიფის ერთგულია ნა-ზარ ალი ხანო და აქამდისინ თავი არ დაანებესო და ხან სარდრის ბძანებას ქვეშ იყო და ხან აბას ყული ხანის ბძანებას ქვეშ იყო და თავისი ვაზირიც კარგს საქმეს უშლიდა და ავს კი ურჩევდაო და ამით ერთგულიც გაუორგულაო და კოჯრით ქალაქის ციხეში შემოახვეწაო, რომ კემწიფეს მისი ულონობა აც-ნოსო. თორა და კემწიფეს მოეხსენებდისო, რომ ერეკლეს არც კემწიფე სწყალობ-დაო და არც ქართლი უდგა და არც კახეთი ჰქონდაო, მარტოკა თუშითაო ორ-ჯელ შ(ა)ჰნეაზ მეფეს შემოეებაო და თუ კემწიფე თავს დაანებებსო და აბაზ ყული ხან კახეთის ბატონი არ დაუმარცხებსო, კახეთითა და თუშით და მთის კაცით გარდახდევინებსო და თუ კემწიფე ბატონობას წართვამსო, ესენიც მადი მიუდგებიანო და უფრო გაძრიელდებიანო.

და ვითაც შ(ი)ხ ალი ხან ეპტიმადოვლე მიცვალებულიყო და მირზა თაპრ ძველი ვაყანვისი (sic) ეპტიმადოვლეთ შექნილიყო, ამის ცდაში იყო, რომ შხალი ხანის ნაქმარი საქმეები ავით გაშინჯოს კემწიფეს. საბოლოს არა შინჯევდა, ამისთვის რომე თავად იყო ოთხმოცდათის წლისა და მერმე ასეთი მექრთამე იყო, რომ სხვა მისებრივე არც ძველით და არც ახალი მისებრივე მექრთამე არ გაგონილიყო და რა კარის მებატონეთ ვაზირი ასრე მექრთამეთ ნახეს, მათაც ქრთამის აღება დაიწყეს და კემწიფე ლხინის მოყვარული იყო და ვაზირს მექრთამობისათვის პატივი ახადეს და მის ნათქვამს აღარვინ დაუჯერებდინ და აირიენეს კარიცა და ნაპირის ალაგიცა.

რა ქართველთ ეს იცნეს, რომე ქრთამით საქმე გარიგდების, ვინც ერთი ტყვე მოჰგვარის, რაც უნდოდის გაირიგის და კემწიფისას არას ნაღვლობდის. ერთს წელიწადში თვითან და თავისი შვილნი და მეყვისნი და ნათესავნი ასრე მორკმულნი და საქონლიანი შექნა, რომ სხვათ ეპტიმადოვლეთ ოცს წელიწადში ვერ ეშოვნათ¹⁾. მღთის შიში არ აქონდა და არც განკითხვა სწ(ა)მდა. და რა გ(ი)ნდ გლახა კაცი ენახა, კელში მზერას დაუწყებდა და თუ მისთვის არა მოეტან(ა) რა, ტუქსევასა და გინებასა დაუწყებდა. ქართლით ბარათაშვილი ლვარსაბ ჩაფრათ მოვიდა და ლაშქარი და მიშველება ეთხოვნა ნაზარ ალი ხანს და კახეთის ბატონი აბას ყული ხან გიორგი მეფეს ეხმაროდა და ეპტიმადოვლე და უფროსი ერთნი კარის ბატონები განჯის ხანის საქმით გიორგი მეფეს ეხმაროდეს და შხალი ხანის შვილი შაჰყული ხან ყორჩიბაში და თაპრანის ხანი ეშიკალას ბაში კემწიფეს ასრე გაშინჯევს, რომ გიორგი მეფე ურუმთ ტყვეთა ჰყვანდაო და იმათ გამოეპარაო და თავისის ძალით ქართლი დაიპირაო და ერთმან ახალციხის ფაშამანო შაჰნაზარ ხან იმერეთით გარდაგდო და ხონთქარმან თქვენის გულისათვის იმერეთი თავის მემკვიდრეს ბატონს მეფეს აღექსანდრეს უბოძაო და რა ცოცხალა თქვენი ერთგული არისო. რისაგან იქნასო და ან რა გაგვე(ი)პირდა მაგისთანაო, რომ ერთმან თქვენგან გაგდებულმან ყულმანო ძალად საბატონო წავართვასო. კემწიფემ ამათი თქმული მოიწონა, მაგრა ქალბალიბეგს უღურალუ ხანის შვილს ელოდენ, რომ ხონთქარსთან ელჩათ წასულიყო და შაჰნაზარ ხანც იმას გაეგდებინა და იმერეთი ისევე მეფის აღექსანდრესათვის ეშოვნა და გიორგი მეფე დაეპირვინა და წამოსვლოდა და ხუთნი თავადნი მისვლოდენ—გივი ამილახორი, არაგვის ერისთავი გიორგი და მისი ძმა ბარძიმ და ქსნის ერისთავი დავით და ბარათაშვილი თამაზ და ამათის ძალით სხვანიც მისვლოდენ და უომრათ მეფე მისმან კარგად მრჩეველმან ვაზირმან ქალაქის ციხეში შეახვეწა, თორადა სხვა თავადნი ყანესარ წაუვიდოდნენ. ამასთვის უბძანებია აღექსანდრე მაკედონელსა, რომ სხვათა კელით ეკალი უნდა კრიფოსო, თორადა სხვა დიდი საქმეო არც ძმასა და შვილს უნდაო ანდოსო, რომ მათაც თავისი ურჩევნია შენსაო და ბევრსა ჰკითხო ზოგს ერთგანო და ზოგთ ცალკე ცალკეო და კეუითა და საბოლოს საქმით გაშინჯეო და რომელიც გიჯობდესო, ისრე ჰქენო და დღევანდელს საქმეს სახვალიოთ ნუ მიავდებო და გულის პასუხს გათავებამდისინ ნურვის ანდობო, რომ ერთს დიდს კემწიფესაო ორი ვაზირი ჰყვანდაო, ერთი ნამეტნავად ერთგულიო და მეორ(ე) ნამეტნავად ორგულიო. ის კარგი ვაზირი ტყვილია მოგონებით შეაქულვაო და

¹⁾ დედანში: ეშოვნი

კემწიფის ცოლი სხვას თავის კერძს და კემწიფის ნათესავს შეაბიროა და კემწიფესთან თავისივე ცოლი მისათ წასახდენლათ მოიყენაო, ორგულები გამდიდრაო და ერთგულები წახდენინაო და კარგად მრჩეველი და ერთგული ვაზირი ტყვილის მოგონილობითო და ცოლისაგან ბეზლობითა და თვითან დამოწმებით საქმე ასრე გაუხადეს, რომ მართალს არას დაუჯერებდის და მოსაკლავათ მონადომა და ისივ კემწიფის ორგული ვაზირი მოეხმარა და ასრე მოახსენ(ა): მრავალ გვარათ ნამსახური არისო და დიდის ხნისა არისო. კემწიფემ აზატი ქნასო, ერთს ალაგას დაჯდესო, კემწიფის მლოცავი იყოსო. დაუჯერა და ვეზირი თავის სახლში მჯდომარე შეიქნა და აღარას საქმეშივ აღარ გაეროვის.

ცოტა რამ ხანმა გამოიარა, ორგულმან ვაზირმან მიმალვით ჯარი დედოფალსა და მის საქრმოს შეაფიცა. ასრე უთხრა: მეფეს შორეს სანადიროს წავიყვანო და შენ იქორწილეო და სალარო გახსენო და ყველას მრავალი უბოძეო. რა ეს ანბავი ნადირობაში მოგვივაო, მეც თან გავჰყვებიო და გარდავახვეწებო და ვინც კემწიფესა გამოჰყვებისო, თითო თითოს აქავ გამოგიგზავნიო და მათ უკან მეც წამოუვალო. მუხანათის ვეზირის ნარჩევი ავგუარმა და აესაქციელმან უნამუსომ დედოფალმან გაათავა და ეს ანბავი ნადირობაში მეფეს მოუვიდა და მუხანათმან ვაზირმან სხვა რჩევა აღარ დააცალა, თვითანც თან გაჰყვა და სხვას ქვეყანას გარდახვეწა, ჯარიც გაუორგულა და თვითანც წაუვიდა.

კემწიფე აბღლათ შეიკაზმა და მარტოკა ქვეყნის ტარება დაიწყო. ერთს მეცხვარესთან მივიდა. ნახა, რომ ერთი ქოფავი ძალლი დაუკიდნია და ძალზედ სცემს და ერთს სხვა ძალღს კორცს უჭრის და აქმევს. ჰკითხა მეცხვარესა: რისაგან არისო, რომ ერთსა აგრე ძალსზედ სცემო და მეორეს აგრა (sic) კარგად ეპყრობიო. მეცხვარემ ასრე ასრე მოახსენა: ამას რომ ვსცემო, ძუ მგელი შეიყვარაო და როსაც მოვიდის, ერთს ცხვარს მისცემდისო და მრავალი ცხვარი გამიცუდაო და ამ ძალღს რომ ვაპატიებო, როსაც მგელი მოვიდისო, შექნის ძალსზედ ყეფასაო და წუწუქუნსაო. მეც გაუწყებოდი და დაუწყებდი ცემასაო და ეს ძალღიც დაუწყებდა კბენასო და დღეს ცისკრისას ძუ მგელი მოსრულიყო და აჰას ცხვარი წინ წაგდოდა და მიყვანდაო. ამ ძალღმან ფეხის ცემითა და თავის ქნევით მაცნოო და წუწუქუნით წინ წამიძღვაო. ცხვარი მოეკლაო, რომ არ წაუვიდესო და თვითან მგელს შეჰკლეტოდაო. ასრე მათზედ მიმიყვანაო, რომ გაყრა ველარ დამასწრესო. მგელი მოვჰკალო და სამი დღე არის ამ ქოფავს ორგულობისათვის ვსცემო და იმათ მოკლულს ცხვარსაო უხარშავო და ამ ერთგულს ძალღს ვაქმევო.

რა კემწიფემ ესეები მ(ე)ცხვარისაგან გაიგონა, ამოიხენეშა და თავისი: ვეზირების ორგულობა და ერთგულობა მოაგონდა და ცოლის სხვათ ბირება და და ლაშქრის გაორგულება და კარგის ვეზირის არ დაჯერება და ავისა და ორგულის ვეზირისაგან თავისი მოთხრა და შერცხვენა და საკემწიფო(ს) წართმევა და ცოლის გაცემა მოაგონდა და ასრე თქვა: მივალ ძველის ვაზირისასო, უნდა მამკლას, უნდა დამარჩინოსო. დავერიშულათ მიდგა, ვითაც გლახა, ერთგულის ვეზირის კარსა. რა ვაზირმან ნიხა, ფიცხლავ იცნა და დიდის ტუქესით გარ გაგდებინა და უღონო მქნილი დაბრუნდა და ვაზირიც თან გაჰყვა და მარტოკა ნახა და ასრე უთხრა: ამისთვის დაგტუქსედა უკადრინი სიტყვები მოგახსენ(ე)ო, რომ თქვენი გაცხადება არვინ შეიტყოსო. ჩემის ბაღის კარზედ გლახათათვის სადგომი გამიკეთებია და სასმელ საქმელი და ტანისამოსი გამიჩინია. როსაც ბაღში მოვალო, სამარტოთ დაუძახებლათ თან გამამყევო და უაზრობისათვის

კიდევ გაგიწყრებიო, დრომდის არეინ შეგვეცოცოსო. კემწიფემ მაღლი მოახსენა და ამ ერთგულმან ვაზირმან სამს წელიწადს მრავლის ჭკუითა და საქონლის გაცემით სრულ ჯარი და თემი ასრე მოიყენა, რომ ახალმან კემწიფემ ცოლი მალვით დარჩო და ვაზირი ხეზედ ჩამოარჩობინა და დედოფლის ყმანი და ნათესავნი გაუაღდენ და ვეზირის კერძნი თავადნი და ნათესავნი შეშინდნენ და შემოფრთხნენ. ამისთანას დროს ძველი კემწიფე გაცხადდა და მეფენი და თავადნი და ერისთავნი შემოეყარნეს და ახალი კემწიფე შეღონდა და ღონეს რასმე ეძებდა. მისი მისანდო კაცი ვაზირს გაუგზავნა: შენის დაუჯერლობისათვის ორი კემწიფენი იმ მუხანათის ვეზირის საქმით წავხდითო. ახლა რომელიც გვიჯობდეს, გვირჩიეთო. ვაზირმან ასრე შესთვალა: რადგან ჩვენ შემოგვეკითხენითო, გვმართებს მღთის წინაშენო, რომელიც გვიჯობდეს, ის გამოვირჩიოთო. ჯარი და მეფენი და თავადნი შენ წავგვლიან და მას მისვლიანო. შიშით შენ აღარეინ მოგვივაო. სალაროს კარ(ი) გაღეო და დიდი გაცემა ჰქენო, რომ შენი გარდახვეწნა არეინ იაზროსო და ამ გაცემ(ი)ს დროსა, რაც ძვირისფასის თვალმარგალიტი იყოსო, რომ თან უაღება შეგედლოსო, ნაპირის ალაგამდის გაცემითა და ლაშქრის გროვებით მიდითო და რომელიც წასაღებათ გინდოდესო, ფეშქაშის მაგიერათ წინწინ გაგზავნეო. თუ დატყო რომ შებმა შეგიძლიაო, კარგი არისო და თუ შებმა არ შეგიძლოსო, ნადირობის სახელით მშვიდობით გაეცალეო და თუ დრო დაიცე, კიდევ წამოეკიდეო, თორადა საცა იქნები, შენი სარჩო გექნებისო და დიდი პატივი და ნებეირობა გექნებისო. კემწიფემ მოუწონა რჩევა და ასრე ქნა, როგორც მოეწერა და კემწიფობითა და დიდის დიდებითა და სალაროთა და მორკმით გაეცალა და ზოგნი თან გაჰყენენ და უფროსი ერთი დაბრუნდენ და თავიანთ ძველს კემწიფეს იახლეს და დღევანდლამდისინ ეს არაკი მიემგზავნების ნაზარ ალი ხანის საქმესა და მისის ვეზირის გარიგებასა. ნაზარ ალი ხან უოპრათ და გაუქირებლათ ქალაქის ციხეში შეახვეწა და გიორგი მეფემ უომრათ და გაუქირებლათ ქართლი დაიქირა და კახეთის ბატონი ყიასამ თავისი კერძი შექნა და რა გინდ ცული საქმე ყოფილიყო, ერეკლე მეფისაგან კახეთის ბატონს აბას ყული ხანთან თვითან გაეგზავნებოდა და ისიც ერეკლე მეფეს გაუავა და გიორგი მეფის კერძი შექნა. მაგრა მაშინც ერეკლე მეფე ამ ვეზირის უნებურს ვერას იქმოდის და ამას უკან რა მოხდების, ღმერთმან უკეთ იცის.

ამ დროს ბარდის ხანი ჩაფრათ მოვიდა და ქართლის თავადთაგან კემწიფეს არზა მოართვა, რომ ჩვენ გიორგი მეფის მეტი ბატონი არ გვინდათო. კემწიფემ ჩვენი სახვეწარი შეიწიროსო და ქართლის მეფობა უბოძოსო და თუ ამან კემწიფის ოჯახსზედ სტყუოსო, ჩვენ გარდაგვახდევინოსო და ზოგ ზოგს კემწიფის კარის კაცთაც ქვეყნის დასაწყინარებლათ გიორგი მეფის მიცემა უნდოდა და ზოგნი კემწიფეს ასე ეუბნებოდეს: ურუმთ თქვენის გულისათვის გაყარესო და იქით გამოპარულმან თავისის ძალით საქართველო დაიქირაო და თქვენგან დასმული მეფეო ციხეში შეახვეწაო. ამისი დათმობა კემწიფისათვის უკადრისი იქნებისო. და ამ დროს ქიჩი მაქრანელნი ქირმანს არბეედეს და ოზბეგნი ხორასანს აოხრებდეს და ქურთნი ადრბეჯანის სანაპიროს ეკიდებოდეს და ზოგი ადგილი დაეპირათ და კემწიფე ღბინსა და ღვინის სმას იყო და კარის კაცნი არას უკან იყენენ და გაცხადებით ქრთამს იღებდენ და შიში და მორიდება აღარ ვისგან აქონდა. რა გინდ კაცი მტყუანი ყოფილიყო, ქრთამის

ძალით მართალს კაცს გამტყუნდიან და მტყუნან გაამართლებდიან და მერჯულეთაც სხვათა მოსამადრიელებლათ ჰგმეს ღმერთი და შესცვალეს სამართალი და წაიწყმინდეს სულა და მართალნი გამტყუნენს და მტყუნანი გაამართლეს და განკითხვა და წაწყმენდის შიში აღარ აქონდა და ვისაც ვისიმე ემართა და ან მიებარებინა, აშოროს იტყოდა და ნახევარს ქრთამათ გაიღებდა და პატრონს აღარას მისცემდა და თუ არ ჯარით, ამ სოფლით იმ სოფელში ვერ წავიდის და ყველგან მზირნი გზისა და ქურდნი ატეხილიყვენ და ვისაც ძალა აქონდა, ქვეყანას სტრკვიდა და შეკვეთით მორკმულთა და მქონებელთ საქონელსა სთხოვდიან. თუ მისციან, თავს მოირჩენდიან და თუ უარს ეტყოდიან, ან ღამით თავს დაეხმოდნიან და დახოცდიან და საქონელს წაიღებდიან და ან დღისით დანას შესცემდიან და მოჰკლევდიან და ესები ნამეტნავად ისპაპნის ქალაქში იქნებოდის და განკითხვა არ იყვის, ამისთვის რომ ქრთამის აღება იყო და სიმართლე და შიში მ'ლთისა და კემწიფისა აღარვის აქონდა და ნაპირის ქვეყნებში ხმა გავიდა, რომ კემწიფე ღვანის სმასა და ლხინს არისო და კარის კაცნი გაცხადებით ქრთამს იღებენო. ამისთვის ყოველი სანაპირო ქვეყანა ა(ი)რივა და ზოგნი საქართველოს კაცნი ისპაპნს ჩამოვიდნენ და ცოტას რისიმე ქრთამით ყაენის უნახავად რაც უნდა გაირიგეს და წავიდნენ და რა ქართლს მივიდეს, კემწიფის კარის ამ რიგი ანბვეები მიიტანეს. მათაც გაბედეს, ერეკლე მეფე უომარათ ქალაქის ციხეში შევიდა და ქვეყანა მეფემ გიორგიმ დაიჭირა და ასრე თქვა—ყაენის კარზედ ჩავალო და მეფის ძმა ლევან ეპრათს იყო და ღვარსაბ ქირმანს. კარზედ ითხოვეს, ამისთვის რომ გიორგი მეფეს უფრო გული დაედებისო.

ამ დროს კახეთის ბატონს აბას ყული ხანს ბარდის ხანი ჩაფრათ გამოეგზავნა და გიორგი მეფის კაცებიც თან გამოეტანებინა და ამას წინათ რომ იწერებოდა რომ ყაენის კარზედ ჩამოვალო, ახლა გაცხადებით განჯის ხანისათვის მოეწერა, რომ კემწიფეზედ არა დამიშავებია რაო, გამიწყრაო და გავეცალეო და ახლა ქართველთ ფიცით გული შემაჯერესო და ყველანი მამივიდნენო და არვისთვის არა შემიცოდებია რამეო. ჩემი საბატონო დამიჭირავსო და კემწიფისაგან ამას მოველიო, რომე თავისად ყმად ძიყოლიოსო. და ქართველთაც კემწიფესთან არზა მოეწერათ, რომ ჩვენ გიორგი მეფის მეტი ბატონი არ გვინდაო, ამას მოველით ცათა სწორის კემწიფისაგანო, რომ ჩვენი სახვეწარი შეიწიროსო და ამისი დანაშავეები ჩვენ გვაპატიოსო და თუ ამან კემწიფის ოჯახსზედ სტყუისო, ჩვენ გარდაგვახდევინოსო. ეს ანბვეები და გიორგი მეფის არ ჩამოსვლა და ბარდის ხანის ჩაფრათ ჩამოსვლა კემწიფეს ეწყინა და პაშტა ხანობამდისინ ბარდის ხანი არ ინახვინა და არც ანბავი ჰკითხა.

ამ დროს ერეკლე მეფის ჩაფრები მოვიდნენ და კემწიფისათვის არზა მოეწერა, რომ გიორგი მეფეს გაეგონაო, რომ კემწიფის წყალობა, ხალათი და თაჯი და თომარი უბოძებიაო. ჯარი მიეგება, რომ წაერთმევინა, ეს ანბავი მოგვივიდა. ვინც ქისიყელნი გვახლდა, გაუძახეთო, იმათგან ორი კაცი მოეკლათო და კემწიფის ხალათი მოგვიტანესო. მივეგებენით, კემწიფე დავლოცეთ, კალათი ჩავიცვითო და ქალაქში შემოვედითო და გიორგი მეფეო ვერის წყალსზედ დგასო და კემწიფის ბრძანება რა იქნებისო, გვიბძანოსო. კიდევ ყური არ ათხოვეს. ამ დროს კიდევ გორის მინბაშის ძმა ჩაფრათ მოვიდა და ეს ანბავი მოიტანა: გიორგი მეფემანო გორის ციხეს ყველგნით გზები შეუკრაო და საქ-

შელს ველარაგნით შემოიტანებენო და ამილახორის გივის ძმისწული იოთამ ბე-
გო ჯალაბობრივ გორის ციხეში შემოვიდაო და ყაენის ურჩსა და ორგულთ
ებრძვისო და სამილახოროთ იმას ითხოვენო და გორის უფროსნი და თავნი
კაცნი ძღვნით გიორგი მეფესთან მივიდნესო და ასრე მოახსენესო: ციხის აღება
არ შეგიძლიათო და ბოლოს ისრევე ყაენი გაჯობებსო და თქვენ ორგულათ დარ-
ჩებითო, ქართლი კელთ გიჭირავსო, ციხის ბრძოლას დაეხსენო. ამათი ნათქვა-
მი სიტყვები მოუწონა და ციხით მოშორდა და ეს ანბეები ნაზარ ალი ხანს
ყაენისათვის მოეწერა.

ამ დროს ქალბალი ბეგ უღურლუ ხანის შვილი ყაჯარი, რომ კონთქარს-
თან ელჩათ წასრულიყო, მოვიდა და კონთქრის სიკეთე და კარგად დახვდომა
და წყ(ალ)ობის გაახლება ყაენს მოახსენა და კ(ე)მწიფეს იამა და მაშინც ქართ-
ლისა და კახეთის ჩაფრები არ გაისტუმრეს და აღარც ქალბალიბეგს განჯის
ხანის შვილს ურუმული ანბავი ჰკითხეს და განჯის ხანი აბას ყული ხან რომ კახეთ-
ში ბატონობდა, იმას უბძანეს: ნაზარ ალი ხანსთან თბილის ქალაქს მიდიო.
ორნივე თბილის ქალაქს შეიყარნეს და გურგი ხან ხან ქართლს იყვის და ხან სომ-
ხით საბარათიანოში მივიდის და მის ანბავს ნაზარ ალი ხან და აბას ყული ხან
ყაენსა სწერდეს და კემწიფემ ყური არ ათხოა, ლხინს იყო და პასუხი არ
უბძანა და ნაზარ ალი ხანსა და აბას ყული ხანს შვა სამდურავე ჩამოვარდა და
ერთმანერთს გურგინ ხანის კერძობას სწამობდენ და ყა(ე)ნთან იბეზღებოდენ და
აბას ყული ხანს უნდოდა რომ უომრათ გიორგი მეფე ყაენის კარს გაეგზავნა
და ნაზარ ალი ხან ამისთვის სჩქარობდა, რომ საბატონო მისი გიორგი მეფეს
ეჭირა და თვითან ქალაქში იყო და არსით მოსაჯალი არა ჰქონდა.

ფარსადან ვიტყვი ამასა, ვიმოწმებ მართალს მამასა. ბედნიერი ყაენი ნაზარალი
ხანის კელ გამოუმავლობისათვის ჩვენზედ ავეგუნება შეიქნა და ნაზარალი ხანც გა-
გვიავდა და მტერმან დრო დაიცა და დაგვიწყეს ბეზლობა და უწინ დავით შვი-
ლი ჩემი სიყმაწვილისა და ამაყობისათვის დაბეზლდა და დაჭირვინეს და ოთხს
წელიწადს ტყვეთა ჰყვანდა და მას უკან ჩემი ძმა ალექსანდრე ერანის ზარაბა-
ბაში იყო და სიტყვა შეუსმენელი და დაუჯერებელი და თავის მამწონე იყო
და კემწიფის საქონელი ვისაც მისწვდა, ასესხა და ჩემი ვერა შევასმინე რა.
დაბეზლდა, დააჭირვინეს და საქონელი წართვეს. ნახეს, რომ არა აქვს რა და
მობეზლართ სიტყვა ტყვილად გამოვა. კემწიფეს მოახსენეს: რაც ზარაბაბაშა
აქვსო, მის ძმას მელიქსადათბეგ უზბაშისთან აქვსო. ისიც დააჭირვინეს აღრბეა-
ნის ვეზირსა. ნახეს, რომ არცა რა მასა აქვს. კელი აიღეს. ცოტა რამე აღრბე-
ქანის ვეზირის შვილისათვის მიეცა, თავრიზის ჯანიშინსთან მიიღია და იმას
თხოვნა დაუწყაო. ეს აღრბექანის ვეზირს ეჯავრა და ყაენს არზა მოსწერა: უზ-
ბაშს ჩემი ბექედი გაუხსნაო და რაც კარგი რამე ყოფილაო, ამოუღიაო. მეო-
რეთ უბძანეს, დააჭირვინეს და რაც თავისი და ჩემი და ჩემის შვილისა იყო,
ყველა ზავთი ჰქნეს და თვითან თავრიზს მოიყვანეს და ამის უარეს ღირს იყო,
ამისთვის რომ ჩემი უნებური იყო და ასეთის კაცის ქალი შეირთო, რომ მლთის
საწყენი საქმე აქნევიანა და სოფელი ამირია და ჩემი ქონება თავის ცოლის
ძმებს უგზავნა და ჩემი ჩემთვის ვერ გამოიმეტა. წელიწადს ნახევარს ასრე ავად
ვიყავ, რომ ჩემი სიცოცხლე არვის ეგონა. ათჯერა კაცი გაუგზავნე, შენს უნახავს
ნუ მამკლავ მეთქი. სხვის გაყრის დაუთმობლობით არ შემიბრალა, არც ჩემო
ნახვა მოინდომა. კიდევ ჩაფარი გაუგზავნე: რა გინდ ჩემი ნახვა არ გინდა, იჯდე.

ადექ და თუ იდგე ნუ დაჯდები, მალე წამოდი, თორადა დაქერილს ჩამოგაყვანილებ მეთქი. ჩემი სიტყვა აგდებით შეისმინა და თავრიზით არ წამოვიდა, შინ წავიდა და იასაული მივიდა და დაიქირეს და რომ კიდევ არ დაექრათ, მაშინც არ წამოვიდოდა, მაგრამე ღმერთმან აღლეგრძელოს ბედნიერი ყავნი. რა გინდ შვილი და ძმები ჩემი ტყვეთა ჰყვანდა, რასაც¹⁾ მივსწორდი და გაუგზავნიდი, შეუგზავნიდენ. არზა მივსწერე და თავისი კელ ნახლები პური ვსთხოვე და ღმერთმან აღლეგრძელოს, ერთი სუფრა პური და ყოვლის საქმლისაგან კერძი ებოძა და მესამეს დღეს ჩემი შვილი აზატი ექნა და ჩემთან გამოეგზავნა და ებრძანებინა: შენის გულისათვის ტყვეთა მყვანდაო, რომ შენ გაწყენინებდაო და თუ გავიგონეო, რომ კიდევ გაჯავრებსო, ავად მოვეპყრობიო. რა კემწიფე მწყალობელი შეიქნა, სხვანიც დატყვენ და მტერობა მოშალეს.

მაგრამ ვინც ეს წინგნი წაიკითხოთ, ეს ანდერძი დაისწავლეთ. ადამის შვილნი მედროვენი არიან, სიკეთის დროს გეფერებიან და გამოგრჩებიან და თუ ერთცახე საქმე გაგიმრუნდეს, შენგან მრავალი სიკეთე დამართებულნი შენს მტერობას შეუდგებიან და შენს სამარცხებელსა და სიავეს შენს მტერს ეტყვიან და აამებენ და რა გინდ მრავალი მიგეცეს და დაქირებული იყო, ერთის ფულით არც შვილი, არც ძმა, არც შვილი, არც მეყვისი, არც მოყვარე, არც ნათესავი, არც ყმა კელს არ მოგიმართავს და შენიც ემართოს, არ მოგცემს. ესეები ჩემს თავზედ გარდასულა. იმისთვის გიანდერძებ, რომ დაისწავლოთ და თქვენის სიბერის დღის ფიქრი ჰქენით, რომ შვილისა და ძმისა და ნათესაეთა და უცხოთ ამარი არ შეიქნათ. ამისთვის გეტყვი, რომ კაცი ვიყავ კემწიფეთგან პატივ დებული და საქონლითა და მამულით მორკმული ვიყავ და მრავალნი ჩემიანნი და უცხონი რომ ერთის ფულის ნატრულნი იყვნენ, ზოგთ სახელოს მიცემითა და ზოგნი თეთრის მიცემით, ზოგნი ორის სამის ათასის თუმნისა და ზოგნი ხუთას ექვსასის თუმნის პატრონი შექნილიყვნენ და ისანის ქალაქში ერთს წელიწად ნახევარს ავად ვიყავ, რომ დაძვრის ღონე არა მქონდა და ჩემი ძმისწული და დისწული მორკმულნი იყვნენ. მიცემას გარდის ჩემს ძმისწულს ჩემის მამულის მოსავალი ხუთასი თუმანი ემართა და ჩემზედ დრო დაიცა და ჩემს მტრებს ჩემი ავი უთხრა და ჩემის საქონლისაგან წამლის ფასი არ მამცა და არც ვინ სხვა მამეკმარა, რომ კიდევ შემქლო მოკმარებაცა და გარდახდევინებაცა და იპრიანა ღმერთმან და უვეთ შევიქენ და კიდევ წინადელივით შემამიდგნენ ფერობასა.

ნურვის დაუჯერებთ. თქვენი არჩ(ი)ვეთ შვილსაცა და ძმასაცა და სხვათაცა. სჯობს, რომ ისინი იყვნენ შენის კელის მზერაენი და შენ არ იყო იმათს ამარას და შენგან უკეთ სხვათ გამდიდრება ნუ გინდა. სიკეთისათვის სიკეთე უყავ და სიავისათვის სიავე. იესოს ნაბძანებია: რომლისაც საწყავოთ მოგიწყონ, იმავე საწყავოთ მიუწყევ. სიბერე ულხინებელი და უშველებელი სენია. რა გინდ ბევრი კარგი გექნას და მრავალი საქონელიც გაქონდე და ყოვლს დღეს შვილსა და შვილის შვილს აძლედე, მაშინც შვილი მამას აყვედრებს და წამოსძახებს— ეს გაძალღებული არ ჩაკვდაო, რომ ამას მოვრჩეთო. მაშ კვიანი ის არის, რომ თავის საიქიოს საქმე გარიგოს და თავის თავს მოუაროს რომ სხვის ამა-

¹⁾ დედანში: არასაც.

რას არ შეიქნას. სხვის ნაღველი ნუ გაქვთ, რომ ღმერთს იმათვისაც სარჩო გაუჩენია და შენ რაგინდ ბევრი კარგიც გექნას, არას დაგიმადლებს, შენს მონაგებს თავის ცოლსა და შვილს მოახმარებს და შენსას შენ არას მოგახმარებს. ეს ანდერძი მართალია და მრავალთ გარდახდომია და კიდევ სხვათაც გარდახდების. ასრევე დაისწავლეთ და კემწიფეთა და მეფეთა და მეპატრონეთ დაერიდებით, ამისთვის რომ თავად ამაყნი და მოძალადენი არიან და მერმე მომიშარნი თემისანი და სიმდიდრისანი. ნათქვამია, ძრიელს ცეცხლს შორეს იყვენითო, არ არ მოგეგზნას და არ დაგწვასო. ასრევეა კემწიფები. თავად არ გიცნას, ისი სჯობს და ნებიარად და მშვიდობით იქნებით და თუ გიცნას ან სიდიდე მოგცეს, უფრო შიში და დარიღება გმართებს, ამისთვის რომ თუ მორკმული და მრავლის ქონების პატრონი კარ, მიზეზს მოგიგონებს და ან მემშურნეს დაბეზღებას მალ დაუჯერებს, ან მოგკლავს და ან რაცა გაქვს, წაგართმევს. მაშ საქონელი მიფარვით ქონება სჯობს გაცხადებით ქონებასა და თუ თემისა და ლაშქრის პატრონი კარ და კელ გამამაყალიკარ, უფრო დაბეზღდები, ამითა რომ ეტყვიან,— ბატონობას გეცილებიანო და მის დარიღებით ბევრთ შვილნი და ძმანიც დაუხოცია, თორადა ყმისას რას ინალელიან, ადვილათ და ანაზღვეულ მოკვლენ და სამართალსა და განკითხვას არ აღირსებენ და კარგსა და მორკმულს კაცს მემშურნობით რაგინდ ბევრი კარგი გექნას იმაზედა, მაშინც არას ინალელის და სიკეთის საპასუხო სიავეს ეცდებიან და სულასა და მართის შიში არ ექნების. აბა ნეტარია არის იმ კაცის ყოფა რომ მიფარვით სარჩო ჰქონდეს და სჯერიყოს თავის ყოფნება და ბევრს აქეთ იქით არ ექიდებოდეს და ბევრის შოვნისათვის არ ცდილობდეს და არვის სძრახევედეს, არც ვის მტერობას უცხადებდეს და მტერსაცა და მოყვარესაც ტკბილისა და ქებით მოიხსენებდეს და სამელს სიტყვას იტყოდეს ნამეტნავეად ასეთს ალაგს, რომ მზას არ იყვენ, გაიგონებენ და იამების და ისინიც კარგნი შეექნებიან და ნურც თავისგან უფროსა და ნურც უფროსა და ნურც ყმასა და მოსამსახურეს ტუქვისით თავს ნუ შეაწყენს. ტკბილი სიტყვა, ნათქვამია, გველს კვრელით გამოიყვანსო. მდიდართ ემს(ა)ხურე და გლებთა მიციემითა და ტანს ჩაციმითა და სმევა ქმევით შეიბრალებდე, მართის შიშს გუნებით ნუ გაუშვებ და აქავე საიქიოს მოგებას ეცადენით. საგძალი წინ გაისტუმრეთ, რომ იქ მზათ დაგხვდების, თორა უკან გამოგზავნილი არ მოგეწევ(ი)ს და არცა ვინ მკუდრისას ინალელის და მისს მრავალ გვართ ცდილობით ნაშო(ა)რი ვისაც დარჩების, თავის თავსა შვილს მოეხმარების და მამგები საიქიოს გაირჯების და მონაგები სხვათ დარჩების. ქემშარიტად და ღმერთი უტყუარი და ყოვლის ძრიელთაგან უფრო ძრიელია და კარგის მქნელს სამოთხეს მისცევს და ავის მქნელს თუ თმობა და ნანება არ ექნას და ვალი არ გარდებხადოს, საიქიოს წაწყმენდით გარდახდევინებს. რაც სხვათათვის შეუწყენია, ისინი განკითხვის დღეს მოჰკითხვენ. ვალს გარდახდა უნდა. მდიდარნი და მოძალადენი ძალით რჯიან გლებთა და ულონოთა და კელით მაგიერი არ შეუძლია. მაგრამე გულ ამოსკენით ახებითა და ვების თქმით და ტირილით ღმერთს უჩივიან და თმობის მეტი ღონე არსითა აქვს და ნეტარძი ამითა თმობისათვის და ვითაც აქ ისინი მდიდარნი არიან და სხვათა საქონლით მორკმულნი არიან და კარგს სმენ და --- ¹⁾

1) აქ დედანს აკლია.

---ნ ბეგს მიაბარეს და ყა(ე)ნი მრავლის დამთმო იყო და უნდოდა უომრათ და უჩხუბრათ საქართველო დააწყნაროს და ვიორგი მეფეს და ქართველთ კემწიფისა ნამეტნავად შიში აქონდათ და ერიდებოდათ. ამისთვის კარზედ ჩასვლა ვერ გაბედეს, მაგრამე წინგნის მოწერითა და კაცის გამოგზავნითა და ნანებითა და ბოდის თხოვნით ეხვეწებოდნენ, მაგრამ კემწიფემ ყური არ ათხოვა და არც პასუხი მისცა, არც მათ და არც მეფეს ნაზარ ალი ხანს და ყაენის დედას ნაზარ ალი ხანის ელენე დედოფლისათვის ასრე ებძანებინა: შენმა შვილმანო ერთის თუშეთის სოფლითაო შა(ჰ)ნავაზ ხანს და მის შვილს შაჰნაზარ ხანსაო ორჯელ შეება და კახეთი წართვაო, რომ არც კემწიფე უღვაო და არც სხვიგნით მომკმარებელი ჰყვანდაო და ახლა კემწი(ფე) სწყალობსო და ქართლის მეფობა მისცაო და კახეთი და თუშნი და განჯის ხანი და არაზს იქითი ლაშქარი მიაშველაო და მაში(ნ)ც ქალაქის ციხით არ გამოვიდაო, რომ თავის მცილეს პასუხი გასცესო. პაპა მისმან ბატონმან თეიმურაზო სრულ ქვეყანა შეაჯერაო და გარეშ(ე)მოს მისას არბევდაო და მრავალჯერ კემწიფის ლაშქარს შემოებო და შენმან შვილმანო ვერა ქნა რაო, რაგინდ კემწიფე მის მწყალობელი არისო და საქართველოდამ იწერებიანო, რომ მათი სიტყვა და პირობა ერთი აქეთო და შენი სიძე არჩილი შენს შვილს ვერ გამოუშეტებიაო. ამაში კემწიფემ რა ქნასო, ან ულონო არისო და შენს შვილს შეფობის ქნა არ შეუძლიაო და ან იმათთან პირობა ერთი აქესო და კემწიფე აღარ ენდობისო. ქართლი და კახეთი კელთა აქესო და არაზს გაღმართი ლაშქარი მიაშველაო. ეცადოსო, რომ ასეთი საქმე ქნასო, რომ მობეზლართ სიტყვა გაამტყუენოსო. შეებასო, ან თავს დაესხასო, ან მოკლასო, ან შეაკედესო, კემწიფეს სამსახური და კელ გამამავლობა დაანახოსო და მრავალი წყალობა დაიმართოსო, თორადა თვითან იცისო. აქ კემწიფეს მოახსენაო, წავალ და ყველას მკარ წაკრულეებს გაახლებო და წავიდა და ერთი ასეთი სამსახური ვერა ქნა რაო, რომ კემწიფის სამებელი ყოფილიყო. აქ ანბობდა, ჩემის ყმის შვილებნი არიანო და ახლა იმათგან საჩივრის წინგნებს იწერებისო, ამაში კემწიფემ რა უნდა ქნასო. ესეები თქვენს შვილს მისწერეო, მართალი თავისი ფ(ი)ქრი ქნასო, რომ მტრის გულისა არ შეიქნასო.

ესეები დედოფალმან შვილს მისწერა, რომ კემწიფემ ესეები მიბძანაო და ყოველს კაცს სიტყვას ნუ ანდობო, ხვაშიადას და გულის მისანდოსა და რაც გინდა საქნელათ, შეუტყობლათ ჰქენით; თორადა რა შეგიტყობს, ეცდების თავისი საქმე შენსას აჯობინოს. ამისთვის ნათქვამია ფილასოფოსთაგან, რომ საქონელი მიფარვით შენახული სჯობსო და სიტყვანი თავად სრულ ცოტა მთქმელი სჯობს და მერმე ყველას ნუ ენდობითო, ამისთვის რომ ჯაცია მამებელიო, თუ ვითაც ხვარბალი მიწაში მიფარვით ერთი ასათ მოგეცემის და თუ მიწას ქვეშ არ მიგიფარავს, ფრინველნი შეგიკამენ, მოსავალი წაგიხდების და თვითან გაიჯები. აბა სიტყვანიც ასრეა—თუ მიფარვით გაქვს, საქმე გაგირიგდების, თორადა შენს მტერს შენს საწადელს ეტყვიან და მაგიერს ისიც ეცდების, რომ გაჯობო(ს). ასრევეა საქონლისა მიფარვით შენახვა, ამისთვის რომ უქონელს არც მემშურნე ასტყდების და არცა მოძალადე წართვაშს რასმე.

აბა თუ მქონიერობა შეგატყვეს, დაგიწყებენ სამსახურსა და ქებასა გამორჩომისათვის და რაგინდ ყველასათვის ბევრი მიგეცეს, მაშინც მემშურნობას ვერ დაიშლის და ასრე იტყვის—რასთვის ამას ჰქონდესო და მე არა მქონდესო. აქა იქა ამის ქონების სიბევრის ხმას დაადგდებენ რომ მეპატრონეთ შებეზლდეს, რომე ყოველი მეპატრონენი წართმეულის საქონლით გაზდილან და მათაც ის

გუნება აქვს და სხვათა საქონლის წართმევასა და თავის სალაროს შემატება უნდა და მრავალი სული და ოჯახი გაუკითხავად მემშურნეთ საქმით წაუხდენია და სხვათა საქონელი თავისთვის შეუნახავს და ანაზღაურად მიცვალებულა და ძალად და ნებით რაც უშოვნია, სხვათ დარჩომილა და მას განკითხვის დღეს დიდი გარდასახადი და სატანჯური ელირსების. ისმინეთ სიტყვანი უტყუ(ა)რნი და მართალი და მრავალთაგან დაცდენილი. გაუფრთხილდით საქმესა თქვენსა და საგძალი წინ გაგზავნეთ, რომ შინათ მისელამდისინ იქ მზათ დაგხედეს, თორა რასაც უკან გამოგადვენებენ, შენ არ ზოგუწევის და შეიქნები გლახა და საქმე გაკირებული, კაცთაგან მოუხმარებელი. განკითხვაში პატრონყმობა არ იქნების, გარდუწევათ სამართალს იქ იქმენ, სიკეთისათვის სამოთხეს მისცემენ და დიდის ქებით აქებენ და სიავის მაგიერს ჯოჯობეთს მისცემენ და ანგელოზნი სწყევლიან და აძაგებენ. ვალს გარდახდა უნდა და თუ არვისი გმართებს, ვერვინ რას შემოგივა, მართველნი ღმერთს უყვარს.

ფარსადან ვიტყვი ამასა, ვიმოწმებ ღმერთსა მართალსა, ათის წლისას სამოცდა ათს წლამდისინ რაც გარდამხდომია და ან ღირსა წინგ(ნ)თა შიგან დასაწერათ, მართალი ეს არის. წესაზედ ნამეტნავი გაბედულობა მაქონდა და კელგამამავალიც ვიყავ და როსტომ მეფემ ვითაც შეილი გამზარდა და მრავალი წყალობა დამმართა და დამაქორწინა და ხუთს დღეს ბატონის დედოფლითა და საქართველოს თავადნი ჯალაღობით შინ ჩამამიდგა და ილხინა და ალხინა და კემწიფე(მ) თვითან ხარჯი გარდისხადა და მოინდომა ჩემი გაკეთება და ამ დროს როსტომ მეფის მოხმარებით ბედნიერს შაჰ აბაზს ყაენს ზალ ერისთვისათვის ყაზმინის სიახლეს ბოძრუდს ეძახიან ოცი სოფელი ებოძებინა. მე გამგზავნა, რომ იმისი მოსავალი მართალი შემეტყო. ყმა მახლდა, საკელათ თამაზ ერქვა და ჩემი ქონება და სახელო მის კელთ იყო და იმის შეუკითხავს არას ვიქმოდ. შემშურდათ მისთვის მისს ამხანაგებსა და დატყუეს და ღამით სადგომში. მჯდომს თოფი მკრა და მარჯვენა ბეჭი მამტება და მოვიდა ტირილითა და თავს ცემით, მალე ყაზმინს გამგზავნეო, რომ ჯარა მოვიყვანოო, რომ წამილი გიყოსო და მახედ ექვიც არა. მქონდა, ჩემს ცხენს შევსვი და ჯარის მოსაყვანათ გავგზავნე და ვიზიაც ექვი მქონდა, ისინი დავაპირვინე და ჯარაც მოიყვანა და უბრალოს კაცებსა ვრჯიდი. ჯარამ ასრე მითხრა— ცოდეა არისო, უბრალოს კაცებს ნუ რჯიო. თამაზა შემამეხვეწო, დამატყუესო და თოფი მე ვჰკარო, შემებრალებო, ასეთი წამალი დადევო, რომ მალ მოჰკლასო, თორა და მამკლავსო და ვინც რომ დამეპირვინა, იმათ მითხრეს: ვახშობისასაო თამაზას თოფი ექირაო და რა შინ მივედითო, თოფის ხმა მოგვესმაო და ანბავიც შეიქნაო, რომ თოფი გკრესო. ამახედ კაცნი გავგზავნე და სახლი გაუჩხრიკეს და თოფი ბზეში უპოვეს და რა მამიტანეს, ჯარა თამაზას პირს დაუყენე და უარი ველარა თქვა— მამატყუესო და მე გვარო (sic) ჯაჭრი ვერ მოვიტმინე, დავაშავე და ორივე ხელები დავაპირვინე და შევიქენ მონანავ(ე) და რაც შემეძლო სარჩო გაუჩინე და რა ცოცხალი ვიყავ, ამის ნანებაში ვიყავ და ქართლს მიველ.

ამ დროს ლევან დადიანს მეფის როსტომისათვის წინგნი მოეწერა— პაატა წულუკიძე ჩვენი ვაზირი მიიცვალაო და ფარსადან თქვენი ვაზირი არისო და გალანამც ჩვენი ერთგული და მოსანდო იქნებისო. ამას მოგელითო, რომ ჩვენი ვაზირობა მაგას უბოძოთო და აქ გამოგვიგზავნოთო. მეფის ბძანება იქნა, რომ ყოვლი რამე მორთულობა გამირიგონ და ოდიშს გამისტუმრონ. ეს ანბავი

ნამეტნავად მეწყინ(ა) და მიველ, ზალ ერისთავს შევეხვეწე და ასრე მოვახსენე: მე წასვლა არ შემძლია. თუ მიშველი რასმე, თორადა ჩემის კელით თავს მოვიკლავ. კემწიფე ნუ დამკარგავს. ერისთავი მეფესთან მივიდა და ჩენი გაგზავნა მოშალა და დადიანს ასრე წინგნი მისწერეს—გილანს არისო და რა მოვაო, გაახლებთო და ერთი წელიწადი იქ დავეჰავით და რა ქართლს მივედით, ისპაჰნის სამოვრაფოთ გაგვზავნეს და ის ანბებები რა იქნა და როგორ მოხდა, ზემორეს სწერია და მას უკან ორმოცს წელიწადს შაჰ აბას და მის შვილს შაჰ სულემანს ვემსახურე და ვიზიაც ბევრი კარგი მექნა ან მიცემითა და ან მოხმარებითა, ან ნათესავსა და ან მეყვისსა, ან მეცნიერსა და ან უცხოსა, ან ძმასა და დასა და ან მათს ქმარშვილთა, მემშურნობის გზით ყველანი ჩემს წახდენას შეუდგნეს და იყვნენ ბეზლობაში. ოთხს წელს ყაენი ცხენს არ შეჟდა. ჩემი ერთი ძმა ერანის ზარაბიბაში იყო და ს(ი)ტყვა დაუჯერებელი და თავის მამწონე კაცი იყო და ყაენის საქონლისაგან შვიდი ათასი თუმანი დაეფანტა და ცულმუდის კაცებისათვის ესესებინა. ამით ყაენთან დაბეზლდა და დაჭირვინეს და საქონელი აუწერეს—არა ჰქონდა რა. ყაენს მოახსენეს: ამისი საქონელი ამის ძმას მელიქსადათბეგ უზბაშისთან არისო აღრბეჟანსაო. ისიც დაჭირვინეს თავროზის ხანსა და აღრბეჯანის ვეზირსა და მობეზლარნიც იანი იყვნეს. ნახეს, რომ არცარა იმას აქვს და თქმული სიტყვა გამტყუვნდების. ამისთვის ჩემისა და ჩემის შვილის დავითის სოფლები და საქონელი და სახლის მორთულობა და კაცისა და დედაკაცის იარაღი, ოქრო ვერცხლი და თვალ მარგალიტით მურასა და ჯოჯი ცხვარი, ნახირ აქლემი, ცხენი და ჯორი და ან რაც იქნებოდა, სამის ათასის თუმნისა დადგა და უზბაშის სახელზედ დასწერეს და უზბაშისა არც ასი თუმნისა იქნებოდა და ყაენს გამოუგზავნეს და ყაენი ცხენს არა ჯდებოდა და ვითაც სიტყვის მათის ტყვ(ი)ლად გამოსვლისათვის კემწიფისაგან დიდი შიში და მორიდება აქონდათ, ამისთვის ბევრს უბრალოს კაცსა ტყვ(ი)ლის მიზეზითა და მოგონებით რჯიდეს და თავისთვის მრავალს ქრთამს იღებდეს და კემწიფისათვის საწყევარსა და უსამართლოა საქმეს შერებოდეს და მე ფარსადან ორი წელიწადი იყო, ავად ვიყავ და მუხლის თავები წამხდომოდა და უკაცოთ ფეკსზე ვერ წამოვდგებოდი. კარზედ მისვლა არ შემეძლო, მაგრამ რაც უსამართლო და ძალი ჩემთვის ექნათ, კემწიფის დედისათვის არზა შემეგზავნა, მაგრა ჯერ პასუხი არ გამამსელოდა. ვნახოთ, ღმერთი რასა იქს, მაგრამ ნახეს, რომ განკითხვა არსად არის და კემწიფე ცხენს არ შეჟდების, ვინც ვის მოერეოდის, გასტრცვიდის და სამსახური და გვარიშვილობა ურგებნი იყო და ეპტიმადოვლე მოქრთამე იყო და ვინც მისციის რამე, უღირს კაცს დიდს სახელოს მისცემდა და ცხადით ქრთამს აიღებდეს. კარის კაცთ ეპტიმადოვლის შეხედულობით ყველამ დაიწყეს ქრთამის აღება და ეპტიმადოვლეს ავად ეპყრობოდეს დ(ა) არვინ ეპოებოდა. ამისთვის ენა მოკლე იყო, რომ ნამეტნავად ქრთამს იღებდა, აიშალა ქვეყანა და არვინ იყო კემწიფის კარის გამრიგე¹⁾ - - -

¹⁾ ამის შემდეგ დედანს აკლია.

აქა ანბავი თვალდამწვრიანთა. პაპა კახის ბატონებისა თეიმურაზ ყოფილა და მის უფროს შვილს დავით რქმევია და უმცროს გიორგი. უმცროსი ძმა ათაბაგის ქალის შვილი ყოფილა, დავით ჩერქეზის ქალსთან ჰყოლებია. უმცროსი ძმა გაუზღვია და კარგი ცოლი შეურთავს და ბატონათ დაუსვამს. ასრე მოუხსენებია უმცროსის ძმისათვის, რომ ერთს ქვეყანაში ორი კემწიფე არ იქნებოსო, რაც გემეტებოდეს, მამული მამეცო. კახეთის მეხუთედამდისინ მამული მიუცია, საყვარელი ძმანი ყოფილან. დავით მამაცობაში ნაქები ყოფილა, უხვი და უშურველი და მსმეველ მკმეველი და კაცთ მოყვარული და ყველას გამწყო კაცი ყოფილა და კახნი ბატონის შვილობისთვის ემს(ა)ხურებოდეს. ეს ჩოლაყაშვილებმა ბატონს გიორგის მოახსენეს: კახნი შენს ძმას ემსახურებიანო, არ ვიცითო, ოუ რა სწადიანო. სჯობსო, რომ თვალები დასწვათო. ბატონს ებძანებინა: ამაში ღმერთი რას კარგს მიზამსო, გამზარდა, დამაქორწილაო და უფროსი ძმა იყო და თავისი კემწიფობა მე დამანება, რის გზით გამოვიმეტებო. მაგრ(ა) არ დაეხსენს, სიღამდისინ თვალები არ დააწვევინეს და ამდენი სინათლე შერჩომოდა, რომ ხის ძირში მწოლეს ხილამ ისრით ტრედი ჩამოუგდია. რა ეს შეუტყვია, ჯარისათვის უთქვამთ: ასეთი წამალი დადეგო, რომ სინათლე წაუხდინო, რომ ველარას კედევდესო. ჰაქიმსაც მათ(ი) თქმული უქნია და შენარჩომი თვალის სინათლე მეორეთ წაუხდენიათ და ბატონი დავით¹⁾ ყენსთან მოსრულა ორის შვილითა. შაჰტამაზ ყენს კარგის თვლით უნახავს და უბრძანებია: კარგი შვილები გყვანანო. ერთის შვილის გვერდი ფიქალი ჰქონებია, ერთ(ი) ძრიელი კაცი მამაცი ცხენოსანი ჰყოლებია და ასრე უბძანებია: შენს შვილს იმას შევებამო. თუ ჩამოაგდებსო, კახეთს მივსცემო. თვალდამწვარს მოუხსენებია — აგრე იყოსო. მაგრა ჩევი შვილი მისანდოა ცხენს შემისვითო. თავილიდამ (sic) ცხენები მოუსხამთ, არც ერთი მოსწონებია და ერთი კიდევ სხვა ცხენი მოჰგვარეს, ის მოიწონა და თქვა: ეს ჩემის შვილისათვის კარგი არისო და შვილი გასწავლა და ასრე უბძანა: შეჯექ ამ ცხენსაო და შუბი აიღე და ფარი მზათ დახვედრეო, რომ შუბის შემოცემა არ დაგასწროსო და შეუსხამთ ორნივე ცხენებსა და მეიდანში გასრულან და ქვეყანა სათამაშოთ იქ მოგროვებულიყვენ და ყენმან იმ ცხენოსანს უბძანა: თუ გარდმოაგდებსო, თავს მოგკვეთო და თუ შენ ჩამოაგდებო, ნუ მოჰკლავო. კახმან ბატონის შვილმან გარდმოაგდო, თავი მოჰკვეთა და ყენთან მოიტან(ა). ყენმან კახეთი საჯილდოთ უბოძა და ფარი ფლურით აუვსო და ქართლს წაიღო და იმით სოფლები იყიდა. სიღამდისინ კახეთი დაიქიროო, ქართლს იყავო. უწინ დირბი, ბრეთი და ბებნისი

¹⁾ აქ სწერია სიტყვა: შ ა ჰ ტ უ რ, რომელიც წაშლილია ხაზის გადავლებით

იყიდა და ერთს შვილს ციციის შვილი(ს) ქალი შერთო და მეორეს შვილს ფალავანდის შვილის ქალი შერთო და თავადები მოხმარებნიან და ღირბს მაგარი ციხე აუგია. მერმე კახს ბატონს უთქვამს: თუ ის ქართლს არისო, არ მოგვესვენებსო, კახეთს წამართვამსო. ადგა და მეფეს ლეარსაბს მოციქულები და მრავალი ფეშქაში და აბრეშუმში გაუგზავნა და ასრე შესთვალა: ყოვლს ახალ წელიწადს ამდენს საპალნეს აბრეშუმს მოგართმევო, დავითს ჩემს ძმას ღირბის ციხე დაუქციეთო და თქვენს მამულში ნუ დააყენებთო და მისი მამული მის ძმას რამაზს მიეცითო. ამათაც დაუჯერეს, ღირბის ციხე დაუქცივეს და მისი მამული მის ძმას რამაზს მისცეს და დავით იმერეთ(ი)ს მეფესთან მივიდა და იმან ზემო ქართლში ნული, თორმანეული, ღვერთეთი, ფლევი, ქანბადი, ცხეთას ჯვარი, მოხის რუისის გლეხები და სალდარი სასაფლავოთ აზნაურნი და კერკაულნი და ტატიშვილები მიუციათ. რამაზ ბაგრატი მეფეს მოსწონებია და ეს სოფლები შაჰტამაზ ყაენის ნაბოძების ოქრო ვერცხლით უყიდიათ და შ(ა)ჰტამაზ ყაენი მამკედარა და ესენი ქართლს დარჩომილან და კახი ბატონი შვიდის ათასის კაცით ნასყიდს მამულში მიუხდა და იმათ მუხრანის ბატონი მოსდგომიან და იმათ შვიდასი კაცი შეეყარათ და შვიდს ათას კაცს შემოჰმოდენ და გაემარჯვებინა და იმერელმან მეფემ რამაზს ქალი მოსცა და ქართლსა და იმერეთში იმ(ი)ს უკეთესი კაცი არ იყო და საკემწიფო კარგი ზითევი მოჰყვა, სამცხესაც მამული მიუცია და შვიდი ვაჟი უშობია მეფის დასთან ¹⁾—ქოსტანტიელა, ელიზბარ, სიოაშ, გიორგი, დავით ბოქაულთუხუცესი ყოფილა და სიოაშისათვის სვიმონ მეფეს ყლიჯყორჩობა მიეცა და გიორგი იმათი უმცროსი ძმა გაეგდოთ და ერთი მსახურიც არ მისცეს. მაგრა საცა მეფე წავიდის, თან გაჰყვის. ვინც ნახევდა, იკითხევდა, თუ ვინ არისო. მეფე ბძანებდა: რამაზის უმცროსი შვილიო. ყველანი მრავალს მისცემდენ. მაგრა ნამეტნავად უყმობას შეწყენილიყო. დედა მისი შაშვეთის (sic) ბატონის ქალი ყოფილა, მეფის ქალის შვილი იყო, სამცხეს შამშობლოსას (sic) იყო და გიორგიც დედასთან წავიდა, ვითაც ბერათ შეეყენებინათ. დედას გაუტყდა, ასრე მოახსენა: დედავო, ბერობა არ შემიძლიაო. ამის თქმისათვის დედა გაუწყრა და შვილი შემოსწყრა და მამიდასთან წავიდა. მამიდას ბიძაშვილი ავადყოფი ჰყოლია და იმას ერთი კარგი ცოლი ჰყოლებია, გიორგი უნახავს და შეჰყვარებია და ასრე უთქვამს: შენისთანა კარგი და ლამაზი ვაჟი კაცი რასთვის უნდა ბერათ იყოსო. ღმერთმან შენითაჟი მე ქრმათ მამცესო, თორადა მამის ჩემისა ამდენი მამული და სოფლები და საქონელი დამრჩომიო, რომ შენ გეყოფისო და ასი ყმაც შეინახო, მაინც კმარაო. დედაკაცს ნატრა აუხდა, იმ ავადყოფობისაგან კმარი მოუკვდა და ბერი გაიპარსა და ცოლათ შეერთო და სამცხეს დარჩა სიმამრის მამულზედ მორკმული და მოვლენილი. ძმათაგანა გალარ(იბ)ებული; უყმოთ გაგდებული, ღმერთმან ხელი მოუმართა და აღარვის ამარას არ გახადა.

¹⁾ დედანში: დასათან.

დ ა მ ა ტ ე ბ ა II.

აქა ანბავი თეიმურის გაკემწიფებისა. თვითონ მირონ ჰუსინის კემწიფისა კარგი ყმა იყო და ლაშქრის უფროსი და სპასალარი იყო და საცა მოუხდა, ყველგან გაიმარჯვა და მრავალი კარგი საკელიც დაუვარდა, ქვეყანა და ლაშქარიც მოიმაღრიელა, ზოგთ თვითან მისცა და ზოგთ კემწიფისაგან უშ(ო)ენა და კემწიფემ თვისი ქალი ცოლათ მისცა და ამი(ს)თვის ქურაქანობით იხმობენ და კემწიფე მისს უნებურათ არას იქმოდეს და ჯარსაც შეჰყვარდა. ნახა, რომ მისი საქმე სჯობს მისის ბატონის(ა)ს, კემწიფობა წართვა და თურქისტანი და ინდოეთი და ერანი დაიქირა. ვინც ნებით ეყმო, მრავალი წყალობა დამართა და საბატონოც მისცა და ვინც არ მოუვიდა, წაუხდენელი არ მოურჩა. ქვეყნის ქირვით თავრიზს მოაწივა. ქართველთაგან თავრიზს მჯდომს თემურს ანბავი მოუვიდა: ქართველნი მოუხდნესო ნახჩენსა. სულთან მაჰმადის შვილს სულთან თაჰრს აღინჯის ციხე წაართვესო და არაზს გაღმართი სრულ დაიქირესო. ამ ანბავსზედ თემურ კემწიფე ნამეტნავად გაჯავრდა და ასრე ბრძანა: სამის ოთხის დღის სავალის გზას ზედანო რადგან ამ რიგი გაბედულობა აქეთო, დიდი შეუპოვრობაც ექნებისო. სრულ თავი' ლაშქარს უბრძანა: ათმან ცხენოსანმამ სამ(ი) კაცი გამოარჩ(ი)ვეთო, ცხენ კაციან კარგი და შემძლე და კელ გამამავალი, ძალით ძრიელი და წლით ახალი ვაჟკაცი იყოსო და ათის დღის საგძალი აიღონო, ილღარსა ვიქო და საქართველოს ყათლამს უზამო. ამირ შიხ იბრეიმ შ(ი)რევანის ბატონი გვერც ახლდა და თავრიზით ბილაღანს მივიდა და იქილამ შ(ი)რევანის ბატონი გაისტუმრა და თვითან ლაშქრით უწინ გავიდა შაქისს. ხიმშია კახეთისა და შაქისის ლაშქრით საომრად მიეგება თეიმურ კემწიფესა. შეიქნა მათში ძრიელი ომი თურქთა და ქართველთ შვა. ორგნითვე თავგამომეტებით დაუშინეს ერთმანერთსა, ორგნითვე მრავალი დაიხოცეს. თემურ ბედძრიელი და კიმშია მრავალჯერ ომ ნაცადი იყო. შეატყო, რომ თურქნი გაიმარჯვებენ და ხიმშიამ იქაურობა კარგად იცოდა. ტყეში გარდუქცია და სამ ორს ალაგსზედ თურქნი ჩამოკდნეს და ოცს დღე ლამეს გარდულებლათ იწვიმა და ითოვლა. იქილამ აიყარნეს და კახეთს შეესივნეს და ვინც ნახეს, მოკლეს. საღდრები დაუქცივეს, კვენარნი და ვენახები აუჩეხეს და საკლები დაუწვეს და ნიგვზის კებს ტყავები დაძერეს. ზამთარმან შეაღნა და ცხენები უქმელობით დაეხოცა და ლაშქარი დაუმშივდა. ზამთრის სიძრიელემ შეაწუხა და აიყარა და ყარაბაღში მივიდა და იქ იზამთრა და გაზაფხულისას ანბავი მოუვიდა, რომ ბაგრატ მეფეო ულაშქროთ თბილისს ქალაქში არისო. შეუტყობლათ თემურ კემწიფემ ყარაბაღით ილღარი ქნა. ქალაქს მიუკდა და მეფემ ბაგრატ ციხე ქალაქი ვაამაგრა. შეიქნა ომი და ბრძოლა. ქალაქის ციხეს სიახლოეს მაღალნი მთები არიან, რომ იქილამ თოფნი და ზარბაზნები ესროლელების. იმ მთის თავებს ზე-

დან თურქეთ კოშკები აუგეს და ზარბაზნები აიტანეს, ციხესა და ქალაქს შიგან დაუშინეს. სიღამდისინ ქალაქის გაღაფანი არ აედოთ, დღეში ორჯელ სამჯერ ქართველნი გამოვიდნან და წაუშენდიან თურქთა. შეიქნებოდა ომი და ცემა, მრავალს ნაენებს უზემდეს თურქთა და ისრევე ქალაქში შევიდნან. მაგრამ მთებიდამ ზარბაზნის ცემით შიგ მყოფნი შეჯგურდენ და უწინ ქალაქი აიღეს და მეფე თავისის ჯარით ციხეში ავიდა და იქილამ იბრძოდეს. მაგრამ იქიც თაბორის წვერიდამენ ზარბაზნით შეაჯერეს და ღონე გაუწყდა და უვნებლობის ფიცი და პირი გამოართვეს და მეფეც თემურთან მოვიდა და ციხეც მოსცეს და მეფეს კარგად დახვდა, მრავალი პატივი სცა და ქალაქით აიყარა და ბაგრატ მეფე თან წაიყვანა და ყარაბაღს მივიდა და არღუნ შაჰადა რზმან ხოჯა დიდის ლაშქრით კახეთს გაუძახა და ააოკრეს და მეფე ბაგრატ თეიმურის პატივებით ყარაბაღში გათათრდა და თემურ კემწიფემ მეფესაცა და მეფის ყმათაცა მრავალი მოსცა და თავის საბატონოში გაისტ(უ)მრა.

აქა მეორეთ მოსვლა თემურ ხემწიფისა საქართველოში დიდის ლაშქრით. თემურ კემწიფე გაუწყრა თავის შვილს მირანშასა, ამისთვის რომე სულთან თაპრს ქართველებმან აღინჯის ციხე რომ წართვეს, მაშინ ლაშქრით იქ ახლო ყოფილიყო და არ მიშველებოდა. ამისთვის საბატონოც წართვა და იმის უმცროსს ძმეს შარუხს მისცა და სამასი კარგი ყმები ცხენით გარდმოუყარა და მათი ცხენები ლაშქართ დაუყო და ის(ი)ნი ქვეითათ წინ წაიყარა. კემწიფის შვილმან ერთის ისრით სროლით შაქისელი სეიდ ალი ცხენილამ გარდმოაგდო და ამის ჯილდოთ მეფობა მისცა და ბარდას იზამთრა და გაზაფხულისას დიდის ლაშქრით იმერეთს მეფეს გიორგიზედ გაილაშქრა. უწინ კაცი გაუგზავნა და სულთან აჰმად კემწიფის შვილი თქვენ შემოგკვეწნიაო, ის ჩვენთან გამოგზავნ(ე)თო. რა ელჩი ქუთათის მოვიდა, მეფემ კემწიფის შვილის თხოვნა უწყინა და ელჩს ავად დახვდა და თემურ კემწიფეს ასრე შემოუთვალა: არ არის ჩვენთ ნათესავთ წესიო, რომ შეხვეწილი კაცი ვისმე მივსცეთო. ელჩიც მომდურავი მივიდა. ეს ანბავი კემწიფემ იწყინა და ლაშქარი გაუძახა, მოსავალი დაუწვევინა, ვენახნი და ხილნარნი აუჩეხინა და იმერეთი აიყარა და ქვაბთა და ციხეთა და მაგარს მთებში აიყარა და თურქეთ მეომარი კილობნებში ჩასხეს და საცა ქვაბებში ხიზანი იყო, იმის კარებსზედ საბლით ჩაჰკიდეს და შიგნილამ ქართველნი და გარედამ თურქნი, დაუწყეს ერთმანერთს სროლა და ცემა. ზოგს საბელი გაუწყვიტეს და კილობნიანათ ჩაიმტკრივენეს, დაიკოცნეს და ზოგან ძველ ძული შეაყარეს ნავით დასველებული და ცეცხლი შეუკეთეს და რომელსაც ქვაბს კონბლის გასასვლელი გზა არა ჰქონდა, დაირჩენეს და რომელსაც კონბლის გასასვლელი გზა ჰქონდა, ვერა აწყინეს რა და ზოგან შიგნილამ ძალი მოატანეს და ძველ ძული წართვეს, ვერცა რა ამათ აწყინეს და რომელსაც საკონბლე არა ჰქონდათ და ვერც ძველძული წართვეს, ისინი კონბლმან დარჩო და ქვაბი აიღეს და თუ რამ შიგ იყო, წაიღეს და იმ ერთის გზობით თხუთმეტი ციხე და ქვაბი აიღეს და ვინც დაიჭირეს, თუ გათათრდეს გაუშვეს და თუ არ გათათრდენ, დახოცეს.

იქილამ გარდმოვიდნეს, მუკრანში იზამთრეს და გიორგი მეფე ქუთათისით გარდიხვეწა და იმერეთის უფროსნი და თავად აზნაურ შვილნი მუხრანს მოვიდნენ თემურ(რ) კემწიფესთან ძღვნითა და ფეშქაშითა. კემწიფეს შემოებეწნეს და მანც უვნებლობის შანა მისცა და ყველას კალათები ჩაცვეს და გაისტუმრეს. მუხრანილამ დიდის ლაშქრით ჯანოს მამულს მიუკლა და

ციხე დაუქცივა და აემი დაურბივა და ამირჯანშა დიდის ლაშქრით ქუთათის მეფეზედ გაუძახა. მეფე წაუვიდა და იმერეთი დარბიევს და სალდრები დაუქცივს. იქილამენ გარდმოვიდნენ და მტკვარს გავიდნენ და სამწევრისის ბოლოს დადგნენ. იმერეთით ანბავი მოუვიდა, — გიორგი მეფეო თავად აზნაურ შვილებითაო კაზრეთის ციხეში დგასო. იმავე ღამეს ცხენ კეთილის კაცით ილღარი ქნა, გორდის გზითა კაზრეთს მიუხდა. მათაც შეიტყვეს და ომი დახვედრეს. შეიქნა ცემა, დრგიალი და გაქირებული ომი და ბრძოლა და ორგნითვე მრავალი კაცი მოკვდა. იმერლებს თოფი და ზარბაზანი თავათ არ აქონდათ და მერმე ტყვია და წამალი დალეოდა და ძელისა და ქვების გორვებით იბრძოდეს და თეიმურ კემწიფეს ყოვლიფერი მრავალი ახლდა. სროლითა და სიბების მიტანითა მეფე მალვით ციხილამ გაეცალა და სულთან მჰმდის შვილი თან წაიყვანა, სვანეთისაკენ წავიდა და ქათის გზისაკენ სულთან მჰმდის შვილი ურუმში გაისტუმრა, ერთი სხვა ბატონის შვილი შხ ისმეილ საკელად ერქვა და ის თემურს გამოუგზავნა და საკვეწარი წინგ(ნი) მოსწერა და კარის კაცებს ფეშქაში გაუგზავნა და კაზრეთი წახდინეს და სამცხეს გარდვიდა და ათაბაგის ქვეყანა დარბივა და შვიდი ციხე აიღეს და სალდრები დაუქცივეს, საკლები დაუწვეს, ხეუნარნი და ვენახები აუჩხეს. იქილამ მანგულის მივიდნეს. იქ ანბავი მოუვიდა — ნუშბიერთი შილაო ქართველნი შეიყარნესო. შიხ ნურადინ დიდის ლაშქრით გაუძახა და ვერა გაარიგა რა. მერმე თვითან თემურ მიუხდა და ხუთი დღე და ღამე ომი იქნა და იბძოლეს. ორგნითვე მრავალი კაცი ამოსწყდნეს, ხუთი ციხე აიღეს, მრავალი ნაშორი ქნეს და ბევრი ტყვე წასხეს. აქილამ ავანაკს მივიდა და იქ ფრანგეთის კემწიფის ელჩი მიუვიდა, მრავალი ფეშქაში მიაართვა და მურად ბეგის შვილი ყაესრის ნათესავი რომ ფრანგთ ომში დაერჩინათ, ისიც გამოეგზავნა, კემწიფის დანავედრი სიტყვენი მოახსენ(ა)და წინგნიც მიაართვა ფრა(ნ)გეთით ელჩის მოსვლა კემწიფეს ნამეტნავად იამა, კარგად დახვდა და მრავალი უბოძა და ყველას კალათი ჩაცვეს და თვითანც ელჩი გაატანა და დიდის პატივით მეჰმანდარი გაატანეს და გაისტუმრეს და ორს თვეს ცხენები ბალახსზედ გაუშვესა მანგულის მინდვრებშია. იქილამ აიყარა.

აქა თემურ კემწიფის მისვლა საკაზსზედან. საკაზის ქალაქი სალჯულაანთ კემწიფის ალაღინ ქეიყუბადისაგან აშენებული იყო. გარეშე კედელი გათლი(ლი)ს ქვით გაეკეთებინა, ათი ადლი კედლის განი იყო და ოცი ადლი კედელს სიმაღლეს აქუნდა და სიღრმე ხანდაგისა წყალსზედ ჩაეწვდინათ. მარცხენას მკარეს შესათხრელი ალაღი აქონდა. კემწიფე იქით დადგა და ციხეში კონთქრის მცველნი იდგნენ. მუსტათა ფაშა ოთხის ათასის კაცითა შიგნით იყო. თემურ კემწიფე იმ ციხეს შემოადგა და ყველგნით მალალი სიბები გაუკეთეს და თერამეტს დღესა და ღამეს იბრძოლეს. შიგნილამენ და გარედამან ერთმანერთს ცეცხლს აყრიდნეს, ვითაც სეტყვა ფინდიხს სწვიმდა. შეჯერდეს ციხეშინ მყოფნი და უვნებლობას შემოიკვეწნენ. კემწიფემ ამანი მისცა და ციხე მოსცეს. ამ დროს ანბავი მოუვიდა — სულთან აჰმად ბაღდადისო ბატონი ხონთქართან მივარო. ლაშქარნი გაუძახეს, მაგრამ ვერ მისწეოდეს, მაგრა ზოგი რამე ბარგი წაერთმევინათ და კემწიფეს მოუტანეს. საკაზს მცველი დაუყენა და იქილამენ აიყარა(ა).

აქა თემურ კემწიფე მალთაზედ წავიდა. შემოადგა მალთიას და ისიც აიღო. ამას წინათ ილდრუმ ბაეზიდ კონთქარს ქურთისტანი და აღრბეჟანი დაერბივა. ამისას ჯავრით თემურ კემწიფემ კონთქარს ზედ გაილაშქრა და ერთმანერთს

მუქარის წიგნები სწერეს. თემურ შეკვეთით ბაღდადის ბატონი სულთან აჰმად სთხოვა და კონთქამან შორ დაუქირა და არ მოსცა. ეს თემურ იწყინა და ხონთქარს ასრე წინგნი მისწერა: რჯულის გზით ჩვენგან თქვენზედ მართებული არ არის ლაშქრობაო, რომ სხვათა რჯულიანთ ფრანგს ებძვითო, მაგრამეო აღრბეყანი ააოხრეო და მუსურმანთათვის მრავალი ძალი და უსამართლო გიქნი(ა)ო, ამისი გარდახდევნება გეპართებსო. შენ ფრანგზედ გალაღებულ კარო და ცხვირში ქარი შეგგდომია, მინდა ის ქარი ამოგართვაო. იმან პასუხი ასრე მოსწერა: მინდოდა იქივე მოგკლდომლიო, თვითან მოსრულ კარო და ხონთქარს ასრე ეგონა,— დიდი ხანია ლაშქრობსო და ცხენით კაცამდისინო შეგკრებულნი და დალაღულნი იქნებიანო და ჩენი ჯარნი და მათნი ცხენებნი მოსვენებით არიანო. მისწერეს ამბრი და ყოველგნით მრავალი ლაშქარნი შეიყარნეს და ბერძენთა და ფრანგთ კემწიფებმან შვილები ლაშქრით ხონთქარს მოაჴველეს და თემურ კემწიფებზედ წამოვიდნენ, ერთის დღის სავალზე მოახლოვდნენ და საომრის აღგილი აცნეს ერთმანერთს.

აქა ოში ლანგთემურ ხემწიფისა და ილდარუმ ბაეზიდ ხონთქარისა. იქიღამ ისინი და აქედამ ესენი მოახლოვდნეს რაზმნი და წინ წადგნენ, შარ ბაშარანი გაშალეს, დროშები გარიგეს მარჯვენ მარცხენან(ი) და გაიმადრეს წინანი და უქანანი და კემწიფები დადგნენ დროშასზედაო შეიქნა მითვე მოტეყანი, წაუშინეს ერთმანერთსა, აწვიმეს ფინდიხი და ისარი ვითაც სწრაფი სეტყვანი, ამალღდა კმა კმაღთ ცემისა და მუხარათთ ხეტქინებისა შორიღამენ ისმოდა, ლახტი(თ) ცემა და შუბთა ძვრება და ფარებს ზედან ჯახი ჯუხი. ორგნითვე ძახილი ლაშქართა ცის ქუხილს ემგზავსებოდა და ორთვეთ საომართ შვა მოკლულის კაცით ასე კაივსო, რომ მძოვრისაგან მეომარნი ცხენებს ვერ დაუძრევდეა. ასეთი სისხლის ღვარი აღვა, რომ მკვდართ აღგილს უცვლიდა და ყოველგან ცხოვრებაშიგ(ა)ნ ასრე სწერია: რა ქვეყანა დაარსებულა, ამ რიგი გასაქირი ომი არა. ქნილაო და ბოლოს ლანგთემურ კემწიფემ გაიმარჯვა. ხონთქარი დაირჩინეს და თემურს წინ მოიყვანეს. კემწიფე ფესხზედ წამოუღდა და წინ მიეგება და თვალპირი გარდუკოცნა და კელი დაუქირა და თავისს ტახტსზედ შესვა და ბოღიში მოითხოვა და სამებელი სიტყვები მოახსენა და დიდი პატივი მიაპყრ(ო) და საკემწიფო კარავი მოუფენინა და კემწიფემ თავისი შვილი მეჰმანდრათ დააყენა, რომ რაც მოითხოვონ ფიცხლავ მითართან ხონთქ(ა)რსა დ(ა) ადაბითა და დიდის კრძალვით ვითაც ყმა ხონთქ(ა)რს ისრე ემსახუროს და საცა ვისმე ხონთქარის შინა ყმა დაექიროს, მოჰგვარონ. ფიცხლავ მოჰგვარეს და გვერც აახლეს. ხონთქარმან თემურ კემწიფეს კაცი გაუგზავნა—ჩემი ორნი შვილნი ომში ჩემთან იყვნენო—სულთან მუსა და სულთან მუსტაფა. თუ ცოცხალნი იყვნენ, ჩემთან მოიყვანონო. ფიცხლავ მოახსნეს, საკემწიფოს ტანისსამოსით შეჰკაზმეს და ხონთქარს მიჰგვარეს. რა შვილებმან მამა ნახეს, ასტირდნენ, მამას ფეკს მოეხვივნეს. მამაც აუტირდა და ეს თემურს მოახსენეს. მეორეს დღეს თემურ კემწიფე და თავისი შვილნი და შვილისშვილნი და ერან თურანის მეფენი და მეპატრონენი შეკაზმულნი კემწიფეს გვერც იახლნეს და ხონთქარის სანახავად მივიდა და ხონთქარი ნახა და უნებურათ თემურს სიცილი მოუვიდა. ხონთქარს ეწყინა და ასრე მოხსენა—დღე უღამოთ არვის უნახავსო, ყოველი იძვრის(ი) მიწათ იქცევისო. თემურ ასრე მოახსენა ხონთქარსა: ამაში ღმერთს ვიმოწმებო, რომ გაკარებითა და ჩემად სამებლად არ გამიცინიაო. ამაზე სიცილი უნებურად მამივიდაო, რომ

მღთის წინაშენ ქვეყანა(ნ)ნი როგორ უფასონი არიანო, რომ ჩემისთანა კოკლ-
მანო და თქვენისთან ელამმანო ცუდს საქმეზედანო ორასი ათასი კაცი შე-
ვახოცეთო, თუარად(ა) მე თქვენზედ გამოაჯვება ცოდვათა მჩანსო, არა თუ
მადლათაო, მაგრა ბედის წერამ ასრე მოახდინაო. მე თქვენთან ელჩნი გამოვე-
გზავნეო და თქვენ მაგიერი ელჩი არ გამამიგზავნეთო და წინგნი მოგწერეო
რომ ყარა უსუფს თქვენთან ნუ შეინახავთო და არ დამიჯერეთო და კაცი გა-
ხელო—ადრბეყანსა და ქურთისტანს ნუ მირბევო. უფრო დაუწყვევ რბევა და
აოკრებო. ქუმაყის ციხე გთხოვე და არ დამანებეო და სულთან აჰმად არ შე-
მამარიგეო. ღმერთმან იცისო, ამაებს ყვედრებით არ მოგახსენებო და ამ თქმით
გუნებით დამიცილიაო, ათს თორამეტს დღეს ჩვენი სტუმარი იყვენითო და დარ-
ჩენილს კაცთ დაკოდილნი გაუმთელდეს რომ ცხენთ შეჯღომა შეეძლოსო და მას
უკან ვითაც თავსა ჩვენსაო თქვენ უფრო ნამეტნავის სიმდიდრით და კემწიფო-
ბა მორთვით გაგისტუმრებთო. კემწიფის ნათქვამი სიტყვები ხონთქარმა მოი-
წონა და დაუჯერლობის ბოდიში მოითხოვა და მრავალი მადლიც მოახსენა-
თეიმ(ურ) კემწიფე დაბრუნდა, თავის კარავში მივიდა, იკმო თავისნი ვაზირ ვა-
ქილნი და ასრე უბრძანა: როგორც ჩემთვის, უკეთესათ ხონთქრისათვის საკე-
მწიფო იარალი და მორთულობა ყოვლის ქარხანებისაგან ახალი და უხმარებე-
ლი გარდაარჩეთო, მინდა თავის საკემწიფოში გავისტუმროთო. ილდრუმ
სიცქეიტისა და ჯავრიანობისათვის ერქვა სულთან ბაზიდ ხონთქარსა, გუნება
ვერ მოიმშვიდა, ჯავრმან და ნალველმან ავად გახადა, მრავალნი ჰაქიმნი და
წამალი მიიყარეს, რაც სენთა და ქირთა მცნეთა წამალი თქვეს ყველა უხვეს
და მისთვის წამალნი და ჰაქიმნი მოუხმარებელნი შეიქნეს და ველარ უშველეს
და აღშაჰში მიიცივალა და რაც მისთვის ეწადათ, მისს შეიღებს მისცეს და სა-
ქონელი და მორთულობაც. შეიღებიც მამის მცხედარს გაატანეს და ან საცა
მათნი ყმანი იყენეს, ისინიცა და კემწიფურის წესით გაისტუმრეს, თავიანთ მა-
მაპაპათ საფლავსა წაიღეს. რა ურუმთ ხონთქრის სიკვდილი გაიგონეს, სულთან
მჰმდ უფროსი შვილი მამის ალაგზედ გაკემწიფეს და თემურ კემწიფეს ძღვე-
ნი და ელჩნი გამოუგზავნა, თავდაბალი წინგნი მოსწერა. ამანც ერთის რჯუ-
ლიანობისათვის მისგან კელი აიღო და მალთიას აქეთ ყველგან ახალი ბატონე-
ბი დაუსხა, იქითი სულთან მჰმდ ხონთქარს დაანება.

წასვლა თემურისა იელსარაჰს (sic) და მ(ი)სრეთ(ს). დაიქირა თემურ კემწიფემ
უწინ თურქისტანი, ინდოეთი, რუსეთი, დაშტი ყბჩალი, ხორაზმი, ზაბულის-
ტანი, ხორასანი, გილ(ან) მაზანდარა, ერან არაყი, ფარსი და არაბისტანი, ლო-
რისტან ქურთისტანი, შირაზი და ქირმანი, ადრბეყანი და სომხითი, დაღ(ი)ს-
ტანი და გურჯისტანი, მალათიას აქეთი ანატოლის ქვეყანა, ილდრუმზე გაიმარ-
ჯვა, მალათიას აქეთი მაშინ დაიქირა და დიარბეკირსზედ ჩაიარა. ვინც წინ
მიეგება, არა შეუშალარა და სხვაც მრავალი წყალობა დამართა და თავისი სა-
ბატონო არ მოუშალა. ვინც უარს დაუდგა და წინ არ მიეგება, ისიები დახო-
ცა და მათი ადგილი სხვათ უბოძა და შამის ქალაქში მივიდა დმიშხს საკე-
ლათ თქმულსა და მისრეთის კემწიფის ყმა ბატონობდა. თეჰი გაუშვა და მ(ი)ს-
რეთს გარდინხეწა და მისრეთის სულთანნი დიდის ლაშქრით წამოვიდა თემურს-
ზედან. თემურს მოახსენეს, რომე მისრეთის სულთანნი დიდის ლაშქრით თქვენ-
ზედ წამოსრულაო. ამანც ლაშქარნი მზ.ს დახვედრა იელუსალემის ორის დღის
სავალსზედან. სამს დღესა და სამს ღამესო იბრძოდეს დღისით და ღამით გაიყრებო-
დიან. მისრეთის სულთანნი ისრით მოკლეს და მათი ლაშქარი ზოგნი გაიქცნეს
და ზოგნი დახოცეს. აქეთაც მრავალნი ამოსწყდნენ, მაგრა გამარჯვება და მა-

თი სალარო და საქონელი თემ(უ)რს დარჩა. მივიდა იელსალემს, სოლომონის ტახარი ილოცა, რაც დაქველული მეჩიტები იყო, აშენა და მრავალი შესაწირავი (მისცა), ქრისტიანთ საღვრები დაქცია, მეჩიტები ააშენა და ქრისტიანთ საღვრები დაუქციევს. იქივ იელუსარემის ქალაქში იყო რომ ზანგავარის კემწიფეს და ჰაბაშის კემწიფესა ელჩები გამოეგზავნათ და მრავალი კარგი და უცხო რამეები ძღვნათ გამოეგზავნათ ოქრო და ვერცხლი და კარგი და რჩეული და ძვირფასის თვალმარგალიტნი ასი ათასი სათვალავით, ვითაც სანთელი მწვილი ოქროს მარჩილი ზედ ჯვარცმის საკე დალათ ნაქედი ნაკრავი. რაც იარალი უნდოდათ, უკვეროთ და უცეცხლოთ მისგან კელით გაიკეთებოდ, ასი ქრელი ვირი და ასი სპილო—ისინიც თითოს ვირის ოდენი, თორმეტი სამანდარი ქათამი უფრთო და უბურტულო, ერთი ცხრა ქვეიშის თევზი რომ საგანგურს ეძახიან, ასი ქალი და ასი ვაჟი(ი), თითო ათთორმეტის წლისა თმა გრუზნი ვითაც გიშერნი, ფერად კბილ თეთრნი ვითაც მარგალიტნი, ობოლნი, კარგ ტანად კარგად ნაქმარნი, სახეობა შეენიერხნი და ნამეტნავად ლამაზნი და ტურფანი და ნამეტნავად სანდომობით საყვარელნი, კარგად მკვრელნი ყოვლის საქრავისანი და ყოვლის ხმითა და უსულით კარგის მულამით მომღერალნი. რა ესები თემურ კემწიფეს წინ მოასახეს, ნამეტნავად იამა და გამკიარულდა რომ ყოველი მოსაწონი იყო, ნამეტნავად თმაგრუზნი ქალ ვაჟნი მოსწონდა და უკაროდა. ელჩებს ნამეტნავად კარგად დახვდა. მრავალი საქონელი, ხალათი და ყოვლის რისმეთაგან უბოძა და თვითანც ელჩი გაუგზავნა და მათის გამოგზავნილის ძღვნის სამი ზომა უბევრისი ყველა კარგი და დარჩეული ყოვლის რისმეთაგან კემწიფეთ მოსაწონი რამები გაუგზავნა, ელჩები გაისტუმრა და მასუჟან იელუსარემით მისრეთისაკენ გილაშქრა. მისრეთის ბატონის შვილი რომ მამა მისი თემურს ომში მოეკლათ თავისის ჯარითა და მ(ი)სრეთის მეფეებითა და მთავარ თავადებით თემურ(ი) კემწიფეს წინ მოეგებნეს. რა ჯარნი გაიცადეს, შორიდამ დაუქვეითეს. ახლო რა მოვიდნეს, კემწიფეს თაყვანი სცეს და მის წინაშენ მიწას ემთხვივეს დიდის მონებითა და მორიდებითა. რა ქალაქში შევიდნენ, კემწიფის შვილმან თემურ კემწიფე თავის სასახლეში ჩამოახტუნეს და ექვსს თვეს ასის ათასის კაცითა ისტუმრეს და სასმელ საქმელი ცხენკაცისა და ტანისსამოსი და ან რაც ვის უნდოდა იმ საქმელს მისცემდიან სულთანის შვილის სახლიდამე, არა თუ თემიდაზენ და კემწიფის შვილს დედა ჰყვანდა ნამეტნავად კვიანი და ნამუსიანი, შვილს ასრე უთკრა—ჩათრეულსაო ჩაყოლილი სჯობსო და დღეს ჩვენი სიკვდილი და სიცოცხლეო თემურ კემწიფეს კელთ არისო. თორმეტი ტაბაკი თვალ მარგალიტით ავსეო და ერთს ტაბაკს ზედანო სალაროს კლიტები დააწყეო და მე თვითან შევალ კემწიფის საჯალაბოშიგანო. ამ ძღვენსაცაო და სალაროსა და ქვეყანას მისრეთისასაო ნებით მივართვამო და მისგან სარჩოს გიშოვნო. შვილმან დედის ნათქვამნი სიტყვანი მოიწონა და ტაბ(ა)კებით თვალ მარგალიტი და სალაროს კლიტები დედის კელით კემწიფეს შეუგზავნა, თემურს წინ მიიღეს. მრავლის ტირილითა და ცრემლის ღვრით დედა შვილის არ წახდენას შეეხვეწა. რა კემწიფემ ნახა დედა შვილისათვის შელონებული და ცრემლთა ფქვევით და ლუღუნებისაგან ცრემლი სწვიმს და სიტყვას ვერ აგნებს, შეიწყალა და თავის საკელსზედ მისრეთს თეთრი მოაქრეინა და სხვა სალაროც და მისრეთიცა დედის შებრალულებისათვის მისრეთიცა და სალაროცა შვილს მიუცა და ძღვენი და კარაჯა დადვა და იქიდამ აიყარა და აბრამის ტახარის დღეობასა რომ ჰაჯს ეძახიან მაქას მოვიდა. მრავალი მადლი და სახელი ქნა და იქიდამენ მჰმდ ფეილანბრის საფლავის სალოცავად მადინის ქა-

ლაქში მივიდა. იქიკ მრავალი სამადლო საქმე ქნა და მრავალი შესაწირავი მიართვა. იქიდამენ ბაბილოვანის ქვეყანაში ქალაქსა ბალდადისს მოვიდა. იქ იზამთრა. აღრბეჟანით ანბავი მოუვიდა—ათი წელიწადია ვიბძვითო და აღინჯის ციხე ვერ აგვილიაო. ისრევე ქართველთ უქირავსო. გაჯავრდა თემურ კემწიფე და აიყარა და ბალდადით თავრიზს მოვიდა და ოთხის თვის მოსვენება მისცა, ლაშქართა საქართველოზედ წასვლისათვის.

აქა მესამეთ წახვლა თემურ კემწიფისა საქართველოსზედან. რა მისრეთის ლაშქრობისაგან თავრიზს მოვიდა, მოახსენეს—ათი წელიწადი არისო, რომ ლაშქარი აღინჯის ციხესზედან იბრძვისო და ვერ აუღიათო და ისრევე ქართველთ უქირავსო. ეს კემწიფემ იწყინა და საქართველოსზედ გაილაშქრა. რა კემწიფის გამოლაშქრება აღინჯაში მყოფთ ქართველთ გაიგონეს. თავიანთ ნებით ციხე დაუტალეს და გელაქუნის ზღვის გარეშემო და ანისის ქალაქი და გარეშემო ციხეები დაუტალეს, აიყარნენ და საქართველოში წავიდნენ. თემურ კემწიფე დიდის ლაშქრით მანგულს მივიდა და შიხ იბრეიმ შირვანის ბატონი თავისის ლაშქრით თან ახლდა. ერთგული და მისანდო იყო კემწიფისა, მას ჰკითხევდა საქართველოს ანბავსა, კიდევ უჯერებდა და კარგათაც იცოდა საქართველოს გამოსაღები თუ რა იქნება და გიორგი იმერეთში მეფობდა და თემურისაგან მახედ გალაშქრება ნამეტნავად ეწყინა და ელჩი და ფეშქაში წინ მოაგება და სახვეწარი წინგნი მოსწერა, ასრე რომ თუ ყმობა და მორჩილება არისო, ჩვენც მაგათი ყმანნი (sic) ვართო და რასაც ვეიბძანებნო, ვემს(ა)ხურებითო. თუ ძღვენი და ბეგარა ებრძანებნისო, შეძლების ღონით ყოვლს წელიწადს ვახლებთო და თუ ჩვენი გვერც ხლება უნდათ, ვითაც ამას წინათ ჩვენს ქვეყანაში მტრის ლაშქარი არ შემოსულიყო და მაგათ ლაშქარი შემოგვისიეს, ქართველთ ცაღშვილის წახდენის შიშით შემოებნენ და ორგნითვე მრავალნი დაიხოცნეს. ამისის მორიდებით კარზედ მოსვლა არ შეგვიძლია. ეს წინგნი რომ კემწიფეს წაუკითხეს, გაჯავრდა და ლაშქართ უბრძანა,—გიორგი მეფის ფეშქაში იალმა ქნეს და დაიფ(ო)რაქეს და გიორგი მეფის კაცს ასრე უბძანეს: შენი საქმე სხვათ მეფეთ არა გავსო. შენგან მრავალჯერ გარჯილი ვარო. აწე თუ გინდაო ჩვენს რისხვას მორჩეო, ჩვენს კარზედ უნდა მოხვიდეთო, თუ არა და სხვა რიგათ შენგან კელს არ ავიღებო და თუ მოხვალო, ამდენს წყალობას დაგმართებო, რომ ქვეყნის მეფენი შენ გნატრიდნო და თუ ჩვენს რჯულს ერიდებო, ძალათ არავინ დაგპატიუებსო, ხარაჯას დაგდებო და დიდის პატივითაც შენს საბატონოზედ გავისტუმრებო, როგორც კოსტანდილის ბატონს უყავო, რომ ისიც ქრისტიანი და შენის რჯულისანი იყო, კარგად გავისტუმრეო. მგონ შენც გავეგონოსო, თუ ჩემთან მოსვლით რა წყალობა და პატივი ღავმართეო და ისრევე თავის საბატონოზე გავისტუმრეო. თუ მოხვალ, შენ უფროს წყალობას დაგმართებო და ისრევე შენს საბატონოსზედა გავისტუმრებო და თორა და სხვა რიგად არ შეგიხევეწებო. მეფის ელჩნი რომ წავიდნენ, კემწიფეს ასრე მოახსენეს: იმერეთის მოსავალი ფეხსზედ დგასო. თუ დავაცლით მოსავლის აღებასო, საქმე გაგვიკირდებისო. სჯობსო, მოსავალი ჩვენ წავართვათო, ამირ შხ ნურადინ დიდის ლაშქრით იმერეთს გაუძახეს და იმერელნი მთებში და სიმაგრებში დაიხიზნეს და მოსავალი თურქთ აიღეს და თემურ კემწიფე მანგულით აიყარა და იმერეთსზედ გამგზავრდა და გზაზედ ერთი ციხე ნახა რომ სახელი ციხის ცხოვრების წინგში არ ეწერა, მაგრა ასე მისი სიმაგრე ქებით დაეწერა, რომ სრულ ქვეყანათაზედ ამის უმაგრესი ციხე არსად არისო. თვითან თემურ კემწიფესაც ებრძანებინა: ათასი ციხე უფროსიც

ამილიაო და მე ამის უმაგრეს ციხე არ მინახავსო. მაღალს მთაზედ ანაგები-
ქვითა და კირითა და ორგნითვე ღრმა ლელები ახლავსო, გარეშემო აღრიტალი-
და ვიწრონი და უსწორო ლელები აქონდაო და ვიწრო ალაგი იყო რომე კა-
ცისაგან არ დაიდგმურებოდაო. იმ მთას ას ორმოცა ათი ადლი სიმაღლე აქონ-
დაო. უკიბოთ და უაბოთ ასვლა არ იქნებოდაო. ერთი ნამეტნავად ვიწრო
გზა აქონდაო, ვერც ძირში კაცი მიუღდებოდაო. ამ რიგს გასაკცი(რი)რეგებელს ალაგს-
გაეკეთებინაო. ციხის პატრონს თარა ერქვაო და ას ორმოცდა ათი კაცი ცი-
ხეშიგან ახლდაო, მრავალი ცხვარი და ღორი იმ მთაში ჰყვანდაო. ციხეს გარეთ
მარანი ჰქონდა ღვინით სავსეო და ამას წინათაც თემურ კემწიფეს ამ ციხეს
ქვეშ გაეარაო და არ შემოსდგომოდაო. ამ გზობით ალება შოინდომა, ვაქილ-
თა და ვეზირთ გამოჰკითხა. იმათ ასრე მოახსენეს: ეს ციხე ძალათ არ აიღებისო
თუ არ შიმშილისაგანო. თუ ბევრს ლაშქარს მოუყენებთო, საქმელს ვერ იშო-
ვნიანო და თუ ცოტას მოუყენებთო, მტერი ამოსწყვეტსო. კემწიფემ ამის
მთქმელთ უწყინა და ბრძანება ქნა—ლაშქარი ციხეს გარ შემოადგესო, ყველამ
კიბენი და მანჯანიყები გააკეთონო და ამირ შაჰა მელიქმან სამს დღეში იმ
ციხის პირდაპირ ასეთი ციხე გაუკეთა, რომ სამი ათასი კაცი დაეტეოდა და
სხვამ ლაშქარმანც იმ ციხის გარეშემო ორი სხვა ციხე აუგეს. ამისთვის ესები
აავებინა, რომ ციხეში მყოფთ შეიტყონ, რომ აუღლებლათ აღარ წავა. თვითან
კემწიფე ციხეს უკან დადგა. კიბენი და მანჯანიყები გააკეთეს ციხის სიახ-
ლეს, ხითა და მიწით ავსეს, მაღალი საფარი აუშენეს, რომ ციხეში ჩასკვრე-
ტდა და ქართველთ ციხის სიმაგროსაგან დიდი იმედი აქონდათ რომ კემწიფის
ამდენი ცდა და სარჯელი ხუმრობა ეგონა და მართლა არ გაუფრთხილდენ
თორა და იმ ციხეს ვერვინ აიღებდა. თურქთაც ისრე მიაჩნდა, რომ არ აი-
ღებისო. მაშ არასფერში ამაყობა და შეუპოვრობ(ა) არ ვარგა. ნათქვამიც არის—
სიფრთხილე კაცს თავს არ ატკენსო. ციხოანნი კარგად ვერ გაუფრთხილდენ
და თურქნი კარგად ეცადნენ. ერთს კვირას ბრძოლით ვერა ქნესრა და ერთს
ხუთშაბათს საღამოსა ერთს ქურთს მიქრის, საკულათ ერქვა ბიჩაგ, რომ გვა-
რეულათ ოსტატნი იყენეს კლდეზედ და კედელსზედ სიარულსა, ხეზედ ასვლასა,
ყაბახთზე სიარულსა, ის კაცი ციხეში ჩაეპარა და ღამით ერთი თხა გარდმოი-
ყვანა, თხას თავი მოჰკვეთა, ნიშნათ კემწიფეს მოუტანა, თხის ტანი იქვე ცი-
ხეში გაუშვა. ამ თხის თავის მოტანა კემწიფემ კარგ ნიშნათ აიხდინა, ნამეტნა-
ვად იამა და ციხოანთ თავს შეუღებლობა, სიმთვრალე და ნეწიერობა, არ-
ფრთხილობა კემწიფეს მოახსენა. კემწიფემ უბ⁴ძანა,—გრძელი და მსხვილი საბ-
ლები დაგრიხონო. ფიცხლავ აბრეშუმის საბლები დაგრიხეს, კიბენი და მან-
ჯანიკენი გაუკეთეს, ცქვიტნი და კელგამამავალნი. ვაენი კაცები გამოარჩიეს
რომ კიბით ციხეში გარდვიდენ. ბიჩაჟ მიქრი უთავეს, ოცდასამსა მთვარისასა
რომ მთვარე გვიან ამოვა და ღამე ბნელი იქნება. კიბით ციხეშიგ ჩაეპარნენ.
უწინ ბიჩაჟ ორის კაცით გარდვიდა. იმ ციხეში ერთი დიდი ხე იდგა, საბლები
იმას გამოაბეს და საბლის წვერი ციხილამ გარდმოჰკიდეს. კიბების თავები ცი-
ხის დარაჯებზე საბლით მაგრა მიაკრეს. ორმოცდა ათი კაცი რომ კემწიფეს სა-
კელდებით ებრძანებანა, იმ კიბეებით ციხეში გარდვიდნეს. ნახეს, რომ ქარ-
თველთ სძინავთ და ციხის გაფრთხილებას უკან არ არიან, აოხრების ძილს
შეუპყრია. ერთმან ხორასნელმან ვაჟმან კაცმან შებრალებით ქართველთა შესა-
ტყობლათ მაღალის კმით ალაჰ ალაჰ დაიძახა. მაჰმუდა მექანარემ ნაფრი დააყვი-
რა. ქართველთ რომ ამისა ექვი არა ჰქონდათ, ეს კმა რომ გაიგონეს, ვითაცა-
შოთი და რეტიანები ძილილამ წამოიქრნეს, სანთლები ანთეს და იარაღს კელი

წამოპკრეს, საომრათ გამოუცვინდენ, ერთმანერთს კმლით წაუშინეს. შეიქნა მხილი დაჰკარ დაჰკარისა. რა გარეთ ეს კმა გაიგონეს, თემურ კემჭიფეს მოასხენეს და ფიცხლავ ცხენს შესხდენ. ციხის პირდაპირ გორა იყო, ლაშქარი მზაზედ ავიდა და ერთგნით ციხეს იერიში უყვეს. ციხეში რომ ორმოცდა ათი კაცი გარდასულიყვნეს ადგილის სივიწროობისათვის სამად გაიყვნენ და სამნი იქვე დამდგარიყვნენ და სხვანი ციხეში ჩახდომოდნენ. ომი და ბრძოლა შექენათ და საცა ამოსულიყვნენ, ქართველნი იქ მიუხდნენ. ის სამი კაცი მოეკლათ, აბდულ სავსზვარელი მიშველებოდა, ისიც თორმეტს ალაგს დაეკლათ. კიბილამ გარდავარდნილიყო და მაჰმუდბეგ იას(ა)ული მოეშველა. ისიც ქართველთ მოკლეს. უწინ კიბით შესულნი ორმოცდა ათი კაცი სამათ ციხეში ომი გაემართა. გარედამენც ბრძანება იქნა და ყოველგნით ლაშქარნი შემოეხვივნეს, ზოგნი კიბით ზოგნი ფეხით, ზოგნი ჩოჩვით იერიში უყვეს და ზოგნი თითო თითო ვიწროს გზით შეუვრდნენ. ქართველნი შიგნით იბრძოდნენ და იერიშის შიში არა ჰქონდათ. ამისთვის გალაფანს არ მიეშველნენ და გარედამა ძალი მიატანეს და ციხეს კარი გაუტეხეს და ციხე თურქთ. აიღეს, მაგრა ქართველთ სიღამდისინ ღონე და ძალი შესწევდა და ან მკლავში ძალი აქონდა, ქართველნი ნამეტნავად კარგად იყვნენ. მრავალი თურქნი მო(ა)კვდინეს, ასრე რომ თარა ციხის პატრონს ას ორმოცდა ათი კაცი ჰყვანდა და თითოს ხუთი და ექვსი მოეკლათ და თავიანთ ასორმოცდა ათის კაცისაგან სამოცი ცოცხალი იყო, ისინიც დაჰრ(ილ)ნი და დაკოდილნი. არც ძალი და ღონე შეჩომოდნენ და არცა სით მშველი გაუჩნდა. უიმედონი შეიქნეს და უვნებლობის შანას შემოეხვეწნენ. კემჭიფემ აღარ შეიხვეწია და სხვა ლაშქარიც შეუძახა. რა ქართველთ სცნეს თავიანთ ამოწყვეტა, ვისაც შეძრის ღონე ჰქონდა, წაიკრეს კელი კმალაა, ცემით თურქთ ლაშქარს შიგ გამოერივნეს და კიდევ მრავალი კაცი მოკლეს და თვითანც ზედ შეაკვდნენ. ციხე წართვეს და თარა ციხის პატრონი და ან სხვანი ვინც ცოცხალი დაირჩინეს, მკარ წაკრულნი კემჭიფესთან მოასხეს. ვითაც მრავალი კაცი დაეხოცათ და ნამეტნავად გასარჯეს და საქმე გაუქირეს, ამისთვის აღარ შეიბრალა, მათნი კაცებნი დახოცეს და ცოლ შვილნი ტყვეთ წაასხეს. ციხის პატრონის თარას ცოლი და შვილი შირვანის ბატონს მისცეს და მიკრი ბიჩავს და მისს ამხანაგებს ვინც ცოცხალი დარჩომილიყო მრავალი წყალობა დამართა. ის ციხე და მისი ქვეყანა ბოჰრან ფაშას მიაბარეს, ციხილამ აიყარნეს და დაბლა ჩავიდნენ და ოცი დღე იქ დადგნენ და ცხენი და კაცი მოასვენეს, დაკოდილნი და დაქირლნი გამთელეს. ყველას ჯილდო და წყალობა დამართეს და გარეშემო ქართველნი თავადნი და აზნაურშვილნი მოუვიდნენ და უვნებლობის შანა მისცეს.

აქედამე დიდი ლაშქარი გაუძახეს ერზნგის ქვეყანასა ზედან. აქეთ საცა ქრისტიანი ესახლნეს, ზოგნი დახოცეს, ზოგნი ტყვეთ წასხეს და ააოხრეს და სალდარნი და მონასტერნი დაუქცივეს, სახლები დაუწვეს, ხე ვენახნი დაუქრეს, ციხე ქალაქი და სოფლები დაქცივეს და ააოკრეს და საცა კაცი მოიკლეს, დახოცეს და ცოლ შვილნი ტყვეთ წაუსხეს. ეს ამისთვის უყო, რომ აღინჯის ციხეში მყოფნი ქართველნი იმათ ქვეყანაში მისრულიყვნენ და კემჭიფემ სთხოვა და უარი უთხრეს—რომ ჩვენს ქვეყანაში არ არიანო. ვინც აყრა დასწრო და დაიხიზნა სიმავრესა, მორჩნეს. თურქნიც სიმავრი(ს) ბრძოლას შეეზარებინა, ეძნელებოდათ. საცა მოიკლეს, ჯოგი ნახირნი და ცხვარნი წასხეს და ჯავახნი უკან წაევივნენ და მრავალნი თურქნი დახოცეს, ზოგთ ნაშოვარიც გააყრევივნეს, მაგრა ქრისტიანობა ძალით ააოხრეს.

მოვლა თემურისა სამცხეს და წინ მიგებება ივანე ათაბაგისა და მეფის გიორგის ძმა კოსტანტილესი, ძღვნის მორთმევა და შემოხვეწნა, ასე რომე ჩვენ კემწიფის მორჩილნი ვართ და რასაც გვიბრძანებენ, იმისი მქნელნი ვიქნებით. თუ ბეგარასა გეთხოვთ, მოგართმევთ და საცა გვიბძანებთ, შეძლების ღონით გილაშქრებთ. კემწიფემ მათი თქმული მოიწონა, მაგრა მ(ა)ჰჰადის რჯულსზედ მოსვლა დაჰპატიჟა და ივანემ ათაბაგ(მა) დაჰპატიჟა და თავის საკლში კემწიფეს დაუწოქა და ასრე მოახსენა: ჩვენი ქვეყანანი სრულ ქრისტიანი არიანო და თუ მე რჯული დაეაგდოო, ამათში ველარ დავდგებოო. ამის სიტყვაზედ კემწიფემ მერჯულენი მოიხმო და ივანე ათაბაგის თქმულნი სიტყვანი იმათ მოახსენა. მერჯულეთ კემწიფეს ასრე მოახსენეს: მ(ა)ჰჰადის მოციქულობას და მლთისაგან ანგელოზის მოსვლას არა სჯერანო და ყურანს¹⁾, მაგრა თუ ჯაზისა და კარაჯას მუსურმანს მისცემენო და თავე გამზიდვობას არ იქმონენო, თავიანთ რჯულზედ ყოფნა არ დაეშლებისო. კემწიფემ მერჯულეთ თქმული დაიჯერა და ივანე ათაბაგსა და მეფის გიორგის ძმას კოსტანტილეს ხალათი, გვირგვინი და კმლები უბოძა.

თემურ კემწიფემ ივანე ათაბაგი და მეფის ძმა კოსტანტინე ლაშქართ უთავა და სამციხიდან (sic) აფხაზეთს გაუძახა. ივანე ათაბაგი და მეფის ძმა კოსტანტილ(ე) თურქთა და მესხთ ლაშქრით აფხაზეთს გაუძახა. ვინც შეიტყო და დაიხიზნა, მორჩა და ვინც ვერ დაიხიზნა, ზოგნი დახოცეს და ზოგნი ტყვეთ წამოასხეს და აფხაზეთი დასწვეს, დააქცივეს და გამარჯვებული დაბრუნდნეს, თემურ კემწიფესთანა მოვიდნეს და მეფის გიორგის ქება მოახსენეს, გზის დანებება და ნუზლის მიცემა. კემწიფეს იამა და ათაბაგსა და მეფის ძმას კიდევ წყალობა უყო და საც ვისმე სატაბაგოს (sic) ტყვე ჰყვანდა, მოუსხმევინა და ათაბაგს უბოძა და აზატი ქნა და კემწიფემ იმერ(ე)თისა და მეფის გიორგის ანბავი ჰკითხა ათაბ(ა)გსა და ასრე უბრძანა: რისაგან არისო, რომ შენ ქართველის მეფის ყმა კარო და რისაგან არისო, რომ შენი ქვეყანა იმისის ქვეყნისაგან უბევრესი არისო. იმან ასრე მოახსენა: ლაშა გიორგის შვილს დავითსო მამიდამ ღონე გაუწყვიტაო, ქართველნი შეიფიცაო და ყაისადინ ყაისრს ქალი მისცაო და ქვეყანა რუსუდანს ძმურად გაუყო. კორტოხტისა და მახვილოს მთებს იქითაო. ქაფამდისინო ზღვა და კმელი²⁾ და მთა და ბარიო მამიდას მისცაო და მთებს აქეთი არაზის წყლამდისინ თვითან დაიქირაო. მამიდის კერძს ქვეყანასაო ზღვა და მთებო ვითაც გალაგ(ა)ნი ყველგ(ა)ნ ციხესავით გარშემოვლებია, მტერი ვერსით აუტყდებო. ლაშა გიორგის შვილს მეფეს დავითის კერძსაო აქეთ ურუმნი და იქით თურქნი და ერანელნი და არაბნიო, ჩრდილოეთით ოსნი და რუსნი ებრძვიანო. ჩვენი საკლის კაცნი ურუმთ მონაპირეთ დაყენესო და ლაშქართუხუცობადა და ათაბაგათ აჩინესო და მრავალნი თავადნი და აზნაურშვილნი თაბუნათ მოსცესო, სახასო ქალაქები და ქვეყნებიც მას მოაბარესო და ურუმთ წინ დაუყენესო. ერანელნთ მონაპირეთ მკარგძელიანი დააყენესო, თავად ხორაზმელთ ძალი უყვეს და ქალაქები და ქვეყანანი(ო) ააოკრეს და ყათლამი უყვესო. ამაზედანო ჩანგიზ ხანის ლაშქარმან ნამეტნავად ძალი უყო და საქართველოს მეფე დაიჩაგრა და ჩვენმან პაპამან მესხთ თავადები დაიმოყვრა და მიფარვით შემოიფიცა და ქვეშ ქვეშ ურუმთ კემწიფეს შერიგდა. დაუწყო თავის ბატონს ურჩობა და სახასო მამულები უქუ(ო)ქირა. ამაზედ მეფე დიდის ლაშქრით მოუხდა და შეი-

1) დედანში ამ სიტყვის მაგიერ სწერია: უ ა რ ს.

2) დედანში სწერია: კ ე მ ე ლ ი.

ბნენ და თავის ბატონს ზედ გაემარჯვა. მას აქეთ მეფე დიიჩაგრა. ამ დროსა და ასრე დამარცხებულს მეფეს ჩანგიზიანნი საქართველოს შემოესივნეს და ააოხრეს და დემეტრე მეფეს ბარდას შესახვეწრათ არღუნთან მივიდა—ეგების თავის სამეფოს არგოს რამე. არ შეიხვეწა და მეფე კიდევ მოკლა და საქართველო სხვას მიუცა და მას აქეთ თუ არ მოყვრობით, თორადა მეფობით ჩვენზედ ძალი არ შესწევს. რა თემ(უ)რ: კემწიფემ ათაბაგის თქმული სიტყვანი გაიგონა, ასე უბძანა: ვინც თავის ყმასაო ნამეტნავს პატივს დასდებსო, აგრე დაემართებისო, ნამეტნავად პატივისდება ბატონობას მოანდომებსო. მერმე კემწიფემ ათაბაგს ასრე უბრძანა: მე მეფის გიორგისაგანო ბევრი ჯავრი მახსობსო. შენც შენი ლაშქარნი შეიყარეო, და მინდა იმაზე გავილაშქრო. ეს ანბავი მალვით კოსტანტ(ინემ) თავის ძმას მეფეს მისწერ(ა).

აქა თემურ კემწიფესთან მეფის გიორგის ფეშქაში და არზიხა და ფეშქაშის მოსვლა. კარის კაცთათვის ფეშქაში და სახეწარი წინგნები მოეწერა,—კემწიფესთან მამეკმარენითო, ჯაზიასა და ბეგარას დავიდებო, ამ ნაპირის ქვეყნებსზედ ულაშქრებო და კარზედ მოსვლა არ შემძლიაო, კემწიფისაგან მეშინიანო. აღგნენ ვაზირ ვაქილნი და ლაშქართუხუცესნი, ერთგან შეიყარნეს და სიტყვანი ერთი ქნეს და მეფის გიორგის არზა და ძღვენი კემწიფეს მიართვეს და კარგად გააშინჯვინეს და ასრე მოახსენეს: ტყეში ეთი მოუხმარებელი ქვეყანა არისო. მიხვალ, გაგექცივისო და როსაც წამოხვალ, ისევე ჩამოვადო და თავის ქვეყანას დაიქერსო და ქვეყანანი დაიქირეთო და ამდენს სრულ ქვეყანაზედ არ გარჯილვართო და არც ამდენი ლაშქარნი ვისნე დაუკოციაო რომ აქ ამოგვიწყდო და ლებს იქით ლაშქრობასო თურქნი დიად შეჯერებულანო. ჩივიან და ასრე მოგახსენებენო: ქვეყან(ა) კიდევ ბევრი დარჩომილა აულდებელიო, ამ ურგებს ტყეში რასთვის ჩაგვბოცს კემწიფეო. გიორგი მეფე კარაჯას იძლევიბისო და კარზედ ამისთვის ვერ მოვადო, რომ ოთხჯერ თავს ლაშქარნი დასხითო და ცალშვილის მოსარჩენლათ კელი გაიძრაო და მრავალ ლაშქარი ამოსწყდო. გალანამც ამის შიშით კარზედან ვერ მოვადო და ამას ვეაჯებით კემწიფესაო, რომ გიორგი მეფეს შენაცოლდები ჩვენ გვაპატიოთო, ჯაზია და ბეგარა დადვითო და უსარგებლოს ტყეებში ამის უფრო თქვენი ლაშქარნი არ ჩახოცოთო. უწინვე მერჯულენი და შიხ იბრეიმ შ(ი)რვანის ბატონი მოეყენებინათ, ასრე რომ თუ კემწიფემ იმერეთსზედ გალაშქრება მოინდომოს, იმათ დაუშალონ და შერიგება გამოურჩიონ. ვაზირ ვაქილთ ლაშქართ მაგიერთ კემწიფეს შეხვეწნით მოახსენეს. კემწიფემ შ(ი)რვანის ბატონი შიხ იბრეიმ მოიხმო და მერჯულეთ ჰკითხა: გიორგი მეფე ჯაზი(ა)სა და ბეგარას იძლევიბისო, მაგრამეო არც მუსურმანი შეიქმნებისო და არ(ც) ჩვენს კარზედ მოვა, სამართალი და რჯული მშადისა რასა ბრძანებსო. მერჯულეთ ასრე მოახსენეს: თუ ჯაზიას მოგცემსო და მუს(ი)რმანთ არას აწყენინებსო, იესოს რჯული მქირავთათვისო ფელამბარს ჯასრე უბრძანებიაო,—რადგან ჯაზია მოგცესო, ნურც მოჰკლავთო ჭდა ნურც მათზედ ილაშქრებთო; თუ მუსურმანთ წყენასშიგ იყვნენო, მაშინ სიკვილისა და ტყვეობას ღირსიანო. რა ეს მერჯულეთაგან კემწიფემ გაიგონა, შირვანის მეფეს უბძანა—თქვენ რას იტყვითო. იმან ასრე მოახსენა: გიორგი მეფეს ჩვენთანც სახეწარი წინგნი მოეწერაო. ღმერთმან ეს გამარჯვება საქართველოს ზედანო რომ თქვენ მოგცაო, არც ალექსანდრე მაკიდონელსაო და არცა სხვათა კემწიფეთ არ მისცემიაო და აქნობამდისინ არც ვის შეხვეწნიანო. ამდენი ქვეყანა და ციხეები დაუქციეთო, ჯაზიაც იკისრესო, საკელი იქნების თქვენგან ჩუქებაო. კემწიფემ დაუჯერა .

აქა თეიმურ კემწიფ. მ იმერ(ე)თის მეფე გიორგი შემოირიგა. და თემურს გიორგი მეფეზედ იმერეთს გალაშქრება შიხ იბრეიმ შირვანის ბატონმან დაუშალა და იპატივა. ელჩები დააბრუნა და გიორგი მეფეს წინგნი მისწერა. რა ელჩი და წინგნი მიუვიდნენ მეფეს, ნამეტნავად იამა და გამხიარულდა. ისრევე მალ ე(ლ)ჩნი გამოგზავნა და ფეშქაშათ გამოუგზავნა ათასი ცხენი, ათასი თეთრი თემურის საკელს ზედან მოკრილი, მრავალი კარგი და უცხო ნაქსოვნი სასაკელო ჯაჭვები და იარაღები ბროლისაგან დათლილი ვერცხლისაგან გამოქედილი ჯამ კურკელი, ბადაშხანის ლალი ერთი საკელათ გვრდემლა—კარგ ფერი, კარგად წყლიანი, კარგად გათლილი, სანახავად სამებელი, თერამეტი მ(ი)სხალ სამის მარჩილის წონა და ჯუშპარ მცნეთა მისი ფასი ძვირათ ღირებისათვის ვერ დადვეს. ესები თემურ კემწიფეს მოართვეს, კარის კაცებს სხვა ფეშქაშ(ი) მოართვეს და მეფის ფეშქაშ(ი) კემწიფემ მოიწონა, ნამეტნავად ლალისა ასრე ბრძანა: ასრე კარგ ფერი და კარგად გათლილი, კარგად წყლიანი და ლალი ამ სიდიდით არვის უნახავსო, არცა სხვათ კემწიფეთ ჰქონებიათო და არც მე მინახავსო. იტყვიან, ის ლალიო ახლა ინდოეთის კემწიფის სახლსში ძესო. თემურ კემწიფემ გიორგი მეფესაო საკემწიფო გვირგვინი და კ(ა)ლათი და კმალი გაუგზავნა, დიდის ქებით საიმედო წინგნი მისწერა და იქიდამ აიყარა. ქართლზედ ჩაიარა, თბილის ქალაქს მეფეს ბაგრატს ესტუმრა და ცხენი და ჯარი შეასვენა და ყარაიაზი ინადირა. მეფესა და მეფის შვილებს, თავადთა და მეფის კარის მოკელებსა ყველას შეფერებით კალათები უბოძა და იქიდამენ აიყარა და ნადირობით ყარაბაღში მივიდა. ბილალანის ქალაქის აშენებას კელი მიჰყო და გარეშემო გალავანი გაუზომეს ორი ათას ოთხასი ყაენის ადლი, კედლის განი თხუთმეტი ადლი და კედლის სიმაღლეც თხუთმეტი ადლი, ხანდავის განი თოთხმეტი ადლი და სიღრმე ოცი ადლი ჩასთხარეს და ზომით მეფეთა და მოეხლეთა და მეპატრონეთა დაუყვეს და დამწვარის აგურით ააშენეს, ერთს თვეში გაათავეს, ლაშქარს შაჰისე(ა)ნი უბრძანეს და არაზის წყლით დიდი რუ გაიღეს, სიშორით ექვსი ალაჯი, თხუთმეტის ადლის განითა სიღრმე აქვს, ზოგან სამი ადლ(ი) და ზოგან ხუთი ადლი, ზოგან ექვსი და რვა ადლიც გასთვარეს, სათავე მაგრა შეუკრეს და წყალპატარობაში არაზის წყლის მესამედს დაიქერდა. ორს მოცს დღეზედ გასთხარეს და ვითაც წვიმა ძრიელის ღვარი მღვრია ბილაღან-მიიყვანეს. თუ არ ძრიელი ცხენით კაცი ფონს ვერ გავიდოდა. ორმოცი სოფელი სხვა აშენეს იმ წყლითა და ბილაღანის მოსავალი შხ სეფის საფლავს შესწირა და უფროსი ერთი ქვეყანანი დაიმორჩილა. ზოგან თვითან მივიდა, ზოგან ლაშქარი გაუძახა. მორჩილი მისნი გამდიდრა და ურჩნი მისნი ააოკრა და თავ გამზიდავნი წახდინა და ამოსწყვიტა და საცა თვითან ვერ მივიდა, ელჩი მოუვიდა და კარგისა და უკეთესებისაგან ფეშქაშ(ი) და ძღვენი მოართვეს. ელჩებს კარგად დახვდა და მრავალნი უბოძა. თვითანც ელჩები გაატანა. ყველანი ასრე დაიმორჩილა და ზოგან შვილი გააბატონა და ზოგან შვილისშვილები და ზოგან მისანდონი და ერთგულნი ყმანნი. უფროსი ერთი ქვეყან(ან)ი ისრევე თავის მემკვიდრეს ბატონებს მისცა და გიორგი მეფეს თავისი საბატონო დაანება, ერანი ჩაიარა და სამარყანდის ქალაქსშიგ მივიდა, ჩინეთს წასვლა მოინდომა.

თემურ კემწიფემ ხაშარყანდით ხათს მიშავალი გზაზედ მიიცივალა. სამარყანდს მჯდომს თემურ კემწიფეს მოახსენეს—ხატაეთით ვაქარნი მოსრულანო და მრავალი უცხო რამე გასასყიდელი მოუტანიო. კემწიფემან ბრძანა—ვაქარნი უკეთავიანთ, სავაქროს ქონებით მოახსითო. მოვიდნეს და რაც აქონდა, მოუტანეს. მოიწონეს და კარგნი ფასნი მისცეს და კემწიფემ ხათის ქვეყნის

ანბაენი გამოჰკითხნეს. მათ ასრე მოახსენეს: კათას კენწიფესა და ერს ქვეყნისა მათისასაო ღმერთი არ იციანო, კერპს ესვენო და ხუთანის ქალაქში ერთი კაცი არისო, დილას ვაჟიკაცი შეიქნებისო, შვადლისას წვერ უღვაშით შეიმოსვისო, მზის ჩასვლისას წვერ უღვაშ(ი) თეთრი შეექნებისო და სიკვდილი არ იცისო და რასაც იტყვის, ის იქნებისო და კემწიფეც და ქვეყნის ერნიც მისის ბძანებით არიანო და ღმერთსა სრულ ყველათ გამჩენსაო და განკითხვასა და საიქიოს სამოთხესა და ჯოჯოხეთს არა სჯერანო და ასრე იტყვიანო—ვინც და ქვეყანათა ზედან კარგს საქმესა იქსო სამადლოსაო, რა მოკვდებისო, კემწიფეთა და მეპატრონეთ ჯალაბებსა ჩაეს(ა)ხვის, კორც შეისხამსო და იმათ შვილათ იშობებისო, უწინდლისაგან უკეთეს შეიქნებისო. ვინც ამ ქვეყანას ძალსა და უსამართლოს იქსო, ან გლახათაგან იშობებისო და ან ოთხფეკთაგან იშობებისო და ან ფრთოსანთაგანო და ან ლოლავეთ და მძრომელთ კიებისაგანო და როგ(ო)რც მას სხვა გაურჯიანო, ისე უნდა თვითან გაისარჯოსო. იმათს კემწიფეს ქვეყანათა ზედან თავის მეტი არვინ ჰგონიანო, თუ სხვა კემწიფე ან ყოფილიყოს და ან იყოს და კარი კემწიფისა ასრე გარიგებული არის, რომ სიღამაც მათს ქვეყანაში უცხო კაცი მოვა, ვაკარი იყოს თუ სხვა მოსაქმე, ფიცხლავ ნაპირის მცველნი მოსწერენ, თუ რა საქონელი აქვს და ან რა მოკვლეა და ან სიღამ მოვა, ასწერენ და ანაწერს კ(ე)მწიფეს მიართმენ და ასრე მოახსენებენ—ამა და ამ ქვეყნიღამენო თქვენს ყმასო გამოუგზავნიანო. ორმოცს დღეს კარგად დახვდებიანო, სასმელ საქმლით კელს შეუწყობენო, ქალაქსა და კარგს ადგილს დაატ(ა)რებენო და რა ორმოცი დღე გათავდებისო. რაც ეოუტანიანო ერთისაოვის ორს იმდენს მისკემენო და კარზედ მიყვანებენო და თავყანს აცემრებენო და კემწიფეს არ აჩვენებენო, გზისათვის უვნებლობის ნიშანს. მისკემენო და ქალაქში აღარ დააყენებენო, უნდა წვაიდეოსო. რა ეს ა(ნ)ბეები თემურ კემწიფემ გაიგონა, ასრე ბრძანა: შორე ჩანსო რომ იქ ქვეყანას ეშმაკნი დაჰპატრონებიანო, თუ არავინ გაიგონაო კაცის უკვდ(ა)ვებო და სახისა და ბალნის დღეში სამჯერ ფერის გამოკვლაო. მაშ ის გაცხადებული ეშმაკი არისო. ჩემთვის მართებული არისო, მღთის წინაშენ გემართებისო, რომ მათზედან გავილაშქრო და კერპნი დაუმტკრიო და საკერპენი დაუქცივო და ის ეშმაკი რომ ბალანს დღეში სამჯერ ფერს უცვლის, ის მოუღოო და მართალი ღმერთი ვაცნობინოო.

აქა თემურ კემწიფის გალაშქრება სამარყანდით ხათაზედა მოხარჯულეზბლაო. ბრძანა თემურ კემწიფემან, გასწერეს წიგნი (sic), იხმეს ლაშქარიდა ხუთის წლის ჯამაგირი სალაროდამენ ნაღდი მისცეს და სამარყანდით აიყარა დიდის ლაშქრით, დაშტი ყ(ი)ბჩალის გზით ჩინეთსა და ხათაზედ წავიდა, ორისთვის სავალსზედ გზა გაიარეს თემურ კემწიფე ავად გახდა, მოდგნენ წამლით ჰაქიმნი და მკურნებელნი და ვერას საქმით ვერც სენი უცნეს და ვერც წამალი მოახმარეს და გაუძნელდა საქმე და კემწიფემანც თავს შეატყო, რომ ველარ მოურჩების. თავისი უფროსს შვილს ფირ მჰმად ჯანგირ სამარყანდის ბატონი და საკემწიფოს კარის გამრიგენი უტროსნი კაცი იხმო კემწიფემან და მრავალი კარგი ანდერძები უბძანა და შეილნი და შეილის შვილნი, სალარო და ქვეყანანი და მეფენი და თავადნი მას მიაბარა და ასრე უბძანა: აქედამ დაბრუნდითო და ლაშქარიც დააბრუნეთო და კემწიფურის წესით სამარყანდს მიმასვენეთო და იქიღამენო ყველგან მეფეთა და მეპატრონეთაო ხალათი და სამეფო წინგნები გაუგზავნეთო და ჩვენგნით შენი გაკემწიფებო და ჩენი ამ სოფლით მიცვალება შეატყობინეთო და ჩემი სალარო თქვენს კელთ არისო და ჩენი ვა-

ქილ ვაზირნი თქვენ გახლავანო, თვითანც ჩემთან გაზრდილ კარო და რაც მე ვქენ ქვეყანათა ზედანო, ყველა კაოგად გახსობსო, შენც ისრე ჰქენო. დღევანდლის საქმეს სახელიოთ ნუ მიაგდებო და მტერს დროს ნუ დაცლიო, ყმათ სამსახური დაუსწავლეო, შეფერებით ნამსახურთათ მათთა წესაზედ ჯილდო და სარჩო გაუჩინეთო და მერჯულეთა და ნათესაეთა დიდგვართა და ჰქვიანთა, მკოდინარეთა და ნამს(ა)ხურთა და პატივნი დასდევო, გლახთა და ვაქართაო ძალას ნუ უზამ და გამოსალებსა მათსა მოუკელ რამე და გაკარე, სჯობს ქვეყნის ასაშენებლათ. ქვრივ ობოლთ სარჩო გაუჩინეთ, გლახანი მიცემით გაახარეთ, მშვიერი გააძლეეთ, ტიტველანი შემოსეთ, მოძალადენი შეშინებით მოამშვიდეთ, თავ გამზიდვენი წახდინეთ და ავად მიეპყარით, რომ თქვენს ბძინებას არ გარდვიდნენ. მღთის შიში იქონიე, ძრახვა და მემშურნო(ბა) თქვენგნით შორ ამყოფეთ, დიდს კაცს ცოტას სამსახურს ნუ უბძანებ და მცირეს კაცს დიდს სამს(ა)ხურს ნუ დასდებ. ერთი რამე გამოსარჩივი საქმე გაქონდეს, მრავალს კაცსა ჰკითხე, ხან ყველას ერთგან და ხან ცალკე ცალკე. ყველას თქმული გაიგონე და შეადარე სიტყვა სიტყვასა და რომელიც შენ გიჯობდეს, ისრე ჰქენი. ამ საქმით მტერნი დაგეჩაგვირან და ქვეყანა ავიშენდებო და ლოცვას დაგიწყებენ. ლაშქარნი მადრიელი და მორკმულნი გეყოლები. ავის მქნელს ავად მიეპყარ და კარგის მქნელს კარგად. შიშით ავს ველარ იქმონენ. ამით კემწიფობა გაძრიელდება. რა ეს ანდერძები შეილს დაბარა, მოიკმო თავისი ვაზირ ვეკილნი და საკემწიფოს გამრიგენი მეფენი და თავადნი და ლაშქარი და ჯარი. თავისი შვილი ფირ მჰმდ ჯაჰნგირი თავ(ი)ს მაგიერად კემწიფეთ აკურთხა და ყველამ ფეხს აკოცეს და თავყანი სცეს და ბრძანა თავისის თავის ავადყოფნით დაბრუნება ლაშქრიანათ. იხმნეს ოსტატნი და გაკეთეს კუბო და კემწიფე წამოსაყვანლათ მოინდომეს. დიად შეძნელდა, ასრე რომე კუბოში შესვლის ღონე აღარ ჰქონდა. პარასკევს საღამოსა კემწიფე მიიცვალა. შეიქნა ლაშქარში ტირილი და ყველამ საყელონი გარდიხივეს. სამს დღეს იქივ დადგნეს, ყველას ხალათები უბოძეს. კემწიფემ მამა მისი, ქვეყნის დაქირვისათვის მრავალ გვარად გარჯილი, ქონებითა და მორკმულობით გაცრცვილი, სული ტანით, ქკუა თავით და სინათლე თვალთ გაშორ(ე)ბული ტანი კუბოში მიასვენეს და კუბოს თვალ მარგალიტით მოკაზმული ზეწრები გარდაბურეს და კუბოს ქვეშ მეფენი და კემწიფენი შესხდნეს, დიდის დიდებით დაბრუნდეს და სამარყანდს მოასვენეს. ის მიწას მიბარეს და მრავლის სარჯლითა და ოჯახის თხრით და სიკვდინებითა და დატყვევებით ნაშოვნი სხვათ დარჩა და მას განკითხვის დღის შიში თან წაჰყვა და ქვეყანანი ზოგი ვინ დაიპირა, ზოგი ვინ. ქართველთ ქრონიკონი სამას სამოცდა ჩვიდმეტა იწერებოდა ქკს ტოზ თემურ კემწიფის სიკვდილი. ამის წერაში ორას ოთხმოცს წელიწადს გაეარა და ინდოეთს ისრევე იმისნი ნათესავნი კემწიფობდენ აქამდი.

ლ ა ნ ა რ თ ი.

ეს დანართის სახით აქ მოთავსებული „სწავლება“ ფარსადანის მიერ მისი შვილის დავითისადმი, მოთავსებულია ისტორიაში იმ ადგილს, სადაც ნამბობია ავტორის შვილის დავითის შესახებ (ზემოთ გვ. 77). ამ დანართს ტექსტში შემდეგ მიყვება „ამბავი თვალდამწვრიანთა“.

აქა ფარსადან გიორგიჯანიძე თავის შვილს დავითს ასწავლი(ს). კქუა სჯობსო ყოვილის ფერსაო და ძვირათ და ძნელად საშოვნელი არისო და კემწიფენი მოძებარნი არიან ამ რივის კაცისაო. კქვიან(ი) ამას ჰქვიან, რომ ხოშიადის შემნახავი იყოს და ყოველს კაცს სიტყვა საამელი უთხრას და საწ(ა)-დელი თავისი არვის გაუცხადოს. როგორც წინა ჟამში მამა პაპათა თქვეს, სიტყვანი—მარცვალთ თესავთავით მიწა მოფარეთო, რომ ფრინველმან და ჰიებმან არ შეგოქამონო და მოსავალი არ მოგ(ი)ცდესო. აბა თუ მიწას მიუფარავს და ფრინავნი და ჰიანი ვერ ნახავს, გამწვანდება და კარგს მოსავალს მოიყვანს და მარგებელია პატრონისა და სხვათაცა. აბა სიტყვანი ასრე შეუდარებია. თუ მიფარვით ი(თ)ქვას, საქმე მისი გარიგდება და თუ მრავლისათვის უთქვამს, მემშურნენი სალხინოს საჰიროთ გაუხდიან და დახჩხუბვენ და აღარ გაურვიგდება. აბა კაცის პატივისმდებელი სხვაც არის თავათ საქონელი და მორკმულობა და მერმე პატრონობა და ან პატრონსთან კარგი ყმობა. რა გინდ საქონლის პატრონი ცუდი კაციც იყოს, პატივს დასდებენ. კაცისათვის ძრახვა სჯობს სიგლახით შებრალებასა. აბა უქონლობას ყოვლი ჰირი სჯობს. მოსავლით დახარჯვა კაცს არ წახდენს თუ კარჯს ზედ ერ.ი დინარი დღეში ნამეტნავი მოსავალი გაქვს, არ წახდები და თუ ხარჯზედ დღეში ერთი დინარი ნაკლები მოსავალი გაქვს, თავს უშველე რომ აღრე დაგლახაკდები. იესოს ჰრისტეს უბრძანებია: შენს ვენახს რომ სწყუროდესო, სხვათა ვენახთ წყალს ნუ მისცემო. ნათესავთზედ უბძანებია: რომელიც უფრო ახლო მეყვისნი არიან, იმათი უპრიანე და თუ მეტის ქნის შეძლება აქონდეს, მადლის ქნა რაც ბევრია, ისი სჯობს. სიგლახობის უძნელეს არაფერი ჰირი არ იქნების, მეტადრე სიბერის დროსა. ფრდოსის უთქვამს: ასეი, აქამე და გაეცო და შეინახეო სიბერის დროთათვისო, რომ აღარც გექნების ძალი, ძლევაო და არცა შოვნა მოგება და შვილსაც შესძულდებოდი. შენი მონაგები შეშურდების შენთვის და შენს მონაგებსაც ტუქვისთა ყვედრებით თუ მოგცენ, კარგია და ნათქვამიც არის—სჯობსო სიკვდილი ყვედრებასაო. აბა მოკლეთ გეტყვი, შვილო დავით, ღმერთმან გინსნას კეწიფების რისხვისაგან. ამდენი რომ შენ გაეც, აბა დაჰირების დღეში ერთის ჩითახური-სა ვინმე მოგებმარა, თუ არა მაშ ყოველს კაცს მართებს სხვათა თავისი ერჩ(ი)-ვნოს და საბოლოს ირიგებდეს, რომ სხვათა კელის მზერავი არ შეიქნას და რა გინდ მოსაველი (sic) ბევრი აქონდეს, მაშინც კარჯის ქნას მოუკლოს და გულება (sic) დაიმშვიდოს წესას ზედან და შეძლების ღონით სამლოთო საკაცო¹⁾ მადლი გარდიხადოს. საქონელი კაცს რა გინდ ბევრი აქონდეს, დაფარვითა სჯობს თორადა მემშურნე და მობეზლარნი მტერნი ასტყუდებიან ან მეპატრონესთან შეაბეზლებენ და წართმენ და ან ქურდს შეუჩენენ გასაქურდ(ა)ვად და ან ძმას და შვილს გარდაჰკიდებენ და ან ტყვილსა და მიზუნს აუტეხონ (sic) რომ მოვრავს დაჰირინონ. მაშ საქონელიც მიფარვით აქონდეს, სჯობს. ყოველის კაცის მომადრიელობა სჯობს დამდურებასა. მტერს მტერობას ნუ გაუცხადებ, შენი თავი მოყვრათ

¹⁾ დედანში: საქაცო

აცნევ. თუ მან გუნება შენზედ კარგი ქნას, შენც გმართებს მაზედ გუნების გაკეთება და თუ არ გაგიკეთდეს, იესოს უბძანებია: რომლისაც საწყაოთ მოგიწყონო, იმავე საწყაოთ მიუწყევო. ვალს გარდახდა უნდა, ჯავრს თმენა და დამშვიდება სჯობს. შენი შენთვის შეინახე. გაუქირიბელი ღმერთია. შენ რომ გაქონდეს და სხვათ მისცე, დიდი მადლია. მაგრამ რომ არა გქონდეს რა და გექირებოდეს და სხვათა სთხოვო და აგდებთ ან პასუხი გითხრან და ან არა, სიკვდილი სჯობს. თუ კეჟა გაქონდეს და ან შიში სიგლახაკისა, შენი ქონება სამათ გაყავ: ერთი სამლოს საქმეზედ დახარჯევ და მეორე კერძი თავსა და ცოლშვილთა და ნათესავთა და ყმათა და მოსამსახურეთა და სახლისა და მამულთ მოსახმარისათ დ(ა) ერთი კერძი სიბერისა და სიკვდილის დღის მოსახმარისათ, რომ ორივე დღე სიბერე და სიკვდილი სწ(ო)რნი არიან. თუ ნოკედეს, მისს სულსა და საფლავს მოახმარონ და თუ დარჩეს, სასმელ საკმელსა და ტანისამოსსა და აჭქინსა და წამ(ა)ლს მოახმარონ და ეს მართალია და კიშმარტი რომ ყოველს მამას თავისი საქონელი და მამული თავისის შვილისათვის უნდა, მაგრამ შვილს თუ მამა საქონლიანი ჰყავს, მალ მისი სიკვდილი უნდა, რომ მის საქონელი დახარჯოს და თუ მამა უქონელია, შვილი ერთს ლუკმას პურს რომ აკმევს, დღეში ასჯერ წააყვიდრებს—გაძალღებული არ კვდებოსო რომ მოვრჩეთო. აბა ძმა და შვილი თუ კარგნი ყოფილიყვნენ, ღმერთსაც ცუცობოდან. ღმერთმან ერთი კელის ამარას ნუ ქნას, იცოდით (sic) და თავს მოუარეთ.

ხმარებაში არა-ხშირად გეოგ. ზოგ უცხო სიტყვის და ზოგ ტერმინის განმარტება.

- აბაბრი (საკუთრივ—აბიანბარ, სპარს. اب انبار)—წყლის საცავი, აუზი.
აბხანა (სპ. ابخانه)—წყლის აუზი.
არზა (არაბ.-სპ. عريضة)—თხოვნა.
აჯა (არაბ.-სპ. حجة)—მოთხოვნილება, საკუროვება, სურვილი.
ალაჯი (თურქ.)—მანძილის ერთეული, უდრის 7 კილომ.
ბარხანა (სპ. بارخان)—ცნობის გამომცხადებელი მყვირალი.
ბეგლარბეგი—მოზრდილი პროვინციის მართველი
გუპარშაზარა (არ.-სპ. گوا محضر)—დამოწმების ქალაქი, მოწმე.
დაშნა (სპ. دشنه)—ხანჯალი, ხმალი.
დაშტი (სპ. دشت)—უდაბნო, ველი.
დახოჯვა, სიტყვისაგან ხოჯა (სპ. خواجه)—კეთილშობილი კაცი, ბატონა, საკუთრისი. დახოჯვა--დასაკუთრისება.
დიბა (სპ. ديباء)—ოქროქსოვილი ფარჩა.
დოვლათი (არ.-სპ. دولت)—მდიდარი, ბედნიერი, სახელმწიფოსი.
დოლბანდი (სპ. دولبندي)—თავსაბურავი მამაკაცისა (ტურბანი).
ელი (არ.-სპ. ايل)—ტომი
ეშაკალასი (თურქ.-სპ. ايشيس آغاسى)—ცერემონიემისტერი, ძველი ქართული მანდატურთ-უხუცესი.
ეშაკალასბაში (თურქ. ბაშ ايش—თავი)—ეშაკალასების თავი.
ექტიმადოვლე (არ.-სპ. اهتمامى دولت) სახელმწიფოს მმართველი (ტიტული სპარსეთის პირველი ვეზირისა).
ექილი (არ. وكيل—მოადგილე (ნამესჯნიკი), რწმუნებული.
ზავთი (არ. صوت)—ხმა, მუქარა; ზავთის ქმნა—ქონებაზე ყადაღას დადება.
თაბუნი (თურქ. تاونى)—გუნდი, ჯ:უფი
თაჯი (სპ. تاج—გვირგინი
თომარი (არაბ.-სპ.)—გრაგნილი, აღრიცხვა
ილლარი (თურქ. ايلغار)—ექსპედიცია.
მაზდი (სპ. مازد) —საჩუქარი, ჯამაგირი.
მალუჯკითი, საკუთრ. მალუჯკიბ (არ.-სპ. مال واجب)—შემოსავალი, მოგება.
მანზილი (არ.-სპ. منزل)—გასაჩერებელი ადგილი.
მანჯანიყი. (ბერძნულიდან შემოსული სპ. منجنيق —ქვის სასროლი, შურ-ბარჩილი— ფული, მ.,-17 ს-ნის დასასრულს უდრიდა სამი ბაზს. | დული, კალი-მაშაიან (სპ. منجنيق)—ფეხზე ჩასაცმელი.
მეჯლიში (არ. სპ. مجلس)—კრება, შეყრდობა.
მეჰმანდარი (სპ. محمدسازار)—მასპინძელი, სტუმრების მიღები მოხელე.
მიზა (არ.-სპ. ميزا)—კეთილშობილი, მწერალი; საკუთარ სახელის შექ-
დღ დასმით ნიშნავს ბატონიშეელს.
მინბაში (თურქ.)—ათასისთავი.
მურსა (არაბ. مرصع)—მოოქვილი.

- მესაფი (არაბ. مذهب) — ყურანი.
მულამა (არ. معلمه) — ურთიერთ დარდის მომგვრელი.
მუჯალა (არ. مصالحه) — ფიქრი; მგებობის და კარგ განწყობილების ჩვენება.
ნუზლი (სპ. نزل) — სამასპინძლო
რაცამი (არ.-სპ. رقم) — ასო'ა გამოხაზულობა, წერილი, მეფის ბრძანება.
სამანდარი (სპ. سمندر) — დაბის ს.ხელი ინდოეთში.
სიბა (თურქ. سيبه) — შემოლობილი ადგილი.
უზბაში (თურქ.) — ასისთავი.
ურუმი — ასე უწოდებდენ ქართველები ბერძნების სამკვიდროზე დაბინა-
ვებულ ოსმალთ. წარმოსდგება სიტყვისაგან რუმი (=რომი), ურუმი — რომაელა.
ფელიზბარი (სპ. بیهمبر) — წინასწარმეტყველი.
ფიშეაზი (სპ. بیشوواز) — შეხვედრა (საზეიმო).
ფლური — ოქროს ფული, დრაჰმანა.
ფარაღათი (არ.-სპ. فرغت) — სუბტქი.
ფუში (სპ. پوش) — დასახურავი, ტანისამოსი.
ქალანთარი (სპ. کلان تر) — ქალაქის ძაფი.
ქანარა (სპ. قناره) — საყვირი.
ქარხანა (სპ. کارخانه) — დუქანი, ფაბრიკა, არსენალი.
ქათარი (არ.-სპ. قاطر) — ურწმუნო.
ქეთხუდა (სპ. کتخدا) — მამასახლისი.
ქემბა, ქეჰა (თურქ.) — სერასკირის (ოსმალთ სარდლის) შიდადგილე.
ქორაქანი (არ. قورقان) — თემურლენგის ეპიტეტი, ნიშნავს პროტექტორს.
ყათარი (თურქ. قاطر) — ჯორი.
ყათლამი (არაბ.-სპ. قتل) — მოკვლა (ამოხოცვა).
ყაჯარი — თურქული ტომი სპარსეთში.
ყიზილბაში (თურქ. قزلباش) — ნიშნავს წითელთავიანს. ასე ეწოდებოდა
სპარსეთში შვიდ თურქულ ტომს წითელ თავაბურავის გამო, რომელიც მათ
ახასიათებდათ. ამ ტომებს ემყარებოდა დასაწყისში სეფიანთ დინატია.
ყიზილბაში (თურქ. قزلباش) — არტილერისტი — ყიზილბაშ ჯარისკაცთა სახელი.
ყორჩიბაში — ყორჩების უფროსი.
ყული (არ.-სპ. قلی) — მონა. შაჰ-აბას I-მა შექმნა ყორჩების და-
სპარდაპირებლად ყულების ჯარი, რომელშიდაც ბლომად იყვნენ ქართველები.
ყულარაღასი (არ. قوال آغاسی) — ყულების ჯარის უფროსი.
შეიხი, შიხი (არ.-სპ. شیخ) — მოხუცი, მცენიერი.
ჩათარი (თურქ.-სპ. چاقال) — შიკრიკი.
ჩრალენი (სპ. چراغان) — ილუმინაცია.
ხაინი (არ.-სპ. خاين) — მოღალატე.
ხანდაგი (არ.-სპ. خندق) — ღრმა ძირილი (შეიძლება წყლით სავსეც).
ხოჯა (არ.-სპ. خواجه) — საკურთხისი, ბატონი.
ქალათი (არ.-სპ. خلعت) — ტანთსაცმელი, რომელსაც სპარსეთში იძლეოდნენ
ჯილდოს სახით.

კონთქარი (სპ. خون کار)—სისხლის საქმეთა ბატონი (ასე ეწოდებოდა სპარსულად ოსმალეთის სულტანს, რომლის ხელთ იყო მის ქვეშევრდომთა სიკვდილ-სიცოცხლის საქმეები).

ჯაბადარბაში (არ.-სპ. جبهه دار باش—ქონების, იარაღის მქონეთა უფროსი; جبهه — ყუთი, ჯაბადარბაში—იმათი უფროსი, ვისაც ყუთები აბარია).

ჯაზია (არ. جاذيه)—გარდასახადი, დაწესებული ჯერ კიდევ არაბების სახალიფოში კაცის თავზე არა-მუსულმანთათვის.

ჯალალი—თავისი ქვეყნიდან გასული

ჯანიშინი (სპ. جانیشین)—მოადგილე (ხელმწიფის).

ჯარა (არ.-სპ. جراح)—ქირურგი.

ჯარჩი (სპ. جارجی)—ცნობათა გამომცხადებელი.

ჯერგა (სპ. چرکه)—ნადირის დასაპერი ბადე.

ჯილაეი (სპ. جلادار)—ლაგამი.

ჯილაედარი (სპ. جلادار) მეჯინიბე, მეუზანგე.

ჯინსი (არ.-სპ. جنس)—გვარი, ქონება, პურეულობა.

ჯილა (სპ. جيهه)—მოოქველიფოთა თავსაბურავზე დასარკობი.

ჰავადარი (სპ. هوادار)—ჰაეროვანი, მეგობარი.

ჰარამი (არ.-სპ. حرام)—საიდუმლო; ქალთა განყოფილება.

ერთს აღვილას (გვ. 19) ფარსადანს მოყავს სპარსული ლექსი ქართული ასოებით, რომლის აღდგენილი სპარსული ტექსტი თავის აღვილს ვერ იქმნა მოყვანილი (იმ სტაბაში, სადაც ტექსტი იბეჭდებოდა, სათანადო შრიფტის უქონლობის გამო). ლექსი იკითხება შემდეგნაირად:

بيدارکش پادشاهی را نشاید

اگر شود بخز شش ماه نه پاید

მეორე აღვილას (გვ. 29) ფარსადანს მოყავს თურქული სიტყვები: ჯალათ გელსუნ—ჯალათი მოვიდეს (جلاد کلسون).

მესამე აღვილას (გვ. 31) ფარსადანს მოყავს სიტყვები კოკი გულე რომელიც ფრიად დამახინჯებული უნდა იყოს და განუმარტებელი რჩება.

ზოგიერთი შენიშნული კორექტურული შეცდომა.

- „ 20 სტრ. 19 დაბეჭდ.: გორგიჯანიძე. უნდა იყოს —გ(ღ)ორგიჯანიძე.
- „ 25 ჟანასკნელი სიტყვა იკითხება—გაიკითხეს
- „ 26 სტრ. 6 დაბეჭდ.: და და; უნდა იყოს—და.
- „ 96 „ 22 „ კავსო; უნდა იყოს—გავსო.